ნიკოლოზ მიქაია

როცა წვიმა მლერის

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი — 1987

84 Гр7
Ф 741

კრებულში შესულ მოთხრობებში ასახულია საქართველოში რევოლუციის პირველი წლები, კოლხეთის წარსული და დღევანდელობა, მისი მშენებლების გმირობით სავსე ცხოვრება.

მოთხრობაში „ლადო გუდიაშვილის ათას ერთი ღამე“ ასახულია სახელოვანი მხატვრის ცხოვრების გპიზოდები, ხოლო „პოეტის უკვდავება“ მირზა გელოვანის საბრძოლო გზების ამსახველი დოკუმენტური მოთხრობაა.

М $\frac{4702170200-151}{М\ 601\ (08)\ 87}$ 250—87

როცა წვიმა მღერის

„ბუნება წარმოშობს,
მაგრამ არ ქმნის. ქმნის მხოლოდ ადამიანი“.

(კ. პაუსტოვსკი. „კოლხიდა“)

შუადღე იყო. აეროპორტში ცხელოდა. უცბად რეპროდუქტორი აეღრიალდა. დიქტორი აცხადებდა, ფოთში მიმავალ თვითმფრინავ „АН—2“-ში ჩასხდომა დაიწყოო. თვითმფრინავისაკენ შვიდნი გავეშურეთ: ერთი ახალგაზრდა ქალი, რომელსაც ბავშვი ახლდა, მეორე შუახნის მამაკაცი — ცამეტ-თოთხმეტი წლის ვაჟით, მე და კიდევ ორი ახალგაზრდა. ცოტა არ იყოს, არ მესიამოვნა, ბუტაფორულ, პატარა, თითქოსდა ლილიპუტების ქვეყნიდან მოფრენილ თვითმფრინავს რომ მივუახლოვდით. ვეღარ მოვითმინე და თვითმფრინავის ფრთა ხელით მოვსინჯე, მუყაოსაგან გაკეთებული გეგონებოდათ. — ხელს ნუ შეახებთ, დაინგრევა... — ჩაიქირქილა ვიღაცამ.

მოვიხედე: ჩემს გვერდით მაღალი, მოღიმარი ახალგაზრდა იდგა, — ... და ვეღარ გავფრინდებით კვაკენბერგში, — ხუმრობდა უცნობი. გამეცინა; მივხვდი, რომ კვაკენბერგს ფოთს ეძახდა, ქალაქს, რომლის ცაზეც, როგორც იტყვიან, წელიწადი და თორმეტი თვე წვიმა ჰკიდია, სადაც ზამთარ-ზაფხულ არ წყდება ბაყაყების გამაყრუებელი ყიყინი.

— ბოდიში, მგონი უნდა გაგცნობოდით, — ალექსანდრე ლიტვინენკო, ალიკო, როგორც ოჯახში, ე. ი. გემზე მეძახიან, ტრაულერ „შოთა რუსთაველის“ მთავარი მექანიკოსი. ეს ჩემი მეგობარია, ამავე ტრაულერის ელექტრომექანიკოსი ნიკოლოზ ფეოდოროვი. ამ ყმაწვილის ძირითადი ღირსება ის არის, რომ ატომისა და კოსმოსის ეპოქაში გაწითლების უნარი შეინარჩუნა. მორცხვია, როგორც მეცხრამეტე საუკუნის ასული.

ფეოდოროვი საშუალოზე დაბალი იყო. კეთილი, სათნო თვალები ჰქონდა.

— ყურს ნუ უგდებთ, ენაჭარტალაა, — გამაფრთხილა ფეოდოროვმა და შევამჩნიე, როგორ აუწითლდა ლოყები.

უნდა გამოგიტყდეთ, რომ ლიტვინენკოს ფამილარობა ცოტა არ იყოს, არ მესიამოვნა, გამაკვირვა კიდევაც, — ჩვენ ხომ პირველად ვხედავდით ერთმანეთს! შემომხედა, უთუოდ იგრძნო, რომ არ მომეწონა მისი ოხუნჯობა და ხწრაფად დაუმატა:

— რად გაგიკვირდათ. ჩვენ ხომ პირველად არ ვხვდებით ერთმანეთს. მგონი, ამ ერთი თვის წინ გაგიცანით. გახსოვთ კედლის გაზეთი?

როგორც კი წარმოსთქვა „კედლის გაზეთი“, მაშინვე ხარხარი ამიტყდა, იცინოდა ლიტვინენკოც. ფეოდოროვი გაოცებული შემოგვყურებდა და გაკვირვებისაგან მხრებს იჩეჩდა. მართლაც, ჩვენ კელასურში, კოლმეურნეობა „დიოსკურიაში“ გავიცანით ერთმანეთი.

წამსვე მომაგონდა კედლის გაზეთი „საქთეევზი“. ერთ კუთხეში მხატვარს კერძო მეთევზე დაეხატა, შემდეგ თევზები, რომლებიც მის ბადეს გაურბოდნენ და „ღიმილით“ პირდაპირ კოლმეურნეობის ბადისკენ მიისწრაფოდნენ. მე და ალიკა სწორედ იქ შევხვდით ერთმანეთს. იგი სტუმრად იყო თავის მეგობართან, მე კი ჟურნალისთვის მასალებს ვაგროვებდი.

ამასობაში პილოტიც მოვიდა და ჩვენი საუბარი შეწყდა. პილოტი ქართველი იყო, ჯმუხი, მზით გარუჯული.

— აბა, მეგობრებო, მოემზადეთ, გავემგზავროთ ვერძის მოსატაცებლად, — თქვა მფრინავმა ხუმრობით და კაბინაში ჩაჯდა. ჩვენც მივყევით.

პირველ რიგში ბავშვიან ქალს დავეხმარეთ. ალიკმა ფოთოლივით აიტაცა ქალი და თვითმფრინავის ვიწრო კაბინაში ჩასვა, მერე გოგონაც მიაწოდა. ავიდა შუახნის მამაკაცი და მისი ვაჟიშვილი, შემდეგ მე, ფეოდოროვი და ალიკაც მივყევით. თვითმფრინავი შიგნითაც ისეთივე ბუტაფორული იყო, როგორც გარედან.

შიშით ვათვალიერებდი თვითმფრინავის „სალონს“.

— ნუ გეშინიათ, სულ რაღაც სამას-ოთხასი მეტრის სიმაღლეზე ვიფრენთ. თუ რაიმე შეგვემთხვა, ან ჭაობში ჩავცვივდებით, ან ზღვაში გავადენთ ბათქანს, ნაპირის ახლოს, — იხუმრა მფრინავმა და ძრავა ჩართო. თვითმფრინავი აჯაგჯაგდა, ახმაურდა და ბოლოს, როგორც ქიქნა, მიწას მოვწყდით.

— ინებეთ საწუწნი კამფეტი, — ალიკომ უბრალო წეულა მომაწოდა — სტიუარდესა შაქარყინულს ვერ მოგართმევთ, დასვენების დღე აქვს, — კვლავინდებურად ოხუნჯობდა ლიტვინენკო.

ორი წეულა ავიღე და გოგონას გავუწოდე. გოგონამ მადლობის ნიშნად მორცხვად გამიღიმა.

„AH — 2“-მა კურსი კოლხეთის უძველეს ნავსადგურ — ფაზისისაკენ აიღო, რომელსაც დღეს მრავალი ქვეყნის მეზღვაურები ფოთის სახელწოდებით იცნობენ. ტყუილად ვიწუნებდი თვითმფრინავს, ნშვენივრად მიფრინავდა, ძრავას ხმაური თითქმის არც გვაწუხებდა. სარკმლიდან გადავიხედე: გარკვეეით მოჩანდა ზღვის ტალღათა ლივლივი.

ძველი კოლხიდა ზემოდან დავით კაკაბაძის ნახატებს წააგავს.. როგორც ამ შესანიშნავი მხატვრის ტილოებზე, სხვადასხვა ფერისა და ტონის მკვეთრი საღებავებით გამოირჩეოდნენ მდინარეები, არხები, ციტრუსოვანთა ნარინჯისფერი ბაღები და ჩაის პლანტაციების მწვანე ატლასი. ამომშრალ მიწაზე გაშენებული ახალი სოფლები და ხასხასა მწვანე ფერის ჯერ კიდევ ამოუშრობი ჭაობები, ლელიანი, შამბნარი, ევკალიპტები, ევკალიპტების ნამდვილი ტყე! მოსწრებულად თქვა კოლხიდმშენის მთავარმა ინჟინერმა გოლიათ ლაკერბაიმ: ევკალიპტები ჩვენი ერთგული თანაშემწენი და მოკავშირენი არიანო. ტყუილად ხომ არ უწოდებენ ინგლისელები ევკალიპტებს „ტყის ალმასს“, ხეები ასორმოცდაათი-ორასი მეტრის სიმაღლისაა, მათში სიცოცხლის უჩვეულო ძალაა ჩანერგილი.

აგერ სვანეთის მიუვალი მთების შვილი გიჟი ენგური მოქუხს. სულ მალე მძლავრი ენგურჰესი მთელ დასავლეთ საქართველოს უზრუნველჰყოფს ელექტროენერგიით. აი, რიონიც; აქ ხომ ოდესღაც ძველი ბერძნების, რომაელების ხომალდები შემოდიოდნენ, აქვე ყვაოდა მარმარილოს სასახლეებით დამშვენებული დიდებული ქალაქები. ისინი მტრებმა დაანგრიეს, ჭაობში ჩაიძირნენ. მერე? მერე კი ამ მიწაზე ქარი ლაქაშს არხევდა და ლაქაშიც ისე ქანაობდა, როგორც ზღვის ტალღები. საღამოს ცაზე თეთრი აჩრდილებივით მოჩანდნენ სვანეთის ცადაწვდილი თოვლიანი მწვერვალები. ნაბადწამოსხმული, ხურჯინგადაკიდებული, მხარზე ცულგადებული მამაკაცები გაუვალ ჭაობებს შორის დარჩენილი ბილიკებით მიდიოდნენ სამუშაოს საძებნელად. მიწა არ ჰქონდათ, ჭაობზე ცხოვრობდნენ და აბა რა ექნათ. მიდიოდნენ წვერმოშვებული ბერიკაცები

ლუკმა-პურის საშოვნელად, მიდიოდნენ ახალგაზრდები, ქალები; ტოვებდნენ ჭაობს, ჯუნგლებს; უკან რჩებოდა გამოკეტილი კარვები და ფაცხები, უსარკმლო და უსინათლო ფაცხები, ბრმებივით რომ იდგნენ ჩამკვდარ სოფლებში. ადამიანის ჭაჭანება არ იყო, ჭაობის შხამით და ხაშმით მოწამლულ ჰაერში კოღოების ზუზუნი იდგა, ციება მუსრს ავლებდა დიდსა და პატარას. მესერზე ცხენის თავის ქალა იყო წამოცმული, ჭიშკარზე ნალი იყო მიჭედებული, მაგრამ ნალსა და ცხენის თავის ქალას არ შეეძლო ხალხის ხსნა, ჭაობის გაშრობა, ლელიანის ჩეხვა, მიწის გამოტაცება უკმურიდან. მხოლოდ ადამიანს ძალუძდა ამის გაკეთება, ისევ ადამიანს უნდა ეხსნა ადამიანი. ჭაობით იყო დაფარული ჩრდილოეთიდან მოყოლებული მთელი შავიზღვისპირეთი, მდინარე კოდორიდან ქობულეთამდე — ორას ოცი ათასი ჰექტარი მიწა. რაოდენი სიმდიდრის მოცემა შეეძლო ამ მიწას ამოშრობის შემდეგ! თბილი ზღვა, სუბტროპიკული ჰავა და ნოყიერი მიწები. უკეთეს ადგილს ჩაისთვის, ციტრუსებისთვის, კეთილშობილი დაფნისა და ტუნგოსათვის ვერც ინატრებდა ადამიანი.

...და ხალხმა დაიწყო ფიქრი ჭაობების ამოშრობაზე, აუცილებელი შეიქნა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოეცხადებინათ კოლხეთის სიკვდილის მთესველი ჭაობებისათვის. ამაზე ოცნებობდა გასული საუკუნის დამდეგს ნიკო ნიკოლაძე, ქართველი მეცნიერი, ფილოსოფოსი და საზოგადო მოღვაწე. მან მელიორაციული გეგმაც კი შეადგინა. მაგრამ... ამას აურაცხელი თანხა სჭირდებოდა და ნიკო ნიკოლაძის გეგმები ოცნებად დარჩა.

მხოლოდ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ აღსრულდა ქართველი ხალხის საუკუნო ოცნება. პირველი იერიში 1925 წელს მიიტანეს ჭაობებზე. 1932 წელს კი დაარსდა ტრესტი „კოლხიდმშენი.“

იერიშის პიონერები იყვნენ ინჟინრები: გრიგოლ გეგეჭკორი, ანდრო გაბუნია, გალინა სერბინა-ჯაფარიძე, მიხეილ დიდენკო, დიმიტრი ღოღობერიძე, ლევან კიკნაძე, ილარიონ ცომაია, გიორგი ჯაფარიძე და სხვები. ზოგი მათგანი დღესაც მუშაობს „კოლხიდმშენში.“

თავის დროზე ჭაობების ამოშრობის გეგმებს პირადად გაეცნო სტალინი და ღირსეული რჩევა მისცა მშენებლებს: ჭაობის ამოშრობა დაეწყოთ ფოთი-ჭალადიდის უბნიდან. ეს უბანი ყველაზე

ძნელი ასათვისებელი იყო და მეტად საჭირო ადგილზე მდებარეობდა.

დაახლოებით ამ დროს ჩამოვიდა ფოთში გამოჩენილი მწერალი კონსტანტინე პაუსტოვსკი. იგი რამდენიმე ხანს ცხოვრობდა კოლხეთში და დაწერა წიგნი „კოლხიდა". რა ბედი ეწია მისი მოთხრობის შესანიშნავ გმირებს, კოლხიდის გაუვალ ჭაობებს? ეს ამბები მაინტერესებდა, როცა აქ მოვდიოდი...

თვითმფრინავი ფოთის აეროდრომზე დაეშვა.

ქალაქი, სადაც
ბანუწყვეტლივ წვიმს

...„ფოთში, როგორც ყოველთვის, წვიმდა," — ასე მინდოდა დამეწყო ეს თავი, მაგრამ წარმოიდგინეთ ჩემი გაოცება: მზიანი დღე იყო, მზიარული.

ამ ქალაქში, საერთოდ, ქარი ქრის და გადაუღებლივ წვიმს. მიწა ზღვის დონეზე დაბალია. სწორედ ამიტომაა ძნელი ნიადაგის გადარჩენა ჭაობის შემოტევებისაგან, მიწა აქ არასოდეს არ შრება. ორი-სამი ათეული წლის წინათ, თითქმის მთელი აქაური მოსახლეობა დაავადებული იყო ტროპიკული მალარიით. დღეს დავიწყებულია ეს საშინელი სენი. ექიმი ილარიონ ცომაია ამბობს, უკანასკნელი წლების განმავლობაში მალარიით დაავადების არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა კოლხეთშიო. ეს მართლაც ასეა.

კოლხიდელებმა ასი ათასი ჰექტარი ჭაობიანი ნიადაგი ამოაშრეს და კოღოებს თავშესაფარი აღარ დარჩათ, მალარიაც აღარ ვრცელდება.

...ფოთი. ჯერ კიდევ ოცდაათიან წლებში ეს იყო „ტვირთგადასასროლი წერტი", ან, თუ გნებავთ, მგზავრების გადასაყვანი ნავსადგური. მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა სოხუმიდან თბილისში ჩამოსვლა. პირდაპირი რკინიგზა სოხუმსა და თბილისს შორის არ იყო გაყვანილი. პატარა გემების „პესტელის", „ჩეხოვის" ან „ტავრიას" ღია გემბანებზე სიცივისაგან აკანკალებულები მივემგზავრებოდით ფოთში, იქიდან კი რკინიგზით — თბილისში. ორი, ან უფრო ხშირად, სამი დღე-ღამე ვუნდებოდით გზას. ახლა მატარებლით სულ ხუთი-ექვსი საათის სავალი გზაა სოხუმიდან თბილისამდე, ავტომანქანით კი უფრო ნაკლები.

კიდევ უფრო რთული იყო თბილისიდან შინ დაბრუნება. მატარებლისა და გემის მოძრაობის განრიგი არასოდეს არ ეთანხმებოდა ერთმანეთს და ამის გამო ღამის გათევა (და არა ერთის) უზარმაზარ რკინა-ბეტონის საწყობში გვიხდებოდა. პირდაპირ ცემენტის იატაკზე ვიგებდით პალტოს (ვისაც კი გექონდა) და ისე ვიძინებდით. ზოგჯერ დროს მოსაკლავად „კონკით" დავეხეტებოდით ქალაქში. — ეს იყო მეტად თავისებური ბორბლიანი „ტრამვაი", რომელსაც ჯახირით მიათრევდა ცხენი. ხან კი საათობით ვიდექით ნავსადგურში და ცნობისმოყვარეობით ვათვალიერებდით უცხოეთის გემებს: ჯეელი მეზღვაურები ტრიუმებს ჭიათურის მარგანეცით ტვირთავდნენ; ჩვენ, სტუდენტები კი რკინა-ბეტონის ჯებირზე დავსეირნობდით. შუქურამდე რომ მივიდოდით, სეირნობაც მთავრდებოდა. ჩვენთვის ნამდვილი საოცრება იყო ქვის კედლებით გარშემორტყმული ფოთის დახურული ნავსადგური. იმ ხანებში იქ იღებდნენ ფილმს „ამოკი", სტეფან ცვაიგის იმავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით. მე აქ პირველად ვნახე საქვეყნოდ ცნობილი რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი. აქვე იყო ნატო ვაჩნაძეც.

დღეს ისევ აქა ვარ, და სასიამო გულისტკივილით ვიგონებ წარსულს. შორიდანვე დავინახე უხეში, უზარმაზარი ყაზარმის ტიპის რკინა-ბეტონის შენობა, სადაც ბევრი უძილო ღამე გამიტარებია სიჭაბუკისას. შენობა ისევ ისეთი ცივი, უღიმღამო და მრისხანეა, როგორც ამ ორმოცი წლის წინათ. აი, შუქურაც! ოდნავადაც არ გამოცვლილა ამ ხნის განმავლობაში: არც დროს, არც ომსა და ქარიშხალს არ მოუხდენია მასზე გავლენა. ისევე, როგორც ათეული წლების მანძილზე, ყოველღამ უნათებს გზას ოკეანის ლაინერებს და მეთევზეთა ტრაულერებს, სანაპირო დაცვის კატარღებს და უბრალო, ძრავიან ნავებს.

აი ტაძარიც: უზარმაზარი, ტლანქი, ზორზოხი, ოდესღაც მეფის რუსეთის ჯარისკაცებისათვის აშენებული ღვთის სასახლე! შორიდან ის მართლაც სალდათის ჩექმას აგონებს ადამიანს. იმ დროს კი რკინა-ბეტონის ერთადერთი ტაძარი იყო მთელს ევროპაში, რომელიც გერმანელმა ინჟინრებმა ააშენეს პირველი მსოფლიო ომის დაწყების წინ და ომის გამო ვეღარ მოასწრეს დამთავრება. პროექტის ავტორების განზრახვით, იგი კონსტანტინოპოლის აია-სოფიას ასლი უნდა ყოფილიყო. გამოვიდა კი — პაროდია, ნამდვილი პაროდია! ქრისტიანული მართლმადიდებელი ეკლესიის მთავარმა

პროტესტი განაცხადა: როგორ, ღვთის ტაძარი რკინა-ბეტონისაგან?! ეს შეუძლებელიაო. ჩვენს დროში ბევრს ეცადნენ, მაგრამ ვერა და ვერ დაანგრიეს ეს შენობა. მაშინ ერთმა ჭკუაგამჭრიახმა მოქალაქემ ქალაქის ხელისუფლებას ურჩია, ტაძარი თეატრისა და მუზეუმისათვის გამოეყენებინათ. მართლაც დაუჯერეს უბრალო მოქალაქის კარგ რჩევას.

სასტუმრო „ფაზისში“ დავბინავდი. თოვლივით თეთრი შენობა კითხვის ნიშანივით დგას ამწეებსა, უზარმაზარ საწყობებსა და ლიანდაგებს შორის. ოთახები სუფთა და კეთილმოწყობილია...

... საღამო ჟამს გამომეღვიძა. გარეთ ბნელოდა, წვიმა ცრიდა. მოსწრებულად თქვა ერთმა ჟურნალისტმა: აქაური ღამეები სიბნელის, ზვირთთა ზათქის და შხაპუნა წვიმების ღამეებიაო. მომენატრა კოლხური, განსაკუთრებით ფოთის ღამეები. ისინი ჩემი სიყმაწვილის მუდმივი თანამგზავრებია!... ვიღაც გაბმით, მონოტონურად მღეროდა და უნებლიეთ ერთი ჩემი მეგობრის, ესტონელი ახალგაზრდა მწერლის იულო ტუულიკის ნაამბობი მომაგონდა:

— ზღვას რომ ვუცქერი, მის აბობოქრებულ ტალღებს რომ ვჭვრეტ, ჩემი ცხოვრების ერთი პატარა ეპიზოდი მაგონდება, — მითხრა იულომ ერთ საღამოს, სოხუმის სანაპიროზე რომ დავსეირნობდით. ჩემი მეგობარი რბილი, ესტონური აქცენტით ჰყვებოდა: — მას შემდეგ სამი წელი იქნება. თევზს ვიჭერდით ატლანტის ოკეანის ჩრდილოეთით. იქ, სადაც გრენლანდიის აისბერგებია. ლამაზია ეს ადგილები. ტრაულერზე მატროსად ვმსახურობდი და სხვა მეზღვაურებთან ერთად თევზს ვამუშავებდი. ჩემი ცვლა დილის რვა საათზე იწყებოდა და ღამის სამ საათზე თავდებოდა. ცვლის შემდეგ ჩვენ ისე ვიღლებოდით, როგორც უფალი ღმერთი ქვეყნის შექმნის მეშვიდე დღეს, და თავი საწოლამდე ძლივს მიგვქონდა. მაგრამ ისევ ვიღვიძებდით.

და იცით რატომ? დერეფანში ჩვენს კაიუტასთან იატაკს წმენდდა ხოლმე ერთი ახირებული, ზორზოხა მეზღვაური. ხან თავის თავს ელაპარაკებოდა, ხან კი მღეროდა, თუმცა მშვენივრად იცოდა, რომ ეს-ესაა მუშაობა დავამთავრეთ და ძილი ყველაფერს გვერჩივნა. ბოხი მჭექარე ხმა ჰქონდა, მაგრამ სმენისა კი რა მოგახსენოთ. საცოდავს, როგორც ჩანს, დათვმა დააჭირა ყურზე თათი. მოგვიანებით თვითონ გვიამბო, თურმე ჯერ კიდევ სოფლის სკოლაში სიმღერის მასწავლებელი გალობის გაკვეთილზე განგებ

გზავნიდა შეშის დასაჭრელად, რომ მოწაფეებისთვის ხელი არ შეეშალა. ერთხელ ვეღარ მოვითმინე, კაიუტიდან გამოვვარდი, გააფთრებული ვეცი მეზღვაურს და მრისხანედ შევუძახე: ახლავე გაჩუმდი-მეთქი. ის შეკრთა, ბავშვივით გაწითლდა და ძალიან ხმადაბლა მიპასუხა: დამავიწყდა, პირი ღია დამრჩაო. ცოტა ხნის შემდეგ კი დაუმატა: ვერ წარმომიდგენია, როგორ შეიძლება ეძინოს ადამიანს, როცა მზე ამოდის. ალბათ არ იცით, რა სანახავია ამ დროს ოკეანეო...

მე არ მინახავს, როგორ ამოდის მზე ატლანტის ოკეანეზე, მაგრამ მჯერა იმ უბრალო ესტონელი მატროსისა — ალბათ შესანიშნავი, ულამაზესი სანახაობაა. რაც შეეხება ფოთის ღამეებს, — ეს ღამეები კი არა — მუსიკაა. მომხიბლავი, იდუმალებით აღსავსე მუსიკა, ზვირთცემის ზათქი და შხაპუნი, ავტომანქანების კანტიკუნტი სიგნალები... ყოველივე ეს შეუდარებელ განწყობილებას ქმნის ფიქრისთვის, ჩუმი სევდისა და ნაღველისათვის, და უნებურად იწყებ ღიღინს.

უტყვი სიმღერა ნელმა კაკუნმა შემაწყვეტინა. კარი გავაღე, ლიტვინენკო, ფეოდოროვი და კიდევ ორი მეზღვაური — ვალერი ლიტოვკა და ვიქტორ ევტეევი იდგნენ.

— ცოტა არ იყოს, „კაიფზე“ ვარ, — ენის ბორძიკით თქვა ალიკომ (ალბათ უნდოდა ეთქვა, ქეიფის გუნებაზე ვარო), — აი სწორედ ამან გამაბედვინა თქვენთან მოსვლა... პატივი დაგვდეთ და ვახშამზე გვეწვიეთ რესტორანში. ჩვენ ხომ პირველად ვხედავთ ასე ახლოს ცოცხალ მწერალს.

— გთხოვთ! — ერთხმად გაიმეორეს დანარჩენმა მეზღვაურებმაც.

ერთსართულიანი რესტორანი იქვე, სასტუმროს გვერდითაა. დარბაზი სავსეა ხალხით, თითქმის მხოლოდ მამაკაცებია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ორ-სამ ოფიციანტ ქალს. ყოველ მაგიდაზე კონიაკი, არაყი და ლუდი დგას. უკრავს საესტრადო კვარტეტი. მუსიკოსებში უმალ ვიცანი მოსკოველი მეზობელი ბიჭები კრასნაია პრესნიადან.

მოგვიტანეს ვახშამი: მწვანილი, ჭყინტი სულგუნი, მეგრული ხარჩო...

— უჰ, რა პიმპილიანია! — დაიყვირა ალიკომ და სახე დაემანჭა.

მეორე ჭიქის შემდეგ ენად გავიკრიფეთ, მეტი თავისუფლება და

სიახლოვე ვიგრძენით. მეზღვაურები საქმის შესანიშნავი ცოდნით მირჩევდნენ, საიდან და როგორ დამეწყო მუშაობა, სად იყო აუცილებელი ჩემი წასვლა, რა უნდა მენახა, ვის უნდა შევხვედროდი... მეზღვაურებმა ყველაფერი იცოდნენ, ყველას იცნობდნენ აქ. ეს გასაგებიც იყო: ტრაულერები, კატერები, ნავები ხშირად ჩერდებიან ფოთის ნავსადგურში, აბარებენ თევზს, ამიტომ მეზღვაურები საკმაოდ კარგად იცნობენ ქალაქსა და მის მოსახლეობას.

ცოტა რომ შევნაყრდით, ბიჭებს ვკითხე, რატომ აირჩიეს მეზღვაურის და ისიც მეთევზის მძიმე პროფესია, მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყოველ მათგანს უმაღლესი ცოდნა ჰქონდა მიღებული.

— ჩვენი სამუშაო, — ყველას მაგივრად მიპასუხა ალიკომ, — მეოცნებისთვისაა გამოგონილი, რომანტიკოსებისათვის. სწორედ ჩვენისთანა ახალგაზრდები მიდიან ზღვაში, ტაიგაში, ხდებიან პილოტები და მეზღვაურები; რასაკვირველია... — და უცებ მან სიმღერა დაიწყო:

Люди посланы за делами,
Люди едут за деньгами,
Убегают от обиды, от тоски,
А я еду, а я еду за туманом,
За мечтами и за запахом тайги...

— მოდი, დავლიოთ ადამიანის კარგი, გაბედული ოცნების სადღეგრძელო! ოცნებისა და „ტაიგის სურნელების“ სადღეგრძელო ყოველი ადამიანის ცხოვრებაში!...

რესტორნიდან საკმაოდ გვიან გამოვედით, გამომშვიდობებისას მეზღვაურებმა თავიანთ ტრაულერზე მიმიპატიჟეს, დამპირდნენ, სამხედრო სასაფლაოზე წაგიყვანთო, სადაც დაკრძალულია ერთ-ერთი ჩემი მეგობარი — სამამულო ომში დაღუპული მეზღვაური.

მეორე დღეს კონსტანტინე პაუსტოვსკის „კოლხიდის“ გმირებს უნდა შევხვედროდი.

„კოლხიდის“ გმირების ნაკვალევზე

ანდრო გაბუნია

ბედმა განიღიმა. მის სიცოცხლეშივე მოვასწარი გამეცნო შესანიშნავი ადამიანი ანდრო გაბუნია. კოლხეთის დღევანდელი დღე განუყრელადაა დაკავშირებული ამ ადამიანის საქმიანობასთან, მის გმირულ შრომასთან, მის სახელთან. სწორედ ანდრო გაბუნიაა პროტოტიპი კონსტანტინე პაუსტოვსკის წიგნის „კოლხიდის“ მთავარი გმირის — შალვა გაბუნიასი. ჯერ კიდევ მოსკოვიდან დავურეკე და მოვილაპარაკეთ, რომ ფოთში შევხვდებოდით ერთმანეთს. ანდრო იმჟამად საქართველოს მელიორაციისა და წყლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე იყო. თბილისიდან ფოთში უნდა ჩამოსულიყო. კარგად მახსოვს ჩვენი საუბარი ტელეფონით:

— მიხარია, რომ ჩვენს მშენებლობაზე ჩამოდიხართ, — მითხრა ანდრომ. — აქ მრავალ საინტერესო რამეს ნახავთ და გაიგებთ. ვეცდები, აუცილებლად ჩამოვიდე ამ დროისათვის ფოთში და თვითონვე აგიხსნათ, გიამბოთ, გიჩვენოთ, რა გაკეთდა ოცდაათი წლის მანძილზე...

ანდრო გაბუნია ფოთის ხშირი სტუმარი იყო. მისი სამინისტროს მრავალი ობიექტი სწორედ კოლხეთის დაბლობებსა და ჭაობიან ადგილებში იმყოფებოდა. მან კი, როგორც საყოველთაოდ ცნობილია, თავისი შრომითი საქმიანობა აქ, კოლხეთში დაიწყო ათას ცხრაას ოცდათორმეტ წელს.

დიდი ინტერესით ველოდი ანდროსთან შეხვედრას. როგორი იქნება კ. პაუსტოვსკის ეს „აწოწილი ჭაბუკი?“. დიდხანს არ მომიხდა ლოდინი. ანდრო სწორედ დანიშნულ დროზე მოვიდა სასტუმროში. გამიღიმა და ხელი გამომიწოდა. მაშინვე გამახსენდა კონსტანტინე პაუსტოვსკის მოთხრობის ერთი ადგილი: „გაბუნია ხშირად წითლდებოდა, იგი იყო მორცხვი, მაღალი... უყვარდა ქარი. ასე ეგონა, რომ ქარს მიჰქონდა მისი ტანიდან ციებ-ცხელებისაგან გამოწვეული სისუსტე. მშენებლობის უფროსს გაბუნია მიაჩნდა ნიჭიერ, მაგრამ ზომაზე მეტად მეოცნებე ინჟინრად, იგი მას „რომანტიკოს — ინჟინერს“ უწოდებდა და გული მოსდიოდა, როცა გაბუნიას ოთახში ხშირად პოულობდა ბაგრიცკის ლექსებსა და ალფრედ დე მიუსეს „საუკუნის შვილის აღსარებას“.

სასტუმროდან გამოვედით. მზიანი დილა იყო და გადავწყვიტეთ

ფეხით გაგვევლო ქალაქის ქუჩებში. ასეთ პირობებში ალბათ ის უკეთ მომიყვებოდა მშენებლობის ამბავს. მაღლა აიხედა, ცას დააკვირდა.

— იწვიმებს? — ვკითხე ანდროს.

შემომხედა და ჩვენ ერთდროულად მოგვაგონდა კონსტანტინე პაუსტოვსკის იმავე მოთხრობიდან ერთი ადგილი: „ქარმა დუქნის ფანჯარას ერთი მუჭა მტვერი და ვარდის გამხმარი ფოთლები მიაყარა. პალმებმა ნერვიულად აათამაშეს მწვანე ფოთლები, აღელდნენ. მათი ხმაური კბილების რაკარუკს ჰგავდა. საკვამლეებიდან მაღლა კი არ ადიოდა კვამლი, ჰორიზონტალურად ედებოდა ფოთის ქუჩებს და თან მანდარინების ყვავილების დამათრობელი სურნელება მიჰქონდა. ქალაქის მოედანზე ბაყაყებმა ყიყინი შეწყვიტეს.

— იწვიმებს, — თქვა ახალგაზრდა ინჟინერმა გაბუნიამ“...

ორივეს გაგვეცინა.

— ნუ გეშინიათ, წვიმა არ წამოვა, — თქვა ანდრომ, კიდევ ერთხელ გაიღიმა, უკვე ნაღვლიანად — ალბათ ასე იღიმებოდა იგი იმ შორეულ წლებში, — ამოიხვნეშა და გულდაწყვეტით თქვა: — ბეჩოს დუქანი უკვე აღარ არსებობს, ვერ დავიცავით. მივლინებით ვიყავი მოსკოვში, სხვებს არ ეცალათ... ამასობაში ფრესკები — დიახ, ფრესკები, ნუ გიკვირთ, სხვანაირად ვერ ვუწოდებ იმ შესანიშნავ ნახატებს — შეღებეს, მოაპირკეთეს. ახლა კი იქ ჯაზი უკრავს, ახალგაზრდები ცეკვავენ, წარმოგიდგენიათ, რა კარგი იქნებოდა, რომ ხელი არ ეხლოთ ბეჩოს ნახატებისათვის? საცოდავი ბეჩო ომის დროს სადღაც გაქრა, ალბათ სადმე სული ამოხდა გაჭირვებულს, ვინ იცის იქნებ ლუკმა-პურიც ენატრებოდა!.. მაშინ ადამიანები ჩუმად კვდებოდნენ, სანთელივით უხმოდ ქრებოდნენ... პაუსტოვსკიმ ზორბად დაწერა! — ანდრომ ჯიბიდან პატარა წიგნად გამოცემული „კოლხიდა“ ამოიღო. — ეს წიგნი მუდამ თან დამაქვს, — ისე განაგრძო გაბუნიამ, თითქოს თავის თავს ელაპარაკებაო. — ჩემი ბიბლიაა, სამაგიდო წიგნი... იმიტომ კი არა, რომ ამ წიგნში ჩემზე ბევრი კეთილი სიტყვაა ნათქვამი, არა! იმიტომ რომ ჭკვიანური, პოეტური წიგნია... და კიდევ, უნდა გამოგიტყდეთ, მასში ჩემი ახალგაზრდობაა, ჩემი ჭაბუკური ოცნებები...

ხიდზე ვიდექით. დაბლა, ჩვენს ქვეშ, მღვრიე, ატალახებული, ღრმა რიონი მიედინებოდა. ხიდი ქალაქის ცენტრს ნავსადგურთან აერთებდა. მოშორებით კი წყნარი ზღვის სარკესავით გლუვი ზე-

დაპირი მოჩანდა. ზღვა ზემოდან გადმოჰყურებდა ქალაქს და თითქოს მზად იყო, გადაეყლაპა იგი.

— მაშასადამე, თქვენ გაინტერესებთ კოლხიდა? როგორი იყო ის ამ ოცდაათი წლის წინათ, რა გავაკეთეთ ამ ხნის განმავლობაში და რას ვაპირებთ მომავალში... ასე არ არის?

— დიახ, სრული ჭეშმარიტებაა!

— აი, რიონი, არ მოგიყვებით ამ მდინარის ისტორიას, თქვენ ჩემზე უკეთ იცით; მაგრამ თუ რაოდენი უბედურება მოჰქონდა ამ მდინარეს ჩვენი ხალხისათვის ასეულობით წლის განმავლობაში, ამაზე ალბათ თქვენ ბევრი რამე არ გეცოდინებათ... მძიმე იყო ცხოვრება ამ მდინარის ნაპირებზე. წყალდიდობა არბევდა სოფლებს. რიონს მიჰქონდა ფაცხები და კარვები, ახრჩობდა პირუტყვს, ადამიანს, ნადირსაც კი, ანადგურებდა ყანებს. ცხოვრება კი არა, ჯოჯოხეთი ტრიალებდა ყორათსა და ყულევში. მთელი წლის განმავლობაში — ან წვიმა და ნიაღვარი, ან პაპანაქება სიცხე იყო., იშვიათად ქარი ამოვარდებოდა და მაშინ გეგონებოდათ, საპარიდან ხვატი და სამუმი აიყარნენ და კოლხიდას შემოესიენო.

— მგონი, თქვენ სამეცნიერო შრომაც გაქვთ დაწერილი კოლხიდაზე, არა? — ვკითხე ანდროს.

— დიახ, დავწერე და არა ერთი. შევისწავლე თანამედროვე მეცნიერებისა და ძველი ბერძნების შრომები. ბერძენ ისტორიკოსს არიანეს ერთ ადგილას ასე უწერია: „ფაზისის მარცხენა ნაპირზე მე აღვმართე ძეგლი ულამაზესი ქალის ფაზიანელისა“.

ანდრო მოულოდნელად გაჩუმდა. გამომცდელად შემომხედა და ღიმილით მითხრა:

— ალბათ შეამჩნიეთ, რომ პაუსტოვსკის სიტყვებით მოგითხრობთ!

— როგორც ვხედავ, თქვენ ზეპირად გცოდნიათ მოთხრობა!

— ოცდაათ წელზე მეტია ვკითხულობ... ზოგჯერ, როცა ვინმეს კოლხიდაზე დავუწყებ ლაპარაკს, უცბად საკუთარ თავს ვიჭერ იმაში, რომ წიგნის სიტყვებით ვლაპარაკობ... ვერა და ვერ გადავეჩვიე.

— მე მგონია, უკეთეს მადლობას მკითხველისაგან არც ერთი მწერალი არ ინატრებდა.

ანდრომ თავისი კეთილი, ჭკვიანური თვალებით შემომხედა. მართალი ბრძანდებით... შეიძლება მეც ვოცნებობდი, მეპოვა ის

მარმარილოს ქანდაკება. ყოველი ჩვენთაგანის ცხოვრებაში არსებობს მშვენიერი ფაზიანელი ქალი, ოცნება, რომელსაც ველოდებით, ვუფრთხილდებით და გამუდმებით ვეძებთ. უამისოდ არც ღირს ცხოვრება... თქვენთვის ძნელი წარმოსადგენია ყველაფერი, რაც ჩვენ განვიცადეთ, მაგრამ, ხომ ხედავთ, ჩვენი შრომა არ იყო ამაო. ჩვენ მაშინ ბრმებივით ვმუშაობდით და მხოლოდ რწმენით, ოცნებით ვსულდგმულობდით.

სიჩუმე ჩამოვარდა. ანდრო დაფიქრდა. ალბათ იგონებდა, როგორ ჩამოვიდა აქ და კოლექტორული არხების მშენებლობის უფროსად დაიწყო მუშაობა. როგორ აგებდა ჯებირებს მდინარეების ნაპირებზე, აშრობდა ჭაობებს, თხრიდა, სპობდა ჯაგნარსა და ბარდნარს. რამდენჯერ აუტანია ციებას.

— თბილი, ნოტიო ჰავა აუცილებლია ჩაისთვის, ციტრუსების, ტუნგოს, დაფნის, ბამბუკის, ევკალიპტის, ტექნიკური და ეთეროვანი კულტურებისათვის. უხდება სიმინდს, ლობიოს, მუხუდოს და ბრინჯსაც... მაგრამ გამუდმებული წვიმები ნამდვილი უბედურებაა, — განაგრძო ანდრომ, — როგორ გგონიათ, რამდენი წყალი ჩამოდის აქ ციდან?.. ორასი ათას ხუთასი მილიმეტრი ერთი წლის განმავლობაში! ორასი მილიმეტრი დღე-ღამის განმავლობაში! კოლხიდამ ამ მხრივ, სამწუხაროდ, მსოფლიო რეკორდი დაამყარა. კოლხიდის მდინარეების ხშირი წყალდიდობა, წყლით წალეკილი შუამდინარეები, წყალგამტარი ნიადაგი — ყველაფერი ეს იწვევდა ერთ მთლიან ჭაობიანობას, რასაც თან სდევდა საშინელი ჭირი — ტროპიკული ციებ-ცხელება. ამ მომაკვდინებელი სენისაგან ადამიანის ხსნა და კოლხიდის ბუნების ცვლა დაიწყო ოცდაათიან წლებში მელიორაციული სამუშაოების გაშლასთან ერთად. იმ დღიდან მოყოლებული ჩვენ ბევრი რამის გაკეთება შევძელით. როგორც ხედავთ, იქ, სადაც უწინ გაუვალი ჭაობები და ლელიანი იყო, ახლა საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობებია გაშენებული, ათობით და ასობით ახალი სოფელი!.. იზრდებიან გიგანტური ევკალიპტები, მალარიის ხსენებაც კი აღარ არის, მხოლოდ მოხუცები უამბობენ ახალგაზრდებს ციებაზე, როგორც ზღაპრულ ურჩხულზე.

ამ დროს მსუბუქი მანქანა დაგვეწია.

— ახლა კი ჩავსხდეთ მანქანაში, მინდა ზოგი რამ გაჩვენოთ...

მანქანაში ჩავსხედით და ახალი გზატკეცილით გავემგზავრეთ.

— ეს გზატკეცილი სამას ორმოც კილომეტრზეა გადაჭიმული.

შვიდი ფენა ხის მორები ჩავალაგეთ ჭანჭრობში ამ შოსეს გასაყვანად. აქ ლაქაშები იყო... იქით გაუვალი ტყე, ნამდვილი ჯუნგლი, აი, იქ კი, მოშორებით, ანოფელესი მეფობდა... ახლა, როგორც ხედავთ, აქ აყვავებული პლანტაციებია, ბაღები, ლამაზი დაბები... ორი-სამი თვის შემდეგ ახალი საბჭოთა მეურნეობები გვექნება... კოლხიდა ძვირფასი სუბტროპიკული კულტურების ერთ-ერთ უდიდეს ცენტრად იქცა. მე დავასახელებ რამდენიმე ციფრს და თქვენთვის ყველაფერი გასაგები იქნება: კოლხიდა მოგვცემს ყოველ წელიწადს ას სამოცდაათი ათას ტონა ჩაის ფოთოლს, ორმოცი ათას ტონა დაფნის ფოთოლს, ეთეროვანი კულტურების ნედლეულს, აბრეშუმის პარკს, ყურძენს, ხილს...

მანქანა აუჩქარებლად მიჰყვებოდა შარაგზას, ირგვლივ მრავალი კილომეტრის მანძილზე გადაშლილიყო კოლხეთის ნაყოფიერი ველები, სავსე სხვადასხვა ფერისა და ჯურის მცენარეულობით, აქ ერთმანეთში არეულიყო ნარინჯის ოქრო, ფორთოხლებისა და ლიმონის ქარვა, ჩაის ფოთლის ფირუზი; აქეთ ყურძნით დახუნძლული ვაზი, იქით ფეიხოას ბუჩქები, ადამიანის სიმაღლე სიმინდი, ლამაზი ორსართულიანი ოდები და ფართო, მწვანედ მოხასხასე ეზოები. თითქმის ყველა ეზოში უზარმაზარი კაკლის ხე, ინგლისურად გაკრეჭილი მწვანე ტრიფოლიატის ღობეები, მხიარული გოგო-ბიჭები გიტარით (კვირა დღეა), მაღალი, ტანადი, ჯანმრთელი, ახალგაზრდობა. ფრენბურთის, კალათბურთის, ფეხბურთის თამაშით გართული ჭაბუკები, ნორჩი მხედრებიც კი გვხვდებოდნენ. ზოგიერთ ახალგაზრდას რიგისა და იაპონიის ტრანზისტორები ეჭირა. ესენი მწყემსები იყვნენ, საქონელს მიერეკებოდნენ საძოვრებზე...

სადღაა ლაქაშსა და ჭაობში ჩაფლული ძველი კოლხეთი?.. მის ადგილზე ახალი მეურნეობები გაჩნდა: ფოთის, პატარა ფოთის, ჭალადიდის, ახალსოფლის, ქვალონის, სუჯუნის, ზენათის, ანაკლიის, მზიურის, „კოლხეთის ცისკრის“... ამ მეურნეობების შემოსავალი ყოველწლიურად იზრდება სამოცი-სამოცდაათი პროცენტით.

ვიყავით ქვალონის საბჭოთა მეურნეობაში. ეს ადგილი წინათ ჭაობითა და ტყით იყო დაფარული. ახლა კი ირგვლივ ხეხილის ბაღები, ტუნგოს, ჩაის, თუთის, დაფნის პლანტაციებია გადაშლილი. ჩაის პლანტაციებს აქ 768 ჰექტარი მიწა უჭირავს, შორს ისევ მოჩანს ამოუშრობი ჭაობი და ტყე. მშენებლები განაგრძობენ შეუნელებელ შეტევას. ახლა კოლხები სხვა ტექნიკით ებრძვიან ჭაობსა

და ლაქაშებს, ეკალსა და ბარდს, გაუკვალავსა და გაუვალს. გუგუნებენ ბულდოზერები, ექსკავატორები, მიწის მთხრელი მანქანები, სკრეპერები.

უკან ვბრუნდებოდით. ორივენი ვდუმდით. შევყურებდი ჩემს თანამგზავრს და კვლავ მაგონდებოდა ერთი ეპიზოდი მოთხრობიდან.

პაუსტოვსკი წერს: „გამოუვალი მდგომარეობა იქმნება. თუ საჩქაროდ არ შეაკეთებენ ერთ-ერთ ექსკავატორს, შეიძლება დაიღუპოს რამდენიმე თვის შრომა, მაგრამ ამისათვის საჭიროა ფოლადი, ან ბრინჯაო, რაც მშენებლებს არ მოეპოვებათ. გაბუნია საშინელ მდგომარეობაშია, არ იცის რა ქნას, რა გზა გამონახოს საფრთხის თავიდან ასაცილებლად...

— ბრინჯაო! — წამოიძახა მან დაბალი ხმით და ისე ხრინწიანად, რომ ნევსკაიას მხოლოდ ხიფხიფილა მოესმა. — აი, ბრინჯაო ვიპოვე! ღმერთო ჩემო, რა სულელი ვარ!

მან აიღო მაგიდიდან ლენინის ბიუსტი და გაიცინა... ნევსკაიამ შიშით შეანათა თვალი. მას ეგონა, რომ გაბუნია ჭკუაზე შეიშალა.

გარეთ კოკისპირულად წვიმდა. მიწაზე მუხლებამდე იდგა წყალი.

— უნდა გადავადნოთ, ჩამოვასხათ მასრაში და გამოვახარატოთ, — ამას სამ საათზე მეტი მოუნდება. მაგრამ სხვა გამოსავალი არ არის, დინჯად წარმოთქვა გაბუნიამ, თან ბიუსტს არ აშორებდა თვალს, ჩემს ადგილას ისიც ასე მოიქცეოდა, ასევე გააკეთებდა, მე და ჩემმა ღმერთმა!

— ვინ ის? — ჰკითხა ნევსკაიამ.

— ლენინი!...“

ველარ მოვითმინე და ვკითხე ანდროს:

— მაშ ლენინის ბიუსტის ეპიზოდი მართალი ამბავია?...

ყურადღებით შემომხედა.

— დიდი ხანია გაწუხებთ ეს კითხვა?

— უნდა გამოგიტყდეთ — დიდი ხანია!

— არ უნდა დაეწრა ეს პაუსტოვსკის. ადამიანის ცხოვრებაში არის ისეთი წუთები, როცა აუცილებლობა გვიკარნახებს თავის პირობებს. ასეთი წუთები ყოველი ადამიანისათვის წმინდათაწმინდაა, ღვთაებრივი საიდუმლოა... არავინ, არც ერთმა სულიერმა არ უნდა იცოდეს ამის შესახებ, იმიტომ კი არა, რომ სამარცხვინოა

ამაზე ლაპარაკი, არა, ეს არის მკრეხელობა, ნამდვილი მკრეხელობა! ერთადერთი ადამიანი, ვისაც ამ ამბავს გავუმხელდი, თვით ვლადიმერ ილიას ძე ლენინია, ის რომ ცოცხალი ყოფილიყო...

შეღამებისას დავბრუნდით ფოთში. როგორც ყოველთვის, ანდრო გაბუნია მართალი აღმოჩნდა: არ წვიმდა. გამომშვიდობებისას მითხრა:

— ხვალ რაც შეიძლება ადრე მოდით ტრესტში, იქ გაგაცნობთ „კოლხიდმშენის" პიონერებს, პაუსტოვსკის წიგნის გმირებს. ახლა კი ძილი ნებისა.

ნანქანა გაისტუმრა და ნელი ნაბიჯით გაუყვა გზას შინისაკენ. თვალი გავაყოლე, დიდხანს ვუყურებდი მიმავალს. რას ვიფიქრებდი მაშინ, რომ უკანასკნელად ვხედავდი ანდრო გაბუნიას...

ტრესტს „კოლხიდმშენი" და მისი ადამიანები

ადრე დილით „კოლხიდმშენიდან" მანქანა გამომიგზავნეს. შოფერმა გადმომცა, ანდრო გაბუნია სასწრაფოდ გამოიძახეს სამინისტროში და თბილისში გაფრინდაო. ანდრო ბოდიშს მიხდიდა და მთხოვდა, ტრესტში მივსულიყავი, იქ უკვე ყველა გაეფრთხილებინა და მელოდნენ. გადავწყვიტე, მივყოლოდი გუშინდელ რჩევა-დარიგების კვალს, უპირველეს ყოვლისა, შეეხვედროდი მშენებლობის უკანასკნელ მოჰიკანებს — გალინა სერბინას, გიორგი ჯაფარიძეს და მიხეილ დიდენკოს. შემდეგ კი ახალ თაობას გავცნობოდი. ზოგ მათგანს ახლა ხელმძღვანელი თანამდებობა ეჭირა. ბონდო კვატაშიძე „კოლხიდმშენის" მმართველი იყო; რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი, გოლიათ ლაკერბაია ტრესტის მთავარი ინჟინერი გახლდათ, სოციალისტური შრომის გმირი ი. ბერიშვილი ხობის მექანიზაციის სამმართველოს უფროსი იყო, თედორე შამათავა ტეხურის საბჭოთა მეურნეობის დირექტორად დაენიშნათ. თუმცა ტრესტთან მას არავითარი კავშირი არა ჰქონდა, მაგრამ ტრესტმა დააშრო ჭაობები და ამის შემდეგ წარმოიშვა კოლხიდის სიამაყე — ტეხურის საბჭოთა მეურნეობა.

ტრესტის ორსართულიანი მოგრძო შენობა უფრო სკოლას წაგავდა. ტრესტმა ცოცხალი ექსპონატებით სავსე მუზეუმი მომაგონა. ამ შენობიდან გამოუსვლელად თქვენ შეგიძლიათ ყველაფერი

გაიგოთ კოლხიდაზე, ჭაობის ამოშრობის პირველი დღიდან დაწყებული დღემდე. შეგიძლიათ გაეცნოთ კოლხიდის მშენებლებსაც. თუმცა ისინი მეურნეობაში კი არ არიან, მშენებლობაზე მუშაობენ, მაგრამ მათი სურათებით, ხალხის ნაამბობით გაიგებთ მათი შრომითი გმირობის ამბავს. როცა ტრესტში მივედი, მორიგი თათბირი ის-ის იყო დამთავრდა. ტრესტის მმართველმა ბონდო კვატაშიძემ თავის კოლექტივს გააცნო ჩემი თავი, აუხსნა, რა მიზნით ჩამოვედი და ყოველ მათგანს სოხოვა, აღმოეჩინათ ჩემთვის საჭირო დახმარება.

გალინა სერბინა

ვის არ ახსოვს მოთხრობა „კოლხიდას“ შესანიშნავი გმირი ქალი, შეყვარებული საკუთარ ოცნებაზე, ნაზი, სათუთი, მაგრამ საქმეში შეუპოვარი, შრომით გაუმაძღარი, დიდი ნებისყოფისა და მტკიცე ხასიათის. მისი გვარი ნევსკაია გახლდათ. ახლა პირისპირ ვიდექი პაუსტოვსკის გმირი ქალის პროტოტიპ გალინა არკადის ასულ სერბინასთან. ყველანი, დაწყებული გაბუნიადან და დამთავრებული დიდენკოთი, სიამოვნებით მიყვებოდნენ გალინა სერბინას შრომითი მამაცობის ამბავს. მისი მეუღლე, გიორგი ჯაფარიძეც აქ მუშაობს კოლხიდის მშენებლობის დაწყების პირველი დღიდან.

წყლის მეურნეობის ფაკულტეტისა და ასპირანტურის დამთავრების შემდეგ გალინა სერბინა მონაწილეობას ღებულობდა კოლხიდის ჭაობების ამოშრობის პროექტის შედგენაში, კერძოდ, მას ეკუთვნის ჭალადიდის უბნის ათვისების მეთოდების დამუშავება. აგერ ოცდათხუთმეტი წელია, რაც სერბინა აქ მუშაობს. ახალგაზრდა, სუსტი აგებულების გოგონა, ჩამოსვლისთანავე პირველ კოლმატაციურ უბანში სამუშაოთა მწარმოებლად დანიშნეს. სერბინა ერთადერთი ქალი-მშენებელი იყო კოლხიდაში.

— რა დასამალია, — ამბობს გალინა სერბინა. — მიყვარს ჩემი ხელობა, მიყვარს კოლხიდა. აქ მეუღლესთან ერთად ბევრი დაბრკოლება გადამილახავს, მქონია სიხარულით სავსე დღეებიც. აბა, როგორ არ უნდა მიხაროდეს, როცა საკუთარი თვალით ვხედავ ხორცშესხმულ ჩემს პროექტებს? იმის შეგნება, რომ მე ერთ-ერთი პიონერი ვარ კოლხიდის ჭაობის ამოშრობისა, ძალას და ენერგიას მიორკეცებს. რაც შეეხება პაუსტოვსკის... მან ცოტა არ იყოს „გაგვა-

ლამაზა", ასე ვთქვათ, ზედმეტად იდეალურები გამოგვიყვანა... მე, მის წიგნში ბოტანიკოსი ვარ. მესმის, მწერალს აქვს ამის უფლება, ალბათ სხვაგვარად არ შეიძლება. თუმცა ბოტანიკა ნამდვილად მიყვარს, ეს მან იცოდა, მაგრამ ცხოვრებაში უფრო ძნელი პროფესია ავირჩიე. პაუსტოვსკის გმირი ქალი თავდავიწყებით შეყვარებულია კოლხიდაზე. ეს სწორია, მართლაც საოცრად მიტაცებდა ჩემი სამუშაო. ჯერ კიდევ მოსკოვში, როდესაც ჩემს მასწავლებელთან პროფესორ პოტაპოვთან ერთად ვადგენდი პროექტს, გადავწყვიტე, თვითონ ამომეშრო ჭაობები, პროფესორი კი, როგორც იტყვიან, ნავთს ასხამდა ჩემს განზრახვას, ამ ჩემს ცეცხლს, და მირჩევდა აუცილებლად ჩამოვსულიყავი კოლხიდაში, საკუთარი თვალით მენახა ყოველივე... თვითონაც ძალზე გატაცებული იყო ამ იდეით, ყოველთვის თვალებგაბრწყინებული, ბავშვივით აღტაცებული ლაპარაკობდა კოლხიდაზე. ამ დროს მოსკოვში ჩამოვიდა გრიგოლ გეგეჭკორი და საბოლოოდ დამარწმუნა ჩემი გადაწყვეტილების სისწორეში. ჩემი სურვილით ჩამოვედი ფოთში. ვმუშაობდით ერთსულოვნად, შეთანხმებულად, თავდავიწყებით. არც მალარია, არც ნიაღვრები არ გვაშინებდა... მერე, ყველა, როგორც ერთი, ფრონტზე წავიდა. გამარჯვების შემდეგ კი, ვინც ცოცხალი გადარჩა, მშენებლობაზე დაბრუნდა. მათ იცოდნენ, რომ აქ მძიმე სამუშაოები იყო, ჯოჯოხეთური პირობები... ჰო, მართლა, სიძნელეებზე მინდა მოგახსენოთ: ერთხელ ქვალონიდან ჭალადიდის უბანში მივდიოდი. იქ იყო № 12 კოლექტორი. მივიჩქაროდი. დამდებოდა, ირგვლივ შამბნარი, ტყე, ჭაობი... არსად ადამიანის ჭაჭანება. ამ დროს, ჩემდა სასიხარულოდ, შორს მოციმციმე სინათლე დავინახე. ერთი კი არა, რამდენიმე, სანათურებივით კრთოდნენ, თითქოს თავისკენ მიხმობდნენ. გამიხარდა. ნათურები კი თანდათან მიახლოვდებოდნენ. ნაბიჯს ავუჩქარე, ვიფიქრე, ექსკავატორის შუქია-მეთქი. თურმე ნუ იტყვით, საშინლად ვცდებოდი, მგლები ყოფილან, წარმოგიდგენიათ, მშიერი მგლები! კიდევ კარგი, რომ შემთხვევით ექსკავატორის მუშები გამოჩნდნენ და იმათ მიხსნეს განსაცდელისაგან.

ასეთი დრო იყო მაშინ, მგლები და ადამიანები ერთად ცხოვრობდნენ, ერთმანეთის მეზობლად. მაგრამ, მიუხედავად ამისა, არც ერთი ჩვენგანი არ გაქცეულა შრომის ფრონტიდან. უცხოეთის გემების მეზღვაურებიც კი რჩებოდნენ ჩვენთან სამუშაოდ... თქვენ

ალბათ გახსოვთ პაუსტოვსკის მოთხრობიდან სიომა!.. ის გერმანელი იყო, მწერალმა კი რატომღაც ინგლისელად გამოიყვანა. ბევრმა მთელი თავისი შრომითი სიცოცხლე აქ, კოლხიდაში გაატარა. მაგალითად, ტოპოგრაფები, ტრასის ტექნიკოსები რაუდენ ჟღენტი და კონსტანტინე თოფურია კოლხიდის პროფესორები არიან. მძიმე სამუშაო ხვდათ წილად ტოპოგრაფებს და მეექსკავატორეებს. აყროლებულ წყალს სვამდნენ, მხეცების გვერდით ცხოვრობდნენ, თვეობით მოკლებული იყვნენ ცხელ საჭმელს და ხმელი პურითა და ყველით იკვებებოდნენ, ხშირად მშიერ-მწყურვალიც მუშაობდნენ, უსახლკარონი, უბინაონი. მაგონდება მეექსკავატორე ზემლენუხინი. ღმერთმა უწყის, საიდან ჩამოვიდა, რომელი შორეული მხარიდან, და რა დახვდა... მაგრამ როდი შეუშინდა სიძნელეებს. მან ბევრი მეექსკავატორე მოამზადა. თვალწინ მიდგას მექანიზატორი და მელიორატორი ღოღობერიძე. ფრონტზე იყო, ომის დამთავრების შემდეგ ისევ ჩვენთან დაბრუნდა, ახლაც ჩვენთან მუშაობს და ვერავინ შებედავს უთხრას, დროა, პენსიაზე გახვიდეო...

კარი გაიღო და ოთახში ცქრიალა, ლამაზი გოგონა შემოვიდა. ტანკენარი, ლურჯთავლა, გრძელნაწნავებიანი, ტიპიური ქართველი გოგონა იყო. ქალიშვილმა რაღაც ნახაზები უჩვენა გალინა სერბინას. სერბინამ ბოდიში მომიხადა, ნახაზებს სინჯვა დაუწყო. როგორც შევამჩნიე, ალაგ-ალაგ მცირე რაღაცები შეასწორა და პატრონს დაუბრუნა. გოგონა გავიდა.

— ეს ანაა, ჩემი მოწაფე. მოწაფეები ბლომად მყავს. მათ სიამოვნებით ვუზიარებ ჩემი მრავალი წლის მუშაობის გამოცდილებას. ნიჭიერი გოგონებია. ჰო, მართლა, ერთი თქვენთვის მეტად საინტერესო ამბავი მომაგონდა ჩემი ცხოვრებიდან. ერთ ამხანაგზე მინდა გიამბოთ, რომელიც არასოდეს დამავიწყდება.

უფრო მოხერხებულად მოვთავსდი სავარძელში და მოსასმენად მოვემზადე.

— შავი მდინარე, — განაგრძო გალინამ, — არის ასეთი მდინარე ფოთში, კოლმატაჟურ უბანში მიედინებოდა. ჰოდა, ეს მდინარე პატარაა, მაგრამ დიდი ზარალი მოჰქონდა: შლამით ავსებდა პალიასტომს, ტბაზე კი მაშინ ჰიდროპლანები ეშვებოდნენ. სასწრაფოდ უნდა შეეწყვიტათ პალიასტომის შლამით ამოვსების პროცესი. მოიწვიეს მეცნიერები, სპეციალისტები... არაფერი არ გამოვიდა! ერთი ინჟინერი მუშაობდა ჩვენთან, ილია ლაღიძე. უნდა გამოგიტყ-

დეთ, ჩემს სიცოცხლეში არ შემხვედრია ასეთი ჰუმანური და ბარ-თალი კაცი. მახსოვს, როგორ სწუხდა ომის დროს, ჯარში რომ არ გაიწვიეს, ვერ ვაჯერებდით, რომ აქ უფრო საჭირო იყო, ვიდრე ბრძოლის ველზე. თუმცა აქაც ხომ ბრძოლის ველი იყო! ომის წლებში ილია ქალაქის საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს. ერთხელ ერთად ვბრუნდებოდით შინ. უცებ ილიამ დაინახა, ხანში შესული ქალი შეშას აპობდა. მაშინვე შევიდა ეზოში, ქალს ცული გამოართვა და თვითონ დაიწყო შეშის დაპობა... ასეთი იყო ის უბედური. ჯერ კიდევ ომამდე ამიხსნა, რა უნდა მექნა, რომ ტბა შლამით არ ამოვ-სებულიყო, რა მომეხერხებინა შავი ღელისათვის.

— მამაკაცები ვერაფერს გახდნენ... ახლა შენ უჩვენე, თუ რა შეუძლიათ ქალებს... შენ ასპირანტი ხარ, ახალგაზრდა ქალი, ეცადე დაუმტკიცო ყველას, რა შეგიძლია.

აღარ ვიცოდი, რა მექნა, როგორ ამეღობა გზა შავი მდინარი-სათვის. რომ ადიდდებოდა, გეგონებოდა, ქვეყანას წალეკავსო. ბე-ტონის კაშხალი თუ გადაუჭრიდა გზას. მაგრამ სად იყო ომის დროს ან ცემენტი, ან მანქანები, ან მუშახელი. ბევრი უძილო ღამე გავა-თენე იმაზე ფიქრში, თუ როგორ გადამერჩინა პალიასტომი შლა-მით ამოვსებისაგან და აი, მივაგენი სწორ გადაწყვეტილებას: ესტა-კადიდან ვაგონებით მიწას ვყრიდით შავ მდინარეში.

— აი, ხომ ხედავ, აკი გეუბნებოდი, ეცადე-მეთქი. ხომ გაგი-მართლა ცდამ! მითხრა ილიამ. იგი ჩემზე უფრო გახარებული იყო.

— გმადლობთ, ილია, მარტო მე ვერაფერს გავაწყობ, — მადლი-ერებით ვუთხარი და გავწითლდი.

— სხვას ნუ აწერ შენს გაკეთებულ საქმეს! — წყენით მითხრა ილიამ.

საკვირველი კაცი' იყო. უსამართლოდ არავის მოექცეოდა, ხოლო, ვისაც კარგად ეპყრობოდა, ღირსიც იყო. კარგად იცნობდა ადამიანს. მისი ძირითადი ადამიანური თვისება თავმდაბლობა იყო. ანდრო გაბუნიაც ასეთია... არა, ჩვენთან მართლაც შესანიშნავი ხალხი მუშაობდა, ისე უყვარდათ თავისი საქმე, ვინც ჩამოვიდოდა, უკან დაბრუნება აღარ უნდოდა.

ერთხელ ხობისწყალზე ხიდი უნდა აგვეშენებინა. და აი, ანდრო გაბუნიამ გამოიგონა თავისებური მილი, რომ წყალი არ მიეშვა ბო-ძებთან, თვითონ ჩადიოდა მდინარეში და თხრიდა მიწას. შავ სამუ-

შაოს არასოდეს გაურბოდა, თუმცა ანდრო ხიდის მშენებელი არ იყო... ერთი სიტყვით ყველას ნახავთ.

— მანამ კი მინდა თქვენს მეუღლეს შევხვდე, — ვუთხარი გალინას.

— ახლავე დავუძახებ, თუ არ ვცდები, სიურპრიზს გიმზადებთ. — სერბინა ოთახიდან გავიდა, და ზუსტად სამი წუთის შემდეგ დაბრუნდა გიორგი ჯაფარიძესთან ერთად. გალინას მეუღლე თავმდაბალი ჩანდა, მორცხვი, კეთილად იღიმებოდა.

— ხვალ გეცლებათ? — მკითხა ჯაფარიძემ.

— რასაკვირველია, მეცლება!

— დილის შვიდ საათზე გამოგივლით.

„სად უნდა წამიყვანოს?" — დავინტერესდი. ჯაფარიძემ შემატყო და ღიმილით მითხრა:

— კმაყოფილი დარჩებით... გაგიკვირდებათ კიდეც... ახლა კი წავიდეთ, მიხეილ სერგეევიჩი გელოდებათ.

გამოვემშვიდობე გალინა სერბინას და ჯაფარიძესთან ერთად დაბლა ჩავედი. ქუჩაში, ნანქანასთან, გველოდა ბრეზენტის ტანსაცმელსა და რეზინის ჩექმებში გამოწყობილი, მაღალი, ბრგე, მხარბეჭიანი ათლეტი. ეს იყო სერგეი მიხეილის ძე დიდენკო. მისმა მეგობრულმა ხელის ჩამორთმევამ, კეთილმა თვალებმა და გულღიაობამ მაშინვე მიმიზიდა.

მ ი ხ ე ი ლ დ ი დ ე ნ კ ო

— დიდენკო, — თქვა მან და ხელი ჩამომართვა.

ცას ავხედე.

— არაფერია, — მითხრა დიდენკომ, — წვიმებს მალე შეეჩვევით. აბა, რა არის ფოთი წვიმის გარეშე? თქვენ შოფრის გვერდით დაბრძანდით, რომ უკეთ დაინახოთ მშენებლობა, მე კი თქვენი გიდი ვიქნები.

„ყველგანმავალი" ადგილიდან დაიძრა და სულ რაღაც ათითხუთმეტი წუთის შემდეგ უკვე გავედით ქალაქიდან. ახლა სულ სხვა პეიზაჟს ვხედავდი ირგვლივ, ვიდრე ამ ოცი-ოცდაათი წლის წინათ: სადღა იყო ჭაობი. ფართო მოასფალტებულ გზატკეცილს ალვის ხეების მწკრივი გასდევდა და შარაგზა უფრო ხეივანს ჰგავდა, ვიდრე გზატკეცილს. ალვის ხეების გარდა აქ იყო სხვადასხვა

ჯურის ხეხილი, ევკალიპტები, შორს მოჩანდა მუქი მწვანე ატლასი ჩაის პლანტაციებისა, ციტრუსოვანთა მომწვანო ზღვა, სანიმუშოდ მოვლილი არხები და წყლის შემკავებელი ჯებირები მდინარეების გასწვრივ. გიგანტური ექსკავატორები და ბულდოზერები ბეჰემოთებს მიაგავდნენ. შლიუზები და ხელოვნური წყალვარდნილები, აქაც ლამაზი ოდები, ეზოებში ნაირფერი ყვავილებით მოქარგული მწვანე ხალიჩები.

არხებზე მოჩანდა უშველებელი, მცურავი მიწისმთხრელები და ასეთივე მიწის მწოველები. როგორც დიდენკომ ამიხსნა, ამ მიწისმთხრელებით მდინარეს კეტავენ, წინანდებურად ქვებითა და ნიადაგით კი არ ავსებენ, სილით შლამავენ ხოლმე გადასაკეტ ადგილს.

— საიდან დავიწყოთ, რა უფრო გაინტერესებთ? — მკითხა დიდენკომ.

— კოლმატაჟიდან.

— პაუსტოვსკის წიგნი კარგად გახსოვთ?

— მგონი, კარგად...

— ჰოდა, იქ კარგად წერია, მოხუცი მეცნიერი, კოლხეთის ენთუზიასტი პახომოვი ამბობს: „კოლმატაჟი ნიშნავს ჭაობების ამოშრობას შლამიანი მდინარის წყლის ხელოვნური წყალდიდობით ამ ჭაობიან ადგილებზე...“ ამბობენ, მდინარე რიონს ორჯერ მეტი შლამი მოაქვს. ვიდრე ნილოსსო, ეს შლამი საკმაოზე მეტი აღმოჩნდა, რამაც ბევრად შეგვიმსუბუქა სიძნელეები. წყალი იფილტრება ჭაობზე. შლამი ფსკერზე ილექება, გაწმენდილი წყალი კი არხებით მდინარეს უერთდება. გადის დრო, ჭაობი თანდათან ამოივსება, შრება და ნოყიერ ნიადაგად იქცევა. მიმოიხედეთ ირგვლივ, ეს მიწები, პლანტაციები, სოფლები და ბაღები კოლმატაჟის წყალობით გახლავთ შექმნილი. მდინარე რიონმა შესაძლებლობა მოგვცა კოლმატაჟის გამოყენებით ტორფიანი ჭაობები ამოგვეშრო, რიონს ყოველ წელიწადს შეაქვს ზღვაში ცამეტნახევარი კუბური კილომეტრი წყალი, რომელიც შეიცავს დაახლოებით რვანახევარ მილიონ ტონა შლამს. ვისარგებლეთ ამ გარემოებით და მღვრიე, შლამიანი რიონის წყალი არხებით ამოსაშრობ ადგილებზე მივუშვით, რომ გაწმენდილი წყალი რაბის გავლით ტბისკენ გაგვეშვა, შლამი კი რჩება და ავსებს ჭაობნარს. ამგვარად, ჩვენ ხელოვნურად ვამაღლებთ ნიადაგის დონეს, რომ წყალდიდობებისაგან გადავარჩინოთ.

რატომ მაინცდამაინც ფოთის რაიონში დაიწყეთ პირველი სამუშაოები? — ვკითხე დიდენკოს.

— იმიტომ, რომ ფოთი და მისი არემარე ყველაზე მეტად ზიანდებოდა ხშირი წყალდიდობისაგან...

წუთით სიჩუმე ჩამოვარდა, რასაკვირველია, კაცი ძნელად დაიჯერებდა, რომ ამ ბაღების და პლანტაციების ადგილას სულ ოცდაათიოდე წლის წინათ ჭაობები იყო. მე კი ყმაწვილობისას მატარებლის ფანჯრიდან დამინახავს ის ჭაობები.

— კარგად მახსოვს პაუსტოვსკის ჩამოსვლა, — დაარღვია დუმილი დიდენკომ, — მასალას აგროვებდა წიგნებისათვის. ის მაშინ ჭალადიდში ცხოვრობდა. მე ქვალონში ვიყავი და ამის გამო არ შევხვედრივართ ერთმანეთს. მან იფიქრა, რომ მე მოხუცი მეცნიერი ვიყავი და თავის წიგნში პახომოვის გვარით გამომიყვანა. ბოლოს და ბოლოს ამას რა მნიშვნელობა აქვს. ეს მწერლის საქმეა...

დიდენკო ჩაფიქრდა და დაუმატა:

— ახლა სხვა დროა და ძლიერმა, ჭკვიანურმა ტექნიკამ სამუშაოც გაგვიადვილა... მარტო ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში, ოცდაოთხი ათასი ჰექტარი ახალი მიწა ამოვაშრეთ, მაშინ, როდესაც სამოცი ათასი ჰექტრის ამოშრობას დასჭირდა არც მეტი, არც ნაკლები — ოცდაათი წელი... აბა დაფიქრდით! ციფრები თავისთავად ლაპარაკობენ... ახლა ხალხი თქვით! მაგალითად ინჟინერი ბონდო კვატაშიძე...

— კოლხიდმშენის მმართველი?

— სწორედ მასზე მოგახსენებთ... ბონდომ ახლახან მოათავა ხიმინჯების ჩასარჭობი თვითმსვლელი აგრეგატის კონსტრუირება. ეს აგრეგატი სულ იოლად არჭობს ნიადაგში რვამეტრიან ხიმინჯს. შესანიშნავი მანქანაა ჯებირების ასაგებად და ნაპირების გასამაგრებლად... ბონდო ჯერ სულ ახალგაზრდაა, სწორედ იმ წელს დაიბადა, როდესაც აქ ჩამოვედი სამუშაოდ... ახლა ენგურის საბჭოთა მეურნეობა, რომელიც შეიქმნა ამომშრალ ჭაობზე, ყოველწლიურად სახელმწიფოს აძლევს ჰექტარიდან ხუთი ათას კილოგრამ ჩაის ფოთოლს... არაფერს ვამბობ მეურნეობის სხვა სახის პროდუქციაზე. ჩვენი ოცნება აღსრულდა — კოლხიდა მართლაც აყვავებულ ბაღნარად ვაქციეთ. აბა, შეხედთ ამ მშვენიერებას!

ევკალიპტების ხეივანში მივდიოდით. ამ ცათამბჯენებს თვალს ვერ აუწვდენდი. — ესენიც გვეხმარებიან ჭაობის ამოშრობაში.

დღე-ღამის განმავლობაში ფანტასტური ოდენობის წყალს იწოვენ ჭაობებიდან, — თქვა დიდენკომ.

ფოთში იმავე გზატკეცილით ვბრუნდებით. გზა პარკის ხეივანს ბაგონებდა. ირგვლივ თვალუწვდენელი ჩაის პლანტაციები იყო გადაშლილი. ჩაის მწვანე რიგები მარაოს ბოლოსავით ვიწროვდებოდნენ შორს, თითქოს ცის ლურჯ დასალიერს უჭირავსო ხელში.

საათის ისარი შვიდს უახლოვდებოდა, როდესაც ფოთში ჩავედით. სამუშაო დღე ის იყო დამთავრდა და მშენებლებიდან ზოგი სასადილოში მიდიოდა, ზოგი შინ, ზოგიც (უფრო ახალგაზრდები) კლუბში, ავტომობილების პარკში სკრეპერები, ბულდოზერები და სხვადასხვა ჯურის ამწეები იდგა. მანქანებთან ჯანსაღი, მზით გარუჯული ბიჭები ფუსფუსებდნენ, უფრო სპორტსმენებს ჰგავდნენ, ვიდრე მექანიზატორ მშენებლებს. ყოველი მათგანი მოწიწებით ესალმებოდა დიდენკოს.

— გაიცანით, — დიდენკომ ხანში შესული, ენერგიული კაცი გამაცნო, მიხეილ შუბლაძეა, კოლხიდმშენის სამმართველოს ხობის სამშენებლო უბნის უფროსი, ვეტერანი. შუბლაძეს ოცდაათიანი წლების შემდეგ ფეხი არ მოუცვლია აქედან. ახალგაზრდა სპეციალისტი მოვიდა რიონის წყალსასრუტის მშენებლობაზე და ნაპირების გასამაგრებელ სამუშაოებსაც ხელმძღვანელობდა. პირველი რიგის თითქმის ყველა უბანში უმუშავია.

— თვითონ მოხვედი მანქანის ამოსარჩევად, სხვას არ ენდობი? — ხუმრობით ჰკითხა მიხეილს დიდენკომ.

— მართალი ხარ. სჯობია, თვითონ ავირჩიო, შევადარო.

დიდენკომ შემომატარა პარკი. ბევრ საინტერესო ადამიანს შევხვდი იქ და არა მარტო მექანიზატორებს, მებეტონეებსაც: მელიორაციულ სამუშაოებში ახლა ფართოდ იყენებენ რკინა-ბეტონს.

— ოთარ თუნგია, გიორგი უჩანეიშვილი, ივანე დედიშვილი, გიორგი ხოჭოლავა, რევაზ გეგენავა, გიორგი ალანია, იური ლუტკოვი... ყველას ვერ ჩამოვთვლით. ესენი ჩვენი საუკეთესო სპეციალისტები არიან, დიუკერების შემწოვი ტუმბოს მშენებლობაზე მუშაობენ. გაჰყავთ გზები, თხრიან არხებს, უცვლიან მდინარეებს კალაპოტებს, ცვლიან ცხოვრებასაც. აბა ჩვენ, ოცდაათიანი წლების ხალხი, როგორ შევედრებით დღევანდელ გმირებს. მაგრამ ჩვენ მაინც დავრჩებით კოლხიდის პირველ მშენებლებად.

დიდენკოს სულ უფრო და უფრო იტაცებდა თავისივე ნაამბობი, როგორც მსმენელთა ენთუზიაზმი კარგ ორატორს.

— აქ საჭიროა საქმის ნამდვილი ვირტუოზები. აი, მაგალითად, უზის საჭეს ჯანსაღი, ნამდვილი ვაჟკაცი, უზის და თხრის მაგისტრალურ არხს. ოდნავი უზუსტობა და არხი მრუდე გამოვა. ეს კი დაუშვებელია! არხის ფსკერი და კედლები იდეალურად სწორი და ბრტყელი უნდა იყოს.

ᲖᲝᲚᲘᲐᲗ ᲚᲐᲙᲔᲠᲑᲐᲘ

„კოლხიდმშენის“ მთავარი ინჟინრის, გოლიათ ლაკერბაის კაბინეტში, უნდა გამოგიტყდეთ, დაუფარავი ცნობისმოყვარეობით შევედი: საინტერესოა, როგორ გამოიყურება ის კაცი, ვინც ასეთ სახელს ატარებს?.. კაბინეტში შემომეგება მართლაც გოლიათი, რომელმაც სენკევიჩის ისტორიული რომანების გმირები მომაგონა. არა მარტო ფიზიკური ძალა მეცა თვალში, მისი გონებამახვილობაც, საქმიანობაც. მკითხა, როგორ მოგეწონათ კოლხიდა, ვინ ნახეთ, ვინ გაიცანითო.

— თქვენ გაინტერესებთ ჩემი საქმიანობა უკანასკნელ ხანებში? ძირითადად ვმუშაობ არხების რეკონსტრუქციაზე, დიუკერებზე — მიწისქვეშა გვირაბებზე. უკანასკნელი წლის განმავლობაში ბევრი რამ გავაკეთეთ. დამთავრებულია დიუკერები მდინარე ცივზე, ტეხურზე და ნოღელაზე. დამთავრებულია რკინა-ბეტონის სამუშაოები. მდინარეები ჩვეული გზით მიედინებიან, გადებულია ხიდები, მდინარის კალაპოტს ქვემოთ, დიუკერებში კი მიდის ნაწვიმარი წყლები. მთავრდება მიმწოდებელი არხების მშენებლობა და გამმაგრებლების მოწესრიგება.

ნათესები და პლანტაციები რომ მოირწყას, დიუკერებზე წყლის მიმღებები ეწყობა, რომლებიც უშუალოდ მდინარიდან მიიღებენ წყალს. შემდეგ ეს წყალი სარწყავ ქსელში მიედინება და მექანიზმების დახმარებით გამოიყენება პლანტაციების მოსარწყავად.

ცხენისწყლის სარწყავი სისტემა თხუთმეტ ათას ჰექტარზე მეტ ფართობს რწყავს წულუკიძის რაიონში, სამი ათას სამას ჰექტარ ჩაის პლანტაციას — მახარაძისა და წალენჯიხის საბჭოთა მეურნეობებში.

საუბარი შეგვაწყვეტინეს. კარი გაიღო და ოთახში შემოვიდა ქერათმიანი წარმოსადეგი მამაკაცი.

— ხელი ხომ არ შეგიშალეთ? — მოკრძალებით მოგვმართა მან.

— შემოდი, შემოდი, — უთხრა ლაკერბაიმ და მომიბრუნდა

— გაიცანით, ხობის სამმართველოს მთავარი ინჟინერი ამხანაგი ალტაევი.

— ბოდიში, ეს ის... — მორიდებით დავიწყე მე.

— დიახ, დიახ, სწორედ ის არის, საქვეყნოდ ცნობილი ვატერპოლისტი რუსლან ალტაევი. როგორც ხედავთ, ფოთი არა მარტო ცნობილი ფეხბურთელების სამშობლოა, ვატერპოლისტებისაც.

შემოვიდა სათვალიანი გოგონა და პირდაპირ მე მომმართა:

— ბონდო ლავრენტიევიჩი გელით.

— ტრესტის მმართველი გთხოვთ, — ამიხსნა ლაკერბაიმ, — ჩვენი საუბარი დროებით გადავდოთ, — დაუმატა მან.

ბ ო ნ დ ო კ ვ ა ტ ა შ ი ძ ე

მმართველს ელეგანტური შავი კოსტიუმი ეცვა. თითქოს დიპლომატური შეხვედრა ჰქონდა, ისე მომელოდა. შევედი თუ არა კაბინეტში, წამოდგა, მომეგება, გაცნობისა და მოსალმების შემდეგ მაგიდიდან ჯოხი აიღო და „კოლხიდმშენის“ სამშენებლო ობიექტების ვეებერთელა რუკისკენ მიბრუნდა. მან უკვე იცოდა, რაც მაინტერესებდა.

ბ ო ნ დ ო კვატაშიძემ გამაცნო ტრესტ „კოლხიდმშენის“ ფართო საქმიანობა:

— კოლხეთის დაბლობის ორას ოცი ათასი ჰექტარი მდებარეობს დასავლეთ საქართველოში, შავი ზღვის ნაპირებზე. კლიმატი, როგორც მოგეხსენებათ, სუბტროპიკულია, ხოლო საშუალო წლიური ტემპერატურა — თხუთმეტი გრადუსი. მცირე ყინვები ხუთ წელიწადში ერთხელ თუ გამოერევა. კოლხეთის დაბლობი დასერილია მდინარეებით. ნალექების სიუხვე, წყალდიდობა, მდინარეთა შუა რაიონების დატბორვა, ახლო-მახლო მთებიდან ჩამომსკდარი ნიაღვრები — აი, რამ დააჭაობა ასე კოლხიდის დაბლობი. კოლხეთის ამომშრალი ნიადაგები ყველაზე უფრო ხელსაყრელი და პერსპექტიული ადგილებია ჩაის და სხვა სუბტროპიკული კულტურების მოსაყვანად.

ბონდო დაჯდა, ჯოხი მუხლზე დაიდო და განაგრძო:

— ზოგიერთ ცნობებს ალბათ უკვე გადმოგცემდნენ აქაური ამხანაგები, ამიტომ მე აღარ ვილაპარაკებ ჭაობების ამოშრობის საშუალებათა მიმდინარეობაზე. მხოლოდ მინდა გითხრათ, რომ აშენებულია ორას ორმოც კილომეტრზე მეტი წყალშემკავებელი ჯებირები, რომლებიც რიონს კალაპოტიდან გადმოსვლის საშუალებას არ აძლევენ. გაყვანილია სამოც კილომეტრზე მეტი არხი მთის ნიაღვრების დასაწრეტად და კოლექტორულ-შემგროვებელი არხები მთელ სამელიორაციო ფართობზე, ალბათ უკვე იხილეთ ჩვენი მშვენიერი გზატკეცილებიც.

შემდეგ ბონდო კვატაშიძემ გაიხსენა კოლხეთის ისტორია, მისი მაღალგანვითარებული სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა და ხელოსნობა. ბერძენი ისტორიკოსები და გეოგრაფები აღტაცებას გამოთქვამენ თავიანთ შრომებში მის ზღაპრულ სიმდიდრესა და მაღალ კულტურაზე. მაღალ დონეზე იდგა ტექნიკაც. კარგად იყო განვითარებული ფოლადის წარმოება და მედიცინა. ქება-დიდება კოლხეთის ხილეულობაზე — ვაშლზე, მსხალზე, ლეღვზე და პურის უხვ მოსავალზე ცნობილი იყო მთელს მაშინდელ მსოფლიოში. მაგრამ დროთა განმავლობაში კლიმატი იცვლებოდა. დაიწყო ჭაობიანობა... და ეს პროცესი საუკუნეების მანძილზე გაგრძელდა...

ახლა ჩვენ ვითვლით ოცდაერთ კოლექტიურ მეურნეობას. მათ შორის — თხუთმეტი ჩაის, სამი სუბტროპიკული კულტურების და სამი რძისა და ბოსტნეულის მეურნეობაა. დამთავრდა ამომქაჩავი სადგურის მშენებლობა, რომელიც ზღვაში გადაისვრის ნიაღვრის წყლებს ფოთის ციტრუსოვანთა მეურნეობიდან.

დამთავრდა აგრეთვე საინჟინრო კომპლექსის მშენებლობა, რომელიც განზე გაიყვანს ნიაღვრის წყლებს ჯებირებით გარშემორტყმული მიწებიდან. ასეთებია: ნოღელა-ცხენისწყალი, აბაშა-ნოღელა და ცივა-ტეხური. მათთვის აშენებულია დიუკერები ნოღელასა, ტეხურისა და ცივას კალაპოტებქვეშ.

...ასეთია ამჟამად მდგომარეობა. პრიმიტივისტი მხატვრის — ბეჩოს ოცნება, რომელიც ასე დამაჯერებლად აღწერა პაუსტოვსკიმ — დღეს უკვე განხორციელდა და სინამდვილედ იქცა...

დილის რვა საათზე მე და გიორგი ჯაფარიძე პალიასტომისკენ გავემგზავრეთ.

ცა შავი, მრისხანე ღრუბლებით იყო დაფარული, ცრიდა. მანქანა ნელა მიდიოდა. გიორგი ჯაფარიძე არაფრად აგდებდა წვიმას, მხიარულად მიამბობდა თავისი წარსული მუშაობის ამბავს კოლხიდის მშენებლობაზე.

— ერთხელ ჩვენი ექსკავატორი ჭაობში ჩაეფლო. მოვიყვანეთ ტრაქტორი, მაგრამ როგორ მიგვეღწია ექსკავატორამდე? ისიც ხომ ჭაობში ჩაეფლობოდა...

ტრაქტორს წნელის უამრავი ჩელტი დავუფინეთ. როგორც იქნა მივიყვანეთ ტრაქტორი ექსკავატორთან, გამოვუბით, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, ადგილიდან ძვრა ვერ უყო. ჩელტებიცა და ტრაქტორიც ჭაობში ჩაეფლო. მოვიტანეთ ჩელტების მეორე ლეიბი, შემდეგ მესამე და ასე, დიდი ტანჯვითა და ვაი-ვაგლახით თითოთითოდ ამოვათრიეთ ჭაობიდან ექსკავატორის ნაწილები. ახლა, რასაკვირველია, აქ მუშაობა ადვილია, ისეთი მექანიზაცია გვაქვს, რომ ჭაობი მისი შიშით ქვესკნელში მიიპარება, — იხუმრა გიორგიმ.

ღრუბლებიდან მზემ გამოანათა და წამსვე, როგორც ზღაპრულ სარკეში, ყველაფერი შეიცვალა ჩვენს ირგვლივ: ალაპარაკდა, ათამაშდა, უფრო მკვეთრად გამოკრთა ხეების სიმწვანე. მაგნოლიის ფოთლებზე შერჩენილი წვიმის წვეთები ალმასივით აკამკამდა. ჩვენს გვერდით დინჯად მიაბიჯებდნენ ხელიხელგადახვეული ქალიშვილი და ჯარისკაცი. მიჰქროდნენ მსუბუქი და სატვირთო მანქანები, ავტობუსები.

— ეს გზატკეცილი ქობულეთამდე მიდის... აი, მდინარეებიც კაპარჭა და მალთაყვა, რომლებიც უდიდეს ზარალს აყენებდნენ ძველად ფოთის მოსახლეობას. მაგრამ ადამიანებმა ისინი მოთრგუნეს, მოაშინაურეს, გამოწაფეს, ახლა საშიში აღარ არიან. აი, ტბაც!

პალიასტომის ტბა! რამდენი ლეგენდა გამიგონია ამ ტბის შესახებ! და აი; ახლა ვიდექი მის წინ. მისი მძლავრი ფაფარაყრილი ტალღები მრისხანედ ეხეთქებოდა ნაპირს. ნიავი აშრიალებდა ალვის ხეების გრძელ რიგს, მათი ვარჯები ერთმანეთს ეხვეოდნენ.

შორს, ჰორიზონტზე მოჩანდა ლურჯი მთები. ისინი ზოოპარკის გაზარმაცებული ლომებივით გაწოლილიყვნენ.

— ერთი აი, ამ სოფელს შეხედეთ! — გიორგიმ მალთაყვისპირა სოფლისაკენ მიმახედა. თეთრი, კირით შელესილი პატარა სახლები, ევკალიპტები, ხეხილის ბაღები, ხეთა ტოტებზე შემოხვეული ვაზი „იზაბელა“, ვაზი შემოჰხვეოდა სახლის აივნის ბოძებსაც. სახლების უკან, მდინარეში, ხეებზე მიებათ ძრავიანი ნავები, მათ ახლო საქმიანად ფუსფუსებდნენ რეზინისჩექმებიანი ყმაწვილები, ღობეებზე გასაშრობად გაეფინათ სათევზაო ბადეები. ღონიერი, ბრგე, ჩასხმული, წვერმოშვებული მამაკაცები დირეებს აკეთებდნენ. ძველებურ კაბებში გამოწყობილი, ლამაზი ყვავილებით მოჩითულთავსაფრიანი ქალები ეზოში და აივნებზე ფუსფუსებდნენ. ჩემთვის ეს სრულიად უცნობი სამყარო იყო, ეს სოფელი არაფრით არ ჰგავდა სხვა სოფლებს.

— ესენი სტაროვერები არიან! რამდენიმე ათეული წლის წინათ მოვიდნენ რუსეთის შუაგულიდან და აქ დასახლდნენ. ცხოვრობენ კარჩაკეტილად, როგორც მათი წინაპრები — რელიგიური სექტის წევრები. ისე, სიმართლე რომ ვთქვათ, ნამდვილი მშრომელები არიან! უყურებ მათ შრომისმოყვარეობას და გიხარია. ჰყიდიან თევზს, ღვინოს, რძეს. ქალები და ხნიერი მამაკაცები ისევე იცვამენ, როგორც მათ წინაპრებს ეცვათ ასიოდე წლის წინათ. ტორფის წარმოებაში მუშაობენ. ჯერ დაუსახლებელ ახალ ამოშრობილ მიწაზე მოჰყავთ სიმინდი, ლობიო. შესანიშნავი მეთევზეები არიან, დიდძალ თევზს აბარებენ სახელმწიფოს, მათი შვილები კი, უმეტესად ვაჟები, შეუდარებელი მეზღვაურები გამოდიან. მაგრამ ნათქვამია, ყოველი ციხე შიგნიდან ტყდებაო. ისეა ამ სტაროვერებშიც: მათ შვილებს აღარ უნდათ მამა-პაპისეული კანონებით ცხოვრება. პაპები და მამებიც ხელს ვეღარ უშლიან, ახალი ცხოვრება სპობს ყოველივე ძველსა და დრომოჭმულს. ახალი ცხოვრება ახალ ტექნიკასა ჰგავს, რომელიც აშრობს ძველი კოლხეთის ჭაობებს... ძველი, დაუწერელი კანონები აქ ვერ გაჭრის.

მოვიდა პატარა მოტორიანი ნავი. მოტორისტმა შონიამ ბოდიში მოიხადა დაგვიანებისათვის. ჩავსხედით ნავში და ჩავუარეთ ტურბაზას. ტურისტები პლაჟზე მზის აბაზანას ღებულობდნენ, მზეზე იხუხებოდნენ.

გავიარეთ სოფელი მალთაყვა, მოხუცებს ყურადღება არ მოუქცევიათ ჩვენთვის. ახალგაზრდები ცნობისმოყვარეობით გვიყურებდნენ. ერთ რეზინისჩექმებიან ყმაწვილს „ჯინსი“ ეცვა. ფოთში ბევ-

რია უცხოელი მეზღვაური. ისინი მზად არიან ნახევარ ბოთლ არაყში პერანგიც კი მისცენ. ზოგი ყმაწვილი იჯდა ნავში, ზოგი გულაღმა იწვა, უკრავდნენ აკორდეონს. ზოგიც ტრანზისტორს უსმენდა.

ცოტა ხანში სტაროვერების სოფელი უკან მოვიტოვეთ და არხში შევედით.

წყალი, წყალი, წყალი!

არხებში ისეთი სიჩქარით და გახელებით მიჰქუხდა წყალი, თითქოს უნდოდა ყველაფერი გადაეყლაპა გარშემო. რომ გამოგიტყდეთ, ცოტა არ იყოს, შევშინდი. არხს ორივე მხარეს გასდევდა ტორფის კუნძულები და შამბნარი. ქარი არხევდა კაცის სიმაღლე ლერწამს... ეკალ-ბარდები, ტორფი, ლელიანი... და ასე დაუსრულებლივ! აი, ერთადერთი, ობლად დატოვებული ექსკავატორი. ძველთაძველი, პატარა, სასაცილო ექსკავატორი იყო. ჩვენ ისე ახლოს მივცურავდით მისგან, რომ ფირმის ჟანგმოდებული მარკაც გავარჩიე. ექსკავატორი პირველი დღიდან მუშაობდა აქ.

ისევ გაუვალი ეკალ-ბარდები, ჭაობები. ეტყობა, ამ ჭაობებს აღარ აშრობენ, ნიადაგი უნაყოფოა. წყალი დაწრეტილია და კოღოების ბუდედ ვეღარ იქცევა.

— რობინზონ კრუზოს კუნძულს მინდა ვეწვიოთ, — სიცილით მითხრა გიორგი ჯაფარიძემ. იქნებ, განგებ გამომიტყუა აქეთ, რომ მიჩვენოს, რა გიგანტური არხები გაუთხრიათ ამ გაუვალ ჭაობებში. მაგრამ არა, აი, რა მიამბო გიორგიმ:

— 1943 წელს მწუხარებასა და ნაღველს დაესადგურებინა ყოველ ოჯახში. ბავშვებიც კი გადაჩვეოდნენ ღიმილს. მაგრამ მუშაობით ყველა მუშაობდა, ღრმა მოხუცებიც კი. ომი იყო.

ზესტაფონის ახლოს ერთ სოფელში ფრონტიდან დაჭრილი ჯარისკაცი ბრუნდებოდა. ბრძოლა აღარ შეეძლო და ნაღვლიანი, თავისი ბედით შეწუხებული შინ მიდიოდა. უბრუნდებოდა დედას, ცოლს და ერთადერთ ვაჟიშვილს, რომელიც ჯერ არ ენახა. მაგრამ შინ საშინელი ამბავი დახვდა: ცოლი და ბავშვი მძიმე ავადმყოფობას გადაჰყოლოდნენ, ორი ძმა ფრონტზე დაღუპულიყო, მოხუც დედას ჯავრით თავი დაეხრჩო. მეზობლები გულთბილად შეხვდნენ მეომარს, მზად იყვნენ, ყველაფრით დახმარებოდნენ, შეემსუბუქებინათ მწუხარება, გაეზიარებინათ მისი ჭირ-ვარამი, მაგრამ ჯარისკაცმა ვერ გაძლო შინ, რა გააჩერებდა იმ სახლში, სადაც ერთი ახლობელი აღარ დახვდა ცოცხალი! მიატოვა მშობლიური კერა,

გაექცა აუტანელ მწუხარებას, მაგრამ ცოლ-შვილის, დედისა და ძმების დარდი თან გაჰყვა.

გავიდა წლები. დამთავრდა ომი, ქვეყანა მძიმე ჭრილობებს იშუშებდა. ცხოვრება კალაპოტში ჩადგა. შვებით ამოისუნთქა ხალხმა. სოფელში თითქმის მიავიწყდათ ჯავრისა და მწუხარებისაგან გაქცეული ჯარისკაცი. და აი, უცებ ფოთში უცნაური ხმა გავარდა: პალიასტომის ერთ პატარა კუნძულზე ვიღაც გატყიურებული კაცი ცხოვრობსო. შეიქმნა მითქმა-მოთქმა. დაირხა ათასი ჭორი, მაგრამ მალე გაიგეს სინამდვილე. კუნძულზე სწორედ იმ სოფლიდან გაქცეულ ჯარისკაცს დაედო ბინა, აქ შესჭიდებოდა მარტოდმარტო დარდსა და ვარამს, წელგაუმართავ შრომაში ჩაეკლა გულისჯავრი. ჭაობიანი, გამოუსადეგარი კუნძული ედემად ექცია. ამ შრომის კაცს ილიკო ერქვა.

ორმოცდასამი წლის იმ ნაღვლიან საღამოს ილიკო შინიდან პირდაპირ ზესტაფონის რკინიგზის სადგურზე გავიდა, ჩაჯდა პირველ მატარებელში და დილით ფოთში ამოჰყო თავი. არავის ნახვა, არაფრის გაგონება არ უნდოდა, მისი ამბავიც არავის აინტერესებდა. ფოთში არავის იცნობდა, მაგრამ ჯერ კიდევ ომამდე ჰქონდა გაგონილი, რომ კოლხეთში უკაცრიელი კუნძულები იყო. საღამო ჟამს გამოვიდა ტბის ნაპირას, ერთი სტაროვერი მეთევზისაგან ბაფად იყიდა ძველი ნავი, ჩაჯდა შიგ და მოუსვა ნიჩბები. შევიდა არხში, დიდხანს მიცურავდა და ბოლოს, როგორც იქნა. მიაღწია ერთ პატარა კუნძულს. შეიძლება განგებაც აირჩია ეს მწირი კუნძული, რადგან არ უნდოდა სიცოცხლე... არ უნდოდა არაფრის გაკეთება. ერთადერთი სურვილი დაეუფლა მთელ მის არსებას — მომკვდარიყო... მაგრამ ნელ-ნელა გამოერკვა, უსაქმოდ ვერ გაჩერდა, ვერ მოისვენა, ცხოვრებამ თავისი მოითხოვა და ბოლოს შრომას მოჰკიდა ხელი.

მართლა ასე იყო ეს ამბავი, თუ ადამიანის ფანტაზიის ნაყოფია, ვერ გეტყვით, არავინ იცის დაწვრილებით ამ „რობინზონ კრუზოს“ წარსული, თვითონაც არ უყვარდა თავისი ამბების მოყოლა. მაგრამ ეს არ არის მთავარი. მთავარი ისაა, რომ ილიკომ ეს მწირი, საცხოვრებლად უვარგისი კუნძული ედემის ბაღად აქცია.

დაიწყო ნიადაგიდან. ახლო მდებარე კუნძულებიდან მოჰქონდა მიწა, დღე და ღამეს ასწორებდა, ჭამდა პანტას, მაჟალოსა და მცენარეულობას. იჭერდა თევზს, ხოცავდა ნადირს, ნანადირევს და

თევზს სასუქზე, თესლსა და ნერგებზე უცვლიდა სტაროვერებს. დაიდგა ფაცხა. ერთი-ორი წლის შემდეგ, როცა დარწმუნდა, ნიადაგი გაუმჯობესდაო, დაიწყო თესვა, დარგო ხეხილი, გააშენა ჩაისა და ციტრუსების პატარა პლანტაცია, გაიჩინა ფუტკარი. თან განუწყვეტლივ ანოყიერებდა ნიადაგს. ყოველივე ეს ადამიანის შესაძლებლობებს აღემატებოდა, მძიმე სამუშაო იყო, თითქმის აუტანელი. ქალაქში იშვიათად დადიოდა. ერთხელ ბედმა გაუღიმა: უთვისტომო ქალიშვილს შეხვდა, ისაუბრეს ამ მთისა, იმ ბარისა; ქალიშვილს მოეწონა ილიკო და კუნძულზე გაჰყვა.

დაქორწინდნენ. ქორწილში მიწვეული იყვნენ მთვარე, ვარსკვლავები, ილიკოს დარგული ნორჩი ხეები, ვარდის ბუჩქები, ფრინველები, შამპანურიც კი იყიდა ილიკომ ამ დღისათვის, ღვინო ხომ თვითონვე ჰქონდა, შესანიშნავი, ახალი მოსავლის „იზაბელა“. პატარძალი სულ თეთრებში იყო გამოწყობილი, წარმოიდგინეთ გვირგვინი და მანდილიც კი ეხურა. ერთი სიტყვით, ყველაფერი ისე იყო, როგორც მიღებულია პატივცემულ, ტრადიციულ, შეძლებულ ოჯახებში. ალიონზე შევიდნენ ფაცხაში და ამ დღიდან დაიწყო „ადამისა და ევას“ ნამდვილი ცხოვრება ამ პატარა კუნძულზე...

ორი წლის შემდეგ ილიკომ მშვენიერი ოდა აიშენა; ძველი ქოხი საწყობად გადააკეთა. მარანიც დაიდგა, სასიმინდეც. ცოლიც ისეთივე მშრომელი გამოადგა, როგორიც თვითონ იყო. ცხრა შვილი შეეძინათ ცხრა წელიწადში. საზრუნავმა იმატა და ილიკომაც უმატა შრომას. მალე ბავშვებიც ამოუდგნენ მხარში გამრჯე დედ-მამას. მართალია, კარჩაკეტილად ცხოვრობდნენ, მაგრამ საჭმელი არ აკლდათ და სასმელი, რადიომიმღებიც ჰქონდა ილიკოს, ჟურნალ-გაზეთებიც ჩამოჰქონდა კვირაობით. წიგნებსაც მოაყოლებდა ხოლმე და ნელ-ნელობაში კარგი ბიბლიოთეკა შექმნა.

და აი, ვეწვიეთ „ილიკოს კუნძულს“... არც თამთამების ხმაური, არც ველურების ყივილი, არც ნახევრადშიშველი აბორიგენები, რასაკვირველია, არ შემოგვგებებია.

შევედით მწვანედ დაბურულ ტევრში. ტოტებით ერთმანეთში ჩახლართული უზარმაზარი ხეები სახურავივით ფარავდნენ ნავსაბმელს. ქვით ლამაზად შემოღობილ ნავმისადგომზე საშუალო ტანის ფეხშიშველი, წვერმოშვებული, ხანშიშესული მამაკაცი იდგა და გვიღიმოდა. ეს იყო კუნძულის „მფლობელი“ ილიკო.

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჩემს მშვიდობის კუნძულზე! — ხუმრობით გვითხრა მასპინძელმა.

გიორგიმ ჩემი თავი წარუდგინა, მწერალიაო. — ოღონდ ჟურნალისტი ნუ იქნება და სხვაზე ყველაზე ყაბულსა ვარ! ჟურნალისტები ძალზე ცნობისმოყვარე ხალხია, ლამის არის სულში ჩაგიძვრნენ. იმედი მაქვს, ფოტოაპარატები არ გექნებათ!—მოუბრუნდა ჯაფარიძეს და ისევ ხუმრობით დასძინა:

— გადაღებები სასტიკად აკრძალულია, ჩემო ძამია, სტრატეგიული მნიშვნელობის კუნძულია, აბა!

...როგორც იყო, ამ „არასტრატეგიული" გასაუბრების შემდეგ ფეხი შევდგით პალიასტომელი „რობინზონ კრუზოს" სამფლობელოში.

ნახევრად აგურითა და ნახევრად ხისგან ნაგები ლამაზი, ჩუქურთმებიანი, გრძელი აივნიანი ოდის წინ, მშვენიერი ბაღი იყო გაშენებული, ბაღში გადაჯვარედინებულფეხებიანი გაურანდავი ხის გრძელი მაგიდა იდგა. სუფრის ირგვლივ სკამები იყო ჩამწკრივებული.

— ეს სუფრა ზეიმისა, ქორწილისა და ხშირი სტუმრიანობისთვისაა დადგმული, — აგვიხსნა ილიკომ, — ავდარი, როგორც მოგეხსენებათ, ხშირი სტუმარია ამ მიდამოში, მაშინ მაგიდას ბრეზენტს ვაფარებთ და სეფა გამოდის, შენ ხარ ჩემი ბატონი... ჰო მართლა. ბოდიშს ვიხდი, ცოლი და ბავშვები ფოთში არიან, ახლა ქალაქშიაც, როგორც იტყვიან, დიდ მიწაზეც. გვაქვს ბინა, ჩემი ორი ვაჟი წელს უმაღლესში აბარებს.

ეზოში ბიჭები ფუსფუსებდნენ, ზოგს მაისური ეცვა. ზოგს ჯარისკაცის გიმნასტურა და ჩექმები. ილიკომ შეამჩნია, რომ ცნობისმოყვარეობით ვათვალიერებდი ყმაწვილებს.

— ესენი ჩემი მეგობრებია, დღეს ჩვენთან ქორწილია. იური, ერთი წუთით მოდი.

ქერა, მზით გარუჯულმა ჭაბუკმა, იმწამსვე მოირბინა და ჩვენს წინ მორცხვად შედგა.

— გაიცანით, იურა ცუბერა, ჩემი ფრონტზე დაღუპული მეგობრის ვაჟია. ამ ქვეყანაზე აღარავინ ჰყავს, მეზღვაურია. მე და ჩემი ცოლი ვართ ამისი დედაც და მამაც. თავს მოვალედ ვთვლი, ქორწილი გადავუხადო იურას.

ჩვენ, რასაკვირველია, მოვუწონეთ კეთილი განზრახვა და მეტი

პატივისცემითა და რიდით გავიმსჭვალეთ ჩვენი უჩვეულო მასპინძლისადმი.

— დიდად გამახარებთ, თუ ქორწილში დარჩებით, — მოგვმართა მორცხვობისაგან წამოწითლებულმა იურიმ. შემდეგ მე მომიბრუნდა და დასძინა: — ბიჭებიც მოვლენ ტრაულერიდან. — როგორც ჩანდა, იური შორიდან მიცნობდა.

გიორგის გადავხედე, მინდოდა მისგან თანხმობა მიმეღო.

— დავრჩებით, რატომაც არა, სიამოვნებით, ოღონდ ქორწილს შემდეგ ფოთში კატარღით უნდა ჩაგვიყვანოთ.

— მაგის ფიქრი ნუ გაქვთ, — ჩაერია საუბარში ილიკო. — საქორწინო ესკორტი ჩაგიყვანთ კოლხეთის დედაქალაქში. უკიდურეს შემთხვევაში, ჩემი კატარღა მზადაა და იმით გაგისტუმრებთ.

ცუბერამ მოიბოდიშა და ამხანაგებისაკენ გაეშურა.

ილიკოს ეზოს დათვალიერებას შევუდექით. ერთგან ორ გრძელწვერა სტაროვერს სარეცხელები ეჭირათ და ჭურებს რეცხავდნენ.

— ახალი ბოსავლისათვის ვემზადები, — აგვიხსნა მასპინძელმა. — ყოველი ჭური ორას ვედრო ღვინოს იტევს. რადგან ღვინოზე ჩამოვარდა საუბარი, ჩვენი ექსკურსია მარნიდან დავიწყოთ. ვიცი, ტურისტებად ჩამოხვედით ჩემთან, აბა ისე უბედური ილია ვის გაახსენდებოდა.

— როგორ გეკადრებათ, ბატონო ილიკო. ჩვენ...

— არა უშავს, საბოდიშო არაფერია.

მიუხედავად სინესტისა, რომელიც კუნძულზე მეფობდა, მარანში სიმშრალე იყო. კედლებზე ხახვისა და ნივრის გალები ეკიდა. დამქავებული კიტრი, პამიდორი, ნიორი თუ წიწაკა, ჭერზე — შებოლილი ხმელი სულგუნი, ტარანი და შაშხი. მიწისპირზე კი ქვევრების თავები შოჩანდა. ილიკომ კალათიდან კაკალი ამოიღო და დაამტვრია. კაკალი მსხვილი იყო, მსუბუქი სიფრიფანა ნაჭუჭები ჰქონდა. დარჩეული ლებანი ხის ჯამზე დააწყო, მერე ერთი ქვევრი მოხადა, ალბათ, ის, რომელიც ქორწილისთვის იყო განკუთვნილი, კედლიდან ხრიკე ჩამოხსნა და ღვინო ამოიღო.

— ღვინო კი არა, ცხონებაა, — თქვა ილიკომ და ხრიკე მომაწოდა. მადლობა გადავუხადე, მოვსვი, ისე გავსინჯე, როგორც საუკეთესო დეგუსტატორმა.

არაჩვეულებრივი ღვინო იყო და მასპინძელს ვუთხარი:

— მირონის ღვინოა! ასეთს, ალბათ ღმერთი სვამს ედემში.

კიღევ მოვსვი, დაკაყოლე ნიგოზი და ხრიკე მასპინძელს დავუბრუნე.

— რა ჯიშისაა? — იკითხა მენავე შონიამ.

— უსახელო კუნძულის ჯიშისაა, — იხუმრა მასპინძელმა და ნაღელიანად გაიღიმა.

ილიკოს თვალში ნისლი ჩაუდგა. არასოდეს არ მენახა ასე ახლოს ასეთი სევდიანი კაცი, სევდიანი დაკარგული დედის, შვილის, ცოლის და ძმების გამო.

ხრიკე ხელიდან ხელში გადადიოდა.

მასპინძელმა თაროდან ჭაჭის არაყი გადმოიღო. მაგრამ სასტიკად ეიუარეთ. ასეთ ღვინოს ჭაჭის არყით როგორ გავაფუჭებდით.

— სამჯერ მაქვს გამოხდილი, აპა! — თქვა ილიკომ და ჩვილივით მოეფერა არყით სავსე ბოთლს.

— ხომ არ მოგშივდათ? ეგებ წაგვეხემსებინა. ახლავე მოგართმევთ ყველაფერს. რა სულელი ვარ. ღმერთო, იმწამსვე უნდა გამეშალა სუფრა. ალბათ არ გისადილნიათ, — შეწუხდა მასპინძელი.

მადლობა გადავუხადეთ. — არ გვშია, საქორწილო სუფრას დავლოცავთ-თქო, — ვუთხარით და ცოტა ხნის შემდეგ მარანიდან გამოვედით.

— კარგი ბიჭია ცუბერა. ჩემს უფროს ვაჟთან მეგობრობს... ჩემს ხელში დალია სული მამამისმა, მუცელში მოხვდა ტყვია უბედურს. — ილიკომ სათქმელი აღარ დაასრულა, ამოიხვნეშა.

კარ-მიდამოს დათვალიერება განვაგრძეთ. საღორეში იორკშირის ჯიშის უშველებელი ღორი იწვა და ძუძუს აწოვებდა ცხრა გოჭს. ბოსელში უხვად ეყარა თივა. ეზოში დაკუნტრუშებდნენ ხბორები, დინჯად იცოხნებოდნენ ზაქები. ილიკოს ფუტკარიც მრავლად ჰყავდა. სკებს რომ შევხედეთ, გული გაგვინათდა, მაგრამ ილიკოს ხეხილის ბაღზე ლამაზი იშვიათად მინახავს. ბროწეული, ბი, ხურმა ისე ანათებდა, როგორც ახლად გაპრიალებული თითბერი. ვაშლიც იყო და მსხალიც, ატამიცა და ქლიავიც, მუშმალაცა და ფეიხოაც.

— ხეხილმა დამაბრუნა ამ ქვეყანაზე, სიცოცხლე მაჩუქა, ნება არ მომცა მოვმკვდარიყავი! შვილივით ვუვლი და ისინიც არაფერს იშურებენ ჩემთვის. ისე შევეჩვიე ამ მწვანე მეგობრებს, როგორც საკუთარ შვილებს, — ჰყვება ილიკო.

შევედით მეორე, უფრო მოზრდილ, თითქოსდა ახლად გაშენე-

ბულ პარკში: მაგნოლიის ხეები, პალმა — ჰამეროპსები, ოლეანდრები, ბზა, დრაცენა, ფინიკი, პალმა, ტუია, ევკალიპტები, წაბლი... და ვინ მოთვლის კიდევ რა ხე არ იყო, დიდ ხეებზე ლიანასავით გაბმულიყო „იზაბელას“ ვაზი. ცოტა იქით — მტირალი ტირიფი, ხელოვნური ტბა და პატარა კუზიანი ხიდი ამ ტბაზე. კოკის ნატეხებში აქა-იქ ჩარგულია აგავა, ზოგან ხის მორები დევს დასაჯდომად. და ისევ ყვავილები, ყვავილები, ყვავილების ზღაპრული ხალიჩა. ჰაერში ვარდ-ყვავილების დამათრობელი სურნელი ტრიალებს. რა ფერის ვარდსა და ყვავილს არ ნახავთ აქ: შავს, წითელს, ვარდისფერს, შინდისფერსა და კიდევ და კიდევ მრავალფერს.

— ეს ჩემი მეუღლის სამეფოა. საათობით ზის აქ მარტოდმარტო. ჯერ კიდევ შვილის შეძენამდე შეიყვარა ეს ადგილი, ბავშვი რომ გაუჩნდა, თითქმის სულ არ გამოდიოდა აქედან. დააწვენდა ბავშვს დასაძინებლად, თვითონ კი წიგნით, ან კიდევ საქსოვით ხელში იჯდა, კითხულობდა, ქსოვდა, ოცნებობდა. ქალებს ოცნება უყვართ... მგონი, კაცებსაც გვიყვარს. მე კარგ ოჯახზე ვოცნებობდი და ამისრულდა... ოჯახი ბედნიერებაა... ბედნიერება ყოველთვის სძლევს უბედურებას. ასე იყო და ასე იქნება. ადამიანი დასაბამიდან ბედნიერებისათვის იღვწის...

კვლავ განვაგრძობთ კუნძულის თვალიერებას. აი ბოსტანიც. რა სახის ბოსტნეული გინდათ, რომ აქ არ ნახოთ! სხვადასხვა ჯურისა და ფერის კომბოსტო, ჭარხალი, ბოლოკი, მწვანილი: ქინძი, ოხრახუში, ნიახური, პრასა, ცერეცო, კამა, პიტნა, ხახვი, ნიორი, სურნელოვანი ტარხუნა და ცხარე წიწმატი; ტკბილი სტაფილო და ცხარე წიწაკა, პამიდორი, კარტოფილი, ბატატი, საზამთრო, ნესვი, სხვადასხვა ჯურის გოგრა, ლობიო, კიტრი. ბოსტანი შემოღობილია ჩაის მწვანე ბუჩქებით.

— ჩაის, რასაკვირველია, არ ვკრეფ... ისე დავრგე, სილამაზისა და კოლექციისათვის. ეს კი ჩემი ვენახია! — მასპინძელმა შესანიშნავად მოვლილ ვენახში შეგვიყვანა. ფართო, ფირუზისფერი ფოთლები, ფოთლებზე ნაკვალევი ვაზის პარფიუმერიისა: შაბიამნის ლურჯი წერტილები. სხივჩამდგარი დიდი, მწვანე მტევნები, შავი, წითელი, ვარდისფერი მტევნებიც ციმციმებს...

— აქ სხვადასხვა ჯიშის ვაზია: ჩხავერი, საფერავი, ალექსანდრიული, ოჯალეში. ცოტ-ცოტაა ყველაფერი. მაგრამ ამ ნიადაგზე ისინი ძალიან განსხვავდებიან თავიანთი „მშობლებისაგან და ნათე-

სავებისაგან“... ხმირი წვიმები, რასაკვირველია, გავლენას ახდენს, მაგრამ, ღვინო მაინც კარგი დგება.

ვენახის ბოლოს, მავთულზე, ორხეშუა, ჩურჩხელები შრეპოდა— თხილისა და კაკლის იმერული ჯანჯუხები.

ვენახი კაი ძალი იყო. მე და გიორგიმ ერთმანეთს გადავხედეთ. გვიკვირდა, როგორ შეძლო ერთმა ადამიანმა ყველაფერი ეს გაეკეთებინა.

— აი, თურმე სად ყოფილა ბეჩო, ვინ თქვა, მოკვდაო? ვინ გაავრცელა ეს ჭორი? ბეჩოს გაუცოცხლებია თავისი ნახატები.

ილიკომ გაკვირვებით შემომხედა. არ იცოდა, ვინ იყო ბეჩო. არ ჰქონდა წაკითხული პაუსტოვსკის მოთხრობა. ჯაფარიძემ ეშმაკურად გამიღიმა.

და ბოლოს, პლანტაციაში. სუბტროპიკულ ზონაში შევედით. პლანტაციის შუაში, პატარა მინდორზე ლამაზი ფანჩატური იდგა, ვაზით იყო გადახურული. სამი მხრით ვაზის კედელი ეკრა, მანდარინისა და ფორთოხლის ხეები დახუნძლული იყო ნაყოფით. ხეებს იქით წყლის ფართო ზედაპირი მოჩანდა.

— რას უშვრებით ამ აურაცხელ მოსავალს? — გაკვირვებით ვკითხე ილიკოს.

— სახელმწიფოს ვაბარებ. სხვათაშორის, კარგ ფასს მაძლევენ. ნაწილს ბაზარზე ვყიდი, დანარჩენს ნათესავ-მეგობრებს ვუნაწილებ. ჩემთან სააგარაკოდაც ჩამოდიან, მნახულობენ მეზღვაურები, ნავსადგურის მუშები, ჯარისკაცები, სწავლულები, სტუდენტები, მშენებლები. მე და ჩემი მეუღლე ყველას სიამოვნებით ვღებულობთ, გვიყვარს სტუმარი, ალბათ მარტოობისაგან დახარბებული ვარო ადამიანს. სტუმრებიც თავისუფლად გრძნობენ თავს ჩვენთან. აი პლაჟიც, მართალია, პატარაა, მაგრამ დიდს არაფრით არ ჩამოუვარდება, არც კეთილმოწყობით, არც ხარისხით, ოღონდ ეს კია, რომ წყალი არ არის მარილიანი.

...მართლაც მშვენიერი პლაჟია და თითქმის არაფრით არ განსხვავდება ნამდვილისაგან, ტალღებიც კი ასკდება ნაპირს...

განვაგრძეთ გზა, მივუახლოვდით ფლანგის კარს — ბაღი და ბოსტანი გამოღობილია სახლის ეზოსაგან, ქათმებმა და პირუტყვმა რომ არ გააფუჭონ.

ილიკომ ოდაში მიგვიწვია: დიდი სუფთა ოთახები, თეთრად შეღებილი კედლები. ოთახებში აუცილებელი საჭირო ნივთები:

ლოგინი, ტახტები, ჭურჭელი, კარადები. კაი ძალი წიგნები, თვალსაჩინო ადგილას — შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი". გაზეთები, ჟურნალები, რადიომიმღები.

— მიყვარს წიგნები, მუსიკა... ბავშვები განსაკუთრებით სპორტით არიან გატაცებული. აი, იქ, ხეებს შორის დარბიან, ბურთს თამაშობენ, რგოლებზე ვარჯიშობენ.

სახლიდან გამოვედით, არხის ნაპირას მდგარი გრძელი სკამისაკენ გავეშურეთ. წყალში ჭყუმპლაობდნენ იხვები, ბატები და დახეთ ჩემს გაკვირვებას, ბამბუკი აყვავებულიყო. მართლაც საოცარი სანახავია ბამბუკის ყვავილობა...

— მეცოდებიან ეს საბრალონი. ეს ხომ გედის სიმღერაა...

— რატომ?

— ბამბუკი მხოლოდ ერთხელ ყვავილობს და მერე იღუპება. ლამაზი სიკვდილია, არა?

მართლაც რომ ლამაზი და უცნაურია.

— ჩემთვის კი მწუხარებაა, გლოვის ნიშანია. დაიღუპება ჩემი მრავალწლიანი შრომა. სიკვდილის წინ ბამბუკი ადამიანს ანიჭებს ამ განუმეორებელ სილამაზეს, თითქოს მადლობის ნიშნად. იქნებ ამის მეტად ვერასდროს ვეღარც ვიხილო ბამბუკის ყვავილობა...

სამწუხარო სანახავია, როცა უყურებ აყვავებულ, სიცოცხლით სავსე ბამბუკებს, რომლებიც იაპონურ გრავიურას მოგაგონებენ, გიჭირთ იმისი დაჯერება, რომ ისინი დაჰყრიან ყვავილს და მიიცვლებიან...

...მზე ჩადიოდა. უშველებელი გაყარვარებული ბურთი ეშვებოდა ზღვაში. იშვიათად მინახავს მზის ასეთი ჩასვლა. ვეება დისკო ზანტად ჩადიოდა, ეცემოდა სადღაც უფსკრულში და მწუხრი ეფინებოდა მიდამოს. ანაზდად თეთრი ღამეები მომაგონდა. ალბათ იმიტომ, რომ ცაზე სავსე მთვარე დაცურავდა... ამ დროს განსაკუთრებით ნათელია ხოლმე ქართული ღამეები.

ჩემდა გასაოცრად კუნძული ელექტროლამპიონებმა გააჩირაღდნეს. მიმოვიხედე, ჯაფარიძესთან მივედი, იგი რაღაცაზე ეკამათებოდა მასპინძელს და სტაროვერებს. ილიკომ შემამჩნია ცნობისმოყვარეობა: ელექტროშუქს კატარღის ძრავა იძლევაო. მართალია, არ არის მძლავრი, მაგრამ მაინც ელექტროშუქია.

უცებ შორიდან მუსიკის ხმა მოისმა. ხმა თანდათან ახლოვდებოდა. მალე ფერად-ფერადი ლამპიონებით გაჩირაღდნებული დი-

დი კატარღაც გამოჩნდა, მაშინვე ნავსაბმელისაკენ გავეშურეთ. გზაში უნებლიეთ შევჩერდი. საქორწინო სუფრა გაეშალათ, რა არ ელაგა სუფრაზე, ათასგვარი კერძი და ხილეული, სასმელი, ყვავილები.

შავ კოსტიუმში გამოწყობილ ცუბერას თეთრი ვარდი უმშვენებდა მკერდს, მღელვარებისაგან ფერი დაკარგვოდა, იდგა სუფრასთან და ადგილიდან ვერ იძვროდა.

ყველაფერი მზად იყო სტუმრების მისაღებად.

ბოლოს კატარღაც მოახლოვდა. ცუბერამ თვითონ მიიღო თოკი კატარღიდან, თვითონვე მიაბა ნაპირს, არავის დაანება. გადმოისროლეს ხიდი და თავით ფეხამდე თეთრად მოსილი პატარძალი კატარღიდან ნაპირზე გადმოვიდა.

მას მოჰყვნენ მეზღვაურები. ყველა აქ იყო კაპიტნიდან დაწყებული ტრაულერის უბრალო მეთევზითა და მეზღვაურით დამთავრებული. ახალმოსულებმა მაგიდაზე დააწყეს ოციოდე ბოთლი შამპანური, შემდეგ ყველანი შემოუსხდნენ სუფრას, სუფრის თავში კი გრძელწვერა მასპინძელი დაჯდა და მაგიდა ლეონარდო და ვინჩის გენიალურ „საიდუმლო სერობას“ დაემსგავსა.

ყოველთვის მასპინძელი თამადობს. ეს კანონადაა ქცეული ამ კუნძულზე. თუმცა ილიკო მაინცდამაინც კარგ ორატორობას ვერ დაიტრაბახებდა, მაგრამ სიმართლე რომ ითქვას, მისი სადღეგრძელოები მოკლე, ზედმიწევნით თანამედროვე და გონებამახვილური იყო.

კუნძულის პატრონი ადგა, აიღო დიდი, მდიდრულ ყდაში ჩასმული წიგნი და პატარძალს მიართვა. ეს „ვეფხისტყაოსანი“ გახლდათ. შემდეგ მამაშვილურად გადაეხვია ნეფე-დედოფალს და გადაჰკოცნა. მერე კი წამოვიდა საჩუქრები ახლადდაქორწინებულთათვის: ფოთის კომკავშირის საქალაქო კომიტეტიდან, საზღვაო ნაწილიდან, სადაც ცუბერა მსახურობდა, მეზღვაური მეგობრებისაგან, ნავსადგურის მუშებისაგან.

დაუკრა ორკესტრმა. დაიწყო ცეკვები. პირველი ცეკვა მეზღვაურული „იაბლოჩკო“ იყო, შემდეგ კი ულტრათანამედროვე ცეკვებზე გადავიდნენ.

გარიჟრაჟს კუნძულზე შევხვდით. ეს ისეთი სანახაობა იყო, რომელიც ალბათ არ დამავიწყდება.

დილის ათ საათზე დიდი ტრაულერი საზეიმო ესკორტით გაემართა ფოთის განაპირა, ძველი კუნძულისაკენ, სადაც საზღვაო-სამხედრო სასაფლაო იყო და მივიწყებული შუქურა. ჯერ კიდევ ფოთის ნავსადგურის გაშენებამდე ის შუქურა გემებს და ხომალდებს უჩვენებდა გზას.

ძველი შუქურა, ახლა უკვე მთლიანად შემოხლართული მწვანე სუროთი, მაღლობზე დგას და ადამიანს საშუალო საუკუნეების სასახლეს აგონებს. დაბლა, შუქურას ირგვლივ, საზღვაო-სამხედრო სასაფლაოა, სამარადისო საყუდელი გმირი მეზღვაურებისა, რომლებმაც სამშობლოს სიცოცხლე შესწირეს.

მინდოდა ჩემი მებრძოლი მეგობრის, 1944 წელს ომში დაღუპული მეზღვაურის, კოსტია რაუზეს საფლავი მენახა. ომის დამთავრების შემდეგ სამხედრო ნაწილიდან შემატყობინეს მისი დაღუპვის ამბავი. რაუზე ფოთის სასაფლაოზე იყო დასაფლავებული. მაშინ მოვინახულე მეგობრის საფლავი.

მას შემდეგ თითქმის მეოთხედი საუკუნე გავიდა და ახლა ისე ვღელავდი, თითქოს ცოცხალ კოსტიას უნდა შევხვედროდი. მეზღვაურებმა, კაპიტანის თანხმობით, გადაწყვიტეს კუნძულზე წავეყვანეთ და თვითონაც მოეხადათ მოქალაქეობრივი ვალი, ენახათ გმირ-მეომართა საფლავები, სამშობლოს დამცველთა საუკუნო განსვენების წმინდა ადგილი, გმირობისა და თავდადების ძეგლი. ის დაღუპული ჯარისკაცები მათი ხნისანი, მათსავით მხიარულები, ჯანითა და სიცოცხლით სავსენი იყვნენ. ჰქონდათ ოცნება, შეჰხაროდნენ სიცოცხლეს. ზოგს ალბათ ცოლ-შვილიც ჰყავდა, დედ-მამა, და-ძმა, ჰყავდათ სატრფო.

მზიანი დღე იდგა, მიყუჩებულ ზღვას ულტრამარინის ფერი დაჰკრავდა. სასაფლაო გალავნით იყო შემოღობილი, ზღვის მხარეს უფრო მაღალი კედელი აღემართათ. უწინ სასაფლაო პირდაპირ ზღვას უერთდებოდა. ზღვის პირას, ხეებქვეშ გრძელი სკამები იდგა და ზღვაც აქ, პატარა ყურეში, მუდამ წყნარი იყო, თითქოს დაუბერებელ, ჭაბუკებად დარჩენილი მეზღვაურების მარადიულ ძილს დარაჯობდა.

— ეს ღობე სამხედრო მეზღვაურებმა შემოავლეს იმ კატასტროფის შემდეგ, — ამიხსნა კაპიტანმა.

— რომელი კატასტროფის?! — შეშფოთებით ვკითხე მე.

— არ გაგიგიათ? გასულ წელს აქ მოულოდნელად საშინელი გრიგალი ამოვარდა და გადარეულმა ზღვის ტალღებმა ნახევარი სასაფლაო გაიტაცა.

ეს ამბავი ჩემთვის მოულოდნელი იყო და ერთგვარი ცუდი წინათგრძნობით ვუსმენდი კაპიტანს. განგებ არაფერი მიკითხავს.

მდუმარედ შევცქეროდი ობელისკს, ძმათა სასაფლაოს. მე და კაპიტანმა მოწიწებით დავაწყეთ მის კვარცხლბეკთან თაიგულები. მეზღვაურებმა ქუდი მოიხადეს. ამ ცერემონიალის შემდეგ ჩქარი ნაბიჯით გავეშურე მეგობრის საფლავის სანახავად.

კონსტანტინე რაუზეს საფლავი აღარ იყო.

აღარაფერი დარჩენილიყო ძველი, მყუდრო საზღვაო-სამხედრო სასაფლაოსაგან, რომელსაც ქალაქის მთელი მოსახლეობა უვლიდა, ელოლიავებოდა. მხოლოდ აქა-იქ შემთხვევით შემორჩენილიყო თითო-ოროლა საფლავი და რკინის ღობე. რკინის დაჟანგულ ძეგლებზე უკვე ძნელი ამოსაკითხი იყო წარწერები. ყოველი დაღუპული მეზღვაური ცალ-ცალკე იყო დაკრძალული, ახლა კი ძმათა სასაფლაოები გაეთხარათ. ჩემი მეგობრის საფლავის ადგილსაც ძმათა სასაფლაო დამხვდა. რკინის დაფაზე სწრაფად ჩავიკითხე დაკრძალულთა გვარები: ნ. ვ. ბატრაკოვი, ვ. ა. სადიკოვი, დ. ა. კარპენკო, სერებრიაკოვი (უინიციალოდ), პ. ს. ზაიაცი, ვ. ზ. ფედორიაკინი, ი. ვ. ილჩევი, სავა (უინიციალოდ)...

მიმოვიხედე. შორიახლო მოხუცი იდგა, სასაფლაოს მცველი, ჩემი ძველი ნაცნობი — კლიმენტი დამენია, გვერდით თავისი თანაშემწე და მეგობარი ქორქია ედგა.

— კლიმენტი, თქვენ გეცოდინებათ, რა მოუვიდა კაპიტანის საფლავს? — მოხუცმა კარგად იცოდა, რომელ კაპიტანზეც ვეკითხებოდი.

— ზღვამ წაიღო, შვილო, ვერ ვიხსენით, — ამოიოხრა მოხუცმა.

კლიმენტი დამენია ოთხმოცდახუთი წლისაა, მისი მეგობარი კი ოთხმოცისა. მათი ცხოვრება მთელი რომანია, ეპოქის ისტორია, და გაჭრილი ვაშლივითა ჰგავს ბევრი ადგილობრივი მკვიდრის თავგადასავალს.

ჩვენი საუკუნის დასაწყისში ორი უწვერულვაშო ყმაწვილი მალარიის შიშით ჭაობებს გაექცა და ფოთის ნავსადგურში ტვირთმზიდავებად დაიწყეს მუშაობა. მშობლები არ ჰყავდათ, ისინი ტრო-

პიკული ციებ-ცხელებისა და მძიმე, აუტანელი შრომისაგან დაიხოცნენ. ჭაბუკები ჯანსაღები იყვნენ, ახოვნები და მაშინვე შეამჩნია ძველმა მეთევზემ, ფოთის დარბაისელმა, საპატიო მოქალაქემ ბერძენმა იორიკ კალიფატიდიმ. მან ყმაწვილები სამუშაოდ მიიწვია ორანძიან ნავზე და ამრიგად ორივე მეგობარი მეთევზე გახდა.

მოხუც ბერძენს ხუთი ვაჟი და ერთი ქალიშვილი ჰყავდა, ფოტინე, მზესავით ნათელი, ქერა, შველივით გოგონა, — ძველი ბერძნული, კლასიკური სილამაზის განსახიერება იყო. ფიდიასი და პრაქსიტელე ალბათ უარს არ იტყოდნენ ასეთი ცოცხალი ნიმუშისაგან ქალღმერთის ძეგლი ან ცოდვილი ფრინა გამოეძერწათ. მაგრამ უბრალო მეთევზის ქალიშვილი ფოტინე ცხოვრობდა მეოცე საუკუნეში, მივარდნილ, პროვინციულ ნავსადგურში, ქალაქ ფოთში (რომელიც უფრო დაბას ჰგავდა მაშინ) და როგორც ყოველი ბერძენი მშრომელი ქალი, დღედაღამ მოუსვენრად მუშაობდა.

ორი ქართველი მეზღვაური პირველი დღიდანვე ფოტინეს თაყვანისმცემელი გახდა, ორივეს ერთად შეუყვარდა ეს მშვენიერი გოგონა. ფოტინემ უპირატესობა დამენიას მიანიჭა. ჭკვიან და ეშმაკ იორიკის თვალებს არ გამოეპარა ჭაბუკების გულის დარდი, მან ისარგებლა პირველი მსოფლიო ომით და მალე ორივე მეგნურს ჯარში უკრა თავი.

ჭაბუკები შავი ზღვის სამხედრო ფლოტის მატროსები გახდნენ. შემდეგ კი ამბავი ელვის სისწრაფით განვითარდა. ომი. რევოლუცია. აჯანყება სამხედრო ხომალდზე, რომელშიაც ჩვენი ნაცნობი ვაჟებიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ, მალე ისინი ბოლშევიკურ პარტიაში შევიდნენ და ხალხის საქმისათვის თავგამოდებით იბრძოდნენ.

დამთავრდა ომი, გაიმარჯვა რევოლუციამ და 1921 წლის თებერვალში ისინი თავის ნავსადგურს დაუბრუნდნენ. ფოთის მუშებთან და მეზღვაურებთან ერთად, ქართველ ხალხთან ერთად ჩვენში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებას შეუდგნენ.

ბებერმა იორიკმა ყველაფერი აწონ-დაწონა, ყველაფერი გაზომა თავისი პრაქტიკული ჭკუით, ყველაფერი შეიგნო, თუმცა დიდი აღტაცება არ გამოუთქვამს თავის ყოფილ მოჯამაგირეებთან შეხვედრისას. მისი შვილები კი, დამენიასა და ქორქიას ხნის ბიჭები, აღტაცებით შეეგებნენ საბჭოთა ხელისუფლებას, ისინიც თანაუგრ-

ძნობდნენ ბოლშევიკურ პარტიას და იმ დღიდან მათი ერთადერთი ოცნება საბერძნეთში რევოლუციის მოხდენა შეიქნა.

იორიკ კალიფატიდი ახლა აღარ იყო წინააღმდეგი თავისი ლამაზი ქალი ერთ-ერთი ამ „წითლისთვის“ მიეთხოვებინა. რაც შეეხება ფოტინეს, მისი გული ისევ ძგერდა სიყვარულით დამენიასადმი და მას გაჰყვა ცოლად. უბედური ქორქია სამი დღე-ღამე სამიკიტნოდან არ გამოსულა, სვამდა, დარდს ღვინოში იკლავდა, ჯავრს იმაზე იყრიდა, ვინც მის მიწოდებულ ღვინოს არ დალევდა, ამფსონად არ გაუხდებოდა. ბოლოს დაწყნარდა, როგორც ზღვა დიდი ქარიშხლის შემდეგ, თავი იმითღა ინუგეშა, რომ ფოტინე მის საუკეთესო მეგობარს მაინც გაჰყვა და გადაწყვიტა, არასოდეს ცოლი არ შეერთო.

გადიოდა წლები. ფოტინემ თავის საყვარელ კლიმას — ასე ეძახდა ქმარს — სამი ვაჟიშვილი აჩუქა. კლიმენტი ნავსადგურში მუშაობდა თავის მეგობართან ერთად. იორიკი კი ვაჟებით საბერძნეთში გაემგზავრა. ამბობდნენ, რომ იქ ერთი კარჩაპი შეიძინა და კარგ ფულსაც შოულობდა თავის უმცროს ვაჟთან ერთად, დანარჩენმა ოთხმა ვაჟმა კი დროებით გადადო რევოლუციაზე ოცნება და ვაჭრობას მიჰყო ხელი...

ფოტინესა და კლიმენტის ვაჟები (მართლაც ზღაპრული ბიჭები იყვნენ: ჯანსაღები, ზედმიწევნით გულკეთილები. ერთი შავი იყო, მეორე ქერა, მესამე კიდევ თითბერნარევ ბრინჯაოს ქანდაკებას ჰგავდა. რა დედამ შობაო, იტყოდა მათი მნახველი) გაჰყვნენ მამისა და ბაბუას კვალს და ისინიც შავი ზღვის ფლოტის მატროსები გახდნენ. ეს იყო მეზღვაურთა სასიქადულო დინასტია. კლიმენტის ოთახის კედლები დაფარული იყო მათი სიგელებითა და მადლობის ნიშნებით.

დაიწყო სამამულო ომი და ძმები დამენიები პირველი დღიდანვე ცეცხლის მოწინავე ხაზზე აღმოჩნდნენ. „ვებრძვით მტერს, დედას ვუტირებთ ფაშისტებს!“ — წერდნენ ისინი მშობლებს.

ომის მეორე წელს სამივენი ბრძოლის ველზე დაეცნენ, როგორც ნამდვილი გმირები და პატრიოტები. უფროსს დაღუპვის შემდეგ საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

ფოტინემ ვერ აიტანა მწუხარება და შვილებისადმი სიყვარულით სავსე მისი გული სამუდამოდ გაჩერდა. ასე დარჩა მარტოდმარტო ჩამქრალ კერიასთან კლიმენტი დამენია. მასთან ერთად ქორ-

ქიამაც დაკარგა ერთადერთი არსება, ვინც ქვეყნად ყველაზე ძვირფასი იყო მისთვის — ფოტინე, ომის დასასრულს ორივე ღრმად მოხუცს ჰგავდა, თუმც წლოვანებით არც ისე ბებრები იყვნენ.

აი, რატომ დადგა აქ დარაჯად დამენია. უნდოდა დაეცვა, მოეევლო ომში დაღუპული მეომრების საფლავებისათვის. ეგონა, რომ ამით თავისი შვილების საფლავებს უვლიდა, რომლებიც, ღმერთმა უწყის, სად იყვნენ დამარხულები, თუკი საერთოდ ეღირსათ დასაფლავება. მასთან ერთად მოვიდა მცველად მისი განუყრელი მეგობარი ქორქიაც.

ფიქრებისაგან გამოვერკვიე და მეზღვაურებთან ერთად განვაგრძე კონსტანტინე რაუზეს საფლავის ძებნა. ეგებ მოხუცი შეცდა და კონსტანტინეს ნეშტი ახალ სამარეში გადაიტანეს-მეთქი, მაგრამ ტყუილად ვეძებდით. საათის განმავლობაში შემოვიარეთ მთელი სასაფლაო, წაუკითხავი არ დაგვიტოვებია არც ერთი წარწერა, ორჯერ-სამჯერ ვსინჯავდით ყოველ მათგანს, ძლივძლივობით, დიდი წვალებით ვკითხულობდით ზღვის წყლისაგან წაშლილ, დაჟანგულ წარწერებს... ამაოდ ჩაგვიარა შრომამ!..

დაღლილები, გამწარებულები დასასვენებლად ჩამოვსხედით და დამენიამ დაიწყო იმ საშინელი ღამის ამბის მოყოლა.

ღამისით უჩვეულო სიწყნარე იყო, მოხუცებმა ყვავილებში ჩაფლული საფლავები დაათვალიერეს და ნელი ნაბიჯით გაემართნენ ზღვისკენ; დასხდნენ გრძელ სკამზე და ტკბებოდნენ ზღვის ყურებით, ლამაზი მზის ჩასვლით... ზღვა ამშვიდებდა, დარდსა და ვარამს უქარვებდა მათ. ისე ისხდნენ, თითქოს შვილების დაბრუნებას ელიანო.

მართლაც, უჩვეულოდ ლამაზი, პატარძალივით ჩუმი იყო ზღვა იმ საღამოს.

მოხუცები ადრე წავიდნენ დასაძინებლად. კლიმენტის მშვიდად ეძინა. საოცარია, იმ ღამეს, ამ ათეული წლის განმავლობაში პირველად დაესიზმრა შვილები. საშინელი სიზმარი ნახა. მას შემდეგ მუდამ შიშით იძინებს, კიდევ არ ვნახო ასეთი სიზმარი შვილებზეო. ისინი ერთიმეორის გვერდით სამ ღია საფლავში იწვნენ, ლამაზი სახეები ისე ჰქონდათ დასახიჩრებული, ვერც კი იცნობდით, და ცრემლმორეული თვალით იხვეწებოდნენ, მიწა მოგვაყარეთო. სიცივისაგან იკრუნჩხებოდნენ, იყინებოდნენ...

მოხუცმა განწირული ხმით დაიყვირა და ალბათ კიდევ დიდხანს

იყვირებდა, ქორქიას რომ არ გაეღვიძებინა, ქორქია მეგობრის სასთუმალთან იდგა და ცივ ოფლს სწმენდდა შუბლიდან. კლიმენტიმ გაიღვიძა და ბავშვივით ატირდა.

ამ დროს ზარების რეკა გაიგონეს. ეზოდან საშინელი ხმაური მოისმოდა: ქარი ღმუოდა. ზღვა გუგუნებდა. მოესმათ სირენის კივილიც.

მოხუცებმა სწრაფად ჩაიცვეს და ეზოში გაცვივდნენ. რაც იქ დაინახეს, ნამდვილი საშინელება იყო.

ღელვა და ქარიშხალი ათ ბალს აღწევდა. სასაფლაო სულ ერთიანად წყლით იყო დაფარული, ზოგი საფლავი დაემსხვრია და მკვდრები ცალკე ტივტივებდნენ, კუბო კიდევ ცალკე... მატროსის ქუდები, მაისურები, მაისურები...

ამ დროს იელვა, მოხუცებმა წამით დაინახეს ზღვა, მაგრამ ნეტა კი არ დაენახათ! ზღვა თითქოს ნაპირზე გადმოსვლას და ქვეყნის წალეკვას ლამობდა. ორსართულიანი სახლის ოდენა ტალღები ნაპირისკენ მიჰქროდნენ, გემები შველას ითხოვდნენ.

კვლავ იელვა, გავარდა მეხი, დაეცა სასაფლაოს. კვიპაროსებმა ერთიმეორის მიყოლებით ზღართანი მოადინეს მიწაზე. მოხუცებმა სწრაფად ახსნეს თავისი ძველი ნავები, აანთეს ფარნები და ადუღებულ, მაგრამ ცივი ზღვიდან მკვდრების ამოყვანა დაიწყეს.

ცრემლი ახრჩობდა კლიმენტის, იცნობდა თითოეულ მკვდარს, ყოველი მათგანის დაკრძალვას ესწრებოდა.

აი, მაიორი, რომელიც აოცებდა მოხუცს თავისი ღიმილით. აიტაცა მაიორის ნეშტი და ნავში ჩადო. მკვდრები ისე საღი ჩანდნენ, თითქოს გუშინდელი დამარხულები ყოფილიყვნენ. მოხუცები მიხვდნენ, რომ მარილიანი ზღვის წყლით გაჟღენთილმა მიწამ შეინახა ისინი ასე უვნებლად.

— ვიჭერდით, ვდებდით ნავში, გამოგვქონდა ნაპირზე და ვაწყობდით შუქურის ძირას, მაგრამ ვგრძნობდით, რომ მარტო ვერას გავაწყობდით ბუნების სტიქიასთან, ეს ჩვენს ძალ-ღონეს აღემატებოდა. ამხელა სასაფლაო და ჩვენ, ორი უბადრუკი, მწუხარებით მოტეხილი მოხუცი. ზღვა კი არ ისვენებდა, უფრო და უფრო ღრმად იჭრებოდა ნაპირზე და ახალ საფლავებს იტაცებდა...

— ზღვა თუ მოენატრათ მატროსებს. ვაი, ჩვენი ბრალი! — თვალცრემლიანი, ნერვიული დაძაბულობით აკანკალებული, ჰყვებოდა კლიმენტი.

ამ დროს თურმე სანაპიროს დაცვის პროჟექტორმა გაანათა ზღვა და სასაფლაო, მოხუცებმა დაინახეს დაღუპული მეომრები. ახლა ისინი მეორედ იღუპებოდნენ.

დამენიამ საჩქაროდ გაიხადა და ზღვაში შევიდა. ქორქია ისე გააოცა ამხანაგის საქციელმა, დაძახებაც კი ვერ მოახერხა, იფიქრა, გაგიჟდაო. მაგრამ არ გასულა რამდენიმე წუთი და თვითონაც მიბაძა მეგობარს. პროჟექტორისტმა, როგორც ჩანს, შეამჩნია ისინი და აღარ აშორებდა მათ შუქს.

მოხუცები ნავში ასვენებდნენ მიცვალებულებს, გამოჰქონდათ ნაპირზე, ცლიდნენ ნავებს, კვლავ იჭერდნენ გვამებს და კვლავ ნაპირზე გამოჰქონდათ.

ღონე ელეოდათ, აღარც ფეხი ემორჩილებოდათ, აღარც ხელი, სიცივისაგან გაითოშნენ, საძრაობა დაკარგეს, მაგრამ მაინც არ ჰყრიდნენ ფარ-ხმალს. კლიმენტიმ ხელი სტაცა ფარანს, სახლის სახურავზე ავიდა და დაიწყო „SOS"-ის სიგნალების მიცემა. სიგნალს სანაპირო დაცვის კატარღას აძლევდა. კატარღა სასაფლაოსკენ წამოვიდა, ჯიქურ მოაპობდა მძვინვარე ტალღებს.

კატარღიდან იკითხეს: რა მოხდაო?

კლიმენტიმ ძლივს გაიხსენა ზღვის კოდი და ფარნის შუქით გადასცა კატარღას სასაფლაოზე მომხდარი უბედურების ამბავი. ქორქიაც არ იჯდა გულხელდაკრეფილი, კოდის ნიშნებს კარნახობდა კლიმენტის.

— ხომ არ გაგიჟდი, მოხუცო! — უპასუხეს კატარღიდან. მკვდრებისთვის სადა გვცალია, ტრაულერის დასახმარებლად მივდივართო.

რაღას იზამდა კლიმენტი! რასაკვირველია, პირველ რიგში ტრაულერი უნდა გადაერჩინათ. მოხუცი ძველ შუქურაზე ავიდა. გაკვირვებისაგან სახტად დარჩა. იქ ქორქია დახვდა. პროჟექტორს აწესრიგებდა. როგორც კი პროჟექტორი აინთო, კლიმენტიმ ბერკეტს ხელი სტაცა, ტრიალი დაუწყო — პროჟექტორი ძლიერ შუქს ჰფენდა ზღვას.

მალე სახანძრო რაზმი მოვარდა სასაფლაოზე, მეხანძრეები გადმოხტნენ მანქანიდან. მეთაური კლიმენტისთან მიიჭრა:

— აბა, გვიჩვენე, გვიჩვენე, მოხუცო, რა გავაკეთოთ!..

მეორე დღის შუადღისათვის ზღვა დაწყნარდა.

ქალაქის ხელისუფლებამ და საზღვაო-სამხედრო ნაწილმა სა-

საფლაოს გალავანი შემოარტყეს. მოიტანეს სახლის ოდენა ქვები და სასაფლაო წყლისაგან გადაღობეს. მიწა რომ გაშრა, მიცვალებულთა დამარხვას შეუდგნენ. მოხუცებმა თითქმის ყველა მიცვალებული იცნეს, ამან გააადვილა საფლავის ქვაზე გვარების დაწერა.

სამოქალაქო პანაშვიდზე და დასაფლავებაზე დიდძალი ხალხი მოვიდა, მოვიდნენ პიონერები, მოწაფეები, სტუდენტები, უკრავდა სასულე ორკესტრი. მეორედ მარხავდნენ გმირებს.

— როგორ უყვარდა საბრალოს ზღვა! — წყანარად ვთქვი და თვალწინ დამიდგა ჩემი მეგობარი.

სიჩუმე ჩამოვარდა. არაფრის თქმა არ შეიძლებოდა მოხუცის ნაამბობის შემდეგ. მასპინძლებს გამოვემშვიდობეთ და ტრაულერზე ავედით.

პატარა გემს, რომელმაც ჩვენ აქ მოგვიყვანა, „შოთა რუსთაველი“ ერქვა.

კაპიტანმა ბრძანება გასცა, დაღუპულ მეზღვაურთა ხსოვნის აღსანიშნავად, ზალპი მიეცათ. მატროსები მწყობრში ჩადგნენ და ბრძანების თანახმად ათჯერ გაისროლეს ჰაერში.

გამომშვიდობებისას კლიმენტის ცრემლი ჩამოუგორდა დანაოჭებულ ლოყაზე. ჩვენ რომ არ დაგვენახა, მოხუცმა სწრაფად მოიწმინდა კურცხალი დაკოჟრილი, ბებრული ხელით...

მოგზაურობა აწმყოში

დილაადრიან გავემგზავრეთ ტეხურის საბჭოთა მეურნეობაში, საზღვაო-სამხედრო სასაფლაოზე ყოფნის შემდეგ ძალიან ცუდ გუნებაზე ვიყავი. არ ვიცი, რამდენ ხანს ვიარეთ, აქეთ-იქით არც ვიყურებოდით.

— ტეხურის საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზე შევდივართ,— მითხრა იურიმ, — მაგრამ მეურნეობის კანტორამდე კიდევ კარგი ძალი სავალია.

ევკალიპტების ხეივნით მივდიოდით, სუფრასავით სწორ, მოასფალტებულ გზატკეცილზე, რომელიც უფრო ავტოსტრადას ჰგავდა, ყვავილების, ხეების, მცენარეების საამო, შესანიშნავი სუნი იდგა. სადღაც ჩიტი გალობდა. იურის ვთხოვე, ნელა ევლო. მან

ირონიულად გააქნია თავი, ჩაიღიმა და მანქანის სვლა შეანელა. აი რას მეტყველებდა მისი ღიმილი: „უცნაური ხალხია ეს ჟურნალისტები, აბა რა დაინახა აქ ისეთი! ევკალიპტები, ბამბუკი, ჩაი, ციტრუსები... მთელი კოლხეთი ასეთი არ არის? შოფერი ასე ოცდაერთი-ოცდაორი წლის იქნებოდა და, რა თქმა უნდა, უჭირდა იმის წარმოდგენა, რომ ოდესღაც ეს ადგილები გაუვალი ჭაობითა და ტყით იყო დაფარული. აქ იმალებოდა მაცი ხვიტია და ათავისუფლებდა სამეგრელოს თავადაზნაურებისაგან თურქ ვაჭრებზე გაყიდულ ყმებს. ის ჭაობები მაშინ მათი მხსნელი იყო.

რიგ-რიგობით გვხვდებოდა გზაში სიმინდის, ციტრუსების, ჩაის მინდვრები. პლანტაციებს ოთხივე მხარეს ქარებისაგან იცავენ ალვის ხეები და ევკალიპტები. ისევ ბეჩო მომაგონდა, ნახატები დუქნის კედლებზე. როგორ ჰგავდა მაშინდელი მისი ნახატები ზღაპარს, ოცნებას! ბეჩოს ფრესკებმა ოცდაათი წლის შემდეგ შეისხეს ფრთები.

იურიმ სიმღერა წამოიწყო: «Листья летят, наверно снится им весна». ალბათ არ არის ნელ სვლას ჩვეული, ამიტომ დაიწყო სიმღერა. ეს რუსი ყმაწვილი აქ დაიბადა და გაიზარდა, ამიტომ ყველას იცნობს ზუგდიდიდან დაწყებული, ცხაკაიათი და ფოთით დამთავრებული. თავის თავს ჩემს გიდად თვლის და საკმაოდ კარგად მიხსნის ყველაფერს, რასაც შევეკითხები. თავი სერიოზულად უჭირავს, ასე მგონია რაიონული გაზეთის მოწინავეს ვკითხულობ, ისე აქვს გაზეპირებული პასუხები ჩემს გიდს.

— შეხედეთ, — მეუბნება იური, — პლანტაციები გარშემორტყმულია ქარსაცავი ხეებით. დააკვირდით, აქ ხეების სამი რიგია: ალვის ხეები, ცაცხვის და ისევ ალვის. სამივე რიგი საიმედოდ იცავს პლანტაციას. რიონის ხეობიდან ძლიერი ქარები მოვარდება ხოლმე.

— შენ ნამდვილი აგრონომივით ლაპარაკობ, იური!

— სხვაგვარად არც შეიძლება — თავმომწონედ მომიგო მან, — შემოდგომაზე სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ვაპირებ შესვლას. — ისე თქვა ეს სიტყვები, თიოქოს დარწმუნებული იყო, რომ აუცილებლად ჩააბარებდა გამოცდებს.

უცებ დაამუხრუჭა მანქანა. კინაღამ წინ წავვარდი და თავით დავეტაკე სარკმელს. გაოცებულმა შევხედე იურის, მან კი გზისკენ მიმითითა: მანქანის წინ ტანმორჩილი დედაბერი იდგა, ხელში

უშნოდ გამოჩორკნილი ჯოხი ეჭირა. დავაკვირდი. თვალს არ ვუჯერებდი. ჩემი ძველი ნაცნობი, სოფელ ჯვარის კოლმეურნე, ასოცდაოთხი წლის საქებარ მარგია იყო.

— გამარჯობათ, საქებარ, საიდან სად?

საქებარმა ხელით შუბლი მოიჩრდილა, თვალი მოუუტა, ცნობისმოყვარეობით ამაოვალ-ჩამათვალიერა. მანქანიდან გადმოვედი და ორივე ხელი გავუწოდე მოხუცს.

— აა, შენა ხარ, შვილო, — გაუხარდა საქებარს და ბეჭგზე თავისი გამხმარი, ძარღვებიანი ხელი მომიცაცუნა — აი, ხომ ხედავ, ისევ შევხვდით ერთმანეთს, ვიწროა ქვეყანა, ჩემო შვილო. ჯვარიდან მოვდივარ სტუმრად ჩემს საყვარელ დოროთესთან.

— თქვენი ნათესავია თუ?

— ამ ქვეყნად ჩვენ ყველანი ნათესავები ვართ... იმ ქვეყნისა კი რა მოგახსენოთ...

— კი მაგრამ, ნუთუ ფეხით...

— ჩემი ფეხები ამ მანქანის ბორბლებსა ჰგავს. ჰო. ფეხით მოვდივარ, ამიტომ ვცხოვრობ ამ ქვეყანაზე ასე დიდხანს. გზაში თუ ძალიან დავიღალე, კეთილი შოფრების მეტი რაა. აი, ასეთი კეთილი ბიჭები, როგორც შენი შოფერია, ყველა მიცნობს, გააჩერებენ მანქანას და ცოტას ქე გამატერებენ სოფლიდან სოფლამდე...

ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა! ვერ წარმომედგინა, რომ ამ ხნის ქალი ასე იოლად გამოივლიდა ამოდენა გზას.

— ძალიან გამიხარდა, შვილო, შენი ნახვა, — მითხრა საქებარმა, როცა ჩაჯდომაში ვეხმარებოდი, — წავიკითხე შენი დაწერილი წიგნი ჩემზე... ღმერთო ჩემო, რატომ შეწუხდით ასე, — მოულოდნელად თქვენობით დამიწყო ლაპარაკი. — ამდენი ქება გამიგონია, შე კაი კაცო, არ ვარგა, არა! კიდევ კარგი, რომ ოცი წლისა არა ვარ, თორემ თავბრუ დამეხვეოდა... ისე კი ახალგაზრდები უნდა აქო, შვილო, ეს ერთგვარი წაქეზება იქნება მათთვის. აბა, მე რათ მინდა ქება. თუ ღმერთთან მატან ამ ქებას, ჰო, სწორი ხარ, შეიძლება არც მიმიღოს იმ დალოცვილმა, მითხრას, ამდენ ხანს სად დაეხეტებოდი, დროზე ვერ მოხვედიო!

შოფერს სიცილი აუტყდა (იურიმ მშობლიურ ენასავით იცოდა ქართული).

— რა გაცინებს, ბიჭო, ტყუილს ვამბობ თუ?

— დაუტატახა იურას საქებარმა და ისევ მე მომიბრუნდა:

— დოროთესთან მიდიხარ? ალბათ გაზეთში უნდა გაწერო. დაწერე, შვილო, დაწერე, ოღონდ კარგად დაწერე, დოროთე ნამდვილი მშრომელი და ბრძენი ქაცია ხომ ხედავ, რა სამოთხე აგვიშენა ამ ოდესღაც გაუვალში? ტყუილად ხომ არ მისცეს გმირობა, აბა ჩემისთანა მომუშავე ვის რად უნდა.

— კიდევ მუშაობთ, ბებია საქებარ!

— რას მიქვია კიდევ? აბა, პურს შენ მაჭმევ? მაგისთანა რამე აღარ გამაგონო! როგორ თუ არ ვმუშაობ! ყოველ წელიწადს ვკრეფ ჩაის!.. ვიცი, ყოველ წელიწადს სულ უფრო ნაკლებს ვკრეფ, მაგრამ რას იზამ, ვბერდები... ეჰ, რა არ გადამხდენია, რა არ მინახავს, რა არ განმიცდია!

— მაცი ხვიტია თუ გახსოვს, საქებარ?

— მაციც მახსოვს, ეკა ჭავჭავაძე ოსურპატონიც და უტუ მიქავაც... მოვწონდი მე იმ ყაჩაღს.

იურის ისევ ჩაეცინა ულვაშებში, მაგრამ მე შევუბღვირე და სახე მოგვარიდა.

— ო, რა ვაჟკაცი იყო ორივე, მაციც და უტუც. უტუ დინჯი იყო, წერა-კითხვა იცოდა, ბრძენს ვუწოდებდით... მაცი კი, ვო მაცი!.. აქ, ამ ჭაობებში ისე გაძვრებ-გამოძვრებოდა, რომ... შიშის ზარს სცემდა თურქებს და ჩვენს ბატონებს...

საქებარი გაჩუმდა, ფიქრებმა წაიღო, ალბათ ასი წლის წარსულს იგონებდა, როდესაც გრძელნაწნავიან ცუგრუმელა გოგოს უტუ მიქავა ეტრფოდა და ვინ უწყის, კიდევ რა იყო ასი წლის წინათ.

— ერთი წელია, რაც აქ არ ვყოფილვარ, — ისევ დაიწყო საქებარმა, — და შეხედე, რამდენი რამე გაუკეთებია ამ დალოცვილ დოროთეს... აფერუმ, მე და ჩემმა ღმერთმა, აფერუმ, დოროთე. ასეა, როცა ადამიანს შრომა უყვარს! შეხედე, შეხედე, დიდუ, დიდუ, ამას რას ვხედავ, ნანაია მარჯა! — იცინოდა საქებარი. — შეხედეთ, დოროთეს ტრაქტორი მიჰყავს, ტრაქტორი!

მეგონა, მოხუცს ეჩვენება-მეთქი, მაგრამ არა, როგორც იურამ დამიმოწმა, დოროთე შამათავა, სოციალისტური შრომის გმირი, მეცნიერებათა კანდიდატი და ამ მეურნეობის დირექტორი მართლა იჯდა ტრაქტორის საჭესთან.

— ვო, დოროთე, ბიჭო, ჩამოდი მაგ ეშმაკის კერძიდან, დირექტორს არ ეკადრება... შეხედე, რა სტუმრები მოგიყვანე!..

არ ვიცი, გაიგონა თუ არა შამათავამ დედაბრის ძახილი, მაგრამ ტრაქტორი გაჩერდა, კაბინიდან ოცი წლის ბიჭივით გადმოხტა ქერა, ჯმუხი, შუახნის ვაჟკაცი და ჩქარი ნაბიჯით გამოემართა ჩვენსკენ.

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება! — მომესალმა დოროთე შამათავა. მან უკვე იცოდა ჩემი ჩამოსვლის ამბავი.

— ოო, საქებარ, როგორ მასიამოვნე, ასეთი სტუმარი რომ მოიყვანე. შენც ხომ მოსკოვიდან არ მოჰყვები! — გაეხუმრა მოხუცს, მერე, თითქოს ჩვენს წინ თავს იმართლებსო, მოიბოდიშა: — ჩვენს ტრაქტორისტს ვაჟი შეეძინა და როგორ არ გამეშვა სოფელში. სხვა ტრაქტორისტებს საქმე ყელამდე აქვთ და ვიფიქრე, ცოტას წავიმუშავებ-მეთქი; ახალგაზრდობა გავიხსენე.

— მგონი, ხელი შეგიშალეთ...

— რასა ბრძანებთ, ერთი საათის სამუშაო დარჩა, სადილის შემდეგ მოვათავებ. წამობრძანდით, ბატონო.

არა, კოლხეთიდან ლეგენდარულ არგონავტებს ოქროს ვერძი არ მოუტაცნიათ. აქ ახლა ახალი ლეგენდა იქმნება და ამ ლეგენდას შრომის ადამიანები ქმნიან.

პოეტის უკვდავება

ეს იყო 1942 წლის დეკემბერში. ფაშისტი მტაცებლები კავკასიონთან მოსულიყვნენ. ბრძოლები მიმდინარეობდა სვანეთის მისადგომებთან. თბილისი თავდაცვისათვის ემზადებოდა, ყველა, დიდი თუ პატარა, მობილიზებული იყო ამ საქმისათვის.

მოქანცული ვიჯექი შტაბში და ვიგონებდი წარსულის დღეებს. დიდი ხანია არ მომდიოდა სამკუთხა წერილები ფრონტიდან. დუმდნენ ჩემი საუკეთესო მეგობრები. კოლია პროტოპოპოვი თავისი თვითმფრინავით დაჰქროდა შავი ზღვის სანაპიროებზე და შიშის ზარს სცემდა მტერს. სამხედრო ექიმი, მეზღვაური კონსტანტინე რაუზე ომობდა და ჰკურნავდა მატროსებს ბალტ-ფლოტის კრეისერზე; კაკო ბოხუა იცავდა ლენინგრადს, რომელიც ომის დაწყების დღიდან მისი მშობლიური ქალაქი გახდა. ყველაზე უმცროსი მეგობრის, პოეტ მირზა გელოვანის შესახებ კი მე დიდი ხანია არაფერი ვიცოდი... ჯერ კიდევ 1939 წელს ჯარში გაწვეული, იგი მონაწილეობდა თეთრფინელთა წინააღმდეგ ბრძოლებში. ამ ხნის განმავლობაში მას არ შეუწყვეტია ჩემთან მიწერ-მოწერა, მაგრამ სამამულო ომის დაწყების შემდეგ, არც ერთი წერილი არ მიმიღია მისგან. არ ვიცოდი რა ბედი ეწია.

ფიქრებმა გადამისროლა ჩემს მშობლიურ ქალაქ სოხუმში... მომაგონდა მირზა გელოვანთან განუწყვეტელი კამათი ლიტერატურაზე, პოეზიაზე, სიყვარულზე, ადამიანის დანიშნულებაზე.

განსაკუთრებით მაგონდებოდა ნავით გასეირნება მაისის ერთ საღამოს: ვკითხულობდით ლექსებს... ზღვა იყო წყნარი, მთვარის შუქით განათებული. მირზა კითხულობდა თავის ახალ ლექსებს, იგი პოეტად იყო დაბადებული და არც ერთი წუთით, არც ერთი წამით არ ავიწყდებოდა პოეზია. რამდენი აღტაცება, წმინდა ოც-

ნება, რაოდენი სიყვარული იყო ამ რომანტიკულ ჰაბუკში! იგი გაოცებულ ბავშვს ჰგავდა: უბრალო, გულწრფელი, თავაზიანი. ლურჯი, მუდამ ანთებული თვალები ჰქონდა. ბუნების ნამდვილი შვილი, წეურიგებელი რაინდი იყო ცხოვრების ყოველგვარ უკუღმართობასთან, უწმინდურებასთან.

ნავიდან მისჩერებოდა მთებს, გაღაჟღაჟებულ ქალაქს და მიზიარებდა თავის გულისნადებს:

— რა საოცარია ცხოვრება, კოლია, შეხედე რა უცნაურია ეს ღამე, ეს ქალაქი, რამდენი პოეზიაა ირგვლივ და მე ზოგჯერ ჯავრი მომდის, ასე მგონია, ცრემლები წამსკდება თვალებიდან, რადგან უძლურებას ვგრძნობ ყოველივე ამის გამოსახატავად. აბა, როგორ მოვათავსო მთელი ეს დიდებულება ლექსის სტრიქონებში?... ვერ მიმიგნია ნამდვილი პოეტური მწვერვალებისათვის. შევძლებ კი მივაღწიო?... ასე მგონია, ვდგავარ შემოქმედების მწვერვალის წინ უძლური, უსუსური... და მაინც უდრეკი ალპინისტივით არ ვეშვები ჩემს მიზანს — უნდა დავიპყრო მწვერვალი... მაგრამ ვაი, თუ... — ის კარგა ხანს დუმდა და შემდეგ განაგრძო:

— გახსოვს ანდრეი ბელი?

«Золотому блеску верил,
А умер от солнечных стрел,
Душой века измерил,
А жизни прожить не сумел»...

ვაი, თუ მეც ასე მომივიდეს!..

ტელეფონის ზარმა გამომარკვია მოგონებიდან. მადლობა ღმერთს, როგორც იქნა, ამუშავდა ტელეფონი... ვტაცე ხელი მილს და ძლივს გავიგონე ცოლის შორეული ხმა: „ჩქარა მოდი, სახლში სიურპრიზი გელოდება, ნუ დააყოვნებ! იჩქარე, დღესვე მიემგზავრება...“

„ვინ მიდისო, რა სიურპრიზი, რას მეუბნებოდა?...“ იმ წუთშივე გამოვვარდი შენობიდან და ერთ საათში ფეხით გავიარე ხუთი კილომეტრი. ძლივს მივაღწიე სახლამდე. კარებში მიცდიდა ცოლი, სახეგაბრწყინებული, იღიმებოდა. მან ფართოდ გამიღო კარი და მითხრა: „აბა, შეხედე, ვინ გელოდება!“ ოთახის შუაგულში იდგა საზღვაო ოფიცრის ფორმაში გამოწყობილი კონსტანტინე რაუზე!.. საკუთარ თვალებს არ ვუჯერებდი. მხურვალედ გადავეხვიეთ ერთმანეთს.

კოსტიას ეჩქარებოდა, ღამის ათ საათზე გადიოდა მატარებელი შავი ზღვის სანაპიროსაკენ. იგი ბალტიკიდან მოდიოდა. მისი გემის დაღუპვის შემდეგ სამხრეთის ფრონტზე გადაისროლეს. ორი თვის განმავლობაში მოდიოდა ალყაშემორტყმულ ლენინგრადიდან და პარტიზანებისა და ბელორუსიის ფრონტის სამხედრო ნაწილების დახმარებით, თავის ამხანაგებთან ერთად, ჩამოაღწია საქართველომდე.

ჩვენ ვიჯექით და ვდუმდით, არ ვიცოდით, რაზე გველაპარაკა, იმდენი გვქონდა სალაპარაკო და იმდენად მოულოდნელი იყო ჩვენი შეხვედრა, ამ შეხვედრით გამოწვეული სიხარული. შემდეგ კოსტიამ შეიხსნა კიტელი, გულის ჯიბიდან კარგა მოზრდილი პაკეტი ამოიღო და გამომიწოდა. ჩუმად გავხსენი წერილი და გაოცებისგან ენა დამება, ეს იყო ჩემი მეგობრის, მირზა გელოვანის ცამეტი ლექსი, ფანქრით მწყობრად დაწერილი.

— მშვენიერი ლექსებია... — როგორ ვწუხვარ, რომ აქამდე არ ვიცოდი. რა შესანიშნავი პოეტი ყოფილა გელოვანი!

— წერილი არ გამოუგზავნია? — ვკითხე მე.

— ვერ მოასწრო, მთხოვა სიტყვიერად გადმომეცა, რომ ამ დღეებში მოგწერს. — კოსტიამ მომცა მისი საველე ფოსტის ნომერი. შემდეგ დახედა საათს და როცა დარწმუნდა, რომ ცოტაოდენი დრო კიდევ დარჩა, მთხოვა მეთარგმნა მისთვის ლექსი. გაისმა მწუხარე და შურისძიებით აღსავსე სტრიქონები:

„ტყვიები, სისხლი, დაჭრილის ბოდვა
სხვა მოგონებებს, არ დამანებებს.
როგორ სციოლ(ა)თ, როგორ სციოდათ,
როგორ სციოდათ შემოღამებებს.
ჩვენ შორის გაწყდა გზები, თუ აზრი,
და როგორც სუნთქვა თრთოლვით გათავდა.,
და ყინვა ფინურ დანაზე ბასრი
ლენინგრადისკენ გზას გვიკაფავდა.
და როცა რკინა ტყვიამ დაძენძა,
როცა დაუშვეს ფრთები ანძებმა,
საძმო საფლავში იწექ ნაძვებთან,
ვერ ესწრებოდი ჩვენს გამარჯვებას.
ბთგან ნახმლევი და ნატყვიარი
და მე მესმოდა ქარის შრიალი,
სწორებთან სდუმდი, გიძმეს სწორებმა.
როგორც შენი ხმის განმეორება“.

წუთით გრძელდებოდა დუმილი. შემდეგ კოსტიამ ასწია თავი და ცრემლნარევი ხმით წარმოსთქვა:

— ჰო, მან მიამბო, როგორ დაიღუპა მისი იაროსლაველი მეგობარი ფრონტზე, — კოსტიამ ამოიოხრა, — ამ ლექსების შემდეგ მე ის შემიყვარდა, როგორც მკვიდრი ძმა, როგორც ნამდვილი მეგობარი... აბა, კარგად დაუფიქრდი, ირგვლივ მხოლოდ ცეცხლი და სიკვდილია, იგი კი იბრძვის კიდეც და ასეთ ლექსებსაც წერს!.. როგორი ვაჟკაცი უნდა იყოს ადამიანი, რა გამძლე და გამარჯვებაში დარწმუნებული...

კოსტია მართალი იყო, ლექსები ნამდვილად დაწერილი იყო პოეტის „საკუთარი ნერვების წვენითა და საკუთარი გულის სისხლით“.

* * *

მე გავაცილე კოსტია. ჩვენ უსიტყვოდ დავემშვიდობეთ ერთმანეთს, ან რაზე უნდა გველაპარაკა იმ საშინელ წუთებში? მხოლოდ გამომშვიდობებისას კოსტიამ ჩვეული მხნეობით მითხრა: — დამთავრდება ომი, კვლავ შევიკრიბებით და წავიკითხავთ ლექსებს.

ომი დამთავრდა... მაგრამ აღარ დაბრუნებულან: კოსტია რაუზე, მირზა გელოვანი, ნიკოლოზ პროტოპოპოვი, კაკო ბოხუა...

კოსტია რაუზესთან შეხვედრის შემდეგ მირზასაგან წერილი მივიღე 1942 წლის 24 დეკემბრით დათარიღებული.

„ძმაო კოლია!

ზამთარი მოვიდა ჩრდილოეთიდან. შეთეთრდნენ, შელამაზდნენ მწვანე ნაძვის ხეები. უხილავი ხელი სათუთად სწყვეტს თოვლის ფიფქებს და ისვრის სწორედ ისე, როგორც მე მჩვეოდა ხრიზანტემების ფურცელა. როგორ მიყვარდა თეთრი ხრიზანტემები და ყვითელი დღეები შემოდგომისა!.. ხშირად, ტყეს აყოლილი ეუცდიდი შეღამებას, რომ მეცქირა ულამაზეს სანახაობისათვის — მთები რომ ბაცდებიან მზის სხივებდაშრეტილნი, იხვევენ ზეწარს არგამჭვირვალეს. ბინდი იწყება ხის ფესვებიდან, თითქოს მიწიდან ამოდის ბინდი, შეჰყვება სიმაღლეს, როგორც უსურვაზი, როგორც ფიქრი მძიმე და ბნელი, და ტოტების ქვეშ შაშვები ჭახჭახებენ, ტირიან შეღამებას.

მიყვარდა მთები. ჩემი ბავშვობის ლამაზ ოცნებას, როგორღაც თავისებურად ეწვივნენ ისინი... მომენატრებოდა — გამომეტანა ტკბილი ტკივილი მთებიდან განშორებისა... ტფილისის ქუჩებში მოხეტიალეს მაწუხებდა განცდა მთის და გაურკვეველის, მაგრამ ეს არ იყო ის, ახლა რომ განვიცდი.

მეგობრები, სიყვარული და მშვიდი ნათელი პოეზიისა მიქარვებდა უსახო ნაკლს ჩემი სულისას. ოღონდ ესაა: არასოდეს მეგონა, თუ ასე ძვირფასნი იყავით: მოხუცი, კბილებჟანგიანი მთები და თქვენ, ჩემი მეგობრები.

ახლა განსაცდელი მოადგათ მათ, ჩემს მოხუცებს. ზოგჯერ წარმოვიდგენ: ჩემი ორეული დადის მთებში და მას ჩალათინის ქალამნებიან ბიჭს ელის განსაცდელი: მტერი მოსდგომია კავკასიონის მთებს და ცდილობს მოხაროს ცადასული თეთრი მწვერვალები... მოხაროს ისინი და დასცინოს სისპეტაკეს მათსას.

მე მოხუცი დედა მყავს მთებში. ის ალერსით მზრდიდა მომავალ მშენებელსა და მეომარს. ის ომში წასულს მიმზადებდა თბილ ხელთათმანებს — მაღალ დაღესტანში, თუშეთში, მთიან სამეგრელოში. ის ყოველდღე, ყოველღამე ფიქრობს ჩემზე და მტრის განადგურებაზე. ყველა სახლში, ყველა ოდაში ლოცულობს ჩემი ჯანმრთელობისათვის. ის დასცქერის ნაპირებ-მოსირმულ არაგვს და მიგონებს მე — ხელმოუცარავ მეთევზეს. ის შესცქერის თოვლით შეთეთრებულ მთებს და მიგონებს უებრო მონადირეს... მუშაობენ, ირჯებიან გოგოები და მისი დამჭკნარი ბაგეები ჩურჩულებენ ჩემს სახელს: მეძახიან საამაყო მუშასა და ქალების საფიცარს.

დედაჩემი საფრთხეშია!.. მტერი მოსდგომია კავკასიონის მთებს.

სატრფო მელოდება მთებში... ჩემი სიყვარული მელოდება. ის, ეშხიანი მუშაობს ჩემს მაგიერ. დაკორძდნენ მისი ნაზი ხელები. ის იმედით მელოდება და უნდა მნახოს გამარჯვებული, სახემოცინარი. ის სიჩუმეში ჩურჩულებს ჩემს ამაყ სახელს და მელოდება... სიყვარული მელოდება მთაში.

მტერი მოსდგომია კავკასიონის მთებს. ასეული წლების წინათ, ომით მობრუნებული ჩემი გმირი წინაპარი აშენებდა ვარძიას, სიონს, მცხეთას, ალავერდს. მაღალ მთაზედ ზურგით აჰქონდა მძიმე ლოდები და ჰქმნიდა ტაძრებს კედლებმოხატულს. ის იჯდა ამ ტაძრებში. სწერდა „ვეფხისტყაოსანს“, „სიბრძნე სიცრუისას“. სწერდა, აშენებდა, ჰქმნიდა და მე მიტოვებდა საამაყოდ.

პაპიჩემის სახლი, პაპიჩემის ნაამაგარი საფრთხეშია ახლა. მტერი მოსდგომია კავკასიონის მთებს...

მაგრამ, როგორ შეიძლება ყაზბეგის მოხრა?!..

პირდაპირია იგი და სპეტაკი, ცადამართული, ის იწყება თეთრი მწვერვალებიდან და მიწიერმა ვერ მოხაროს მისი ხერხემალი...

აი, როგორი ფიქრები არ მაძლევენ მოსვენებას, ჩემო ძმაო... შენ როგორა ხარ? მომიკითხე ლორა, დამიკოცნე პატარა ლალი. გიგზავნი ჩემს უკანასკნელ ლექსს. შენი მირზა“.

წავიკითხე ლექსი და ცრემლი მომერია. ეს იყო მირზა გელოვანის დღეს ყველასათვის ცნობილი ლექსი „სახეში გვათოვს, მტერი არა ჩანს“... არ გასულა რამდენიმე დღე, რომ ამ წერილს მეორეც მოჰყვა 1942 წლის 30 დეკემბრით დათარიღებული, სწორედ ახალი წლის წინადღეებში:

„სალამი, ძმაო კოლია! ვზივარ სანგარში და ვწერ წერილს. სიცივესაც კი არ ვგრძნობ, და, საზოგადოდ, არაფერს არ ვგრძნობ... წარსული წლის შემოდგომაზედ ჩვენი ნაწილები უკან იხევდნენ... და აი: მალოიაროსლავეცში გავლისას მე ვნახე: ყუმბარის ძალას მავთულებზედ შეეგდო კაცი. კაცი ეკიდა მავთულებზედ და არავის მოსდიოდა აზრად ჩამოეხსნა, მიწაზე დაედო მისი ჰაერში ნაწამები, ჰაერში გაციებული გვამი. პისტოლეტის მესამე გასროლით გავწყვიტე ერთი მავთული და ის ჩამოვარდა!...

და მოვდიოდით უკან — მოსკოვისაკენ... მოვდიოდით თავჩაღუნულნი, გააფთრებულნი. ყველა ჩვენთაგანის თვალებში იჯდა მრისხანება და თავმოყვარეობის ძალაუნებური შელახვა. ჩვენ მოვდიოდით, მაგრამ ეს არ იყო ბრძოლიდან გაქცევა — გატეხილის, დამარცხებულის... ეს იყო უკან დახევა ვეფხვის, რომელიც ემზადება ნახტომისათვის.

და როცა ვუცქეროდი მათ, ჩემს მილიონ ამხანაგებს და თანამებრძოლებს, თვალებს, რომელთა მრისხანე ალიც ამბობდა უდიდეს რწმენაზედ — გამარჯვებაზედ, ჩვენს უახლოეს გამარჯვებაზედ, მე მაწვებოდა სურვილი მთელი ქვეყნის გასაგონად მეყვირა:

— Берегись Европа!..

ერთ ნისლიან ცივ დღეს, როცა პირველი თოვლის ფიფქები ძლივს მიარღვევდნენ უმძიმეს ჰაერს, მე შევხვდი ხარკოველ ნაცნობ კაპიტანს, პავლენკოს. ის ამოვიდა ტანკიდან, შემნიშნა:

— როგორ ცხოვრობ გელოვანო?!...

— ისე... როგორც ყველანი!...

მე ნაწყენი ხმა მქონდა:

ის იღიმება... მიკვირს ეს ღიმილი. მისი ფართო მხრები რატომ-ღაც ირხევიან. მხარზე ხელს მარტყამს, თითქმის ჩურჩულით ამ-ბობს:

— არაფერია!. ცოტა მოიცადე და, ნახავ!

ნისლიანი დღე თოვლს ცრიდა და მისი კოლონა ეფარებოდა მო-სახვევს. გრუხუნებდნენ, გუგუნებდნენ ფოლადის ტანკები და უფ-რო მეტის დაჯერებით იკრებოდა ჩემს გულში ეს ფოლადის ხმა-ური, როგორც გამარჯვების მაუწყებელი, დამაჯერებელი ხმა.

მოსკოვი, ქალაქი — გული საბჭოთა ქვეყნის. ყველა მოსას-ვლელში ვთხრიდით სანგრებს, ვაშენებდით ბლინდაჟებს, ვნაღმავ-დით მინდვრებს. აქა-იქ სახლის სახურავებზედ შენიღბული საზე-ნიტო ტყვიამფრქვევები. ამდგარიყო ეს უშველებელი ქალაქი და ემზადებოდა თავდაცვისათვის.

და მე მერგო წილად ვყოფილიყავი ამ ქალაქის დაცვის მონაწი-ლე და მეომარი. მე მერგო წილად მშვენიერი ხვედრი მებრძოლისა და საბჭოთა მოქალაქის. მტერი ძალიან ახლოს იყო. ლენინგრადის შოსეზედ; თითქმის ხიმკამდის მიაღწია მტერმა და აქ, მოსკოვის კარიბჭესთან აიმართა ჩვენი მრისხანე თავგანწირვა, როგორც არ-დანებების გარდაუვალი კედელი. და შეკრთა მტერი, გაბრუნდა დასავლეთით. უწესრიგოდ მიჰყვებოდა დასავალს და ჩვენ მივდევ-დით მას, როგორც ნადირს დაჭრილსა და გაცოფებულს.

დიმიტროვინ, ვოლოკალამსკის, სერპუხოვის, ვარშავის, მინსკის გზებზე — მოსკოვიდან კვლავ გაიელვეს ჩვენი ცხენების ფოლადის ნალებმა. კვლავ ვიპოვეთ ჩვენი შემტევი ხმა და გაზაფხულამდის ყოველ მეტრზედ ეწყვნენ ისინი — საბჭოთა მიწის დასაპყრობად მოსული გადამთიელები. ეწყვნენ ისინი და მათი ცივი თვალების უაზრო მზერას მე ვპასუხობდი: — ასე თხოულობს ჩვენი დანგრე-ული ქალაქების, დამწვარი სოფლების სიჩუმე“.

...მოვიდა 1943 წლის გაზაფხული. გარდატეხის გაზაფხული. მირზა რეგულარულად მიგზავნიდა წერილებს და ლექსებს. აი, რას მწერდა 1943 წლის მაისში ლეიტენანტი მირზა გელოვანი:

„ძმაო კოლია! მე დღეს მომაგონდა შენი საყვარელი აფხაზური ანდაზა, რომ „მეგობრობას, როგორც ხანჯალს, ორი ბასრი აქვს და მას მტერი ვერ მიეკარებაო“. შენ რომ იცოდე, რა მრავლადა მყავს

ეხლა მე მეგობრები: რუსები, უკრაინელები, ბელორუსები, და ჩვენი მეგობრობა იმ ხანჯალსა ჰგავს... აბა, გაბედოს მტერმა, მოგვიახლოვდეს.

დღეს ჩვენ განსაკუთრებული დღე დაგვიდგა, ჩემო მეგობარო,— დავიწყეთ მტრის განდევნა ჩვენი მიწა-წყლიდან. და მას, ვისაც თუნდაც ერთხელ წარმოუდგენია მძაფრი დიდება სვანეთის ცადაზიდული მყინვარებისა, ჩემი საქართველოს მწვანე მინდვრების სილამაზე, ვინც ბავშვობიდან აღტაცებული იყო „ვეფხისტყაოსნის“ რაინდული სულით, ვინც გაიჟღინთა ლერმონტოვის პოეზიის სევდით, ვინც თუნდაც ერთხელ მაინც იყო მთვრალი ჩაიკოვსკის მუსიკით, — ჩემთან ერთად ასწიოს თასი ჩვენი გამარჯვებისა... თუმცა რაღა დაგიმალო და, ჩემი მათარის ფსკერზე მხოლოდ რამოდენიმე წვეთი სპირტიღა კიაფობს...

მაგრამ საქმე ამაში როდია: ჩვენ ყველანი, აი, ეს ბიჭები ომმა დაგვაახლოვა, ასეთი მეგობრობა კი მუდამ მტკიცე საფუძველზეა დამყარებული, იგი არამც და არამც არა გავს მშენებელ სოლნესის კიბეს... სხვათა შორის, იბსენის სიტყვები მომაგონდა: „რაც უნდა ბნელი არ იყოს ღამე, მას შესცვლის მუდამ მზიანი დილა“. აი, ღმერთმანი მოვიდა იგი. მზიანი დილა... მგონი, ჩვენ მალე შევხვდებით, მეგობარო... ხო, მართლა, კოლია, მომწერე თუ მოგდის წერილები კოსტიასაგან, სად არის, როგორ არის, მე დიდი ხანია არაფერი არ მიმიღია“...

მაგრამ კოსტია რაუზე ცოცხლებში არ იყო უკვე, მე ხომ ვერ მივწერდი მირზას ამის შესახებ?...

დღეს, როდესაც უკვე მერამდენჯერ ვკითხულობ ამ წერილებს, ვფიქრობ ფილმზე „ჯარისკაცის ბალადა“. არაერთხელ მინახავს ეს ფილმი. არა მარტო იმიტომ, რომ ამ სურათში მე დავინახე არაჩვეულებრივი სახე დედისა, არა მარტო იმიტომ, რომ მსახიობ ივაშოვის მიერ შექმნილი სახე ჯარისკაცისა — დაუვიწყარია, არამედ იმიტომაც რომ ეს ჯარისკაცი მთელი თავისი შინაგანი ბუნებით არაჩვეულებრივად გავს პოეტ ჯარისკაცს, მირზა გელოვანს.

„ჩემო ძმაო, — მწერდა მირზა 1943 წლის 13 თებერვალს, — დიდი ხანია არ მიმიღია შენგან წერილი, მიზეზი არ ვიცი და ვღელავ.

გიგზავნი ჩემს ახალ ლექსებს რვეულიდან — „საომარი ლირი-

კა". ისინი აქ, ფრონტზეა დაწერილი და, ალბათ, ეს გარემოება ეყოფა მას გასამართლებელ საბუთად".

ამ ლექსებში არ შესულა ის რამდენიმე ლექსი, რომლებიც მე ირაკლი აბაშიძეს გავუგზავნე. ჰო, მე მაინტერესებს დაბეჭდეს თუ არა თუნდაც ერთი ლექსი ჩემი ლექსებიდან?... მაგრამ ეს, სხვათა შორის.

როგორ ცხოვრობ, კოლია, როგორ მიმდინარეობს შენი ცხოვრება, მეგობარო? რასა სწერ, რა დასწერე? იცი, ამ ოთხი წლის განმავლობაში მე არა ვარ საქმის კურსში, გამოვითიშე, არ ვიცი, ჟურნალებს, წიგნებს არ ვღებულობ. არ მწერენ ის დალოცვილები, ერთადერთი ჩემი დაიკო, რუსუდანი, არ მივიწყებს.

მე გადავწყვიტე არავის არ მივწერო წერილი, მხოლოდ შენ მიიღებ ჩემს წერილებს და მე დარწმუნებული ვარ, რომ გამიგებ. ჰო, მაპატიე ზოგი რამ ჩრდილი ჩემი ლექსებისა, მე ხომ უპირველეს ყოვლისა ადამიანი ვარ. გიგზავნი „სონეტს". აი ხომ ხედავ შომავალზე ვფიქრობ, სიყვარულზე".

აი, კიდევ წერილი, 1943 წლის 18 ივნისით დათარიღებული:

„კოლია, შენ გახსოვს, როგორი ვიყავი მე?.. ჩვენ მივდიოდით მანქანით სადგურისაკენ. იყო დღე გაფითრებული, წყნარი, როგორც ნამტირალევი ბავშვის თვალები. მარჯვნივ შავი ზღვა და ცის დასავალი. მაღალი სიმინდები ჩურჩულებდნენ აფხაზურ ახოებში და არ ვიცი რისთვის, მაწუხებდა რაღაც, შენ ძმურად მკითხავდი, რატომ გავფითრდი.

„ნეტავ შემხვდებოდე ახლა, მეგობარო! ვეღარ მიცნობდი, ომმა განკურნა ჩემი ავადმყოფი ნერვები და მიკვირს, როგორი ვიყავი გუშინ. ჩემს ლექსებს სინაზე აწუხებდა. მე მჩვეოდა წყნარი ღიმილი. ახლა გადავეჩვიე ღიმილს და მხოლოდ მაშინ, როცა მტერი გარბის ჩვენი ცეცხლის ქვეშ, როცა დაჭრილთა ოხვრა, ან მტრის გვამების ცივი შემოხედვა მხვდება მიმავალს, ვიცი: ჩემს ბაგეზედ დარბის ღიმილი: ღიმილი კაცის, რომელიც გააშმაგა შურისძიების წყურვილმა.

ამბობენ „ძმა"! მე არ ვიცი, რა არის „ძმა". მე არ ვიცი, რა არის" „სისხლი". ძმა ის არის, შენს გვერდით რომ წევს ცივ ბლინდაჟებში. ძმა ის არის, დაჭრილს რომ მოგეფერება, მკლავს შეგიხვევს და შენი სისხლის წვეთებისათვის დაღვრის მტრის სისხლს.

ჩემი სისხლი და ხორცი ის არის, დაღლილს რომ მოგიწვებ-

გვერდით, გიამბობს საკუთარ ოცნებაზე, გამარჯვება რომ უქსოვს რწმენას.

ძმა ის არის, ვაზნებს რომ გიმზადებს თავაუხრელი. კაბინეტში ჩაკეტილი მუშაობს: სინჯავს ჯავშნის სიმაგრეს, იგონებს იარაღს, რომ ჩვენ მოგვაწოდოს. ძმა ის არის, სიტყვას რომ სინჯავს, როგორც მახვილს, მტერთან შემმუსვრელს. ძმა ის არის, ჩვენი იდეა რომ სწამს, ჩვენი გამარჯვება და მომავალი...

ახლა ღამეა. მიწიან ქოხში, ნაბოლარას შუქზე გწერ ამ წერილს და მინდა ჩემი სიტყვა მისწვდეს ჩემს მთებს — ჩემს მეგობრებს: მინდა ყველას, ვის გულშიაც სცემს სიცოცხლე, გადაედვას ზიზღი მტრისადმი, რომელიც ასე მწვავს მე.

მე შორსა ვარ მთებიდან, მაგრამ თუ აქ რუსეთის თოვლიან ველებში მომხვდება მტრის აშარი ტყვია, დაე, იცოდეს მთამ, მე მას ვიცავდი.

მე ვიცავ ჩემს სამშობლოს შავი ზღვიდან, კასპიის ნაპირებიდან პოლუსამდის გადაჭიმულს, ბალტიიდან, კარპატის კალთებიდან, წყნარ ოკეანემდის გადაწოლილს, სამშობლოს ვრცელსა და ხელმოუხვეველს, სამშობლოს ახალგაზრდასა და ლამაზს.

თქვენ გესმით ჩემი ძახილი, მეგობრებო? იარაღი, მხოლოდ იარაღი. სიკვდილი მტერს, ვიდრე მას არ მოვუკლავართ. სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს, ცეცხლითა და მახვილით დასანგრევათ მოსულთ, ოცდახუთი წელი ჩვენ რომ ვაშენებდით.

სიკვდილი ფაშისტებს“.

ასეთი იყო მირზა: ტანკენარი, თავმდაბალი ყმაწვილი, რომანტიკოსი, მირზას ბავშვობიდან უყვარდა წიგნები, ტყე, ნადირობა, მაგრამ ყველაზე უფრო მას მთები უყვარდა — მისი წინაპრები შორეულ, ზღაპრულ სვანეთიდან იყვნენ წამოსული. მას უყვარდა მდინარე, ყვავილები, ვენახი, მინდორ-ველი და ისევ მთები... ნადირობამ, იარაღმა, ცურვამ, მთებში ხეტიალმა გამოაკაჟა მისი ნაზი და სუსტი სხეული. ამიტომ იყო, რომ შემდეგ ფრონტიდან სწერდა დედას: „რომ იცოდეთ, როგორი მადლობელი ვარ თქვენი, რომ ბავშვობიდან ჩამინერგეთ სიყვარული იარაღისადმი, სიმართლისა და მამაცობისადმი“.

„... სამი-ოთხი დღის წინათ მწერალთა სასახლეში ნუკრიევით შემოვიდა ერთი ყმაწვილი... — ასე იგონებს მირზა გელოვანს პოეტი რაჟდენ გვეტაძე თავის „ლაშაურ საღამოებში“, — ეს ცნობის და

ცოდნის მოყვარული ყმაწვილი მოულოდნელად შემოიჭრა პოეზიაში და ყველამ მაშინვე შენიშნა მისი უბადლო ნიჭი და გულწრფელობა, მისი უჩვეულო პოეტური ხმა. ლექსებმა „აონი“, „შავლეგო“, „ლენინს“, „გალაკტიონ ტაბიძეს“, „ბალადა არმიის მშენებლებზე“ და სხვ. უმალვე მიიპყრეს საერთო ყურადღება“.

პოეტის მეგობარი ვახტანგ ბეწუკელი წერს:

„1939 წლის ნოემბრის ერთ სუსხიან დილას გაუყვა იგი დიდ გზას მოახლოებული გრიგალებისაკენ, საიდანაც აღარ დაბრუნებულა, წასვლის წინ იგი მეუბნებოდა: „მინდა ჯარისკაცის ცხოვრება განვიცადო და, ვინ იცის, დიდი გრიგალის მონაწილეც გავხდე. თუ ცოცხალი დავბრუნდი, მაშინ ჩემს ლექსებს მეტი სიმართლე და გამბედაობა ექნებაო“.

მაგრამ პოეტს არ დასცალდა ომის დამთავრება, იგი დაიღუპა ბელორუსიაში 1944 წელს. იმ დროისათვის კაპიტან მირზა გელოვანს ოცდაშვიდი წელი შეუსრულდა.

აი რას სწერდა ის 1941 წელს დედასა და დებს: „ომი დაიწყო, ვიცოდი, რომ დაიწყებოდა... გჯეროდეთ, ჩემო ძვირფასებო: თუ ჩემი ბედი ამ ომში დამთავრდება, თუ სიკვდილი მიწერია ამ ომში, ძალიან ძვირად დავუსვამ მტერს სიცოცხლეს ჩემსას, დაე, ნუ შეგრცხვებათ, რომ მე თქვენი სისხლი და ხორცი ვარ, მე მაქვს უდიდესი სიმშვიდე. ჩემში ცოტნე დადიანის სულია და ნებისყოფა და თქვენ შეგიძლიათ ამაყად სთქვათ, რომ მე ვიცავ სამშობლოს, რათა მომავალი თაობები იყვნენ ჯანსაღნი, ბედნიერნი და ძლიერნი. მე საკუთარ სიცოცხლეზე მეტად მიყვარს ჩემი სამშობლო. ის, ყველაფრის მიუხედავათ, ცოცხალია და მისი შვილების დაძახილი აღვიძებს გრიგალებს... ეს არის ყველაზე დიდი ომი, რაც კი ყოფილა დედამიწის ზურგზე. არც ჰანიბალის, არც მაკედონელის, არც ნაპოლეონის ომები არ შეედრებიან ამ ომს სიდიდით. არც სადმე ისეთი დიდი გული ყოფილა ქვეყნად როგორც მე მაქვს, როგორც აქვს ჩემს ამხანაგებს“...

ასეთი იყო პოეტი და მეომარი მირზა გელოვანი, რომელმაც ბრძოლის ველზე უკვდავყო თავისი სახელი.

ჟამი დიდებისა

მარტში რუსეთის ჯარი პარიზში შევიდა.

ნაცრისფერ ნისლში გახვეულ ვეებერთელა ქალაქში სიცოცხლე თითქოს ჩამკვდარიყო. არმიელთა კოლონებმა უხმოდ გაიარეს სენტ-ანტუანის სანაპიროს უკაცრიელი ქუჩები და ცენტრისაკენ გაემართნენ. ჭრაჭუნით მიდიოდნენ ოთხთვალები, გუგუნებდნენ ქვემეხები და ბრძანების სიტყვებს ნესტიან ჰაერში ახშობდნენ.

მაგრამ ქალაქმა თანდათანობით იწყო გამოცოცხლება. ფრანგული ლაპარაკი მხოლოდ აქა-იქ გაისმოდა. ბიჭუნები, ღარიბთა უბნების ეს ცნობისმოყვარე გავროშები და მისი უშიშარი ბინადარნი ქუჩებს მოედვნენ.

რუსეთის არმიის ოფიცერთა რიგებში იმყოფებოდა ოცდაექვსი წლის ქართველი პოეტი, ბარკლაი დე ტოლის ადიუტანტი თავადი ალექსანდრე ჭავჭავაძე — მაღალ-მაღალი, გამხდარი, თავმომწონე, მის ფერმკრთალ სახეს, თხელ ტუჩებსა და მაღალ, გახსნილ შუბლს (თმა უკან ჰქონდა გადავარცხნილი) თითქოს ამპარტავნობის იერი გადაჰკრავდა, მაგრამ სხივიანი, ლამაზი, ოდნავ. მოჭუტული თვალები იმდენ სითბოსა და შინაგან ძალას ამჟღავნებდნენ, რომ პირველი შთაბეჭდილება უმალ ქრებოდა. — ოდნავ კოჭლობდა. ჭრილობა, რომელიც ოდესღაც სამშობლოში მიეღო ჯერაც არ შეხორცებოდა მთლიანად, მაგრამ ეს სულაც არ უშლიდა ხელს ხარბად დასწაფებოდა ქალაქის ღირსშესანიშნავ ადგილებს. ფრანგული მან მშობლიურ ენაზე ნაკლებად არ იცოდა და ამიტომ თავისუფლად გრძნობდა თავს.

გაზაფხული ჯერ კიდევ არ იგრძნობოდა პარიზის ქუჩებში: ფრანგები თავს იკავებდნენ, ამჯერად არ ლაღობდნენ მათთვის დამა-

ხასიათებელი მხიარული მახვილსიტყვაობით — ამაყად და უხმოდ იტანდნენ დამარცხების მთელ სიმძიმეს.

ნაპოლეონი ჯერ კიდევ არ ურიგდებოდა დამარცხებას. თავის გენერლებთან და ერთგული არმიის ნაწილებთან ერთად ფონტენებლოში იდგა. იმ დროის მაკიაველი — ტალეირანი კი დახელოვნებულ ოსტატის სიმარჯვით ამზადებდა სენატს იმპერატორის ხელისუფლების აღმოფხვრისათვის. ჰაერში ტყუილად როდი ტრიალებდა ტყვია-წამლის სუნი.

ახალგაზრდა პოეტმა ყველაფერი დაივიწყა ამქვეყნად და ნოტრდამში ცისკრის ლოცვაზე გაემართა, სადაც მოწიწებით უსმენდა ბახის მუსიკას; მას ადრე არასოდეს განეცადა სიამოვნების ასეთი იშვიათი ღვთაებრივი გრძნობა. მოეჩვენა რომ ეს ციური, მომაჯადოებელი ბგერები მას უკვდავებასთან აზიარებდა, არაამქვეყნიურ ძალას მატებდა, ეს ბგერები შლიდა ყოფასა და უსასრულობას შორის არსებულ ზღვარს. სადღაც შორს იკარგებოდა ყოველდღიურობის წვრილმანები, ყველა ამქვეყნიური საზრუნავი.

ამ ტაძარში, რომელიც ხუროთმოძღვრული ხელოვნების უკვდავ ქმნილებას წარმოადგენდა, ყველაფერი ერთ მიზანს დამორჩილებოდა. ეს მიზანი იყო ადამიანის დაახლოება წარმოსახვით შექმნილ ღვთაებასთან. ტაძრის ცადაბჯენილი გუმბათები და თვით ქვებიც თითქოს ამღერებულიყვნენ ორღანთან ერთად. „შემთხვევითი როდი ყოფილა, რომ კათოლიკურ ეკლესიას ასე დიდი გავლენა აქვს თავის მრევლზე“, — გაიფიქრა ალექსანდრემ.

საღამოს კი სპექტაკლი ნახა პარიზის უძველეს თეატრში — „კომედი ფრანსეზში“, თამაშობდა დიდებული ტალმა. დღეს მაინც განსაკუთრებული იყო საფრანგეთის სცენის ღვთაება.

ახალგაზრდა ოფიცერი პოეტის მეგობარი შირხანოვი კარგად იცნობდა პარიზულ ცხოვრებას და ჩურჩულით უყვებოდა ალექსანდრეს ეპიზოდებს სახელგანთქმული ტრაღიკოსის ცხოვრებიდან:

— ერთხელ ტალმამ სთხოვა ნაპოლეონს, გამოეთქვა აზრი მისი თამაშის შესახებ. იმპერატორი დიდხანს დუმდა. შემდეგ კი აი, რა

უთხრა მას: „ტალმა, გამოიარეთ ხოლმე ჩემთან სასახლეში დილაობით. თქვენ იქ იხილავთ პრინცესებს, რომელთაც დაუკარგავთ გულის სატრფო, ხელმწიფეებს, რომელთაც უკვე აღარ გააჩნიათ სახელმწიფოები, ყოფილ მეფეებს, რომელთაც ომმა მაღალი ღირსება დააკარგვინა. გამოჩენილ გენერლებს, რომლებიც იმედოვნებენ გვირგვინის მიღებას ან კიდევ ითხოვენ მას. ჩემს ირგვლივ თავმოყრილია მოტყუებული პატივმოყვარეობა, მწვავე მეტოქეობა, კატასტროფაა ჩემს ირგვლივ, ნაღველი, გულის სიღრმეში ჩამალული მწუხარება, რომელიც თავს იჩენს დროდადრო. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს ტრაგედიაა; ჩემი სასახლე ტრაგედიებითაა სავსე და თვითონ მე ჩვენი დროის ყველაზე ტრაგიკული პიროვნება ვარ. განა საკუთარ ჟესტებს ვსწავლობთ, პოზებს ვღებულობთ? რა საკვირველია არა! ჩვენ ვლაპარაკობთ ისევე ბუნებრივად, როგორც ყოველივე ადამიანი, რომელსაც რამე მისწრაფება ან ინტერესები ალაპარაკებს. ასევე იქცეოდნენ ის პირებიც, რომელთაც ჩემამდე ეკავათ მსოფლიო სცენა და ასევე თამაშობდნენ ტრაგედიას ტახტის ირგვლივ. აი მაგალითები, რომლებზედაც საჭიროა დაფიქრდეს ადამიანი“.

— პასუხი სწორედ რომ ნაპოლეონის საკადრისია... — შენიშნა ალექსანდრემ.

აქ ყველაფერი განსაცვიფრებელი იყო ამ ზღაპრულ ქალაქში, — ქალაქში, სადაც შუბის წვერზე წამოეგო და თავი მოიკლა კონდეს მეტრდოტელმა, როცა დარწმუნდა, რომ მეფის სუფრისათვის შეკვეთილი თევზი იგვიანებდა; ქალაქში, სადაც საფრანგეთის რევოლუციის მრისხანე დღეებში ხალხი ასამართლებდა და სჯიდა მეფეებსა და პრინცებს. აქ შეხვდებოდით ფრანგებს, რომლებიც სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოდნენ თავისუფლებისათვის და ფრანგებს, რომლებიც მზად იყვნენ თავი გაეწირათ თავიანთი იმპერატორისათვის.

მართლაც რომ გასაოცარ წინააღმდეგობათა ქალაქი იყო პარიზი. ჭავჭავაძე მთელი დღეობით დახეტიალობდა ქუჩებში. შედიოდა პოეტების კაფეებში, ფერწერის მუზეუმებში. დიდხანს იდგა პუსე-

ნის სურათის „დავითის ტახტზე ასვლა“-ს წინაშე, უსმენდა ბერლიოზსა და როსინის, უყურებდა სახელგანთქმული რაშელის თამაშს, აღტაცებაში მოყავდა ის ლუვრისა და ვერსალის ხელოვნებას.

ვერსალი!.. აქ ხომ მისი თანამემამულე, სულხან-საბა ორბელიანი ეწვია „მეფე მზეს“ და დახმარება თხოვა თავისი სამშობლოსათვის!

ალექსანდრეს მოსწონდა სენის უჩვეულო ნაპირები; ზოგჯერ საათობით იდგა სანაპიროზე, ღამე კი თარგმნიდა ლაონტენს, კორნელს, რასინს და... კითხულობდა ვოლტერს, ამ კეთილ ცინიკოსს.

პოეტს ხშირად ეჩვენებოდა, რომ თითქოს ისინი სტუმრად იყვნენ ძველ, განათლებულ მეგობართან, რომელთანაც ჯდომა, საუბარი და ერთი ჭიქა მაგარი ყავის დალევა ჭეშმარიტი სიამოვნების შომგვრელი იყო. მისთვის პარიზში ყოფნას ამჟამად ისეთივე მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც პეტერბურგში ცხოვრებას და ჩრდილოეთის სატახტო ქალაქის ბრწყინვალე წარმომადგენლებთან მეგობრობას.

ისტორია კი თავისი გზით მიდიოდა, ახალ-ახალი ამბები ერთმანეთს ცვლიდნენ.

ექვს აპრილს ნაპოლეონმა ხელი მოაწერა გადადგომის აქტს. მედროვე კ. ა. ბოროზდინი, რომელიც ამ დროს თბილისში ცხოვრობდა წერდა: „ალექსანდრე ჭავჭავაძის მთავარი დამსახურება იმაშია, რომ მან თავისი სახლი ქართველი საზოგადოებრიობისა და კავკასიაში მომუშავე განათლებულ რუსებს შორის დამაკავშირებელ რგოლად აქცია... თავადი ალექსანდრე დიდ ღონისძიებას ახმარდა მამის მიერ დაწყებულ საქმეს. განსვენებულმა საქართველო პოლიტიკურად დაუკავშირა რუსეთს, მისმა შვილმა კი თავისი განათლებითა და იშვიათი ხასიათის წყალობით დააახლოვა ერთმანეთთან ქართველები და რუსები.

ყოველი რუსი, რომელიც გამოგზავნილი იყო ამ შორეულ ქვეყანაში ჭავჭავაძის ოჯახში მშობლიური ჰაერით სუნთქავდა. ყოველი ქართველი თავისუფლად მიდიოდა მასთან; აქ ერთმანეთს ხვდებოდნენ ქართველები და რუსები და იქვე ინერგებოდა ერთმანეთის სიყვარული და ურთიერთგაგება“.

ხოლო კავკასიის მთავარსარდალი თავის საიდუმლო პატაკში კი პეტერბურგს ასე აცნობებდა: „თავადი ჭავჭავაძე განსწავლულია პაჟთა კორპუსში, შემდეგ მსახურობდა ჩვენთან, სადაც მიიღო და

შეითვისა ევროპული განათლება და იყო რა აწ გარდაცვლილი გრიბოედოვის სიმამრი, შესაძლებლობა ჰქონდა შეეთვისებინა თავისუფალი აზრები“.

*

ტაძრის წინ მდებარე პატარა მოედანი დილიდან ხალხით იყო გაჭედილი. გრძლად ჩამწკრივებულიყვნენ ეკიპაჟები.

არ გასულა ნახევარი საათიც და ქუჩაზე კარეტა გაჩერდა, საიდანაც გადმოვიდა იმპერატრიცა ეკატერინე მეორე.

ეკლესიაში უკვე მოემზადებინათ ემბაზი. თავად გარსევან ჭავჭავაძეს, ერეკლე მეორის სრულუფლებიან მინისტრს რუსეთის მეფის კარზე ნათლობის მოლოდინში ხელში ეჭირა ჯანსაღი შიშველი ბიჭუნა.

ბიჭუნას, რომელიც 1786 წელს დაიბადა პეტერბურგში, ალექსანდრე დაარქვეს. ნათლიად კი იმპერატრიცა ეკატერინე II იყო.

ჩვილის მონათვლა იმ განსაკუთრებული ყურადღების ნიშანი იყო, რომელსაც იჩენდა იმპერატორი საქართველოს მინისტრისადმი მისი განსაკუთრებული დამსახურებისათვის: 1783 წელს თავადმა გარსევან ჭავჭავაძემ გეორგიევსკში ხელი მოაწერა ტრაქტატს რუსეთ-საქართველოს მეგობრობაზე.

იმ დროის მემატიანეებმა, რუსეთთან საქართველოს შეერთების საწინააღმდეგოდ განწყობილმა დავით ბაგრატიონმა და მისმა ძმებმა 1811 წელს ასე ჩაწერეს თავიანთ მატიანეში: „აპრილის თვის მეხუთე დღეს პეტერბურგში გარდაიცვალა გარსევან ჭავჭავაძე მეფის მოღალატე და სამშობლოს ერთგული“. ასე გამოხატეს მათ თავიანთი გაბოროტება, თუმცა გარსევანი ტრაქტატს რომ ხელს აწერდა, მოქმედებდა მეფე ერეკლეს სურვილითა და ქართველი ერის საკეთილდღეოდ.

ასეთი შეხედულება შავ ჩრდილად დააწვა პოეტის ცხოვრებას, თუმცა ის გრძნობდა თუ რა დიდი მნიშვნელობის საქმე გააკეთეს მისმა წინაპრებმა და მეფემ. ალექსანდრე ჭავჭავაძის აზრი ეროვნულ საკითხზე შორსმხედველობითა და სიღრმით განირჩეოდა. დიდად განათლებულს, რუსეთის, საფრანგეთისა და ირანის საუკეთესო ტრადიციებზე აღზრდილ პოეტს, რომელიც კარგად იცნობდა გერმანულ ლიტერატურასა და ფილოსოფიას, მშვენივრად ესმოდა,

რომ საქართველოს ჭირდება ახალი, პროგრესული კულტურა, ფართო განათლება და ამისათვის ის ყველაფერს აკეთებდა ქართველი და რუსი მოწინავე საზოგადოების დასაახლოებლად, მას კარგად ესმოდა, რომ მხოლოდ ეს მეგობრობა, მხოლოდ ეს ერთობა თუ გაიყვანდა მის სამშობლოს ფართო შარაგზაზე.

ალექსანდრე ჭავჭავაძეს უყვარდა რუსეთი და არც ფარავდა ამას. მისი სახლის კარები მუდამ ღია იყო რუსებისათვის, განსაკუთრებით იმ თავისუფალ მოაზროვნეთათვის, რომლებიც „ველურ კავკასიაში“ იყვნენ გადასახლებული.

მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას ალექსანდრე ჭავჭავაძის მეგობრობა გრიბოედოვთან, პუშკინთან, კიუხელბეკერთან, ოდოევსკისთან, ლერმონტოვთან და სხვ.

პოეტს ეპიკურელს უწოდებდნენ, ვარდისა და ბულბულის მომღერალს... მაგრამ ეს მხოლოდ ზერელე დახასიათებაა ადამიანისა, რომლის ცხოვრება და შემოქმედება მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან, რომელიც აერთიანებდა ძველ პოეტურ კულტურასა და ახალ მიმართულებას პოეზიაში.

•

ალექსანდრე ჭავჭავაძე ცამეტ წლამდე პეტერბურგში ცხოვრობდა. მაგრამ ბავშვობიდან ჩაუნერგა მას დედამ მშობლიური ენისადმი პატივისცემა, ხოლო მოგვიანებით ასწავლიდა ბიძა გიორგი ავალიანი, რომელმაც განუმტკიცა მშობლიური ლიტერატურისადმი სიყვარული.

1799 წელს ჭავჭავაძეების ოჯახი თბილისში გადავიდა საცხოვრებლად. მაშინ, ცამეტი წლის ყმაწვილი სამყაროს ღრმად და მწვავედ აღიქვამდა, მაგრამ ფილოსოფიური განზოგადოებისათვის ჯერ კიდევ სავსებით ახალგაზრდა იყო, თუმცა უკვე შეეძლო ფაქტების გაანალიზება და ამიტომაც თანამემამულეთა ცივ, თითქმის მტრულ დამოკიდებულებას მამისადმი გულისტკივილით და მწუხარებით განიცდიდა. დროდადრო სასოწარკვეთილებას ეძლეოდა და თავს მოვალედ თვლიდა „გამოესყიდა დანაშაული“, რომელსაც ბრალად სდებდნენ გარსევანს.

1804 წელს 18 წლის ჭაბუკი პოეტი შეუერთდა მთიულების აჯანყებას, რომელსაც სათავეში უფლისწული ფარნაოზი ედგა.

აჯანყების მონაწილეებს ბაგრატიონთა დინასტიის აღდგენა სურდათ. საინტერესოდ მოგვითხრობს, ამის შესახებ ალექსანდრე ორბელიანი:

„აჯანყების მონაწილეთა შორის იყო ახალგაზრდა თავადი ალექსანდრე ჭავჭავაძე. მამამისმა, ირაკლი მეფის მიერ ნდობით აღჭურვილმა პირმა საქართველო რუსეთს გადასცა, ხოლო მისმა ვაჟმა სისხლი დაღვარა, რათა ისევ დაეპყრო საკუთარი სამშობლო“, რომ გავიგოთ თუ რა მძიმე პირობებში ყალიბდებოდა მომავალი პოეტის მსოფლმხედველობა, ამისათვის საჭიროა მხედველობაში ვიქონიოთ ის წინააღმდეგობები, რომელთაც ადგილი ჰქონდა მის შემოქმედებაში.

ახალგაზრდა მეამბოხეს შეუნდეს აჯანყებაში მონაწილეობა და პაჟთა კორპუსში გაგზავნეს. აქ მან მიიღო ბრწყინვალე განათლება, უფრო ღრმად შეისწავლა ფრანგული, გერმანული და სპარსული ენები. ვითარება ხელახლა გაიაზრა, დარწმუნდა, რომ ბევრ რამეში ცდებოდა. შეიგნო, რომ სხვა გზით უნდა დახმარებოდა სამშობლოს.

1809 წელს ჭავჭავაძემ დაამთავრა პაჟთა კორპუსი, საერთო განათლებით, აღზრდით, ენების ცოდნით ის დიდად გამოირჩეოდა ბევრი თანატოლისაგან.

ჩრდილოეთის დედაქალაქში გატარებულ წლებს ტყუილ-უბრალოდ არ ჩაუვლია, ეს წლები დაეხმარნენ მას ლიტერატურულ-ესთეტიკურ შეხედულებათა ჩამოყალიბებაში. სწორედ რუსეთში, თავის მეორე სამშობლოში, დაუახლოვდა ის მოწინავე რუსულ კულტურას. საკმარისია ითქვას, ალ. ჭავჭავაძემ ერთ-ერთმა პირველთაგანმა თარგმნა პუშკინის ლექსები და ეს იმ დროს, როცა დიდი პოეტის სახელს მაღალ საზოგადოებაში სიფრთხილით ახსენებდნენ. პუშკინის პოეზიამ დიდი გავლენა მოახდინა ქართველ პოეტზე.

1811 წელს ალ. ჭავჭავაძე მარკიზ პაულუჩის ადიუტანტია; 1812 წელს ის მონაწილეობას ღებულობს კახეთის აჯანყების ჩაქრობაში, სადაც მძიმედ იქნა დაჭრილი. გამოჯანმრთელების შემდეგ, იმავე 1812 წელს მას ვხედავთ ბარკლაი დე ტოლის ადიუტანტად. ორი წლის შემდეგ კი მოკავშირეთა კოალიციურ არმიასთან ერთად შედის პარიზში.

ახალგაზრდა ქართველი არისტოკრატი ამ დროისათვის უკვე

სავსებით იზიარებს თავისი დროის განმათავისუფლებელ იდეებს, რომელთა რევოლუციური არსი ღრმად შეიჭრა დასავლეთ ევროპაში, განსაკუთრებით პარიზში მყოფ მოწინავე, რუს ოფიცერთა რიგებში. კოალიციურმა საკითხებმა, რომლებიც პოეტს აღელვებდნენ, თავი იჩინეს მის შემოქმედებაშიაც.

*

საფრანგეთიდან დაბრუნების შემდეგ ალექსანდრე ჭავჭავაძე დანიშნეს კახეთში მდგომი ნიჟნი-ნოვგოროდის ცხენოსანი პოლკის მეთაურად. მისი სახლი თბილისში ბრწყინვალე სალონად იქცა, სადაც იკრიბებოდნენ იმ დროის მოწინავე ადამიანები — რუსები და ქართველები: მწერლები, ფილოსოფოსები, არტისტები, ბედნიერნი და უბედურნი, თავისუფლად მოაზროვნენი და ლტოლვილნი.

აქ კითხულობდნენ თავის ნაწარმოებებს გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანები. აქვე უზიარებდა მსმენელებს ახალ საინტერესო აზრებს ახალგაზრდა ფილოსოფოსი სოლომონ დოდაშვილი.

აქ იკრიბებოდნენ გრიბოედოვი, პუშკინი, კიუხელბეკერი, დენის დავიდოვი, ლერმონტოვი, ბოროზდინი, მხატვარი გაგარინი და ბევრი სხვა, რომელთათვისაც მუდამ ღია იყო ამ სტუმართმოყვარე სახლის კარები. ადვილი შესაძლებელია, რომ პირველად აქ წაიკითხეს და ოჯახურ წრეში დადგეს კიდეც „ვაი ჭკუისაგან“, აქ მღეროდნენ გლინკას რომანსებს, ასრულებდნენ მის ვალსებს. ამ ოჯახში პირველად გაისმა ქართულ ენაზე ბაირონის მღელვარე სტრიქონები და იქროლა „ტყის მეფის“ იდუმალებით მოცულმა მერანმა. აქვე ორიგინალში არაერთხელ ჟღერდა ომარ ხაიამის, ჰაფიზისა და საადის პოეზია.

*

არა, გრიბოედოვი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ არ შეუძლია სიცოცხლე უთბილისოდ. არაგვის ნაპირების, უძველესი მცხეთის, თბილისის იმ ქუჩების გარეშე, ასე წარმტაცად რომ მიიკლაკნებიან აივნებიანი მცხუნვარე ქალაქის გულში. გრიბოედოვი საქართველოს „კოლუმბად“ თვლიდა თავს, აბა რომელმა რუსმა შენიშნა —

ეს ზღაპრული სილამაზე, ეს მთებში ჩაძირული სამოთხე, მასზე ადრე?

„საქართველოს ბუნებას ვერ აღწერ, არავითარი სიტყვებით არ შეიძლება მისი სილამაზის გაჭოხატვაო!“ — ხშირად იმეორებდა იგი.

არასოდეს არ დავიწყებია დარიალის ხეობის ნახვით მიღებული პირველი შთაბეჭდილება. გასაოცარია ეს ვიწრო ხვრელი ცა-ამაზიდულ კლდეებს შორის. აქ ძლივს აღწევს დღის სინათლე. ადამიანის თვალი ვერც კი წვდება უფსკრულს. დაუოკებელი მდინარის ხმაური და ეს ტაძარი ყაზბეგის მთაზე. ჯვრის გადასასვლელიდან კაიშაურის ხეობაზე თავქვე დაშვებული, მიხვეულ-მოხვეული გზა, ანანურის ციხე-სიმაგრე, აბობოქრებული არაგვის სათავეები, რომლის სარკესავით გამჭვირვალე ტალღებში კალმახები ლაღად დასრიალებენ.

აქ მართლაც ყველაფერი ადამიანისათვისაა შექმნილი, სიხარულისათვის, ბედნიერებისათვის, ეწაფება გრიბოედოვი ამ ქვეყნის ისტორიას, ლიტერატურას, კულტურას. მან უსაზღვროდ შეიყვარა ეს კუთხე, „სადაც ბნელი ღამეები ზღაპარს წააგავდნენ, ხოლო დღეები სამოთხეს“. განსაკუთრებით უყვარდა აღმოსავლეთ საქართველო, კახეთი, სადაც ცხოვრობდა მისი მეგობარი და შემდეგ სიმამრი, ალექსანდრე ჭავჭავაძე.

მართალია, ალექსანდრე მასზე უფროსი იყო ცხრა წლით, მაგრამ ეს ვხოლოდ აძლიერებდა მათს მეგობრობას, რადგან, ა. ს. პუშკინის სიტყვებით თუ ვიტყვით, გრიბოედოვი, „ეპოქის ერთ-ერთი უგანათლებულესი ადამიანი ხშირად ვერ პოულობდა საერთო ენას თავის თანატოლებთან.“

აი, ახლაც იგი მიისწრაფოდა თავის მეგობართან, რათა ესაუბრა პეტერბურგზე, მოსკოვზე, პარიზზე...

...1826 წლის ივლისის დღე ძალზე მცხუნვარე იყო. ხალხი ბინდის დადგომას ელოდებოდა, ისხდნენ თავიანთ გრილ დარბაზებში და რიკულებიან აივნებზე, რომლებიც ვაზის ტოტებში იძირებოდა, ხოლო ჯერ კიდევ მწვანე, მაგრამ მზედაკრული მტევნები ოქროს შემოდგომის დადგომას წინასწარმეტყველებდნენ.

— ბატონო ჩემო, იყიდეთ ყვავილების მიწა, კარგი მიწაა, — გრიბოედოვი უცებ გამოფხიზლდა ფიქრებისაგან.

მის წინ კინტო იდგა ყვავილების მიწით დატვირთული ვირით.

ეს აშკარა ხუმრობა იყო! რად უნდა გრიბოედოვს ყვავილების მიწა?!

— მიწას მერე ვიყიდი, წასვლისას, რათა მუდამ თან მახლდეს საქართველო. ჯერ კი ყვავილებს შევიძენ. რამდენისაა? — იკითხა მან და მეწამული ფერის ყვავილებზე მიუთითა.

— ყვავილები რაა, მათ ყველა ყიდულობს. მიწაა რაც არის... — ბუზღუნებდა კინტო და დარდიმანდული მოხდენილობით ურჩევდა ყვავილებს.

გრიბოედოვი უკვე ნაცნობ სახლთანაა. კარი გაუღეს, შვეიცარს შლიაპა და ხელთათმანი გადასცა. დიასახლისს ვარდები მიართვა და დიდი გემოვნებით მორთულ დარბაზში შევიდა. აქ ნამდვილად გრილოდა.

— როგორაა საქმე? რა მოხდა იქ?.. — აღელვებით იკითხა ოჯახის უფროსმა.

— ნურაფერს მკითხავ... — კარგი განწყობილება გაქრა. ჭროლა ჭკვიან თვალებში ცრემლი აკიაფდა.

თბილისში ეხლახან გაიგეს დეკაბრისტების ამბავი და ჭავჭავაძე ძალზე წუხდა.

— მე კი ვიმედოვნებდი...

— ვიზიარებ მათ აზრებს, იდეებს, მაგრამ...

— შენ მუდამ სკეპტიკურად იყავი განწყობილი მათი წამოწყების მიმართ.

— გამიგე, საშა, ასი პროპორშჩიკი ვერ შესცვლის სახელმწიფოებრივ წყობილებას... მათ საქმეში ხალხი არ მონაწილეობდა, მათთვის ხალხი თითქოს არც არსებობდა... ხალხის გარეშე კი ასეთი საქმე არ კეთდება...

— შენ როგორა ხარ? ყველაფერი რიგზეა? — ჰკითხა ალექსანდრემ.

— სასწაულია ჩემი გადარჩენა, ძვირფასო, სასწაული, — ჩემს ნათესავს, კავკასიის პროკონსულს, — ასე უწოდებდნენ ისინი გენერალ ერმოლოვს, — რომ არ გავეფრთხილებინე და ზომები არ მიმეღო, ციმბირში მიკრავდნენ თავს... მართლა, გახსოვს ოფიცერი იაკუბოვიჩი?

— შენ რომ დუელი გქონდა მასთან? — იკითხა თავადმა. რა თქმა უნდა, ახსოვს — ამ დუელმა ხომ დიდი ხმაური გამოიწვია

თბილისში. ხელში დაჭრილი გრიბოედოვი აქ ჩამოიყვანეს, მის სახლში, ავადმყოფს ალექსანდრე და მისი მეუღლე უვლიდნენ.

— დეკაბრისტი ყოფილა.

ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა, რომელსაც მხოლოდ პარიზიდან ჩამოტანილი საათის ხმა არღვევდა.

— პეტერბურგში უკვე აღარ მივსდევდი მხიარულ ცხოვრებას მაღალი წრის ახალგაზრდობასთან, ჩემი ახალგაზრდობაც ხომ დიდი ხანია გათავდა. ასე მგონია ღრმა მოხუცი ვარ და სიკვდილის აჩრდილი დამდევს ყოველ ფეხის ნაბიჯზე...

ალექსანდრე ჭავჭავაძე თვითონაც ცუდ ხასიათზე იყო, მაგრამ თავისი ფიცხი ხასიათის მიუხედავად, მღელვარება მოჩვენებით სიმშვიდეს დაუმორჩილა.

— რატომ მოვისწრაფი მე აქეთ, რატომ მიყვარს ასე ძლიერ საქართველო? — ჩაფიქრებით თქვა გრიბოედოვმა.

— იმიტომ, რომ შენ აქ ყველას უყვარხარ, გელიან.

— მე მიყვარს მრავალწამებული ქართლი და შენი ქვეყნის მუსიკა, აქ თითქოს იოლად სუნთქავს ადამიანი. მინდა სამუდამოდ გადმოვსახლდე. ნეტავ შემეძლოს გავხსნა სამაზრო და აღმოსავლური ენების სასწავლებლები, კომერციული ბანკი, საჯარო ბიბლიოთეკა, გამოვცე გაზეთი „თბილისის უწყებანი“...

— შენი გეგმები თბილისის გარდაქმნის შესახებ? — ოდნავი ირონიით შენიშნა ჭავჭავაძემ.

— იქნება ეგაც...

უცებ კარი გაიღო, ოთახში გოგონა შემოვიდა. გასაოცარი სინაზე და ქალურობა, ყველაფერი მის სინორჩეზე ლაპარაკობდა და მხოლოდ თვალები, დიდრონი, ლამაზი, ჭკვიანი თვალები ამჟღავნებდნენ მასში ასაკზე უფრო ადრე განვითარებულ ქალს. ღმერთო ჩემო, ნუთუ ეს ნინოა, ერთი ციცქნა გოგონა, რომელიც გრიბოედოვს რამდენჯერ ხელში აუყვანია, ეალერსებოდა, ეთამაშებოდა?! სწორედ ეს ის პატარა ნინო იყო და გრიბოედოვმა უხერხულობის დასაფარავად მამამისს ფრანგულად მიმართა:

— ასეთი მშვენიერი მედეასათვის ჩრდილოეთიდანაც მოვიდოდი ფრენით...

— თქვენ დაგაგვიანდათ, ბატონო ჩემო; ვაი, რომ ჩვენი დროის მედეები უკვე აღარ არიან ოქროს ვერძის მფლობელნი, — უპასუხა ქალიშვილმა ფრანგულადვე.

— იმიტომ, რომ ისინი თვითონ ქცეულან ოქროს ვერძად, — თქვა გრიბოედოვმა უკვე რუსულად და ხელზე აკოცა ქალიშვილს...

შემდეგ დენის დავიდოვიც მოვიდა ბოროზდინთან ერთად, გაიხსენეს კიუხელბეკერი, რომელიც სხვებთან ერთად გამოიყვანეს სენატის მოედანზე. ამ ოჯახისა და მთელი საქართველოს დიდ მეგობარს, მასაც უყვარდა „ცოფიანი, მდუღარე თერგი", „ზღაპრული მტკვრის ნაპირები" და მისი „ცოცხალი კუნძულები" (ორთაჭალის ბაღები), „მაღალქვიანი თბილისი" და ანანურის ციხე... სად არის ახლა ის, საყვარელი კუხლია, მეგობარ ლიცეელებს თავს რომ ერჩიათ?

გრიბოედოვმა თხოვა ჭავჭავაძეს თავისი ახალი ლექსები წაეკითხა. ალექსანდრე ადგა, ხელში ყანწი აიღო და ნახევრადმღერალი ხმით წაიკითხა. გრიბოედოვი კი ნელა უთარგმნიდა ლექსის შინაარსს იქ მყოფ რუს მეგობრებს:

სიყვარულო ძალსა შენსა ვინ არს რომე არ ჰმონებდეს?..
ვინ არს რომე გულსა ტახტად, ოხვრას ხარკად არა გცემდეს?
შენგან მეფე მონას ეყმოს, შენგან ბრძენი ხელად რებდეს,
და ბულბულსა რად ეზრახვის, რომ შენგამო ვარდს შეჰყეფდეს!

— პოეტი ჭავჭავაძის სადღეგრძელო იყოს, — წარმოთქვა გრიბოედოვმა, სულმოუთქმელად გამოსცალა ყანწი და დავიდოვს გადაულოცა, — ალავერდი შენთან, დენის, — და მის მიერ ოდესღაც თარგმნილი ჭავჭავაძის ლექსის ორი სტრიქონი წაიკითხა:

„ვისაც ხელთ გქონდეს ნება გულისა,
იგემეთ სიტკბო სიყვარულისა!"

დავიდოვი და ჭავჭავაძე სუფრასთან დარჩნენ, სვამდნენ, საუბრობდნენ, ლექსებს კითხულობდნენ. ახალგაზრდა დიასახლისი და გრიბოედოვი კი აივანზე გავიდნენ.

ბინდი ჩამოწვა. მთაწმინდის სილუეტი ადამიანთა ბედნიერების მოდარაჯე ბუმბერაზსს წააგავდა. მის კალთაზე თეთრად ჩანდა მონასტერი. ოთახიდან მუსიკის ხმა ისმოდა — ალექსანდრე ჭავჭავაძე უკრავდა დუდუკზე.

გრიბოედოვი მთაწმინდას გასცქეროდა.

— რა კარგი იქნებოდა მთაწმინდაზე, დავითის მონასტერში დასახლება სამუდამოდ, — ოცნებით წარმოთქვა მან.

— ჯერ ძალზე ადრეა ამაზე ფიქრი, პოეტო?! — ეოესმა ნინოს ხმა.

ალექსანდრე სერგის ძე გამოფხიზლდა, ქალიშვილს შეხედა.

„ღმერთო ჩემო, რა მშვენიერია!“...

გაიფიქრა მან.

*

„ვნახე ალაზნის ბუნება,
მდინარე გულგასახარი,
ჭაღარა — როგორც თქმულება
როგორც სიმღერა — ახალი“.

ასე წერდა ნიკოლოზ ტიხონოვი თავის ლექსში „წინანდალი“. ასოცდაათზე მეტი წლის წინათ ასევე „გადაიარა ალაზანი“ ალექსანდრე გრიბოედოვმა და მთელი გულით შეიყვარა კახეთი. 1826 წელს ოჯახთან ერთად ისევ ჩამოვიდა წინანდალში.

„რა თვალწარმტაცი ადგილი აურჩევია სამოსახლოდ თავად ჭავჭავაძეს!“. გრიბოედოვის მეგობრის მამული ის ადგილი იყო, სადაც ცხოვრება და შემოქმედებითი შრომა საოცნებოდ ეჩვენებოდა მას.

— ეშმაკებს წაუღიათ სამსახური, ჩემი ყველაზე დიდი სურვილი აქ ყოფნაა, შენს გვერდით, ჩემო ძვირფასო... — ეუბნებოდა იგი ნინოს. შეყვარებულები იყვნენ და სეირნობდნენ წინანდლის ბაღში.

ნამდვილი მეოცნებენი.

მას შეუყვარდა ეს ნაზი, სათნო ქალიშვილი და ვერ წარმოედგინა უიმისოდ სიცოცხლე. ნინოს გადაუხსნა მან გული, უზიარებდა თავის ოცნებებს... ეს გახლდათ ის გრიბოედოვი, რომელიც არავისთან არ იყო გულახდილი, და ეს იმიტომ, რომ — ამ თხუთმეტი წლის გოგონას კარგად ესმოდა მისი.

მწუხრი დაეშვა დედამიწაზე. მთვარე ანათებდა ალაზნის ველსა და ცივ-გრმბორის მთებს. თითქოს ღმერთს თავისი უზადო კალთა დაებერტყა ამ მხარისათვის, ამ ღვინისა და სიმღერების კუთხისათვის.

საღამოს სიგრილე იგრძნობოდა. ისინი ბაღის ბოლოს სამლოცველოსაკენ წავიდნენ. ეს პატარა ეკლესია განმარტოებით იდგა, თითქოს იდუმალებისაკენ მოუხმობდა ადამიანს.

ასულმა თავი მიაყრდნო გრიბოედოვის მკერდს. გრიბოედოვს გაახსენდა, რომ რამდენიმე თვის წინათ შესჩიოდა თავის მეგობარს, — სტეპან ბეგიჩევს, მოწყენილობასა და სულის სიცარიელეს უჩიოდა.

— რატომ ხარ მოწყენილი, ჩემო ძვირფასო? ფამუსოვისა და სკალოზუბის შემქმნელი მხიარული უნდა იყოს, — შემპარავი ხმით წარმოთქვა ნინომ.

— მართალია, შეწუხებული ვარ, მოწყენილი, საშინლად განწყობილი: და მხოლოდ შენ, ჩემო ნორჩო ღვთაებავ, მაწვდი სიცოცხლის ძალას, მიღვიძებ შემოქმედების სურვილს. შენ და წინანდალი... სულ ახლახან ვამბობდი, რომ დროა მოვკვდე! მე თვითონ ვერ ამეხსნა საკუთარი სევდის მიზეზი... არ ვიცოდი, როგორ დამეღწია თავი თვითმკვლელობისათვის, ვგრძნობდი ერთ-ერთი მათგანი არ ამცდებოდა... და აი, ჩემს წინაშე ნათელი სხივი აკიაფდა... და ეს შენ ხარ, ჩემო ბედნიერებავ!.. ახლა მე ისე მწყურია სიცოცხლე, როგორც არასოდეს!..

მან შეამჩნია, რომ ქალის თვალებში ცრემლი აკიაფდა... და გაჩუმდა. დუმდა ეკლესიაც, სიმშვიდისა და სიჩუმის ეს პატარა სავანე.

შემდეგ ისინი წავიდნენ იმ მხარეს, სადაც ვეებერთელა მარანში ოქროსფერი წინანდლით სავსე ასწლიანი ქვევრები იყო ჩამარხული. ძველმა მეღვინემ მამუკამ, რომელსაც პატარა თექის ქუდი ეხურა, გრძელ ჯოხზე წამოცმული ორშიმოთი ამოიღო ღვინო და მიართვა მათ. გრიბოედოვმა ჯერ ნინოს მიაწოდა, მერე თვითონ იგემა.

მოხუცს დასაყოლებელი მზად ჰქონდა — დარჩეული კაკალი.

— მე წავალ, — ნინომ დატოვა გრიბოედოვი მოახლოებულ შამასთან და მსუბუქი ნაბიჯებით გაემართა სახლისკენ.

— როგორც ვხედავ, შენ განწყობილება გაგიუმჯობესდა, მეგობარო. — შენიშნა ჭავჭავაძემ.

— სწორი ხარ, საშა... გამიუმჯობესდა... ბედნიერი ვარ. და იცი რატომ? ნინოს გამო... უკვე რამდენიმე დღეა, მინდა გამოგიტყდე...

— არაა საჭირო, — ხელის აწევით შეაჩერა ალექსანდრემ, — მე ყველაფერი მესმის, და შენზე ნაკლებ ბედნიერი როდი ვარ. გულახდილად გეუბნები, როგორც მეგობარს...

■

1828 წლის გაზაფხულზე გრიბოედოვმა ახალი დანიშნულება მიიღო — ირანში იგზავნებოდა ელჩად. თავის ახალ სამსახურს ის ირონიით „პოლიტიკურ გადასახლებას“ უწოდებდა. „მე ვემსახურები მეფეს, რათა საკუთარი ბავშვების გამოსაკვები ვიშოვო“, ხუმრობდა იგი.

იმავე წელს, ოქტომბერში წინანდლის პატარა სამლოცველოში გრიბოედოვმა ჯვარი დაიწერა ნინო ჭავჭავაძეზე.

იმ წელს კახეთში შემოდგომა განსაკუთრებით კარგი იყო. წინანდლის ბაღი შესანიშნავი მხატვრის ტილოს მოგვაგონებდა, ფერების ვაკხანალიით შემკულს.

გზა სამლოცველოდან სახლამდე ვარდებით იყო მოფენილი. ნინო და ალექსანდრე დინჯად ვიდოდნენ გადაჯვარედინებული ხმლების ქვეშ.

იმ საღამოს წინანდალში შეიკრიბა თბილისის ბრწყინვალე საზოგადოება, არისტოკრატიის საუკეთესო წარმომადგენლები, მთელი მაღალი ჩინოვნიკობა, პოეტები, მწერლები...

ალექსანდრე ჭავჭავაძე, მართლაც რომ ბედნიერი იყო, სუფრას თვითონ თამადობდა, გულიანად მხიარულობდა, მღეროდა. შემდეგ ხელში აიღო გამჭვირვალე ღვინით სავსე აზარფეშა და თავისი ახალი ლექსი წაიკითხა.

თასი დასცალა და თავის სიძეს ალექსანდრე გრიბოედოვს გადაულოცა.

... ერთი კვირის შემდეგ კი გრიბოედოვი მეუღლის, საელჩოს წარმომადგენლობისა და კაზაკების ამალითურთ სპარსეთში გაემგზავრა.

■

ალექსანდრე ჭავჭავაძეს შემოქმედებითი სიმწიფის ხანა დაუდგა. სულ უფრო და უფრო მეღავნდება მისი ორიგინალური შემოქმედების ძალა. ამ დროს ეკუთვნის მისი განთქმული ლექსი „გოგ-

ჩა“. ამ პოეტურ შედევრში ის გვევლინება როგორც ფილოსოფოსი, პოეტური ენით გამოხატავს ცხოვრებისა და მისი კანონების შესახებ ღრმა აზრებს. პოეტი თავისი ქვეყნის ისტორიული განვითარებისა და საზოგადოებრივი ყოფის რთულ სურათებს გვიხატავს.

აქ პესიმისტური მოტივიც გაისმის, მაგრამ პოეტის პესიმიზმი, ნაღველი მისი სატრფოს — სამშობლოს მდგომარეობითაა გამოწვეული, ეს პატრიოტის პესიმიზმია. პატრიოტული მიზეზების გარდა, ეს სევდა სოციალური უთანასწორობითაა გამოწვეული, ადამიანის მონური მდგომარეობით, ქართველი იქნება ის თუ რუსი.

მის შემოქმედებაში მკაფიოდ ისმის სოციალური მოტივები. ეს პროტესტია არსებული წესწყობილების და მონობის წინააღმდეგ. ეს გვაროვნული უთანასწორობის უარყოფაა.

დეკაბრისტების გავლენა, მეგობრობა გრიბოედოვთან, ბაირონის ამბოხი და სენ სიმონის იდეები, საფრანგეთის რევოლუციის გამოძახილი და ნიკოლოზ პირველის შემაძრწუნებელი რეაქცია — ყველაფერი აფიქრებდა მგოსანს.

ამ ფიქრებმა წარმოშვა ალბათ იმ დროისათვის სავსებით უჩვეულო ლექსი:

„...რომელნიც ამწარებთ ღარიბთ ცხოვრებას
და სთხოვთ ურცხვად უსამართლოდ მონებას,
მოელოდეთ მათთან თანასწორობას.

მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეპით!“

ეს თამამი, გაბედული ლექსი მთელი თავისი სიღრმით გამოხატავს ალ. ჭავჭავაძის მდიდარ სულიერ სამყაროს.

ტყუილად როდი მფარველობდა მგოსანი ემიგრანტებს, გადასახლებულებს. მისი სახლი თავისუფალი აზრების არსენალს წარმოადგენდა, იქ ინახებოდა ახალი იდეები, აზრები, განწყობილებები. ტყუილად როდი გახდა ის გრიბოედოვის ნათესავი, პუშკინის, ლერმონტოვის, კიუხელბეკერის და დენის დავიდოვის მეგობარი.

*

დღეს ჩვეულებისათვის ეღალატნათ — არ იყო განათებული ორთაჭალის ყველაზე საუკეთესო ბაღი. 1829 წლის მაისის ღამის სიბნელეს მხოლოდ ციცინათელების ფოსფორული ნათება თუ არ-

ღვევდა, რომელიც ზოგჯერ სხივს ფენდა მდინარის კუპრივით შავ, ხავერდოვან ზედაპირს.

წყალიც თითქოს არ ირხეოდა. დროდადრო ამ სიბნელესა და სიჩუმეს არღვევდა ნიჩბების განზომილი ხმაური და მეთევზის ნავის კიჩოზე მოციმციმე ალი, რომელიც ქარონის ფარანს წააგავდა.

ზედ მტკვრის პირად გაშლილია ფართე სპარსული ხალიჩა.

აშუღთა პრინცი, როგორც თბილისში უწოდებდნენ ალექსანდრე ჭავჭავაძეს, აქ მოელოდა დღეს კავკასიაში გადმოსახლებულ რუს პოეტს ალექსანდრე პუშკინს.

მოხუცი ვანუა დაუზარებლად ფუსფუსებდა და მზად იყო ნემსის ყუნწში გამძვრალიყო, რათა ესიამოვნებინა საყვარელი აშუღის და სახელოვანი სტუმრისათვის. მან გააფრთხილა თავისი თანაშემწე საქო და რამდენიმე ყარაჩოხელი, რომ „ამ ქეიფის შესახებ ბევრს ნუ ილაპარაკებთო, თავადი უმასპინძლდება რუს აშუღს, რომელსაც თავის სიმღერაში თურმე ცუდად მოუხსენებია რუსთა მეფეო“ და ეს იდუმალება სხვაგვარ, მიმზიდველ იერს ჰფენდა ნადიმს.

სტუმრები ვაზის ტალავერში ისხდნენ.

ფქვილში ამოგანგლულმა ახალგაზრდა რაჭველმა მზარეულმა სუფრაზე დააწყო ცხელი თონის პურები, რომლებიც ნამგალა მთვარეს წააგავდნენ. იქვე, შორიახლოს ვეებერთელა კაკლის ხეზე ახლად დაკლული ცხვარი ეკიდა და ვანუა მას სამწვადეს აჭრიდა. მაგიდაზე ცხვრის ყველის მოთალის დიდი თავები და ნამიანი მწვანილი ელაგა: სურნელოვანი ტარხუნა, გაზაფხულის წიწმატი, ქინძი, ნიახური, პრასი...

ხის ჯამი ჯონჯოლით იყო სავსე. სტუმრების თვალწინ აიღეს გავარვარებული კეცებიდან შემწვარი წიწილები და ყოველ სტუმარს ჩამოურიგეს ვაზის დიდ ფოთლებზე. იქვე ხალიჩაზე ეწყო მოწნული კალათები, რომლებიც სავსე იყო გასული წლის ხილითა და ყურძნის მტევნებით. ტიკებიდან მოწანწკარებდა სისხლივით წითელი ყვარელი და მაღალ ყანწებს ავსებდა ვარდისფერი კახური და ქარვისფერი წინანდალი.

სუფრის თავში მჯდომი ამაყი შესახედაობის ლამაზი კაცი ლექსს კითხულობდა, თითქოს მღეროდა, დანარჩენები კი უსმენდნენ აშუღების პრინცს, როგორც მენესტრელს, რომელმაც ექვსი საუკუნით დაიგვიანა ამ ქეიფზე. გვერდით ალვის ხესავით ამო-

დგომოდნენ მშვენიერი ჭაბუკები. მათ თავი აზარფეშებზე დაეხარათ და წითელ ღვინოს დასჩერებოდნენ...

„შენ ნარგიზი ახალი ხარ თავსა შენსა სტრფობ და ჰყვარობ
მაგრამ წყალში ჭვრეტის ნაცვლად წითელ ღვინოს სარკედ ჰხმარობ;
სახე შენი მას ღვინოში ჰჩანს, ვით ვარდი ზედა ხარობ,
მერე ეშხი აღნატაცი, თავსა შთანთქმად აღარ ხარობ".

ის იყო ამ ახალგაზრდობის ჰიმნის წაკითხვის შემდეგ სტუმრებმა თავიანთი აზარფეშები დასცალეს, რომ ღამის სიბნელიდან აიმართნენ ყარაჩოხელთა სილუეტები, მათ ხელში ფიალები ენთოთ, სუფრაზე ცოცხალი თევზები გადმოყარეს, ოდნავ გასაგონად სიმღერაც წამოიწყეს.

ეს სტუმრის პატივსაცემი სიმღერა იყო.

პუშკინი ფეხზე წამოდგა, სიხარულისგან სახე გაუბრწყინდა, ჭავჭავაძემ მას ღვინით სავსე ყანწი გაუწოდა.

თურმე ტყუილად არ იზიდავდა პუშკინს საქართველო, ეს მისთვის ჯერაც უცნობი „პარნასი", ქვეყანა, რომლის „საუკეთესო კლიმატი ვერ ანაზღაურებდა მის მიერ გადატანილ უბედურებებს. მოწონებითა და სიხარულით გამოიარა მან საქართველოს სამხედრო გზა და კავკასიამ მიიღო ის თავის საკურთხეველში. „რამდენიმე დღეს დავრჩი თავაზიან, მხიარულ საზოგადოებაში. -რამდენიმე საღამო გავატარე ბაღებში მუსიკითა და ქართული სიმღერებით გარემოცულმა..." — წერდა იგი.

და აი, ეს იყო ერთადერთი საღამო, როცა მას ალექსანდრე ჭავჭავაძე უმასპინძლდებოდა.

ყველანი გაჩუმდნენ. ფეხზე წამოდგნენ და ისე უსმენდნენ პუშკინს:

— მე მუდამ ვამბობდი, რომ ჩემი მეგობარი გრიბოედოვი ერთ-ერთი უჭკვიანესი კაცია რუსეთში, დღეს ერთხელ კიდევ ვრწმუნდები ამაში და მესმის, რატომ დაუმეგობრდა და დაუნათესავდა ის ალექსანდრე ჭავჭავაძეს. ჩემთვის გასაგებია სულთა ეს ნათესაობა. გრიბოედოვმა შექმნა თავისი: მან დაწერა „ვაი ჭკუისაგან", ჭავჭავაძემ კი შექმნა თავისი შეუდარებელი ლექსები... ამიერიდან ეს ორი ადამიანი ჩემს წარმოდგენაში განუყოფელი რჩება.

აბა რა იცოდნენ მათ, რომ ორი თვის უკან გაბოროტებული ბრბო თეირანის ჭუჭყიან ქუჩებში დაათრევდა გრიბოედოვის დამახინჯებულ ცხედარს... რა იცოდნენ, რომ სპარსეთისა და აზერბა-

იჯანის უკაცრიელ, მტვრიან გზებზე ზოზინით მოემართებოდა ურემი, რომელზედაც პოეტის უსულო სხეული ესვენა...

გრიბოედოვის ნორჩმა ქვრივმა შეასრულა ქმრის ანდერძი: „ნუ დატოვებ ჩემს ძვლებს სპარსეთში, თუ იქ მოვკვდი, ჩამომასვენე თბილისში და დავითის მონასტერში დამასაფლავეთ...“

*

გრიბოედოვის დაღუპვის შემდეგ გლოვამ დიდი ხნით დაიმკვიდრა ფეხი ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახში. თვით პოეტი გულჩახვეული გახდა, ხალხს არ ეკარებოდა, უმეტეს დროს წინანდალში ატარებდა, სულ უფრო და უფრო მეტს ფიქრობდა ბედის უკუღმართობაზე, ხალხის ბედზე, მომავალზე.

ერთ საღამოს, როცა ის თავის აივანზე იჯდა და ალაზნის ველის სილამაზით ტკბებოდა, ალაყაფის კარებთან მხედარი შეჩერდა. ლუარსაბ ორბელიანი იყო, მისი მეგობარი, თავადებს გამოეგზავნათ და ითხოვდნენ, ალექსანდრე ჭავჭავაძეს მონაწილეობა მიეღო აჯანყებაში რუსეთის წინააღმდეგ. აჯანყებულნი საქართველოს განთავისუფლებას ელტვოდნენ.

ალექსანდრეს დიდხანს არ უპასუხნია, ფიქრები აწამებდა, ჩქარი ნაბიჯებით ბოლთასა სცემდა ოთახის ერთი კუთხიდან მეორემდე, ახსენდებოდა გრიბოედოვის სიტყვები დეკაბრისტების შესახებ: „ისინი თავიდანვე განწირულნი იყვნენ — რადგან ხალხი არ იყო მათთან“, თუმცა დეკაბრისტთა შეთქმულება უეცლოდ პროგრესიული მოვლენა იყო. აქ კი! აქაც არის ხალხი, ერთი მეფე მეორეთი შეიცვლება, თუნდაც საკუთარი მეფით, მაგრამ ნუთუ ეს ქართველების მდგომარეობას გააუმჯობესებს? პატარა ქვეყანა ისევ ყოველმხრივ გარშემორტყმული აღმოჩნდება. მას კი სჯეროდა, რომ საქართველოს ბედნიერება ასე თუ ისე რუსეთთანაა. მაგრამ მას, ეროვნული დამოუკიდებლობის მომხრეს არ შეეძლო თანაგრძნობა არ გაეწია შეთქმულებისათვის.

1832 წელს ალექსანდრე ჭავჭავაძეს ბრალი დადეს ქართველ თავად-აზნაურთა აჯანყებაში. და დააპატიმრეს. დაკითხვაზე მას თავი ისე ღირსეულად ეჭირა, არავინ გაუცია, არ უარყოფდა აჯანყებაში მონაწილეობას, თუმცა ეს არ დასტურდებოდა.

1834 წლის იანვარში გამოძიებისა და გასამართლების შემდეგ

ის ტამბოვში გადაასახლეს. ორი წლის შემდეგ აპატიეს და სამშობლოში დააბრუნეს. მიუხედავად იმისა, რომ თვალყურს ადევნებდნენ, მან მიიღო თავის სახლში ლერმონტოვი, ოდოევსკი. ამ წლებში ის თითქოს თვითონ იყო „დემონი, დევნილი სული, ჯვრის მონასტერში გამომწყვდეული მწირი“.

1838 წელს ალექსანდრე დანიშნეს საბჭოს წევრად კავკასიის მთავარმართებლის კარზე, 1841 წელს კი მიანიჭეს გენერალ-ლეიტენანტის წოდება. მაგრამ უბედურმა შემთხვევამ შეწყვიტა ალექსანდრე ჭავჭავაძის ენერგიითა და შემოქმედებითი შრომით აღსავსე სიცოცხლე...

ლადო გუდიაშვილის ათას ერთი ღამე...

1.

ეს სახელწოდება შემთხვევითი როდია.

ლადო გუდიაშვილმა მართლაც შექმნა ფერების ზღაპრული სამყარო — თავისი უკვდავი შეჰერეზადა. მისი ყოველი სურათი — ლეგენდაა. ზღაპრული ფერები, გასაოცარი ხაზები. ყოველ სურათს, ნახატს, ეტიუდს თავისი ფილოსოფია, თავისი სიბრძნე აქვს... ფერებიც თავისებურია, გუდიაშვილისებური.

ისინი ბევრია, უჩვეულოდ ბევრი — ცოცხალი, უსაზღვროდ ორიგინალური.

ოციანი წლები. მე უნივერსიტეტში შესასვლელად ვემზადებოდი. თავისუფალ დროს (ზოგჯერ არათავისუფალსაც) რუსთაველის პროსპექტზე ვსეირნობდით. იმ წლებში პროსპექტის ფართოფოთლოვან ჭადრებქვეშ დასეირნობდნენ პოეტები, მწერლები, არტისტები, მხატვრები. ისინი აქ ხვდებოდნენ ერთმანეთს, უზიარებდნენ ერთმანეთს განცდილსა და განაგონს, კამათობდნენ, ყვებოდნენ თავიანთ შთაბეჭდილებებს. ჩადიოდნენ „დარიალის“, „გემოს“, „ქიმერიონის“ სარდაფებში, მიდიოდნენ „ოლიმპიაში“ პუშკინის ქუჩაზე, ან „სიმპატიაში“, რათა შეესვათ კახეთის ველების მათრობელი ნექტარი.

1927 წლის ზაფხულში ამ „მონმარტზე“ მოსეირნე ხელოვნების ქურუმებს შეუერთდა შუა ტანის ახალგაზრდა კაცი, რომელსაც ოდნავი იდუმალების იერი გადაკრავდა. ის თითქოს ძველებური ფრესკების მოდერნიზებული ორეული იყო.

ამბობდნენ მხატვარიაო.

სანდლებს ატარებდა ძველი რომაელივით, თხელი თეთრი შალის შარვალი ეცვა და სპილოსძვლისფერი აბრეშუმის პერანგი.

დადიოდა მსუბუქად, თითქოს მიწას ფეხს არ აკარებდა. მის მოძრაობაში იყო რაღაც ისეთი, რაც მას მირონის „დისკობოლს", თუ მთიულს ამსგავსებდა, ვაუკაცური, ერთი შეხედვით, თითქოს მრისხანე გამომეტყველება ჰქონდა, მაგრამ, როგორც კი დაილაპარაკებდა ან გაიღიმებდა, იგრძნობდით უსაზღვრო სითბოსა და მომხიბვლელობას. მაღალი შუბლი, ხშირი, გრძელი, გადაბმული წარბები, რომლებიც თითქოს დარაჯობდნენ უსაზღვროდ კეთილ, ღია ფერის თვალებს, ჭაღარაშერეული, უკანგადავარცხნილი, ოდნავ ტალღისებური თმა მხატვრის მთელ აღნაგობას პლასტიკურად დასრულებულ იერს აძლევდნენ.

ბოლოს გავიგე, ეს ლადო გუდიაშვილი იყო, რომლის სულსაც აღტაცებაში მოჰყავდა ყველა, განსაკუთრებით, ახალგაზრდობა.

იმ ხანებში გავეცანი მის შემოქმედებას: „ხაში", „თევზი ცოცხალი", „კინტოს ქეიფი ქალთან", „მწვანე ფერიები", „ცხენისწყლის ტალღებში", „ფერო ზესტაფონში", „ბაკურიანის ანდეზიტი", „შველები".

შველი, მშვენიერებისა და სიწმინდის სიმბოლო, — გუდიაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების ლაიტმოტივია.

მთელი თაობა იზრდებოდა მაშინ გუდიაშვილის შემოქმედებაზე.

ბევრი ჩვენთაგანი არ ეწეოდა, მაგრამ მაინც ყიდულობდა პაპიროსს — „საბჭოთა საქართველოს", რომლის ეტიკეტი გუდიაშვილის მიერ იყო შესრულებული. მასზე გამოსახულია შველის მსგავსი გოგონა სამოთხის ხეებს შორის, მოცისფერო-მოლურჯო ფერებში.

ჩვენ გვიყვარდა, აგრეთვე, სასტუმრო „ორიანტის", ან როგორც ახლა უწოდებენ „ინტურისტის" მეორე სართულის ფოიე, რომლის კედლების მხატვრობა გუდიაშვილს ეკუთვნოდა. მე თანავუგრძნობ იმათ, ვისაც იმ კედლებზე გამოსახული ფრესკები არ უნახავთ, ის იყო ნამდვილი შედევრი: ლერწმისტანა ქართველი ქალები, გედივით ყელმოღერებული შველები, ახალგაზრდა ვაჟები ძველი ქართული ფრესკებიდან... ოდნავ ჩახშული, თითქოს დროისგან გახუნებული ფერები, ვარდისფერ-ცისფერი იერი.. ჩვენ ხშირად ვეწ-

ვეოდით გუდიაშვილის ფანტაზიის ამ სიცოცხლით სავსე გმირებს, რომელთაც ოდნავი იდუმალების იერი დაჰკრავდათ, და საათობით შევცქეროდით მათ.

სასტუმროს მორიგეები მხრებს იჩეჩდნენ, უკვირდათ, რომ ასეთ აღტაცებაში მოვყავდით ამ „უყურო საოცრებებს“ (გუდიაშვილი, საერთოდ, ერიდებოდა ყურების ხატვას, რადგან მისი აზრით ისინი ამახინჯებენ ადამიანის სახეს). ბევრს არ ესმოდა მაშინ მხატვრის ღრმა, მზიური ხელოვნება, მახსენდება, როგორ დავდიოდით მაშინ მე და ლადო ინსტანციებში... მაგრამ, სამწუხაროდ, ვერაფერი მოვახერხეთ, სასტუმროს მაშინდელმა დირექტორმა ფრესკები წაშალა, რათა შესაძლებლობა მისცემოდა თავისი საყვარელი დეკორატორისათვის კედლები აბრეშუმისმაგვარი მეშჩანური, უგემოვნო არშიებით მოერთო. მას ზედმეტად მიაჩნდა „ინტერისტის“ კედლებზე გუდიაშვილის სურათების არსებობა, ხოლო აბრეშუმის არშიები მისი ფანტაზიისა და გემოვნების მწვერვალი იყო.

მით უფრო სამწუხაროა ეს შემთხვევა დღეს, როცა ეს შენობა მხატვართა კავშირს გადაეცა. სწორედ რომ ბედის ირონიასა ჰგავს ეს ამბავი...

ამ ამბავს რომ ვიგონებ, უნებურად წამოტივტივდება მეხსიერებაში ლადოს გასაოცარი გრაფიკული ქმნილება: „მშვენიერების საიდუმლოს ამოხსნაში“...

რუსთაველის თეატრის სცენაზე გადიოდა მაშინ სპექტაკლი „ლამარა“. დამდგმელი კოტე მარჯანიშვილი იყო, მონაწილეობდნენ თამარ ჭავჭავაძე, უშანგი ჩხეიძე, აკაკი ხორავა, გიორგი დავითაშვილი. სპექტაკლი ლადო გუდიაშვილმა გააფორმა...

როცა მინდია — დავითაშვილი უახლოვდებოდა ყვავილებს და ესაუბრებოდა მცენარეებს მათს ენაზე, გუდიაშვილის ყვავილები თითქოს უპასუხებდნენ მას. ლადოს ფუნჯი და ვაჟა-ფშაველას ლექსი შეერთდნენ, შეეხიბლნენ ერთმანეთს.

სავსებით უჩვეულო იყო ხევსურთა ზეიმის სცენა. ეს იყო ფერებისა და საღებავების გასაოცარი ვაკხანალია, რომელიც მკაცრ რიტმს დამორჩილებოდა.

ოპერის თეატრში იმ წლებში „აბესალომ და ეთერი“ გადიოდა. მხატვრობა გუდიაშვილს მიანდეს და ისევ ხალხური „ეთერიანი“, ფალიაშვილის მუსიკა და ლადოს დეკორაციები შეერთდნენ სიყვარულისა და უკვდავების სადღესასწაულო ჰიმნად.

მეხსიერებიდან წარუშლელია, აგრეთვე, კოტე მარჯანიშვილის განსაცვიფრებელი წარმოდგენა „არსენას ლექსი". სპექტაკლის უკანა დეკორაცია, რომლის სიგრძე რამდენიმე მეტრს შეადგენდა, გუდიაშვილის მიერ იყო შესრულებული ხალხური მანერით. ეს დეკორაციები ირგვლივ ჰქონდა შემოხვეული თეატრის ორივე მხარეს ორ ბოძს.

სპექტაკლის გმირის — არსენა ოძელაშვილის ყოველ ახალ გამოჩენას და ყოველ ახალ სცენას, თან ახლდა ახალი დეკორაცია და ყოველი მათგანი თეატრალური ფერწერის შედევრი იყო. ამ სპექტაკლის შემდეგ, არ შემიძლია ხალხური „არსენას ლექსი" გუდიაშვილის საღებავების გარეშე წარმოვიდგინო.

მიფრინავდნენ დღეები, როგორც შემოდგომის ფოთლები.

1946 წელს ლადოსთან ერთად მომიხდა ყოფნა მცხეთის მახლობლად, ზედაზენში საეკლესიო-ხალხურ დღესასწაულზე.

ზედაზენის მთიდან ხელისგულივით მოჩანს მცხეთა და ქართლის ველები, რომლებიც ნაცრისფერ ნისლში გადაჭიმულან თავისი მდიდარი ბაღებითა და კრამიტისსახურავიანი სახლებით. მოშორებით ზაჰესია, კიდევ უფრო შორს — თბილისის ბუნდოვანი ხედი.

ამ დღეს თვალნათლივ ვხედავდი, თუ როგორ იღებს მხატვარი შთაგონებას ცხოვრებისაგან, ხალხისაგან. ლადოს ისე ეჭირა თავი კოლმეურნეებთან, როგორც თავის მეგობრებთან, კეთილ მეზობლებთან. ის აუცილებლად მიდიოდა იქით, სადაც ხალხი მხიარულობდა, ცეკვავდა, მღეროდა, სადაც იწყებოდა ჭიდაობა, ფარიკაობა, სადაც მოხუცი სტვირზე სასაცილო შაირებს ამღერებდა, სადაც ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მშვილდ-ისრის ტყორცნაში.

ამ დღეს ლადო რამდენიმე ნათლობას დაესწრო.

საღამოს ზედაზენიდან გზად მცხეთაში შევჩერდით. შეუძლებელია გვერდი აუარო სვეტიცხოველს... და, გარდა ამისა, ასეთი დაძაბული დღის შემდეგ, ზედმეტი როდია იონას დუქანში შესვლა, „ცოცხალისა" და „ატენურის" გასინჯვა.

როცა მცხეთაში ვარ, მიმძიმს ამ პატარა ქალაქთან, იბერიის ძველ დედაქალაქთან დაშორება, აქ ცოცხლდება ისტორია, სამ მწვანე მწვერვალს შორის იშლება საუკუნეებისა და ათასეული წლების ფურცლები.

ერთ-ერთ მთაზე წარმართული ქალაქის, არმაზის, ნანგრევია:

იქით კი მოპირდაპირე მხარეს, ასეთსავე თვალუწვდენელ მთაზე აღმართულია მეშვიდე საუკუნის ტაძარი ჯვარი (გახსოვთ ლერმონტოვის „მწირი"?). ქვევით, მღვრიე მტკვარზე პომპეის ხიდია, სწორედ იმ პომპეის... მახლობლად დედათა მონასტერი „სამთავისი", თავისი შეუდარებელი ჩუქურთმებით. აქვე მოჩანან არქეოლოგების მიერ „გაძარცული" შავი თხრილები.

არასოდეს დამავიწყდება XI საუკუნის ტაძრის სვეტიცხოველის წინ ჩამავალი მზის სისხლისფერი სხივების ფონზე მუხლმოდრეკილი ლადო გუდიაშვილი... მან მუხლი მოიყარა არა იმიტომ, რომ ღვთის არსებობა სწამდა, არა, ის ათეისტი იყო. მან დაიჩოქა ხუროთმოძღვრების დიდი ქმნილების, სვეტიცხოველის წინაშე. მისი უკვდავი შემქმნელის არსაკიძის წინაშე...

წარუშლელია მეხსიერებიდან ლადო „კინტოურის" ცეკვის დროს. ეს სანახაობა საკუთარი თვალით უნდა გენახათ, მისი აღწერა შეუძლებელია. მხოლოდ მაშინ მივხვდი, როგორ შესძლო მხატვარმა ასეთი სიზუსტით გადმოეცა კინტოს ყოველი მოძრაობა თავის ნახატებში. ასეთი პლასტიკურობა, ასეთი მკვეთრი, დასრულებული გადასვლები, უჩვეულო ხაზები, რომლებიც ასახავდნენ ადამიანთა ამ საოცარი კატეგორიის ყოფაცხოვრებასა და სულიერ სამყაროს, მხოლოდ თანდაყოლილი შეიძლება იყოს და მხოლოდ ასეთ მარად ახალგაზრდა ადამიანებს შეიძლება ახასიათებდეს, როგორიც იყო ლადო გუდიაშვილი. ამაში დამეთანხმებიან ისინი, ვისაც უნახავს საუცხოო მსახიობი გიორგი შავგულიძე კინტოს ან ყარაჩოხელის როლში.

...თბილისის, კეცხოველის ქუჩა № 2. აქ ცხოვრობდა ჩვენი მხატვარი, ამ სახლს იცნობს ათასობით ადამიანი, ჩვენც ხშირად მივდიოდით მასთან, რათა გაგვეგო, რა შექმნა მხატვარმა დღეს? ის ბევრს ხატავდა, ძალიან ბევრს, კარს მუდამ გოგონა გვიღებდა, მხატვრის ქალიშვილი — ჩუქურთმა.

იქვე გვხვდებოდა ოჯახის კეთილი ანგელოზი, მხატვრის მეუღლის ნინო გუდიაშვილის მუდამ გულთბილი ღიმილი...

2.

ტაძარი, რომელიც აშენებულია მე-IX საუკუნეში, მდებარეობს ქართლში, ქსანსა და გორს შორის და ძველი ქართული არქიტექტურის საუკეთესო ნიმუშად ითვლება. მას „სამთავისი" ქვია.

მე-XX საუკუნის დასაწყისში ასეთივე ტაძარი ააშენეს რუსთაველის პროსპექტზე, სამხატვრო გალერეასა და იმ სახლს შორის, სადაც მხატვარი ცხოვრობს. ქაშუეთის ახალი ტაძარი არაფრით არ განსხვავდება მისი პირველადი სახისაგან... მაგრამ რა უნდა ექნათ გასაოცარი ფრესკებისათვის, რომლებიც იმ ტაძრის შიდა კედლებს ამშვენებდა? სად მოეძებნათ მხატვარი, რომელიც ღირსეულად გაიმეორებდა მას?!

თითქმის ნახევარი საუკუნის ლოდინის შემდეგ, არჩევანი ლადო გუდიაშვილზე შეჩერდა. მაგრამ მან გადაწყვიტა სამთავისის ფრესკების ნაცვლად დაეხატა ახალი, თავისი. გუდიაშვილის წინადადება მიიღეს და ქალაქს ელვის სისწრაფით მოედო ხმა, რომ ლადო გუდიაშვილმა იკისრა ქაშუეთის ტაძრის კედლების მოხატვაო.

ერთნი გაოცებულნი იყვნენ, — როგორ, კომუნისტი დათანხმდა ტაძრის მხატვრობა შეესრულებინა? ზოგი სენსაციამ გაიტაცა: საინტერესოა, როგორ დახატავს ის წმინდანებს — ყურებით თუ უყუროდ. ზოგი კი ამ ამბავს სიხარულით შეხვდა: მათ იცოდნენ, რომ ქაშუეთი ხელოვნების ძეგლია და გუდიაშვილი კარგად მოიქცა, რომ დათანხმდა. ის მხატვარია და ნება არ ჰქონდა უარი ეთქვა: განა სასაცილო არ იქნება იმის თქმა, რომ რაფაელის „მადონა“ ხატია? ეს ხომ ხელოვნების გენიალური ქმნილებაა!

ვერც ძრახვამ, ვერც მეგობრების შიშმა და გაფრთხილებამ, ვერც მტრების ბოროტმა სიხარულმა — ვერაფერმა შეძლო ლადოსთვის გადაწყვეტილებაზე ხელი აეღებინებინა.

მხატვარმა მტკიცედ გადაწყვიტა განზრახვის შესრულება.

დაიწყო მუშაობა. ახალგაზრდული შესახედაობის ჭაღარა მხატვარი დილიდან საღამომდე იდგა საკურთხევლის გუმბათქვეშ და ხატავდა. ეკლესიაში არავის უშვებდნენ. მხოლოდ ერთი თვის შემდეგ „გაიხსნა ჯაჭვი“.

ტაძრის ალაყაფის კარებთან ღვთისმოსავი მოხუცი ქალები ერთმანეთს შიშნარევი ხმით უჩურჩულებდნენ. ეშინოდათ ხმამაღლა გამოეთქვათ თავიანთი აღშფოთება, ეშინოდათ ღმერთი განერისხებინათ, — იქნებ, ღმერთმა შთააგონა მხატვარს წმინდანების გამოსახულების ასე დახატვა.

ათასგვარი ხმები დადიოდა.

ძნელია უცადო, სანამ თვით მხატვარი მიიხმობს: შემოქმედს

მუდამ გონია, რომ მის ქმნილებას რაღაც აკლია, ნამდვილი ხელოვანი მუდამ უკმაყოფილოა თავისი ნამუშევრით.

ჩვენ გადავწყვიტეთ მხატვარს მოულოდნელად დავდგომოდით თავს. ნაცრისფერკედლებიან, ჩამობნელებულ ტაძარს ერთაღერთი სანთელი ანათებდა და ამ ბინდბუნდში საკურთხეველის მაღალი გუმბათიდან თითქოს მზის ნათელმა სხივმა შემოგვანათა.

ჩვენ განცვიფრებული დავრჩით... თვალწინ გადაგვეშალა ამქვეყნიური მისწრაფებების, მღელვარე ცხოვრების, ადამიანთა ნაკლისა და ღირსებების უსაზღვრო სიხარულის სამყარო.

რა შესანიშნავი სურათი იყო! საღებავების დღესასწაული, სინათლის სიჭარბე, რამდენი მზე, მხიარული ფერების ზეიმი!

საკურთხეველზე ვხედავთ ქრისტეს გამოსახულებას და გაოცების ამოძახილი უნებლიედ წყდება ჩვენს ბაგეებს: ჩვენს წინაშე ხომ მხატვრის მოწაფის, მოქანდაკის ბიძინა ავალიშვილის გამოსახულებაა!

თბილისში ავალიშვილს ბევრი იცნობდა. რუსთაველის პროსპექტზე ხშირად შეხვდებით ამ ვაჟკაცური შესახედაობის ახალგაზრდას. მისი მიხედვით შეიძლება დაეხატათ უფლისწული ან რაინდი თამარ მეფის ამალიდან, მაგრამ ქრისტე?!

ყველაზე კოლორიტული და საინტერესოა ღვთისმშობელი ბავშვით ხელში, რომლის მხატვრობა შესრულებულია ვარდისფერ-ცისფერ ტონებში, დასრულებული ფორმების მქონე, წარმოსადეგი აღნაგობის ლამაზი ქართველი გლეხის ქალი მხიარული ბუთხუზა ბალღით ხელში.

ოდნავ დაბლა, ღვთისმშობლის ორივე მხარეზე მოციქულები დგანან ძველი ქართული საფრესკო ფერწერის ტილოზე: მოციქულები მეომრებს უფრო გვანან, ვიდრე წმინდანებს.

მან ბევრი რამ გამოსცადა: ხელმოკლეობაც და შეძლებულობაც, შემოქმედებითი წარმატებაც და ხელმოცარულობაც, აღტაცებული ქებაც და დაუმსახურებელი კრიტიკაც. ლაპარაკი საკუთარ თავზე, საქართველოს სახალხო მხატვარს ლადო გუდიაშვილს არ უყვარდა, უხერხულობას გვრიდა, მაგრამ ძალზე თავაზიანი იყო და ხათრს ვერ გვიტეხდა.

—დავიბადე თბილისში, 1896 წელს, რკინიგზელის ოჯახში. მამა დეპოში მუშაობდა, დედა პატარებს გვზრდიდა. ბავშვობიდანვე მიყვარდა ხატვა. მინდოდა მხატვარი გამოვსულიყავი. ამ დაჟინე-

ბულმა სიყვარულმა გადაწყვიტა ჩემი ბედი. 1914 წელს საშუალო სკოლა და სამხატვრო სასწავლებელი ერთდროულად დავამთავრე თბილისში. ცამეტი წლის ასაკში ვმონაწილეობდი გამოფენაში. ჩემმა ფერწერამ და გრაფიკამ პედაგოგების ყურადღება მიიქცია.

შემდეგ ქართული ხელოვნების ძეგლების შესწავლა დავიწყე, მონაწილეობას ვღებულობდი ისტორიულ-არქეოლოგიური საზოგადოების ექსპედიციებში, ძველი ფრესკების ასლს ვიღებდი. ისინი ახლა საქართველოს მუზეუმებში ინახება.

ვმონაწილეობდი მხატვრების მიერ მოწყობილ გამოფენებში.

1919 წელს გავემგზავრე პარიზში. იქ დავდიოდი რონსონის აკადემიაში. 1920 წელს მონაწილეობა მივიღე შემოდგომის სალონში. გამოფენაზე წარვადგინე ზეთის საღებავებით შესრულებული ოთხი სურათი. შემდეგ დავბრუნდი სამშობლოში, ვმუშაობ... მგონი, მეტი არაფერია სათქმელი.

არა, სათქმელი კიდევ ბევრია! 1922 წელს პარიზში მოეწყო მისი პერსონალური გამოფენა. გუდიაშვილის სურათები წარმატებით იქნა ექსპონირებული მარსელში, ბორდოში, ლიონში. ბორდოში მხატვარი დააჯილდოვეს საპატიო სიგელით, რომელსაც რჩეულთა შორის რჩეულს აკუთვნებენ.

ლ. გუდიაშვილი წარმატებით მონაწილეობს ლონდონში, რომში, ბრიუსელში, ამსტერდამსა და ევროპის სხვა ქალაქებში მოწყობილ გამოფენებში. 1922 წელს გუდიაშვილის ნამუშევრებს საპატიო ადგილი მიეკუთვნა ნიუ-იორკის „ახალი გალერეის" პირველ გამოფენაზე.

ლ. გუდიაშვილის ნაწარმოებები შეტანილია, აგრეთვე, ლიკორნისა და ჟოზეფბიიეს პარიზის გალერეის და მადრიდის მუზეუმ პრადოს ექსპოზიციებში. მის ბევრ ნამუშევარს შეიძლება შევხვდეთ ევროპისა და ამერიკის საუკეთესო კერძო სალონებში.

შეიძლება ითქვას, რომ ლადო გუდიაშვილის მიერ შექმნილი სახეები ინარჩუნებენ წმინდანთა ტრადიციულ გამოსახულებას, რომლის საწყისები ბიზანტიაში უნდა ვეძიოთ. გუდიაშვილის ფუნჯი ამ სახეებს ზოგჯერ ელეგიური პოეზიით მოსავს, ისინი სავსეა ლეგენდის კოლორიტით, რომელშიც ერთმანეთს უპირისპირდება სიუხვე და სიმტკიცე, ხოლო მუდარა მუდამ ადგილს უთმობს მღელვარე მოთხოვნას.

ლადო გუდიაშვილის დამსახურებად ისიც უნდა ჩაითვალოს,

რომ მან ხელუხლებლად შეინარჩუნა თავისი ნაციონალური გრძნობიერება იმ პლასტიკურ ცდუნებათა შორის, რომელთაც ყოველ ნაბიჯზე ახვედრებდა პარიზი.

3.

1925 წელს პარიზში გამოქვეყნდა ფრანგი ხელოვნებათმცოდნის მორის რეინალის მონოგრაფია გუდიაშვილზე.

აი, ზოგი ფრაგმენტი ამ წიგნიდან:

„ჩვენ მთელი არსებით ვეძლევით მისი ქართული სანახაობების მომხიბვლელობას, იმდენად, რომ, მიუხედავად ჩვენი პატივისცემისა გარკვეული არტისტული ტრადიციების მიმართ, ჩვენ შევიყვარეთ საქართველო ისე, რომ არც კი გვინახავს ის. ჩვენ შევიყვარეთ საქართველო, განსაკუთრებით, მისი სულისათვის და ეს მოხდა გუდიაშვილის ხელოვნების დაბეჯითებით სელის შეწყობის მეშვეობით.

სენტბევი თავის დროზე წერდა მოგზაურობის სარგებლიანობის შესახებ:

მოგზაურობა ხელს უწყობს აზროვნების სიმდიდრეს, და ამცირებს თავმოყვარეობას, და თუ მე გიწვევთ სამოგზაუროდ გუდიაშვილის სურათების სამყაროში, ამას ვაკეთებ იმისათვის, რომ მგონია ისინი არა მარტო ჩვენს პლასტიკურ გემოვნებას დააკმაყოფილებენ ან ლათინურ თავმოყვარეობას შეამცირებენ, არამედ გრძნობათა სამყაროსაც კი დაიპყრობენ...“

პერსპექტივა, ეს საცოდავი, პატარა გამოგონება იმდენად ვიწროა, როგორც არისტოტელეს სახელგანთქმული სამი ერთიანობაა, მასში ტოვებს ადგილს უფრო თავისუფალი წყობისათვის და, მაშასადამე, უფრო მდიდარი გრაფიკული და პლასტიკური აღმოჩენებისათვის. და მისი ნახატი, ელეგანტური და მძლავრი, მოქნილი, მაგრამ არა რბილი, ენერგიული, მაგრამ არა უხეში, ცოცხალი, მაგრამ არა კონვულსიური, მუდამ მოქმედებს ჩვენი გრძნობიერების პლასტიკური მიზეზების ჩარჩოებში, აკეთებს სწორხაზოვან აღმოჩენებს, რომლებიც მჭიდროდაა დაკავშირებული ფერადოვან, მაგრამ საესებით ჯანმრთელ წარმოსახვასთან“.

„... გუდიაშვილის შემოქმედება მხოლოდ წუთით როდი იზიდავს ჩვენს ყურადღებას. ჩვენ ვგრძნობთ, რომ სახეები, რომლებიც ახდენენ მისი კომპოზიციის ილუსტრირებას, ცხოვრობენ ჩვენი

გრძნობიერების ინტენსიური ცხოვრებით, რომლის გამოვლინება არ გვაოცებს, მაგრამ გვაცბუნებს და გვაღელვებს. მხატვარი თითქოს ვვიწვევს მაგარი სასმელის დასალევად, რომელიც ბევრი რამით წააგავს ჩვენსას, მაგრამ მაინც ინარჩუნებს თავის სპეციფიკურ თავისებურებას, რომელიც თავბრუს გვახვევს და სადღაც შორს გვიტაცებს.

ახალი ჰეშმარიტებანი. ახალი აღმოჩენები ეძლევათ მათ, ვისაც უფრო დიდი და ნაყოფიერი გული აქვთ.

ლადო გუდიაშვილმა თავის შემოქმედებაში შეძლო დაემყარებინა საფუძვლიანი წონასწორობა გონებასა და ინდივიდუალური გრძნობიერების იმპულსებს შორის, შექმნა ორიგინალური და სტაბილური ნაწარმოებები, რომელთაც შეძლეს (ეს იშვიათი თავისებურებაა) დაეტყვევებინათ და აეღელვებინათ ისინიც კი, ვინც დიდი ხანია დარწმუნებულია სენტიმენტალური ხელოვნების წარუმატებლობაში...“

ამას წერს მორის რეინალი, ხელოვნებათმცოდნე, პაბლო პიკასოს შემოქმედების სპეციალისტი.

1926 წელს გუდიაშვილი სამშობლოში დაბრუნდა. ერთი წლის შემდეგ კი, მე ის პირველად ვნახე რუსთაველის პროსპექტზე.

გაიდა ათეული წლები. ბევრი რამ შეიცვალა ხალხის, ქვეყნის ცხოვრებაში, თვით ჩვენი მხატვრის ცხოვრებაშიც. გარეგნულად ის თითქმის ისევ ახალგაზრდაა, როგორც ოდესღაც იყო, მისი სურათები კი უკვე მსოფლიოს მოსდებია.

მხატვრის უზარმაზარი ატელიე ზღაპრული პრინცესის სასტუმრო ოთახს წააგავს, სადაც კედლები შეჰერაზადის აურაცხელი გმირებითაა მოფენილი, უნებურად გახსენდებათ ინგლისელი მწერლის ჯეიმს ოლდრიჯის სიტყვები:

„უსაზღვროდ აღფრთოვანებულმა დავათვალიერე ლადო გუდიაშვილის ბრწყინვალე შემოქმედების მცირე ნაწილი. ლადო გუდიაშვილს თავისი ადგილი ეკუთვნის თანამედროვე ეპოქის დიად მხატვართა შორის. ზედმიწევნით ამაღელვებელია მისი გრაფიკული ხელოვნების შესანიშნავი ნიმუშები, ხოლო მისი ფერწერის დათვალიერების დროს ადამიანს ისეთი მღელვარება იპყრობს, როგორიც ტაძარში შესვლის დროს იგრძნობა; ყოველ მნახველს შეუძლია შეიგრძნოს ლადო გუდიაშვილის სახვითი საშუალებანი და ჩაწვდეს მისი ხელოვნების სიღრმეს. მოუთმენლად ელიან მისი

ნაწარმოებების გამოფენას პარიზსა და ლონდონში, და ის იქაც ისეთსავე მღელვარებას გამოიწვევს, როგორც აქ გამოიწვია“.

1957 წლის გაზაფხულზე მოეწყო ლადო გუდიაშვილის პირველი სრული გამოფენა. ყველანი მოუთმენლად ელოდნენ ვერნისაჟს, როგორც დიდ დღესასწაულს. ხუმრობა ხომ არ არის ლადო გუდიაშვილის სურათები ერთ დარბაზში ერთად იხილო!

გამოფენის გახსნის დღეს, თორმეტ მაისს, რუსთაველის პროსპექტზე გავლა ჭირდა, ხალხი იცდიდა სამხატვრო გალერეასთან, ახალგაზრდობა სჭარბობდა: უნივერსიტეტის, სამხატვრო აკადემიის, კონსერვატორიის სტუდენტები. დარწმუნებული ვარ, მათ არ ჰქონდათ მოსაწვევი ბილეთები. ვერნისაჟზე ჩვეულებრივად იწვევენ მხატვრებს, მწერლებს, არტისტებს, ჟურნალისტებს. დღეს კი აქ მთელი თბილისი შეყრილიყო.

როცა გამოფენის გახსნის დრომ მოაღწია, ხალხი კარებს მიაწყდა. გამოფენის ისტორიაში პირველად დაირღვა ტრადიციული ცერემონია.

მესამე დღეს, როცა ოდნავ იკლო დამთვალიერებელთა რიცხვმა, ძლივს მოვახერხე დარბაზში შესვლა.

სამხატვრო გალერეის შესახვევში შემხვდა ჩვენი ცნობილი კრიტიკოსი და ხელოვნებათმცოდნე, შესანიშნავი მოსაუბრე, აწ განსვენებული გერონტი ქიქოძე.

— როცა ამ ჭადრების ჩრდილიდან და ნაძვების ხეივნიდან გუდიაშვილის სურათების გამოფენაში შედიხართ, არ გეჩვენებათ, რომ ქართულ პოეტურ სამყაროში ხვდებით? თქვა მან და პასუხისათვის აღარ დაუცდია.

ბოლოს, გამოფენის დარბაზში შევედით და იქ ლეგენდებისა და ზღაპრების სამყაროში აღმოვჩნდით.

დათვალიერება ფერწერიდან დავიწყეთ.

— შეამჩნიეთ, — განაგრძობდა გ. ქიქოძე, — რა არაჩვეულებრივადაა წარმოდგენილი ქართული ბუნება მის ტილოებზე? მხატვრის მთელი ყურადღება მიპყრობილია ადამიანისაკენ, ის ცდილობს ამოხსნას უდიდესი საიდუმლო, ადამიანის სულისა და სხეულის საიდუმლო, როგორც ეს დამახასიათებელია მხატვარი მოაზროვნისათვის. ის ნათელი ცა და მსუბუქი ღრუბლები — ქართული ცა და ქართული ღრუბლებია და მათი შემქმნელი მხატვარი ღრმად ნაციონალურია.

ის ხატავს სხვადასხვა სოციალური წრისა და ისტორიული ეპოქის წარმომადგენელ ქალებს: საუკუნეების სიღრმიდან გამოსულ სერაფიტას, დაჭრილ ამორძალს, გლეხის ქალებს, რომლებიც მწვანე მდელოზე სანახევროდ წამოწოლილან, ან თავბრუდამხვევ ცეკვას გაუტაცნიათ. ის ხატავს ანტიურ ღმერთქალებივით მშვენიერ კოლმეურნეობის მინდვრებზე მომუშავე ქალებს, ან ლაღად ცხენზე მოჯირითეებს, მათ ყველას რაღაც აქვთ საერთო. ეს ის პოეტური საბურველია, რომელიც მათ მოსავთ. როგორც ფრიგიის ლეგენდარული მეფის მიდასის ხელში ყველაფერი ოქროდ იქცეოდა, ისე ყოველი ქალი, რომელსაც ლადო გუდიაშვილის ფუნჯი შეეხება, ღრმად პოეტური ხდება.

ჩვენი ყურადღება მიიპყრო სურათმა „პოეტი მანანა ორბელიანი ლოჟაში".

— ეს შედევრია, — აღმოხდა აღფრთოვანებულ გერონტის, — როგორც კოლორიტისა და ნახატის, ისე კომპოზიციის მიხედვითაც: ისინი შესანიშნავ თაიგულს ქმნიან ხანშიშესულ მამაკაცთან ერთად, რომელიც მარტო სცენითაა დაინტერესებული. ეს კონტრასტი საუკეთესოდაა გადმოცემული ფერების მრავალსახეობაში, რომელიც შავი საღებავით იწყება და შემდეგ შინდისფერსა და მწვანე ფერში გადადის, რათა შეუდარებელი, ნაზი ელფერი შექმნას.

განვაგრძობთ დათვალიერებას. მოხიბლული ვდგევართ სურათ „ფიროსმანის სიკვდილის" წინაშე, რომელშიაც, ყოველგვარი სენტიმენტალობის გარეშე, გადმოცემულია სახალხო მხატვრის ტრაგედიის უკანასკნელი აქტი. რა განმაზოგადებელი ძალაა ამ სურათში!

ჩვენი საუბარი შეწყვიტა პოეტმა გიორგი ლეონიძემ. ის მღელვარედ ამჟღავნებდა თავის აღტაცებას, ხმამაღლა ლაპარაკობდა.

— მე განგებ მოვიყვანე აქ ჩემი სოფლელი კოლმეურნე, რომელიც სტუმრად მეწვია. და იცით, რა თქვა მან? თქვა, რომ ყოველივე ეს სასწაულია! — ერთხელ, — განაგრძო ლეონიძემ, — მე და ლადო გუდიაშვილი რუსთაველის პროსპექტზე მივდიოდით. უცებ ცაზე ცისარტყელა შევამჩნიეთ და მოვუყევი ლადოს სოფელში განაგონი: თუ ცისარტყელაში ყვითელი ფერი ჭარბობს, იმ წელს პურისა და სიმინდის კარგი მოსავალი იქნება, თუ წითელი — ღვინისა, და თუ მწვანე — ხილი იქნებაო ბევრი... ასე მიამბეს თანასოფლელებმა. მე კი დავუმატებ, რომ ლადო გუდიაშვილის ცისარტყე-

ლაში მრავლადაა ყოველგვარი ფერი და, აი, უხვი მოსავალიც. მართლაცდა, ლადო გუდიაშვილის ფუნჯმა შეითვისა ყველა ქართული ფერი. მის ტილოებზე ანათებს მზის ფერები. ოქროსი, ბროწეულის და ზვრის, ზურმუხტისა და ბადახშის, მაისის მთვარისა და გაზაფხულის სიზმრების...

4.

არქეოლოგები შეუსვენებლად მუშაობდნენ. ყოველი ნაპოვნი საფლავი ისტორიის ახალი გვერდია. აი, დედოფლის სამარხი. აქ ნაპოვნი ქსოვილის ნაჭრები, ტუალეტის საგნები, ოქროს პაწაწინა ნივთები, მანიაკი. — ყოველივე ეს მხატვრის მეხსიერებაში აღბეჭდილა ღრმად.

ისტორიკოსებისა და არქეოლოგების წასვლის შემდეგ, არმაზის მეფის ასული ორიათასწლიანი ძილისაგან იღვიძებს და თავის მოახლეებთან ერთად სასეირნოდ გამოდის... ყველაფერი ვერცხლისფრად, მხიარულად ელვარებს: შესანიშნავი მორთულობა, ქარში მოფრიალე მოსასხამი, ხელების რიტმული მოძრაობა... ჩვენება გაქრა, მაგრამ ის დარჩა ტილოზე: „სერაფიტას გასეირნება“.

... აი, უკვე რამდენიმე დღეა მოდის პოეტი ამ ძველთაძველ ტაძარში, თავი უკან გადაუხრია და დგას ერთსა და იმავე ადგილზე. მაღლა კედელზე ფრესკაა — ქალიშვილის გამოსახულება. ის იდუმლად იღიმება და პოეტს მოსვენებას არ აძლევს სურვილი, გამოიკვნოს, რას ულიმის ეს ქართველი ჯოკონდა? ასეთია გუდიაშვილის სურათი „ფრესკის ღიმილი“.

ნიკო ფიროსმანის საფლავზე მოდის კინტო თავისი არღნით, რათა, ჩვეულების თანახმად, ღვინო მოასხუროს ძველი თბილისის მდაბიო ხალხის იდუმალ აზრთა მფლობელის საფლავს. გვერდით ყარაჩოხელებისა და ფიროსმანის სხვა თანამედროვე მოქალაქეთა საფლავებია, რომელთაც ფიროსმანი ხოტბას ასხამდა თავის ნახატებში. შველი — ეს სიწმინდე და გულწრფელობა, რომელიც საფლავის ქვას ამაგრებს, ფუნჯის უკვდავი ჯადოქრის დაუპკნობელი ხელოვნების სიმბოლოა... „ფიროსმანის შესანდობარი“ — ასე უწოდა მხატვარმა თავის სურათს. ფიროსმანი მუდამ მისი სათაყვანებელი მხატვარი იყო.

საღებავების რა საოცარი დღესასწაულია! დიდი და პატარა

ქუჩაზე გამოფენილა; იყურებიან აივნებიდან, სახლების ფანჯრებიდან, იცინიან, მღერიან, ხმამაღლა გამოხატავენ აღტაცებას. ეს ქართველი ხალხის წითელ არმიასთან შეხვედრის სიხარულია. სურათს ეწოდება „წითელი ლეგიონების შემოსვლა თბილისში“.

კარიერისტ ჩინოვნიკს წოდება უნდა, მას სურს მოხვდეს გაზეთის ფურცლებზე, რათა ილაპარაკონ, რომ ის უძველესი და არისტოკრატიული მოდგმის შთამომავალია, რომ მის ძარღვებში ცისფერი სისხლი ჩქეფს. ამ მიზნით მას პარიზში გადააქვს თავისი წინაპრის მარკიზის ნეშტი პროვინციიდან.

დიდი ხნის წინათ გარდაცვლილი წინაპრის ჩონჩხი თვითკმაყოფილების გრძნობით ეწევა სიგარას თავის მინის კუბოში. ის ამაყად განისვენებს ახალ აკლდამაში ჩინების თაყვანისმცემელთა და ასენიზაციური ფურგონის გვერდით.

ამ სატირიკულ ნაწარმოებს, რომელშიაც მხატვარი სარკასტულად დასცინის მლიქვნელური ღვთისმსახურების აქტს, ეწოდება „მეორედ დასაფლავება პარიზში“.

ჩარლი ჩაპლინი პარიზის კაფეში ზის ბატონ იმპრესარიოსთან ერთად. ის ღელავს: იკისრებს თუ არა თვითკმაყოფილებით შეპყრობილი ბატონი მისი ნიჭით ვაჭრობას, მოისურვებს თუ არა, რომ ჩაპლინის ტალანტის წყალობით კიდევ უფრო გაისქელოს ჯიბე? ამაზეა დამოკიდებული, გააკეთებს თუ არა ჩაპლინი თავის საყვარელ საქმეს. ასეთი სიუჟეტისაა გუდიაშვილის ნაწარმოები: „ჩარლი ჩაპლინი და ბატონი იმპრესარიო“.

მან უღალატა თავის ლამაზ, ახალგაზრდა ჭმარს. უხეში, საზიზღარი მხეცი-ადამიანი თბევს ჭრის თავის მეტოქეს და ქალის ფეხებთან აგდებს მას. ქალი ჯდება ამ ურჩხულზე და თოკით მიათრევს თავმოჭრილი მეუღლის სხეულს...

შესანიშნავია ლ. გუდიაშვილის ანტიფაშისტური გრაფიკული ნაწარმოებები. არ შეიძლება მათ გულგრილად აუარო გვერდი...

„ჩვენთვის ეს მძიმე ტვირთი არ არის“, ამბობენ ფრანკოს მაიმუნები და ველასკესის „ინფანტას“ ეპატრონებიან. ისინი სადღაც მიათრევენ სახვითი ხელოვნების მსოფლიო შედევრს.. „ყველაფერი, რაც დიადია და რაშიაც ადამიანის გენია ვლინდება, ხელყოფილი და შეურაცხყოფილია ფაშიზმის მიერ“, — გულისწყრომით ამბობს გუდიაშვილი.

მაიმუნი აცოცებულა გარდაცვლილთა გროვაზე და იქიდან

იარაღს უმიზნებს მშვიდობის მტრედს. როცა უყურებ სურათს „მაიმუნის დამიზნება“, გახსენდება იულიუს ფუჩიკის მიმართვა: „ადამიანებო, მე თქვენ მიყვარდით, იყავით ფხიზელნი!..“

რა შეიძლება იყოს ცხენზე უფრო მშვიდი და ლამაზი? აქ კი ცხენების მთელი ჯოგია. ჯიშიანი დოღის ცხენები. ფაშისტი სისხლისმსმელები მოწყენილობას განიცდიან, მათ დილიდან არავინ მოუკლავთ. და აი, იმისათვის, რომ როგორმე თავიანთი დღე შეაკვსონ, ისინი გიტარის აკომპანიმენტზე ესვრიან ცხენებს და იცინიან.

მცხუნვარე ეგვიპტე. ოთხიათასწლიანმა სფინქსმა თავის თათი წამოსწია კოლონიური აგრესიის წინააღმდეგ. ასეთია „ქედმოუხრელი ეგვიპტე“.

1958 წლის გაზაფხულზე მოსკოვში გაიხსნა მხატვრის პერსონალური გამოფენა. ლადო გუდიაშვილს მიესალმებოდა მოსკოვის მთელი საზოგადოებრიობა.

— მე უკვე ვთქვი, რომ მიყვარს ლადო მისი შემოქმედების დასაწყისიდან, — თქვა სერგეი გოროდეცკიმ, — მაგრამ ახლა მის ნამუშევარს რა შეედრება! უნდა აღვნიშნო, რომ მან ბევრი რამის გაკეთება შეძლო და მერე რა შესანიშნავად!... სტანისლავსკის ენით თუ ვიტყვით, მას არსად არა აქვს სურათში ცარიელი ადგილი... მისი ნამუშევრები დიდ ყურადღებას მოითხოვენ, მათ უნდა ჩაუფიქრდე... მე ცოტათი პოეტი ვარ, — თქვა სერგეი გოროდეცკიმ,— სურათი ჩემთვის მოთხრობაა. ლადო გუდიაშვილი კი ღრმად პოეტურია. მისი ყველა სურათი პოეზიით სუნთქავს. მე შევძლებდი მის ყოველ სურათზე დამეწერა ლექსი, მაშინაც კი, თუ ლეგენდის სიუჟეტი არ მეცოდინებოდა...

მას კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ამ დროს აკადემიკოსმა სიდოროვმა გრაფიკის დარბაზისაკენ წაგვიყვანა.

— აი, რა მხიბლავს, — მიგვითითა მან გრაფიკულ ნაწარმოებებზე, — ლადო გუდიაშვილი ჩვენი დროის მხატვართა შორის ერთ-ერთი უდიდესია. მას, როგორც გრაფიკოსს, მხოლოდ ერთი დიდი წინამორბედი ჰყავს. მეტისმეტად საინტერესოა რომ ეს წინამორბედი ფრანცისკო გოიაა. ქართველი მხატვრის კომპოზიცია მე,

როგორც სპეციალისტს, გრაფიკის ისტორიაში მაშინვე მახსენებს გოიას, მაგრამ გოიას ახალს, თანამედროვეს, იმიტომ რომ ეს ნამუშევრები გაკეთებულია გრაფიკული სილამაზის ახალ, მღელვარე დონეზე, რომელიც შეიძლება გოიას არც კი ჰქონია, რადგანაც მას სხვა ამოცანები ჰქონდა გადასაწყვეტი.

არის თემები, რომლებზეც მუშაობის დამთავრება არასასურველია, დაუსრულებლად შეიძლება მასზე წერა... მეც არ მინდა დავამთავრო საუბარი ლადო გუდიაშვილზე.

მასზე ლაპარაკი შეიძლება დაუსრულებლად.

უკვდავი სიმღერა

ლეგენდა

I

ჩქარი და ცივია მდინარე ბზიფი.

უამრავი კლაკნილებით სერავს იგი ულამაზეს ხეობას და ბიჭვინთის მწვანე კონცხთან უერთდება შავ ზღვას.

ფიჭვისა და ბზის მუდამ ამწვანებულ ტყეში ოცი საუკუნის წინათ ბერძნებს ნავსადგური ბიჭვინთა აუშენებიათ.

მეთვრამეტე საუკუნეში ეს ნავსადგური ოსმალებმა დაისაკუთრეს და მეკობრეების ხომალდებით ააავსეს ხეობა.

ბევრი ცრემლი ახსოვს ამ ტყეს, ამ ნავსადგურს, ბზიფის ცივ ტალღებს. მრავალი ულამაზესი ქალ-ვაჟი წაუყვანია და მრავალი სიმდიდრე გაუტანია აქედან ოსმალთა ხომალდებს.

მდუმარებდნენ აშოლტილი ფიჭვის ხეები.

მონასტრის ზარების გაბმით რეკა და ბზიფის შხუილი არღვევდა მყუდროებას და იუწყებოდა მწუხრის მოახლოვებას.

მეორე ნაპირას, მიუსერის ხავერდოვან ფერდობზე, ბზიფის მრისხანე ბატონის, — სალუმან აჩბას — სასახლე იდგა.

მზეერავივით გადაჰყურებდა იგი ზღვას.

ხელისგულივით იშლებოდა ზღვის ლურჯი სივრცე მისი სასახლის აივნიდან.

ბატონს ამ აივანზე უყვარდა ჯდომა.

ღელვის ჟამს, როცა შავი ზღვის აბობოქრებული, ფაფარაყრილი ტალღები ყრუ გუგუნით ეხეთქებოდნენ ერთიმეორეს, ბატონი თავისთავს მძვინვარე ტალღებს ადარებდა და კმაყოფილებას გრძნობდა.

სალუმანს ასული ულამაზესი ჰყავდა.

შაზინა ერქვა.

მასაც უყვარდა აივანზე ჯდომა; მხოლოდ მაშინ, როცა მთვარის ამოსვლისას ვრცლად ალიელვდებოდა ნელად მფრთონავი ზღვის ზედაპირი.

მაშინ თავის განუყრელ მეგობარს, ჩონგურს, გამოიტანდა შაზინა და ნაზად ააყღერებდა აბრეშუმის სიმებს.

ქალწულის ოცნების ჰანგები იყო ჩაქსოვილი ამ სიმღერაში და კიდევ უიმედო სიყვარული იმ ჭაბუკისადმი, რომელმაც აბრეშუმის სიმების ჯადოსნური ენა შეასწავლა შაზინას.

ესა იყო მწყემსი ალიასი, მთელს აფხაზეთში რომ გაითქვა სახელი .თავისი სიმღერებით.

და როდესაც საოცარი ჰანგებით ალხენდა ალიასი ბატონის სტუმრებს, მაშინაც კი თავისუფლების და სიყვარულის გრძნობებით იყო აღსავსე მისი ჰანგები.

დაბეჩავებული ხალხის ცრემლებმა შეასწავლა ალიასს ამ სიმღერების იდუმალება.

II.

ერთ საღამოს, როდესაც მზის ძოწისფერ სხივებში გაიხლართა დასავლეთი — ალიასი მიდიოდა შარა-გზაზე და, ბუნების ამ სანახაობით მოხიბლული, ჯანყისა და თავისუფლების ახალ სიმღერას თხზავდა.

ალიასი მიდიოდა წინ, მისი სიმღერით ანთებული ხალხი უერთდებოდა მას. თანამგზავრთა რიცხვი თანდათან იზრდებოდა, ისინი მისდევდნენ ხმას, რომელიც თავისუფლებისათვის ბრძოლის მძაფრ ძახილს ჰგავდა.

...ასე იშვა სიძულვილის ძლიერი ჰიმნი.

უცბად, ქალის საშინელმა კივილმა დაჰფარა მათი სიმღერა. მდუმარება ჩამოვარდა. ალიასმა სწრაფად გაარღვია ხალხის ტალღა, წინ წაიწია და დაინახა თმაგაშლილი, სახედაკაწრული ხნიერი ქალი.

ეს იყო დედა, რომლის სამი ვაჟი გასაყიდად მოიტაცეს ბატონის კაცებმა.

პირქვე დაემხო ქალი და შველა ითხოვა. სიმწრითა და განწირულებით იყო გამსჭვალული მისი ხმა, ცრემლები დიდი ხანია ამომშრალიყო მის თვალებში.

ალიასი შეიჭრა განრისხებული ხალხის შუაგულში და ფიცი დასდო შურისძიებისა.

მზე ჩადიოდა.

ზღვიდან ასხლეტილი ნიავი ოდნავ არხევდა ცამდე ატყორცნილ ფიჭვებისა და ნაძვების წვეროებს.

მოკაშკაშე ცის დასალიერთან ფართოდ გადაშლილიყო დაისის მეწამული მარაო, რომლის მოწითალო ანარეკლი უხვად გადაჰფენოდა შორს, აფხაზეთის მთებზე შეყოლილ უსიერ ტყეს.

ალიასმა ბატონის საქონლის ჯოგი წყალზე ჩარეკა, ხევში. ოვითონ — იქვე ჩამოჯდა გარეული ტყემლის ძირას.

უგუნებოდ იყო... თვალებს არ ახარებდა ბუნების თვალწარმტაცი ნატიფობა. მაგრად ჩაიკრა გულში განუყრელი ჩონგური და კაეშნიან ოცნებას მიეცა.

მდუმარებას მთის მდინარის ჩუხჩუხი და ცხენების ფრუტუნი არღვევდა.

ალიასი ერთხანს უძრავად იჯდა. შემდეგ ჩონგურის სიმები ააყლერა და ნაზად შეაპარა მდუმარებას მომჯადოებელი სიმღერის ტკბილი და ალერსიანი ჰანგები.

უცბად ორი ნაბდიანი ახალგაზრდა მხედარი დაინახა, ზე წამოეჭრა და აყეფებული ძაღლები დააჩუმა.

პირველი მხედარი ჩამოქვეითდა. მან ნაბადი და ყაბალახი მოიძრო.

— შაზინა! — ალიასი დაიბნა, არ იცოდა რა ეთქვა, ან როგორ მოქცეულიყო.

დიდხანს იყვნენ ასე მდუმარედ ორივენი და მხოლოდ მათი თვალები მეტყველებდნენ ერთმანეთთან.

— ალიას, ფრთხილად იყავი... მამა განრისხებულია შენზე... თავს უშველე, ალიას...

ალიასს წარბიც არ შეუხრია ამ ამბის გაგონებაზე. აღტაცებით მისჩერებოდა ქალს, რომლის ხმამ კიდევ ერთხელ დაარწმუნა, რომ შაზინას იგი უყვარდა.

— შაზინა! — შესძახა ალიასმა და გაუბედავად მოხვია ქალს მკლავები....

დიდხანს იყვნენ ასე უსიტყვოდ, გარინდულნი.

ნელი აკანკალებული ხმით კვლავ წასჩურჩულა ქალმა:

— თავს გაუფრთხილდი, ალიას...

ვაჟი წელში გაიმართა.

სიყვარულის გრძნობით აღსავსე ცეცხლად მოელვარე თვალები შეანათა ქალს:

— კარგი, შაზინა!

ალიასი შეჰყურებდა ციურ სახეს, ოქროს დალალებს, ტანკენარ სხეულს და ბატონისადმი სიძულვილი უფრო ძლიერდებოდა მასში.

დიდი ხანია სიყვარულის ცეცხლი ნელ-ნელა სწვავდა მას. უფრო აღრმავებდა ხალხის ტანჯვით გამოწვეულ ნაღველს და მხოლოდ ჩონგურის სიმთა ნაზი ყღერა უქარვებდა კაეშანს.

ბევრჯერ ასულა ალიასი ნადირობისას ერცახუს აუვალ მწვერვალზე, ბევრჯერ უგრძვნია მას გამარჯვების უსაზღვრო სიხარული, ახლაც ასეთივე გრძნობით იყო მთვრალი და ნეტარ ბედნიერებას გრძნობდა, რაკი შაზინა, მიუვალია, როგორც ერცახუ, მძლავრ და ღონიერ მკლავებში ჰყავდა.

სტვენა მოისმა. ეს იყო შაზინას წასვლის ნიშანი.

— მოვდივარ! თავს გაუფრთხილდი, ალიას...

ამ სიტყვებით ქალი მარდად შეახტა ცხენს და გაუჩინარდა.

სუნთქვა შეეკრა ალიასს. დიდხანს გაჰყურებდა გარინდული მგზავრის კვალს.

შემდეგ ნაზად ჩამოისვა ორივე ხელი ღაწვზე, თითქო შაზინას სახეს ეალერსებაო.

III.

განრისხდა ბატონი.

სასახლეში უჩვეულო მღელვარება და ფუსფუსი ატყდა.

არვინ იცის მრისხანების მიზეზი, გარდა მოურავისა, რომელმაც დილითვე შეიპყრო საიდუმლოდ ალიასი და ბნელ საკანში ჩააბწყვდია.

სასახლეში დღეს ზეიმია დანიშნული, ოსმალეთიდან ვაჭრების ჩამოსვლის გამო.

ისევ ატირდებიან დედები, აწიოკდებიან სოფლები, ისევ წაასხამენ უცხოეთში ხომალდებით საუკეთესო ქალებსა და ვაჟებს.

აფორიაქებულია მთელი ხეობა საშინელი დღის მოლოდინში.

სალუმანმა გადასწყვიტა ალიასიც უცხო ვაჭრისათვის მიეყიდა. ადამიანით მოვაჭრეთ წინაშე უნდა წარსდგეს დღეს ალიასი, თავი-

სი მომხიბლავი სიმღერებით. ამ აზრით კმაყოფილმა ბატონმა ულვაშებში ჩაიღიმა და თავისთვის ჩაილაპარაკა:

— ახლაც გაბედავ ჩემი ქალის სიყვარულს?

ყველაფერი გაიგო შაზინამ. დაბნელდა მისთვის, ცრემლებმა ტბამ აავსო მისი ოთახი, უდიდესმა მწუხარებამ დაისადგურა მის სულში, მაგრამ მოაგონდა ალიასის სიტყვები და გამხნევდა.

სამმა ძოახლემ დავარცხნა თმა. აპკურეს ნელსურნელება. ჩააცვეს ძვირფასი კაბა, შემდეგ ტაიჭი მიართვეს თეთრი... კისერმოღერებული, ვერცხლით მოკაზმული.

შეახტა ცხენსა და მოკურცხლა უშიშარ, ახოვან რაინდივით. შესძრა სოფელი, ააცრემლა ქალები, გააღვიძა შურისძიების მიძინებული გრძნობა მათში. გააცნო ხალხს ალიასის განთავისუფლების გეგმა. მოუწონეს, უქეს ქალს ჭკუა და გამჭრიახობა.

დაიწყო ნადიმი და ყელმოღერებული შაზინა წარსდგა სტუმრების წინაშე.

მზეს ეცილებოდა მისი სიტურფე. სტუმრები მოხიბლა ლამაზმა — ისინი. მოწიწებით მიეგებნენ ასულს. იგი კი მხოლოდ ალიასს ხედავდა, რომელიც უკვე მოეყვანათ სტუმრების გასართობად.

შაზინამ აიღო ხელში ჩონგური და ხმის ოდნავი კანკალით დაამღერა ლექსი, რომელიც უძილო ღამით ალიასს უძღვნა.

ამ სიმღერით აუწყა ქალმა ჭაბუკს საფრთხის მოახლოვება და თავის გადარჩენის ხერხიც უკარნახა.

ვერავინ გაიგო სიმღერის საიდუმლო ენა, — ქალის ნაზი გალობა ყველასათვის მხოლოდ სიყვარულის სიმღერად დარჩა.

ალიასმა მიჯნურს ჩახედა ხავერდოვანი, დიდრონი შავი თვალებით და მადლობის ნიშნად დაბლა დახარა თავი. შემდეგ ჩონგური აიღო და ფრთხილად შეეხო სიმებს.

დარბაზი საამური ჰანგებით აივსო.

შაზინამ გაიგო მისი ენა.

სხვებმაც გაიგეს სიყვარულის მომხიბლავი სიმღერა. დაივიწყეს, რომ მათ წინაშე მონა იდგა და მთელი გულისყური ბალადის შინაარსს მიაპყრეს. მაშინ დრო იხელთა ალიასმა და მძაფრი ძახილით გადაეშვა აივნიდან, ეს მოხდა უმალ, სანამ ბატონი სტუმრებითურთ გონს მოვიდოდა, ალიასი ათ საუკეთესო ცხენოსანთან ერთად შევარდენივით მიჰქროდა მაღლა, ბზიფის ხეობის გასწვრივ, სანამ უღრანმა ტყემ არ შეიფარა ამალითურთ.

აფორიაქდა მთელი სუფრა.

ბატონის მრისხანებას საზღვარი არ ჰქონდა, გიჟივით დარბოდა იგი დარბაზში, ველარ ისვენებდა.

შაზინა კი თავის ოთახში ჩაკეტილი, ერთგულ პირისფარეშებთან ერთად უხვად აფრქვევდა სიხარულის ცრემლებს.

IV.

ბნელ საკანში ზის ფეხმოკეცილი შაზინა. მის მომხიბლავ სახეზე უხვად ეცემა წვეთები საკანის ნოტიო კედლებიდან.

გაბოროტებულმა სალუმანმა ერთადერთი ასულიც აღარ დაზოგა.

ეჭვით მიუხვდა ქალს მუსიკით გასაუბრებას ალიასთან, რაც მოურავმა აკუბამაც დაუდასტურა. მოურავს თავი უნდოდა დაეღწია ბატონის მრისხანებისაგან და მან საწვავი შეუმატა სალუმანის გულში დანთებულ მოგიზგიზე ცეცხლს.

არა სტიროდა შაზინა, არ იხოკავდა სახეს და ბედსაც არ ემდუროდა. მან ხომ დროზე გაანთავისუფლა ალიასი, ხიფათისაგან იხსნა ადამიანი, რომელიც უყვარდა უსპეტაკესი, ღრმა სიყვარულით.

მას არ ეშინოდა მამის მრისხანებისა, მხოლოდ ალიასზე შიშობდა, მის ბედზე...

საკანის სიბნელეში მალი-მალ წარმოიდგენდა მის სიცოცხლით და სინაზით აღსავსე თვალებს და მთელ სხეულში გრძნობდა იმ ნექტარს, ვაჟის ბაგეთაგან რომ შესვა ქალმა, ველურ ტყემლის ძირას, ხევში.

ამ სანეტარო წუთების მოგონებაზე ტანში სიამის ჟრუანტელი უვლიდა.

თვალებს მილულავდა და ტკბილი სიზმარივით აგონდებოდა ალიასთან შეხვედრის დაუვიწყარი წუთები.

მაღლა კი, სასახლეში ბჟობა იყო.

ბატონს მალემსრბოლნი ეფრინა თავის სამფლობელოს ყოველ კუთხეში და მწუხრის ჟამს წარჩინებულთა კრება მოეწვია სათათბიროდ.

ქუჯასაც დაუძახეს, ხეობის განთქმულ ჯალათს.

სათათბირო საგანი ერთი იყო, როგორი ხერხით შეეპყროთ ალიასი და რა სასტიკი სასჯელი მიესაჯათ მისთვის.

დიდხანს ითათბირეს.

ბატონს არც ერთი გეგმა არ მოსწონდა და თითონაც ვერა გამოეგონა რა. ბოლოს ქუჯას გადახედა, ქუჯაც ზანტად წამოდგა და როხროხა ხმით მოახსენა კრებას თავისი გეგმა.

გადაწყდა:

სანდო მსტოვრების ხროვას გაგზავნიან საიდუმლოდ ყოველ მხარეს, აღმოაჩენენ ალიასს ამხანაგებით.

პირდაპირ და ღია ბრძოლას ვერ გაბედავენ.

ეშინიათ ხალხის რისხვისა. არ დაზოგავს ხალხი სიცოცხლეს, გაჭირვებისაგან რომ იხსნას საყვარელი მგოსანი.

ეს კარგად გაზომეს და იანგარიშეს სალუმანმა და მისმა მოძმეებმა. ეშინოდათ, ლაგამი არ ამოსდებოდა მათ აღვირახსნილობას, არ განადგურებულიყო მათი საკუთრება.

ამიტომ ქუჯას რჩევა დიდის გულისყურით მოისმინეს. სალუმანმა გადაწყვიტა, შაზინა გამოეყენებინა ალიასის შესაპყრობად.

ქალს ნაზი და სანთელივით ჩამოსხმული ხელები თოკით შეუკრეს, მაგრად შეუნასკვეს და წინ გაიგდეს.

განგებ მიმართეს ამ ხერხს, რათა ალიასი მიუვალ ადგილიდან გამოეტყუებინათ.

შაზინა მიუხვდა მათ ოინს, გული დაეთუთქა, მაგრამ ხმას არ იღებდა. მრავალი აზრი ტრიალებდა მის თავში. შემდეგ თითქო რაღაც გადაწყვიტაო, სახე გაუბრწყინდა. გულიდან კაეშანი გადაეყარა და მტკიცე ნაბიჯით განაგრძო გზა. უკან მოსდევდა ჯალათი ქუჯა, სახეალეწილი სალუმანი მებატონეებითურთ და მათ უკან კიდევ ფარულად აბჯარასხმული ბატონის კაცები.

ნაბიჯი შეანელეს.

მიუახლოვდნენ ნაჩვენებ ადგილს.

შეჩერდნენ.

შაზინას გულმა გამალებით დაუწყო ცემა. ქუჯამ ბასრი მახვილი მიაბჯინა ქალს ყელში და როხროხა ხმით გასძახა ალიასს: თუ შენის ნებით არ გამოხვალ, ქალს წამსვე სიცოცხლეს მოვუსწრაფებო.

შაზინამ იგრძნო უბედურების ჟამი და დაიწყო სიმღერა, რომელიც ალიასს აფრთხილებდა.

ალიასი მარტო იყო.

ქალის ხმის გაგონებაზე ზე წამოიჭრა, მსწრაფლ გამოიხედა საფარიდან და რა დაინახა მახვილქვეშ მომღერალი ქალი, მუხლთ მოეკეცა, თვალებზე ხელი მიიფარა, თითქოს მუხლში ათასი ლახვარი ერთად ჩასცესო.

ყველაფერი აირია: შაზინა, ხალხი, მოტაცებული ბავშვები, განადგურებული სოფლები, დედაკაცის დახოკილი სახე და ისევ შაზინა!

თვალთ დაუბნელდა.

ვერ გადაეწყვიტა, რა ექნა...

შაზინა კი ისევ მღეროდა და მთელს არეს აყრუებდა მისი გულსაკლავი სიმღერის ნაღვლიანი კილო.

მღეროდა შაზინა, სანამ ჯალათის უხეში ხელი არ შეეხო მის მარჯნისფერ ბაგეთ და სიმღერა არ შეაწყვეტინა.

წუთით ყველაფერი დადუმდა.

ჩქამი არ ისმოდა.

ალიასის გულში საშინელი ცეცხლი აბრიალდა. უცბად გველნაკბენივით წამოვარდა. ჯეირანივით გადმოევლო პატარა გორაკს, ხელებგაშლილი გაექანა შაზინასაკენ და სანამ მტერი გონს მოვიდოდა ქალის ნაზი სხეული მკერდზე მიიკრა.

მის ირგვლივ კი თანდათან ვიწროვდებოდა იარაღასხმული ჯალათების რკალი.

V.

ისევ ბჭობდა სალუმანი თავის ხალხთან.

ალიასი ჩაიგდეს ხელში და მალე ბოლო უნდა მოეღოთ მისთვის, სანამ ხალხის რისხვა საშიშ ძალად არ გადაიქცეოდა.

უნდა მოეკლათ ალიასი, მაგრამ მის სიმღერებს ხომ ვერ მოჰკლავდნენ?.. როგორ აღმოეფხვრათ ხალხის გულიდან ალიასის სიკვდილის შემდეგ მისი სიმღერები, რომლებსაც ღრმად ჰქონდათ გადგმული ფესვები ხალხში და აღძრავდნენ მათში შურისძიების უდიდეს სურვილს.

რა ხერხს მიმართოს სალუმანმა?

როგორ მოჰკლან ალიასი ისე, რომ მის სიმღერებსაც ბოლო მოეღოს?

და ისევ ჯალათმა ქუჯამ მიაგნო ხერხს: ხელები უნდა დაეჭრათ

ალიასისთვის, ამოეთხარათ თვალები, ამოეჭრათ ენა და ასე უნდა გაეშვათ იგი ხალხში.

საზარ მახინჯს ხალხი მასხრად აიგდებდა და ძლევამოსილ სიმღერებსაც დაეკარგებოდა ძალა. დავიწყებას მიეცემოდა მისი სახელი.

საღამოს აივანზე გამოვიდა ბატონის მთელი სახლობა სტუმრებითურთ.

ბობოქრობდა ზღვა. უზარმაზარი, სახლის ოდენა ტალღები ულმობლად ეხეთქებოდნენ ნაპირს და თითქოს განადგურებას უპირებდნენ ბზიფის ხეობას.

პირქუში, შავი ღრუბლები შემოაწვა მიდამოს.

ამოვარდა საშინელი ქარიშხალი და ააფორიაქა ყოველი სულიერი.

ასე იყო დიდხანს, მაგრამ წამება მაინც არ გადაუდვიათ.

ალიასი გაბედულად წარსდგა ჯალათების წინაშე, — ამაყი და მოუდრეკელი. ქარიშხალი ათამაშებდა მის ხუჭუჭ თმას და უგრილებდა გახურებულ ვაჟკაცურ გულმკერდს.

იგი ამაოდ ეძებდა იქ მყოფთ შორის გულის ორეულს. შაზინამ ავადმყოფობა მოიმიზეზა და არ გამოსულა გარეთ.

ალიასი მოუსვენრობამ შეიპყრო, მიწას მიაპყრო ცრემლით მონამული თვალები.

გაისმა განგაშის ხმა.

ალიასი მოემზადა მშვიდად, თავმოუხრელად.

ქუჯამ იხელთა დრო და მკლავებზე დაჰკრა ვაჟკაცს საგანგებოდ ალესილი მჭრელი ნაჯახი... მტერიც კი შეაძრწუნა ამ საზარმა სანახაობამ.

კრინტიც არ დაუძრავს ალიასს — თვალები დახუჭა და სიმღერა დაიწყო.

ორი ცრემლი დაეშვა ღაწვებზე და მოკვეთილი მკლავები უსიცოცხლოდ დაენარცხა მიწას.

ალიასი მღეროდა, და მისი სიმღერა უფრო აბრაზებდა ჯალათს. ქუჯამ გამოართვა მოურავს ცეცხლით გაწითლებული ორი შანთი და თვალებში ჩასთხარა ჭაბუკს. ალიასი ერთი წაბარბაცდა და სიმღერის მაგივრად საზარი გმინვა აღმოხდა მკერდიდან. ახლად აბიბინებულ წვერ-ულვაშს ღვარივით ჩამომდინარი სისხლის ცრემლები

ბანდნენ. მაგრამ ალიასი მაინც მაგრობდა და ხანდახან წამოიისროდა სიმღერის ნაწყვეტებს.

შემდეგ ენაც ამოსჭრეს მგოსანს და ველად გაუშვეს.

ალიასი მიხვდა სალუმანის განზრახვას, გადასწყვიტა წინ აღდგომოდა ჯალათის სურვილს: იგი შურდულივით გაიჭრა წინ და ნაპრალში გადაიჩეხა. ბზიფის ყინულოვანმა ტალღებმა ლურჯ ზღვას წაუღეს ვაჟკაცის გვამი...

ამ დროს გზიდან მძლავრი სიმღერა მოისმა: ალიასი არ იყო მკვდარი, იგი თავის სიმღერაში ცოცხლობდა ძლევამოსილი და აღვიძებდა ხეობას.

სიმღერის ხმა თანდათან ძლიერდებოდა.

შეიძრა სასახლეც.

ზღვა ხალხი ამოდიოდა ხევიდან შაზინას მეთაურობით; ჩირაღდნები უნათებდნენ გზას და ალიასის სიმღერა მოჰქონდათ მათ ბრძოლის დროშად...

ჯალათ სალუმანს საკუთარი ქალიშვილის ლახვარმა მოუღო ბოლო და ქუჯაც ხეზე ჩამოჰკიდეს ყოველი გამვლელის დასანახავად.

ცეცხლს მისცეს მისი სასახლე, ამაყად რომ გადაჰყურებდა ზღვას.

ლაღად ამოისუნთქა ხალხმა, ამიერიდან იგი მიეცა თავისუფალ შრომას, კეთილ ცხოვრებას.

მხოლოდ შაზინამ ვერ აიტანა ალიასის დაღუპვა: იგი გაგიჟდა, დიდხანს დაძრწოდა ტყის ფერიასავით გულის ორეულის ძებნაში, სანამ მისი გვამიც არ მიიბარა ბზიფის ტალღებმა.

ასე დაანთო ცეცხლი ხალხის სიყვარულითა და მტრის სიძულვილით შექმნილმა ალიასის სიმღერებმა.

ასე იქცა უკვდავ სიმღერად გმირი ალიასი.

ორასი წელი გავიდა მას შემდეგ, მაგრამ ალიასის გმირობაზე და მის სიყვარულზე დღესაც მეტყველებენ ჩონგურის აბრეშუმის სიმები.

გარიჟრაჟზე მოფრინდება თეთრი ფერცხალი

I

ჩვეულებრივად დილის შვიდ საათზე ვდგები ხოლმე, იმვიათად რვაზე, დღეს დილით კი ექვსზე უკვე ფეხზე ვიყავი. მთელი ღამე არ მეძინა. ვერ გავართვი თავი უჩვეულო ფიქრებს. ალბათ იმიტომ, რომ დღეს სამოცი წელი მისრულდება?!... დასჯილ მოწაფესავით ვღელავდი. უცნაურია და უხერხულიც, თითქოს არც კი შეპფერის ჩემი ხნის კაცს. თუმცა რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს წლებს, თუკი შენ ისევ ჯანზე ხარ, აღსავსე ახალგაზრდული გზნებით ისევე, როგორც ორმოცი წლის წინათ, ყველაფერი გაღელვებს: ოდნავი სიხარული, ოდნავი ეჭვი და უმნიშვნელო წყენაც კი; ისეთივე აღფრთოვანება, გატაცება, სიფიცხე და ივივე ბავშვური გულუბრყვილობა... ოღონდ ერთი განსხვავებით: გამომიჩნდა სრულიად უცნობი ორეული — ბრძენი, დაფიქრებული, რომელიც ყოველ ჩემს ნაბიჯს ზომავს, თითქოს უხილავი ჯაჭვით ვყავარ დაბმული. იგი იღბლიანიც არის და უიღბლოც, მარად ცდილობს ახსნას გაურკვეველი, უცნობი, მიუწვდომელი... ისე მივაბიჯებ ცხოვრების გზაზე, როგორც ჯამბაზი მავთულზე, ყოველ საკუთარ ნაბიჯზე ვფიქრობ და ჩემი ძალზე სერიოზული ორეული, რომელიც ყოვლისმცოდნეა და შორსმჭვრეტელი, ცდილობს არ ჩამოვვარდე ამ სახიფათო მავთულიდან... მან დღევანდელ დღემდე მომიყვანა, გამხადა კომპოზიტორი, დირიჟორი, ჩემზე ამბობენ, ცნობილი და ნიჭიერი, მაგრამ მე თვითონ გადაჭარბებულად მიმაჩნია ეს ეპითეტები. გარდა ამისა, ცნობილი როდი ნიშნავს ნამდვილს, დიდი ნიჭით დაჯილდოებულს.

ჩინებულად მესმის, რომ ჩემი წვლილი მსოფლიო მუსიკალურ ხელოვნებაში თითქმის უმნიშვნელოა, მაგრამ უიმედობას არ ვეძლევი. ჯერ ერთი, ცოტა რამ მეც გავაკეთე ჩემი ქვეყნისთვის. გარ-

და ამისა, ლენინგრადის კონსერვატორიაში გატარებულმა წლებმა, ამ სასწავლებლის სახელგანთქმულ პროფესორებთან და პედაგოგებთან ურთიერთობამ, ლენინგრადის ფილარმონიის დიდ დარბაზში გამართულ კონცერტებზე დასწრებამ და მუსიკის საუკეთესო ჯადოქრობის მოსმენამ გამიღეს უხილავი და მიუწვდომელი კარები მუსიკის სამყაროში. ასე რომ, ჩემთვის ცოდვაც კი იქნებოდა ბედზე ჩივილი. სწორედ ამის გამო ვარ ცხოვრების, ხალხის, ჩემის დროის მადლიერი.

ამაზე მეტს ცხოვრებაში აღარც კი მოველოდი. დაბადებიდან არ გამომყოლია „კურთხეული ნიჭი", რომელსაც იხსენიებს სალიერი პუშკინის დრამაში. არც მუსიკალური „გონებით" დავუჯილდოვებივარ ჩემს მშობლებს. გვიან შევდგი ფეხი ხელოვნების დიდებულ დარბაზში და დავიკავე იქ, პატარა, შეუმჩნეველი ადგილი. დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც ოცნება გადამექცა ყოველდღიურ შრომად... მოიცათ, მოიცათ — ბოლოს და ბოლოს, ეს ხომ არ არის ის „ლურჯი ფრინველი", რომლის დაჭერასაც ლამობს ყოველი მოკვდავი? ჰო, მართლა, ჩვენთან ლურჯი ფრინველის ნაცვლად არსებობს თეთრი მერცხალი, რომელსაც ქრისტეშობის ყოველ ალიონზე მოველოდით ბავშვობაში. ჩემი ორეული დაჟინებით მიმტკიცებს, რომ ყველაფერი ასეა. ეს საცოდავი დოგმატიკოსი (ჩემი ორეული) ვერ ითმენს წინააღმდეგობას, კამათს, კერპივით ჯიუტია. მაგრამ ხმამაღლა ამის თქმას ვერ ვბედავ: რაც უნდა იყოს, ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა ვცე პატივი ჩემს ორეულს, ჩემს მეორე „მეს" და სადღაც, სულის სიღრმეში ვგრძნობ, რომ იგი მართალია.

აი, ახლაც, ოჯახით მიმიწვიეს მშობლიურ ზღვისპირა ქალაქში, რომ აღნიშნონ ჩემი სამოცი წელი. ალბათ, ეს უფრო მომავალი თაობისთვისაა საჭირო, ვიდრე ჩემთვის. ჩემი ბიოგრაფია ხომ ერთგვარი „ეტალონია", რომელშიც, როგორც სარკეში, ასახულია ამ პატარა ქვეყნის ახლო წარსული, მისი ისტორია, მისი ახალი ბილიკები. ამიტომ ვარ ისევ აქ, სახლში, სადაც გავატარე ჩემი ჭაბუკობა, სადაც დაიწყო ჩემი პირველი გაუბედავი შემოქმედებითი ძიება, პირველი მარცხიცა და პირველი წარმატებები...

რა მშვენიერი დილაა! დიდი ხანია არ მინახავს ასეთი დილა... ან შეიძლება მხოლოდ მგონია, რომ არ მინახავს. ჩემს მშობლიურ

ქალაქში ხომ მუდამ ასეთი მზეა, ლურჯი ცა, ლურჯი ზღვა და თოლიები, თოვლივით თეთრი თოლიები.

სასტუმრო დარბაზში რომ შემოვბრუნდი, მხოლოდ მაშინღა შევნიშნე, რომ ცოლი უკვე ამდგარა და სამზარეულოში ფუსფუსებს, გარჯაშია. ქალიშვილის ოთახის ნახევრად ღია კარებში ვხედავ: ჩემი გოგონა კითხულობს ლოგინში (რამდენჯერ ავუკრძალე ლოგინში კითხვა, მაგრამ მაინც არ იშლის, ჩემი სიდედრივით ჯიუტია). ხსენებაზე მომაგონდა, შევიხედე სასადილოში — სიდედრი ახლად დაკრეფილ ყვავილებს ალაგებს ბროლის ლარნაკში... არავის სძინავს სახლში, როგორც ჩანს, ყველას აღელვებს დღევანდელი დღე. რატომღაც უხერხულად ვიგრძენი თავი.

მე კი მინდოდა შეუმჩნევლად ჩაევლო ამ დღეს, რომ იგი ყოფილიყო ჩვეულებრივი, ყოველდღიური, — საიუბილეო სხდომისა, ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებისა, დითირამბებისა და საზეიმო აურზაურის გარეშე... დღეს მე ვდირიჟორობ—გამოვდივარ ფართო აუდიტორიის წინაშე, შემდეგ კი სიტყვით უნდა მივმართო დამსწრეთ, უნდა გამოვნახო უჩვეულო, მაღალფარდოვანი ფრაზები, წარმოვთქვა აღგზნებული სიტყვები, უნდა გადავუხადო მადლობა საზოგადოებას იმისათვის, რომ ვარსებობ და ვქმნი. ახალგაზრდები კი კრიტიკული და ოდნავ აღტაცებული მზერით დამიწყებენ თვალიერებას, ყოველნაირად აწონ-დაწონიან ჩემს გარეგნობას, ჩემს ჩაცმულობას, ჩემს საქციელს, მიხრა-მოხრას და, ალბათ, ასეთი ფიქრები დაეუფლება მათ: „აი ადამიანი, რომელსაც სამოცი წელი შეუსრულდა (ღმერთო, ნამდვილი მათუსალა!). მან უკვე განვლო თავისი გზა, რაღაც შექმნა; შეიძლება დიდი არაფერი, ვერ გაუმართლა ოცნება, ბოლომდე ვერ განახორციელა ჩანაფიქრი. მაგრამ აბა ვის ახდომია ოცნება? სამაგიეროდ, გაგვიტორა ბილიკი, გაიყვანა გზა, აგვიშენა ხიდი, ფონი ხომ არ არსებობს ცხოვრებაში!. ახლა საქმე ჩვენზეა, ჩვენს ცოდნასა და მონდომებაზე“.

ნამდვილად ასე იფიქრებენ. ოვაციებსაც არ მომაკლებენ. რა გაეწყობა, შეჰფერის ასეთ დღეს. ეს უფრო მოწყალებასა ჰგავს, რომელსაც ხალხი სიამოვნებით გაიღებს, იმიტომ რომ ადამიანს სჩვევია სიკეთე მიუზღოს ახლობელს, სიხარულით დაასაჩუქროს იგი. მე თუ მკითხავთ, უკეთესია, თუ სულაც არ მოეწყობა ეს ზეიმი. ვგრძნობ, რომ დღევანდელი დღე ჩემთვის საზეიმო გოლგოთად

იქცევა (აბა, რას ვამბობ, განა გოლგოთა შეიძლება იყოს საზეიმო? რა აბსურდია!).

მაგრამ ასეთი დილა და ასეთი მზე ყველაფერს გავიწყებს ამ ქვეყნად. დარბაზში გავლისას, როიალზე უყურადღებოდ მიგდებულმა რვეულმა მიიპყრო ჩემი ყურადღება. ავიღე რვეული და გადავფურცლე. სათაურმა დამაინტერესა: „მანანას დღიურები". ქვევით: „გმირობა"... საინტერესოა, რას ფიქრობს, რით არის დატვირთული ჩემი თექვსმეტი წლის გოგონას გონება, რა აღელვებს, რა აწუხებს, რისკენ მიისწრაფის, რა გეგმები აქვს დასახული მომავალში?... და თუმცა მე კატეგორიულად წინააღმდეგი ვარ სხვისი წერილებისა თუ დღიურების წაკითხვისა, მაგრამ სულმა წამძლია, დავიწყე კითხვა. სტრიქონი სტრიქონს მიჰყვა, გვერდი გვერდს და ისე დამაინტერესა დღიურებმა, რომ ბოლომდე ჩავიკითხე: „დილაა, — ასე იწყებოდა დღიურები, — ივნისის ჩვეულებრივი დილა თბილისში. მხოლოდ ნიავი—გრილი და საამო, წლის ამ დროისთვის უჩვეულო ნიავი, განუმეორებელ იერს აძლევს ამ დილას. სახლის სახურავები გატრუნულან, თითქოს მკვდარი ღელვა�ა ზღვაზე. შორს გადაჭიმულან ტიტველი, ყვითელი მთები, როგორც დავით კაკაბაძის პეიზაჟებზე არის ხოლმე.

დღეს მე თექვსმეტი წელი შემისრულდა! აღსანიშნავი თარიღია, ხომ ასეა? დღეს (მთელი დღის განმავლობაში!) ნება დამრთეს არ მივეკარო როიალს, არ შევაწუხო რახმანინოვი, არ ვიმეცადინო კონცერტის მოსამზადებლად. მუსიკა უეჭველად დიდი მოვლენაა, მაგრამ ხალხმა რომ იცოდეს, როგორ ჟღერს იგივე რახმანინოვი, შოპენი, ბახი, როცა ჩვენ ვსწავლობთ მათ ნაწარმოებებს ყოველდღიურად, თვეობით, — ალბათ, სიძულვილით აღივსებოდნენ ამ კომპოზიტორების მიმართ. ჩვენი დედები და მამები კი უსაზღვრო მოთმინებით და გამოცდილებით არიან აღჭურვილნი. მიკვირს, როგორ უსმენენ ისინი ამის შემდეგ კონცერტს. როგორ ჰყოფნით მოთმინება დილიდან საღამომდე უსმინონ ჩვენს გამებს, ვარჯიშობას, გაუძლონ უძლიერესი მუსიკოსების უძნელესი პასაჟების ასჯერ და ზოგჯერ კიდევ ორასჯერ მოსმენას?!.. რაც შეეხება მამას, მისი მომთმენიანობა გასაგებია, ის ხომ თვითონაც თხზავს მუსიკას! (ჰმ! „თვითონაც თხზავს მუსიკას!" ... არც თუ ისე ცუდად ჟღერს ეს სიტყვები საყვარელი ქალიშვილის ბაგეთგან და ისიც ამ საიუბილეო დილას!).

„როიალზე, კლავიშების კიდეზე მიდევს ასანთით სავსე კოლოფი. დავუკრავ ნაწყვეტს და გადავიტან ერთ ღერ ასანთს მეორე მხარეს. ამ ერთი მხრიდან მეორეზე გადატანილი ასანთების რაოდენობის მიხედვით შეიძლება გაგება, თუ რამდენჯერ გავიმეორე გაკვეთილის ეს ნაწილი. ჩემი გეგმაა: იმდენჯერ გავიმეორო ნაწყვეტი, რამდენი ასანთიცაა კოლოფში. ამის შემდეგ მე შემიძლია ავდგე, გავისეირნო-გამოვისეირნო ოთახში, ჩავატარო მსუბუქი ტანვარჯიში და ისევ მივუჯდე როიალს, რომ ყველაფერი თავიდან გავიმეორო.

დედა სამზარეულოშია, სადილის დამზადებით არის გართული, მისი ხელებიც ისევე როგორც ჩემი, მუდმივ მოძრაობაშია. მაგრამ დედაჩემის მთელი ყურადღება ჩემკენ არის მომართული, უფრო სწორად — ჩემი მუსიკისაკენ... უეცრად საშინლად გაიკივლებს ხოლმე მისი ხმა:

— სტყუი, ყალბია, შეცდომებს უშვებ, ნუ სულელობ, სწორად დაუკარი!...

გაგიმხელთ საიდუმლოს. ზომაზე მეტად გამიტაცა ი. ილფისა და ე. პეტროვის „ერთსართულიანმა ამერიკამ“. ვმეცადინეობ და პიუპიტრზე, ნოტებს უკან, გადაშლილი მიდევს ეს იუმორით სავსე ნაწარმოები (დედამ რომ არ დაინახოს! მამის არ მეშინია, იმას კიდევაც მოსწონს ჩემი ასეთი „უდანაშაულო“ ოინები, როგორც იტყვის ხოლმე, საბრალოს, თვითონ არც კი განუცდია ნამდვილი ბავშვობა!). ერთი ადგილის კითხვისას სიცილი ამივარდა და, რასაკვირველია, დაკვრის დროს შევცდი, ვიყალბე. დედას კი უაღრესად გამახვილებული სმენა აქვს, განსაკუთრებით როცა მე ვუკრავ. ეს სიმახვილე არც მაშინ უსუსტდება, როცა საცივს ან რომელიმე რთულ კერძს ამზადებს. მამასაც მოხვდა მისგან, ქალიშვილის მეცადინეობისადმი ლიბერალური დამოკიდებულებისათვის.

თხუთმეტი წლის ვიყავი, ნ. დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ რომ წავიკითხე. წავიკითხე ბოლომდე და კარგად მახსოვს აივანზე გავვარდი სწრაფად (დიდი აივანი გვაქვს მეხუთე სართულზე). ჩემი ამხანაგი და თანაკლასელი ტანია კი ჩემს გამოჩენას ელოდა თავის აივანზე (მეოთხე სართული ქუჩის მეორე მხარეზე, ჩვენს პირდაპირ). აღტაცებულმა გავუზიარე ჩემი შთაბეჭდილებები წაკითხულზე, მაგრამ უსიტყვოდ, ჟესტებით (ყრუმუნჯების ენით), რომ დედის რისხვას ავცდენოდი. უცებ ოთახი-

დან გამოვარდა დედაჩემი და დამიშინა ხელებზე: არ გაბედო თითებით ლაპარაკიო! მამა გამომესარჩლა: რატომ არ უნდა იცოდეს ერთი ზედმეტი ენაო, თუნდაც ყრუ-მუნჯთა ანბანიო. დედა აყვირდა: რას მიედ-მოედები, ეს ხომ ქურდების ჟარგონიაო!.. ვერ გამიგია, რად უნდა იყო ეს ჟარგონი, თუ საუბარი წარმოებს უსიტყვოდ, მხოლოდ თითებით! მაგრამ დედასთან კამათი — ეს იგივეა, ხანძრის ჩაქრობა მოინდომო დოქით. დასწყევლოს ღმერთმა, საცოდავ ყრუ-მუნჯებს უსიტყვო ენაც კი წაართვეს საზიზღარმა ქურდებმა!..

აი, რით არის დილიდანვე ჩემი გონება დატვირთული და კიდევ უამრავი მოგონებებით.

დღეს დილით მამამ მკითხა: „რას აპირებ დღეს, თექვსმეტი წლის შესრულების აღსანიშნავადო?".

მართლა რას ვაპირებ, როგორ უნდა შევხვდე ჩემს სრულწლოვანებას? უპირველეს ყოვლისა, წავალ კონსერვატორიაში. ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიამ მომცა ცხოვრების საგზური და სრულიად ბუნებრივია, რომ სწორედ დღეს მინდა მოვინახულო მუსიკის ეს ტაძარი. მეორე: დღეს სრულდება ერთი წელი გურამ რჩეულიშვილის — ახალგაზრდა, ზედმიწევნით ნიჭიერი მწერლისა და ადამიანის დაღუპვიდან. იგი ჩემი პიონერხელმძღვანელი იყო. მას უყვარდა მთები და ზღვა. და სწორედ ზღვის ტალღებმა შთანთქეს იგი. შარშან ამ დროს მოხდა ეს სამწუხარო ამბავი.

ყველას თვალწინ იზრდებოდა ნამდვილი მწერალი, დიდი თვითმყოფადი ტალანტი. ჩვენ, მისი ყოფილი პიონერები, და არა მხოლოდ ჩვენ, მისი მეგობრები, ამხანაგები, გავხდით მოწმენი იშვიათი აღმოცენების — შემოქმედების გაჩენისა, მაგრამ ის დაიღუპა... თვით ამ ახალგაზრდა ვაჟკაცის — ალპინისტის, გეოლოგის, სპორტსმენის, მწერლის ცხოვრება იყო დაუმთავრებელი წარმტაცი ნოველა. დღესაც ისე ლაპარაკობენ მასზე, როგორც ცოცხალ ადამიანზე.

ხუთი წლის წინათ დაიბეჭდა მისი პირველი მოთხრობები — თითქოსდა უბრალო, სამარადჟამო ნაწერები, მაგრამ მათში იგრძნობოდა ისეთი უჩვეულო, მიმზიდველი, ახლებური მანერა წერისა, რომ ისინი უმალ იქცნენ ლიტერატურული კამათისა და დისკუსიების საგნად. მისი მოთხრობებისა და ნოველების უჩვეულობა, სიახლე უნდა ვეძებოთ ადამიანის სულიერ კარჩაკეტილობაში, მთიელე-

ბის მკაცრ და მამაცურ ცხოვრებაში, რაც ასე თავდავიწყებით უყვარდა გურამს. ერთმა ახალგაზრდა პოეტმა მეტად მოსწრებულად თქვა: „მე მხოლოდ ვოცნებობ იმაზე, რასაც ის უკვე ასრულებსო“. გურამ რჩეულიშვილი თვითონ განიცდიდა ყოველივეს. მოგონილს, ხელოვნურს არავითარი ფასი არ ჰქონდა მისთვის, თუმცა ძალიან ხშირად თვითონ იგონებდა ხოლმე საკუთარ განცდებს და შემდეგ გულწრფელად სჯეროდა ამ განცდებისა. მუდამ სადღაც მიიჩქაროდა: გეოლოგია, არქეოლოგია, ალპინიზმი... და ადამიანები!.. ზოგჯერ, როგორც მეტეორი, გამოჩნდებოდა რუსთაველის პროსპექტზე მძიმე ალპინისტურ წაღებში, წვერგაუპარსავი, ბამბის ქათიბში... ამ დროს ის ბრუნდებოდა რომელიღაც ეთნოგრაფიული, არქეოლოგიური ან გეოლოგიური ექსპედიციიდან. მაგრამ ზოგჯერ ვხვდებოდი მას კოხტად ჩაცმულს, საგანგებოდ გაპარსულს, თეთრ პერანგში ღრმა საყელურით...

და ასეთი სიცოცხლითა და ჯანღონით სავსე ახალგაზრდა უკვე აღარ სწერია ცოცხლების სიაში!.. გურამს ასაფლავებდა ქალაქის მთელი ახალგაზრდობა — ყმაწვილები შავ კოსტუმებში, გოგონები თეთრ კაბებში, თითქოს საქორწინო მოგზაურობაში ვაცილებდით... ვაცილებდით ჩუმად — მას არ უყვარდა სამგლოვიარო მუსიკა, ვერ იტანდა ხმაურსა და აურზაურს. მხოლოდ საფლავზე ჩართეს ბიჭებმა მაგნიტოფონი და გაისმა მისი საყვარელი ბახის მუსიკა“...

აქ წყდებოდა დღიურები. მე ამაღელვა და კიდეც დამაფიქრა წანაკითხმა: ჩემი შვილის ხასიათში აღმოვაჩინე რაღაც ახალი, ჩემთვის აქამდე უცნობი... მე კი მეგონა... აბა, რა მეთქმის, გამომეპარა, ვერ შევამჩნიე ქალიშვილის სულიერი ზრდა და ახლა ნასიამოვნები და გაკვირვებული დავჩერებოდი დღიურებს.

ძალაუნებურად მომაგონდა ჩემი ბავშვობა. ყოველი ახალი წლის წინაღამით დედა ჩვეულებრივზე უფრო ადრე დაგვაწვენდა ხოლმე, თან გვარწმუნებდა, თითქოსდა გარიჟრაჟზე მოფრინდებაო თეთრი მერცხალი, რომელსაც ბედნიერება და, რაც უფრო საინტერესო იყო ჩვენთვის, საჩუქრები მოჰქონდა ბავშვებისათვის. ვინც ყველაზე ადრე გაიღვიძებდა, ასე გვარწმუნებდა დედა, — აუცილებლად ნახავსო მას. და ჩვენც სიხარულითა და აღელვებით მოველოდით თეთრ მერცხალს. ის კი აღარ ჩანდა, ალბათ, იმიტომ, რომ ჩვენ მუდამ მოგვიანებით ვიღვიძებდით. თუმცა იყო შემთხვევა, როცა ზოგიერთი ჩვენი ტოლები ჩურჩულით და საიდუმლო-

ებით სავსე ხმით გვარწმუნებდნენ, რომ მათ თითქოსდა დაინახეს თეთრი მერცხალი! მე კი არ გამიღიმა ბედმა, ერთხელაც ვერ მოვკარი თვალი თეთრ მერცხალს...

რასაკვირველია, არავითარი თეთრი მერცხალი არ არსებობდა ბუნებაში. ეს იყო მოგონილი ამბავი, ღარიბების მარადიული ოცნება ბედნიერებაზე. მანანას დღიურების წაკითხვისას მე რატომღაც მომაგონდა თეთრი მერცხალი, მომეჩვენა, თითქოს იგი უჩინრად დაფრინავდა ამ დღიურების ფურცლებზე... დღიურები თავის ადგილას დავდე და თან ქაღალდის ნაგლეჯი ჩავატანე წარწერით: „გაუფრთხილდი სულიერ აღსარებას, რუ დაივიწყებ მას, სადაც კი მოგიხდება...“

გუშინ საღამოს ქალაქში გავედი, ზღვის სანაპიროზე გავისეირნე... ბავშვობის მეგობრებს შევხვდი... მე მათ ვაკვირდებოდი, როგორც სარკეში აკვირდებიან ხოლმე საკუთარ გამომეტყველებას: „ღმერთო ჩემო, როგორ დაბერებულან!“ მრავალი მათგანი უკვე ცოცხალი აღარ არის, ბევრი კიდევ ომში დაიღუპა: ქერჩში, სევასტოპოლში, კავკასიის მისადგომებთან. ზოგიერთებმა, როგორც მაგალითად მე, დატოვეს თავიანთი ბუდე, მათ, ალბათ, შემთხვევით თუ სადმე შევხვდები... უცებ თვალწინ წარმომიდგა უწინდებური, ძველი ქალაქი, ისეთი, როგორიც ჩვენი სიყმაწვილის დროს იყო, როცა ჩვენ უჩვეულოდ აღტყინებულები ვიყავით ახალი ცხოვრების შეგრძნებით... მომაგონდა ის დღეც, როცა ლენინგრადის კონსერვატორიის პირველ კურსზე მიმიღეს.

ვავიმარჯვე კონკურსში! ნახევრად ცარიელ დარბაზში (გამოცდებზე არავის უშვებენ, უფროსი კურსელი სტუდენტების გარდა) კომისიის წინაშე, რომელიც უბრწყინვალესი მუსიკოსებისაგან იყო შემდგარი, მე დავუკარი ლისტის უნგრული რაფსოდია! და წარმოიდგინე, ბოლომდე არ შემაწყვეტინეს დაკვრა! აბა, თუ წარმოგიდგენია, რას ნიშნავს ეს ამბავი! არა, იმ წუთებს, ალბათ, სიკვდილის კარამდე ვერ დავიივიწყებ და მიუხედავად იმისა, რომ მესამე დღეს მიღებულთა სიაში ჩემი გვარიც ამოვიკითხე, თვალებს არ დავუჯერე, ჰალუცინაცია მეგონა. „შეიძლება მძინავს და მესიზმრება? მოდი, კიდევ ერთხელ შევამოწმებ-მეთქი...“ მეორეჯერ და მესამეჯერ მივირბინე კედელზე გაკრულ სიასთან და მოვძებნე ჩემი გვარი.

ახლა ღამეა. ალბათ, ათ საათს გადაცილებულია, მაგრამ არ შემიძლია ოთახში ყოფნა. მინდა ვიყვირო ხმამაღლა, მთელი ძალღო-

ღონით: „ბედნიერი ვარ, ბედნიერი! გესმით, ხალხნო, ბედნიერი ვარ!“

გამოვდივარ საერთო საცხოვრებლიდან. მივაბიჯებ სპორტსმენის ნაბიჯებით. ვუსმენ უზარმაზარი ქალაქის ხმაურს. დიდი ქალაქის მრავალხმიანობა და ზრიალი ფანტასტიკურ სიმფონიად მეელინება გონებაში. იფეთქა რეკლამებმა. ელვარებენ პროექტორები. გუგუნებენ ავტომანქანები, გრუხუნებს ლიანდაგი ტრამვაის ბორბლებქვეშ... ეს თვით ცხოვრება გუგუნებს — მარად მოძრავი, დაუოლვეველი და უსაზღვრო... მიუწვდომელი, განუზომელი და უცნაური.

ისაკის ტაძარი, ადმირალთ სამყოფელო, მე უკვე პეტრეს ძეგლთან აღმოვჩნდი. „ბრინჯაოს მხედარი“... ვიღაცას ყვავილები მოეტანია მისთვის. ვინ უნდა იყოს ნეტავი, ნორჩი მეოცნებე თუ სიძველეთა ჭაღარა თაყვანისმცემელი?..

ძეგლის პირდაპირ გრძელ მერხზე ჩამოვჯექი და გამვლელებს ვაკვირდები. მინდა ვიყვირო, ვიმღერო, ვიხარხარო, მინდა ვუამბო ყოველ გამვლელს ჩემს სიხარულზე.

თანდათან მყუდროება და სიმშვიდე ისადგურებს ჩემ ირგვლივ. ვწყნარდები და კვლავინდებურად ვაკვირდები გამვლელებს. რასაკვირველია, ეს ადამიანები — მოხუცები და ახალგაზრდები, მომღიმარნი და სერიოზულები,—გამიგებენ, გაინაწილებენ ჩემს სიხარულს. გაიარა წყვილმა, კიდევ წყვილმა, კიდევ ერთმა. უცებ გაწვიმდა. შხაპუნა თანდათან გაძლიერდა და კოკისპირულ წვიმად იქცა. მომეჩვენა, თითქოს წვიმა მღეროდა, მღეროდა სხვადასხვა ჰანგებზე. თვალები დავხუჭე და წვიმის წვეთებს შევუშვირე სახე. შემდეგ კვლავ გავახილე თვალები და გავიქეცი, თითქოს ღვართქაფში მივცურავდი, წვიმის წვეთები სახეში მიტყლაშუნებდნენ. ორმა მამაკაცმა ჩაიარა. ერთმა, რომელიც უფრო ახლო იყო ჩემთან, თითით ანიშნა ჩემზე თანამგზავრს, გაიცინა და თავი გაიქნია. ალბათ, იფიქრა, რომ მე სიგიჟე მომერია. ან შეიძლება ინტუიციით იგრძნო ჩემი მდგომარეობა... თუმცა არა მგონია, რომ ეგრძნო: მგონი, ხაზში შესულები იყვნენ, პენსიონერები, ამ წლოვანებაში კი ადამიანებს ხშირად ავიწყდებათ, რომ ისინიც ოდესღაც იყვნენ ახალგაზრდები...“

შემდეგ წერილის სტრიქონები აირივნენ და ბოლოს სულ გაქრნენ. ბავშვობა მომაგონდა და გული თითქოს ისრის მაჯვილით განიგმირა...

II.

მე სოფელში დავიბადე, პატარა ქალაქ გუდაუთის მახლობლად, შავი ზღვის პირას (უფრო სწორი იქნებოდა — ძალიან ლურჯი ზღვის პირას). სოფელი ახლა უკვე ქალაქის განაპირა რაიონია. აქ აღმართულია ახალი შენობები, აგურისა და ქვის სახლები, რომლებიც ერთმანეთს ეჯიბრებიან სიმდიდრესა და გემოვნებაში: დიდი აივნებით, ჩუქურთმიანი ლავგარდანით, ცემენტის უცნაური, დიდი კიბეებით. ეზოები? რა შესანიშნავი ეზოებია — ფართო, მწვანე, მოლით ან კოინდარით მოხავერდებული! შუა ეზოში, სახლის წინ კი აუცილებლად დიდი კაკლის ხე ან მარად მწვანე მაგნოლია დგას. სახლებს უკან აუცილებლად ვენახებია გაშენებული, პალმები ხაროობენ, კვიპაროსები, ევკალიპტები... ახლა ხომ ყველგან ასეა, მთელ დასავლეთ საქართველოში... მაშინ კი, ჩემს ბავშვობაში... ღმერთო რა საცოდავი და უბადრუკი იყო აქაურობა, ღატაკი! ჩვენს ერთ ციცქნა ეზოში იდგა ერთი პატარა, მოგრეხილი, წნული ფაცხა, გარედან თიხით შეთითხნილი, რომლის კედლებზეც ისე გამოისახებოდნენ ხმელი ტოტები და შტოები, როგორც შიმშილისაგან მომაკვდავი ადამიანის ტანზე ძვლები, ნეკნები. ფაცხა ჭვარტლით გაშავებული ისლით იყო გადახურული. ფანჯრები, რასაკვირველია, არ გააჩნდა ჩვენს ფაცხას. მხოლოდ მუდამ ღია კარებიდან შემოდიოდა დღის ცინათლე. ფაცხის შუაგულს თიხის იატაკზე დღისით და ღამით ენთო კერა. გრძელ და მსხვილ ჯაჭვზე, რომელიც გაჭვარტლულ სხვენზე გადებული კოჭიდან ეშვებოდა, ეკიდა თუჯის ქვაბი. ამ ქვაბში თითქმის გამუდმებით დუღდა ღომისთვის წყალი. ის დღეები, როდესაც ქვაბში ცხელი ღომი შიშინებდა, ბედნიერ დღეებად ითვლებოდა ჩვენთვის. გაჭვარტლულ კოჭზე, კერიის თავზე ჩამოკიდებული იყო ბოლში გამოყვანილი დიდრონი სულგუნები. უფრო ხშირად ჩვენ მხოლოდ ამ ოქროსფერი სულგუნების ყურებით და სუნით ვკმაყოფილდებოდით. ჩვეულებრივად კი ვჭამდით მაწონს ან ღომს აჯიკით. ჩვენ, ბავშვებს (ოთხ პატარა ბიჭს შორის ყველაზე უფროსი მე ვიყავი) ძალიან გვიყვარდა აჯიკის სქელი ფენით დაფარული ცივი ღომი ანდა იგივე ღომი, ჩაფშვნილი მაწონში. ეს კერძი თუ გვქონდა, არხეინად ვიყავით. მაგრამ, სამწუხაროდ, ხშირად მოკლებული ვიყავით ასეთ უღიმღამო კერძსაც. მარილი ძნელი ნაშოვნელი იყო, რძე კი... მამას მიჰქონდა ყველი ქა-

ლაქში გასაყიდად და ეს თითქმის ერთადერთი წყარო იყო ჩვენი შემოსავლისა... და მაინც ზოგჯერ ჩვენს ოჯახშიც ხდებოდა სასწაული: გავიღვიძებდით თუ არა დილით, მოვიფშვნეტდით თვალებს და რას ვხედავთ! კერიის ზემოთ კოჭზე ჩამოკიდებულ თიკნის დაშაშხულ ფეხს! საკუთარ თვალებს არ ვუჯერებდით და დიდხანს ვტკბებოდით ამ სასწაულის ცქერით.

ყველაზე უფრო შობის დღესასწაული გვიყვარდა. საღამოს მამას მოჰქონდა ჩიჩილაკი, დედა ჩიჩილაკს გააწყობდა ტკბილეულობით და ვაშლებით. შემდეგ გვაძინებდნენ ჩვეულებრივზე უფრო ადრე — ხვალ ხომ გარიჟრაჟზე უნდა ავმდგარიყავით, თეთრი მერცხლისთვის რომ მოგვესწრო, მას ხომ საჩუქრები უნდა მოეტანა ჩვენთვის! უთენია ვიღვიძებდით, — მაგრამ ვაი, რომ თეთრი მერცხალი უკვე გაფრენილიყო... სამაგიეროდ, უმალ ვპოულობდით მის მიერ დატოვებულ საჩუქრებს: მხიარულ კერასთან გველოდა ტაბაკი — გრძელი ხის დაფა, ოთხ მოკლე ფეხზე შედგმული, რომელიც ჭვარტლისაგან სულერთიანად შინდისფერი იყო, თითქოსდა ძვირფასი წითელი ხისაგან ყოფილიყო გამოთლილი, მისი ზედაპირი კი ისე პრიალებდა სარკესავით, ისეთ სწორი და სუფთა იყო, რომ სულ ადვილად შეიძლებოდა საკუთარი სახის დანახვა. ტაბაკზე ჩოგნით აგებდენ ღომს, რომელსაც სასიამოვნო სურნელოვანი ოხშივარი ასდიოდა. დედა ამასთანავე ხის ჯამებით გვირიგებდა ტყემლის საწებელს — მაგრად ჩაპილპილებულს, ხმელი სუნელითა და ნიორ-ქინძით შეზავებულს. იშვიათად ბაჟითაც კი გვიმასპინძლდებოდა. თითოეულ ჩვენთაგანს მოგვითლიდა თიკნის დამარილებული და შებოლილი ფეხიდან ნაჭერს, ღომში კი გამაღიზიანებლად დნებოდა ქარვისფერი სულგუნის ნაჭერი.

დღესაც კი, როცა წითელი ხის გაპრიალებულ, ლიმოჟის ფაიფურისა და ბოჰემური ბროლის ჭურჭლით გაწყობილ სუფრას ვუზიავარ, მუდამ სიამოვნებით ვიგონებ იმ უბადრუკ ხის ტაბიკს და, არ ვიცი, დამიჯერებთ თუ არა, მე მაინც იმას ვარჩევდი ამ ფუფუნებით, მდიდრულად გაწყობილ სუფრას.

სამწუხაროდ, დღესასწაულები იშვიათი იყო ჩვენს დუხჭირ ცხოვრებაში — ერთი ან ორი მთელი წლის განმავლობაში, დანარჩენი დრო კი... ძალიან ღარიბად ვცხოვრობდით, თითქმის ღატაკად.

მიუხედავად ამისა, მოწყენასა და უიმედობას ახლოსაც არ ვიკარებდით, არც მშობლები მიეცემოდნენ ხოლმე სასოწარკვეთილე-

ბას. ჩვენ, ბავშვები, ვმწყემსავდით მეზობლების ძროხებს, თხებს, ვიპარავდით ვაშლებს და ხილეულობას მდიდრების ეზოებში, ვკრეფდით მარწყვს, ვუსმენდით ჩიტების ჟივილ-ხივილს და შაშვების გალობას, ვეძებდით ჩიტის ბუდეებს, მაგრამ არასოდეს არ დაგვინგრევია ისინი. არც ბარტყები ამოგვიყვანია ბუდეებიდან. გვახსოვდა დედის შეგონება, რომ ბუდეების დანგრევა-განადგურება შეუწყნარებელი ცოდვა იყო და რომ ამისთვის ღმერთი საშინლად დაგვსჯიდა „იქ“ (მხოლოდ სად იყო ეს „იქ“, ამის წარმოდგენით ჩვენ არც თუ ძალიან ვიმტვრევდით თავს). ჩვენი გაგებით ღმერთი იყო ძალზე ბებერი, უბებრესი, როგორც ჩვენი ბახვაია მაქაცარია. რომელმაც, როგორც ამბობენ, ასოც წელს მიაღწია თურმე. მრისხანე და მუდამ გულმოსული დიდთეთრწვერება ღმერთი, ჩვენი წარმოდგენით, იჯდა თეთრ ღრუბლებზე და იქიდან უთვალთვალებდა ყოველ ჩვენს საქციელს. სიმართლე რომ გითხრათ, ჩვენ არც თუ ისე გვეშინოდა ამ ღმერთის, უფრო სწორად, გვეცოდებოდა უმწეო ბარტყები.

მუდამ და ყოველთვის საყდრის ეზოში ვისვენებდით, ახლო მოვრეკავდით საქონელს, თვითონ გადავძვრებოდით ქვის მაღალ გალავანზე (ტაძარი მაღლობზე იყო გაშენებული) და იქიდან გადავყურებდით ჩვენი სოფლის პანორამას. ვცდილობდით გამოგვერკვია, რა იყო იმ საიდუმლოებით სავსე შორეთში, იქ, სადაც გადაულილიყო უსაზღვრო ლურჯი ზღვა. ზოგჯერ გავრბოდით უძველესი ტაძრის ნანგრევებზე და ვასრულებდით ჩვენს „საღმრთო საქმეს“: მე ვუკრავდი სალამურზე, რომელსაც თვითონვე ვოლიდი ლერწმისაგან. ჩემს გარშემო მოიკალათებდნენ ჩემი ძმა-ბიჭები და სულგანაბულნი უსმენდნენ მუსიკას.

ასე უზრუნველად გადიოდა ჩვენი ბავშვობის დღეები. ცხრა წელი რომ შემისრულდა, მწუხარებამ პირველად დააკაკუნა ჩემი ცხოვრების კარზე. დღევანდელი დღესავით მახსოვს ის დილა, რომელიც დაიწყო მზის მხიარული სხივებით. ნიავისაგან აშრიალებული ბალახი მიყუჩებულ ზღვასა ჰგავდა: ოდნავ შრიალებდნენ კაკლის ხის ფოთლები და ჩვენი ეზო მოგაგონებდათ მწვანე ატლასის საბანს, სამზითვოდ რომ ატანენ ხოლმე ქალიშვილს.

მზემ ვერც კი მოასწრო ვრცლად მოეფინა სხივები, როცა ჩვენი ფაცხიდან წივილ-კივილით გამოვარდნენ მეზობლის ქალები. (ჩვენ,

ბავშვები, დედის ავადმყოფობის გამო თითქმის ერთი კვირის განმავლობაში მეზობელთან ვათევდით ღამეს).

— უიმე, უიმე, დაობლდით შვილებო! დაობლდით! — მოთქვამდნენ, გვეხვეოდნენ მეზობლის ქალები და იკაწრავდნენ ლოყებს.

მათი კივილისაგან კანკალი ამიტყდა, მაგრამ ვერაფერი გავიგე, ჩემი პატარა ძმები კი შიშისაგან ატირდნენ. მამა გ ნსე იდვა ნირწამხდარი, მწუხარებისაგან წელში მოხრილი და ცრემლები ჩამოსდიოდა ღაწვებზე. პირველად ვხედავდი მამაჩემს ატირებულს. მამის მწუხარება მეც გადამედო. ავტირდი იმიტომ, რომ მივხვდი: მოხდა რაღაც საშინელება. მაგრამ ცრემლები მალე შემომაშრა თვალებზე და თანდათან დავშოშმინდი. შემდეგ ჩვენს ფაცხაში შევიხედე და გავქვავდი: შავებში ჩაცმული, თმაგაშლილი ქალები ბუზებივით ირეოდნენ დედაჩემის საწოლთან, ხის ტახტის ირგვლივ, ოხრავდნენ და გმინავდნენ, ხან მოთქვამდნენ, უმოძრაოდ და მდუმარედ იწვა დედაჩემი. მე შემაშინა მისმა დუმილმა. მაშინ ჯერ კიდევ ვერ ვერკვეოდი, თუ რა იყო სიკვდილი, მაგრამ გუმანით ვიგრძენი, მივხვდი, რომ მოხდა რაღაც თავზარდამცემი, რაღაც გამოუსწორებელი საშინელება.

ჩვენი ეზო ხალხით გაივსო.

მოდიოდნენ და მოდიოდნენ სოფლელები. ახლა უფრო ხმამაღლა კიოდნენ და ტიროდნენ ქალები. ჭიშკართან მოახლოებულები იშლიდნენ თმებს და იწყებდნენ მოთქმას.

შუადღისას გუდაუთიდან გრძელი, ღია ეტლით ჩამოვიდა მარო დეიდა, დედაჩემის ერთადერთი და.

III.

დავინახე თუ არა დეიდა მარო, მომაგონდა ჩვენი წარშანდელი მოგზაურობა. ეს იყო ჩემი პირველი მოგზაურობა დეიდაჩემთან ერთად, ჩვენს ნათესავებთან სოხუმში. ჩვენთან ერთად გრძელ, ღია ეტლში, ან როგორც მაშინ ეძახდნენ „ლინეიკაზე“, ორივე მხარეს ჩამომწკრივდა ათიოდე ქალი. მათ შორის ერთადერთი მამაკაცი მე ვიყავი.

დილის სრულ ცხრა საათზე გამოვედით გუდაუთიდან, მთელი დღე გზაში მივზლოზინობდით. ამ ხნის განმავლობაში ჩვენმა „ლინეიკამ“ ოთხჯერ დაისვენა ამ ორმოცკილომეტრიან გზაზე. დასვენე-

ბა სჭირდებოდა ჩვენს უბადრუკ, როსინანტის მსგავს ჯაგლაგა ცხენს და წყალიც უნდა დაელია ხოლმე საცოდავს. ვჩერდებოდით დუქნებთან, რომლებიც სამუდამოდ შეიჭრნენ ჩემს მახსოვრობაში. პირველი დუქანი, როგორც იუწყებოდა რკინის უზარმაზარი ფირნიში, იწოდებოდა ასე: «Не уезжай, голубчик!» ამავე აბრაზე ზეთის იაფფასიანი საღებავებით ღია ეტლი იყო დახატული (უფრო მითითხნილი). ეტლში შებმული ბედაურები ელდანაკრავივით გაშეშებულნი იდგნენ ამ დახატულ დუქანთან და თუ მათ გამომეტყველებას გულდასმით დავაკვირდებოდით, არასგზით არ უნდოდათ ადგილიდან დაძვრა. აქვე, დუქნის კარებში, იდგა სამმაგ ღაბაბჩამოშვებული მედუქნე, საოცრად დიდი მუცლით, გრძელი აგრეხილი ულვაშებით და ღაღაჟა ლოყაზე გაყინული, გამოთაყვანებული ღიმილით ეპატიჟებოდა სტუმრებს თავის სამიკიტნოში. დუქნის ღია ფანჯრებიდან სტუმრების შესახვედრად გამოჰქონდათ მწვადებიანი შამფურები, შიგადაშიგ ჩართული წითელი პამიდორებით. თეთრი, გრძელი ლავაშები დასტებად ეწყო აბრის ქვევით ორივე კუთხეზე, ლავაშებს ზედ ეწყო ახლადშემწვარი ტაბაკა წიწილები, იქვე ელაგა ღვინით სავსე მიხატულ-მოხატული თიხის დოქები. მათ გვერდს უმშვენებდა ათასნაირი მწვანილი: ტარხუნა, წიწმატი, ქინძი, ოხრახუში, წითელი ბოლოკი, ტყემლის და კოწახურის საწებლები, აბრის ზევითა კუთხეებს ამშვენებდა წყვილი თეთრი მტრედი — ალბათ, მამალ-დედალი. მათი ნისკარტები მოხატული იყო ჭიაფერით და წააგავდნენ გამოსული ქალების შეღებილ ტუჩებს. მე პირდაღებული ვუცქერდი ამ აბრას და ფერწერის შეუდარებელ შედევრად მიმაჩნდა იგი.

მაინც როგორ დაატია ამდენი რამე ამ ერთ აბრაზე მხატვარმა? — მიკვირდა მე.

გზაზე ჩამწკრივებული სამიკიტნოები ყველანი სტანდარტულად იყვნენ აშენებული ხისგან: ქვის დაბალ საძირკველზე, ღია უმოაჯირო აივნებით, მზისა და წვიმისაგან გახუნებული ყავრის სახურავი კი მონაცრისფრო შავი ფერისა იყო. დუქნების გვერდით ამოთხრილი იყო ჭები გრძელი ოწინარებით, რომლებზეც თუთიის სათლებით ხის ღარებში ასხამდნენ ჭიდან ამოღებულ წყალს და ცხენებს ასმევდნენ. მთელი სამიკიტნო შედგებოდა ერთი უზარმაზარი ოთახისაგან უამრავი მაგიდებითა და ტაბურეტებით. თვით ეს უზარმაზარი ოთახი, ყველა და ყველაფერი, რაც იქ იმყოფებოდა,

მოსამსახურეებისა და მიკიტნის წინსაფრის ჩათვლით, ისე გაშვარტლული და წვირიანი იყო, თითქოს განგებ შეუღებავთ ასე უზადოდ მოდის მიმდევრებსო. ჰაერი თამბაქოს ბოლით ისე იყო გაჟღენთილი, რომ მხოლოდ კარგი სნაიპერი თუ შეძლებდა რაიმეს გარჩევას ამ ბოლის ნისლში. ირგვლივ აუტანელი ხმაური და აურზაური იდგა. მაგიდებს ზემოთ ჭერიდან ჩამოეკიდათ ყვითელი წებოთი შეთითხნილი ქაღალდის ლენტები — სასიკვდილო მახე ბუზებისათვის, რომლებიც, უთვალავ არმიად ქცეულნი, ავსებდნენ ამ გაშვარტლულ დარბაზს. მაგიდები სავსე იყო უთვალავი ცარიელი და „იზაბელათი“ სავსე ბოთლებით. ზოგ მაგიდაზე მხოლოდ დოქები ეწყო. აქა-იქ გამორეოდა თითო-ოროლა ბოთლი თეთრი გამჭვირვალე „ჭაჭით“.

დუქანში ცხელი ღომის, მჟავე ღვინის, ჭაჭის, ცხარე ლობიოს, მეგრული ხარჩოს, შემწვარი სულგუნის, გაფიცხებული ხორცის და თამბაქოს ბოლის შეზავებული სუნი იდგა.

გრძელ ხის დახლს უდგა მიკიტანი, რომლის წინსაფარი ოდესღაც თეთრი ფერისა უნდა ყოფილიყო. მიკიტანი იშვიათ შემთხვევაში თუ შორდებოდა თავის ადგილს, იდგა და ყიდიდა სასმელებს, მწვანილეულობას, პურს და სხვა მისთანებს. თან უთვალთვალებდა, რომ წესრიგი არავის დაერღვია.

ჩვენ კუთხეში მოვძებნეთ ერთი პატარა, ცარიელი მაგიდა და მივუსხედით. წამსვე მოირბინა ძალ-ღონით სავსე ახალგაზრდამ, რომელიც კანში ძლივს ეტეოდა. მან თვალის დახამხამებაში მოამშრალა და მოწმინდა მაგიდა წინსაფრით და უხალისოდ მოგვაჩერდა, თითქოსდა იმეორებდა: „აბა, რა ხეირს გამორჩები ასეთი მუშტრებისაგანო?!..“ დეიდამ ერთი ბოთლი ლიმონათი შეუკვეთა ჩემთვის. თითონ უარი განაცხადა, ლიმონათი არ მიყვარსო, თქვა. მე, რასაკვირველია, არ დავიჯერე: აბა ლიმონათზე უტკბესი რა უნდა ყოფილიყო ამ ქვეყნად? — ასე ვფიქრობდი მაშინ.

დაახლოებით ერთი საათის თუ საათნახევრის შემდეგ მეეტლემ შეაბა ცხენები და გამოგვიცხადა, დროა გზას გავუდგეთო. ჩვენი მეეტლე მაღალი და ზორბა ახალგაზრდა იყო, გამობერილი მუცლით. რატომღაც ქალის სახელს ატარებდა — ოლიას ეძახდნენ. დღემდის გაურკვეველ ამოცანად დარჩა ჩემთვის, რატომ ატარებდა ასეთ სახელს ეს ბუმბერაზი ვაჟკაცი?! (რამდენიმე წლის შემდეგ ჩემთან ერთად კომკავშირის ერთ ორგანიზაციაში ირიცხებოდა

მისი ორი ვაჟი: შესანიშნავი ყმაწვილები, ნამდვილი ვაჟკაცები, თავმდაბლები, გაბედულები, მხარბეჭიანი, კლასიკურად ჩამოსხმული სპორტსმენები, ერთი კარგი ფეხბურთელი იყო, მეორე რესპუბლიკის რეკორდსმენი ცურვაში. მაგრამ აბა, როგორ ვკითხავდი, რად ატარებდა მათი მამა ქალის სახელს?).

განვაგრძეთ გზა. ძლივს მოვიტოვეთ უკან კიდევ ათი კილომეტრი და ახლა მეორე სამიკიტნო შემოგვეფეთა, რომელსაც «Настоящий рай» ეწოდებოდა. აბრის დაბლა კი ასეთი მოწოდება იყო ფერადი საღებავებით დაწერილი: «Загляни пожалуйста в наш рай! Здесь кушали Адам и Ева, остались очень довольны». აბრაზე, რომელიც დახატული იყო უბადრუკი, მაგრამ არცთუ ისე უნიჭო ხელით, თვითმოქმედ მხატვარს გამოესახა სამოთხე. ცოტა არ იყოს, ღარიბულად გამოიყურებოდა სასუფეველი ცათა: ერთადერთი ხე იდგა და ისიც პირობითი მანერით იყო დახატული, თუმცა მოლურჯო ნაყოფის ფორმის მიხედვით ეს ლეღვის ხე უნდა ყოფილიყო. ამ უცნაურ ხეს ხელიხელ ჩაკიდებულნი გალანტურად უახლოვდებოდნენ ადამი და ევა, თავისუფალი ხელებით კი ორივენი მიუთითებდნენ სამიკიტნოს სახელწოდებისაკენ. ადამს მოდურად დაეხვია ულვაშები და ბრილიანტით გაეპრიალებინა დახვეული თმა. ევას გიპიურის პენუარი ეცვა, ტუჩები წითლად შეეღება. სამოთხეში მათ არასგზით არ უშვებდნენ. უზარმაზარი გველი კი, რომელიც ხეს შემოხვეოდა, მაცდური ღიმილით ათამაშებდა ევას თვალწინ მწიფე ლეღვს.

რამდენმა წელმა განვლო მას შემდეგ და დღესაც ვერ ვიკავებ სიცილს, ის აბრა რომ მომაგონდება. დიდი სიამოვნებით შევიძენდი იმ აბრას და დავკიდებდი იმ უცნობი მხატვრის შედევრს ჩემს სასადილო ოთახში!..

ამჯერად ჩვენ არ ჩამოვსულვართ „ლინეიკიდან“ და ცხენების დანაყრების შემდეგ განვაგრძეთ გზა... თუ შეიძლება გზა ეწოდოს იმ ოღროჩოღროებს, ქვის გორაკებს და, მაღალმა ღმერთმა უწყის, ამ პაპანაქება სიცხეში საიდან გაჩენილ წუმპეებს. როგორ უძლებდა ჩვენი როსინანტი ყოველივე ამას, დღესაც გაუგებარია ჩემთვის!.

დღის ხუთ საათზე, როგორც იქნა მივაღწიეთ „ახალ ათონამდე“, ასე ეწოდება მონასტრის ქალაქს, რომელიც მოთავსებულია გუდაუთასა და სოხუმს შუა. ეს მონასტერი კი მართლა მოაგონებდა ადამიანს მიწიერ სამოთხეს. (მოწაფეობისას, როცა სოხუმის მუ-

სიკალურ ტექნიკუმში ვსწავლობდი, თითქმის ყოველ კვირა დღეს ფეხით მოვდიოდი ამ „სამოთხეში“ და ეტკბებოდი ცადაზიდული მთების ზღაპრული ხედით, ივერიის ტაძრის ნანგრევებით, ხელოვნური ტბის სილამაზით და ჩანჩქერებით, ზეციხილის მწვანე ჩეებით და მონასტრის ახალი შენობებით, თუმცა ხუროთმოძღვრების თვალსაზრისით ისინი მეტად უგემოვნოდ იყვნენ ნაგები.

იმხანად ახალ ათონში მხოლოდ ბერები ცხოვრობდნენ. აქ ყველგან სისუფთავე იყო გამეფებული და ისეთი სიჩუმე, როგორიც მხოლოდ ტაძარშია ხოლმე. ხელოვნურ ტბაზე ყელმოღერებული დაცურავდნენ თეთრი და შავი გედები.

ტბის შუაგულს ამშვენებდა პაწაწინა კუნძული, ალბათ ისიც ხელოვნური. კუნძულზე ლამაზი, ტოტებჩამოყრილი მტირალი ტირიფი იდგა. ისე გამიტაცა ამ კუნძულმა, რომ ვერც კი შევამჩნიე, როგორ მომიახლოვდა მაღალი, წითურწვერებიანი ახალგაზრდა ბერი, გამიღიმა, ალბათ, მიხვდა კიდეც ჩემი გატაცების მიზეზს და რაღაცა ჰკითხა დეიდაჩემს მაშინ ჩემთვის გაუგებარ რუსულ ენაზე. დეიდასაგან თანხმობის მიღების შემდეგ მომკიდა ხელი და ვიწრო ბონდის ხიდით მიმიყვანა კუნძულზე. სიხარულით მე-შვიდე ცაზე მეგონა თავი. მე და ახალგაზრდა ბერი კარგა ხანს ვუღიმოდით ერთმანეთს — ეს იყო ჩვენი მუნჯური საუბარი. შემდეგ თითქოს რაღაც მოაგონდაო, ჩაიყო ხელი შავი ანაფორის ჯიბეში, ამოიღო წითელი ვაშლი, შავ კალთაზე გაწმინდა იგი და გამომიწოდა. მე მცირე ყოყმანის შემდეგ გამოვართვი ვაშლი და მორცხვად მოვახსენე მადლობა.

ახალ ათონში ოლიამ ეტლი ზღვის სანაპიროზე გააჩერა პატარა ნავმისადგომთან „წმინდანთა“ მაღაზიის პირდაპირ. ამ გაკრიალებულ მაღაზიაში ბერები ვაჭრობდნენ ნაკურთხი წმინდა საგნებით და სწორედ ამიტომ ეძახდნენ „წმინდანთა მაღაზიას“. ვაჭრობდნენ პატარა ფერად-ფერადი ხატებით, სტამბაში დაბეჭდილი სურათებით, რომლებზეც წმინდანთა ცხოვრება იყო აღბეჭდილი; ღვთისმშობელი და მისი ფუნთუშა ბიჭუნა, თეთრ ღრუბლებზე მობინადრე ბებერი ღმერთი, იესო ქრისტე, რომელიც უზარმაზარ ხის ჯვარს მიათრევდა გოლგოთაზე რომაელი ცენტურიონების თანხლებით. თაროებზე ჩაემწკრივებინათ პაწაწკინტელა, მოზრდილი და ბოლოს დიდი ხატები, ბრჭყვიალებდნენ ოქროს და ვერცხლის ჯვრები, მათ გვერდით იატაკიდან აღმართულიყვნენ ბრინჯაოსა და

ხის უწარმაზარი ჯვრები; აქვე ელაგა ყოველგვარი საეკლესიო ჭურჭელი, სხვადასხვა ზომის თაფლის სანთლები, საცეცხლურები, საგუნდრუკეები, ბაზმა და კანდელი და კიდევ რა გინდა სულო და გულო, რომ აქ არ ყოფილიყო! „ლიონის თავსაფრებში“ გამოხვეული ჩვენი თანამგზავრი ქალები მოუსვენრად ფუსფუსებდნენ და არჩევდნენ საქონელს. ახლა არაკის ახსოვს «ლიონის შარფი ან მანდილი“, ერთ დროს კი ის ჩვენი ქალების ტუალეტის აუცილებელ აქსესუარს წარმოადგენდა, რითაც დიდად ახარებდნენ ჩვენი მანდილოსნები თურქ კონტრაბანდისტებს. ისინიც, რაც შეეძლოთ, ცდილობდნენ. დიდი რაოდენობით შემოჰქონდათ მარსელიდან ეს შარფები „ორივან კოტის“ ნელსაცხებელთან და ინგლისურ „ინდიგოსთან“ ერთად. როცა საგრძნობლად წამოვიზარდე, მივხვდი, რომ მეეტლეებს შორის არსებობდა საიდუმლო შეთანხმება ან პირობა, რომლის თანახმად მეეტლეები აჩერებდნენ ეტლებს ზოგჯერ ყოველგვარი საჭიროების გარეშე სამიკიტნოებსა და „წმინდა დუქანთან“ არა მარტო იმიტომ, რომ მოეკლათ ცხენების წყურვილი და დაესვენებინათ პირუტყვი: მათ მიჰყავდათ მუშტარი თვით დუქნის კარებთან, დუქნების პატრონები კი მეეტლეებს უხდიდნენ ნაღდ ანგარიშს.

აი, უკანასკნელი დუქანიც სოფელ ეშერაში: „Стой! — ეწერა ამ დუქნის აბრაზე. — Куда спешишь, дорогой!.. Ты не хочешь послушать каманГу Иорика? Заходи умоляю, попробуй нашу хамсу, пей кофе (скажу секрет — такой кофе нет даже и в Стамбуле!..)

ქამანჩებით, რომლებსაც გამაყრუებლად აწრიპინებდნენ ბერძნები და ხან კიდევ ლაზები, მაშინ ძნელად თუ ვინმეს გააკვირვებდი. ყავას კი მართლაც და დიდებულს ხარშავდნენ!

თუმცა ასეთ ყავას (თითქმის ასეთს!) დღესაც შევხვდებით ბათუმისა და სოხუმის სანაპიროებზე ყავახანებში და ქუჩებში, კიოსკებში.

მე და დეიდაჩემს, რა თქმა უნდა, არც კი გვიფიქრია გაგვესინჯა ხამსა ან შეგვესვა ყავა. ამის არც სურვილი და არც საშუალება ჩვენ არ გაგვაჩნდა. მაგრამ ბედის წინააღმდეგ ვერ წახვალ და ამიტომ შევედით ხალხით სავსე ყავახანაში და კუთხეში პატარა მრგვალ მაგიდას მივუჯექით. ამ ყავახანას არაფერი საერთო არ ჰქონდა იმ სამიკიტნოებთან, რომლებიც ჩვენ გზაში ჩამოვიტოვეთ. როგორც ჩანს, აქ სპეციალურად ჩამოდიოდენ სოხუმიდან ყავისა

და ნარდის თამაშის მოყვარულები. პატარა მრგვალ მაგიდებს უსხდნენ ბერძნები, ლაზები და ოსმალები, მკვირცხლად და თავდავიწყებით აგორებდნენ კამათელს, ტკაცა-ტკუცით გადაჰქონდათ ნარდის სათამაშო ქვები ერთი კუთხიდან მეორეში შეძახილებით: „შაშ-ბეშ, დუ-ბეშ, იაქე!“ ყვიროდნენ, კამათობდნენ, ერთმანეთს არ აცლიდნენ ლაპარაკს და მოსვამდნენ თუ არა შავ ყავას, ყინულივით ცივ წყალს მიაყოლებდნენ ზედ. ზოგი კიდევ ხამსას შეექცეოდა — ძალიან წვრილ თევზს (თითქმის ლიფსიტების ოდენას) კვერცხებით შეზავებულ და ზეთზე შემწვარს ტაფამწვარის მაგვარად. ხამსა საყვარელი კერძი იყო ბერძენი მეთევზეებისა, ლაზ მეზღვაურთა და ოსმალ მეწვრილმანეთათვის, მუშებისა და საზოგადოდ ღარიბთათვის — ხამსა და ზეთის ხილი!...

ამ დახუთულ ყავახანაში იდგა მაგარი ყავის სასიამოვნო სურნელი, შეზავებული შემწვარი თევზის აუტანელ სუნში. მაგრამ ამ სიმყრალეს მთლიანად ახშობდა ყავის მარცვლების სურნელება, რომლებსაც აქვე ტაფაზე ხალავდნენ ცოტაოდენი ნიორით შეზავებულ ზეითუნის ზეთში. შემდეგ ყავას ფქვავდნენ ხელის საფქვავით და ხარშავდნენ ცხელ ქვიშაზე თითბერის განსაკუთრებულ საყავეებში. ან „თურქებში“ — ასე უწოდებდნენ ყავის სახარშს.

როგორც იქნა, ღამით ჩაგვაჯიგლიგა ჩვენმა ბედაურმა სოხუმში. არავინ შეგვხვედრია და არც არავინ გველოდა. ჩვენისთანა ღარიბებს იმ ხანად არც კი წარმოედგინათ, თუ წინდაწინ შეიძლებოდა შეეტყობინებინათ ჩამოსვლის შესახებ, — სტუმარი თითქოსდა ციდან მოევლინებოდა სრულიად მოულოდნელად მასპინძელს. საშინლად ბნელოდა და ამ ჯურღმულში ჩვენ შიშისაგან არც კი გვიფიქრია ადგილიდან დაძვრა და სიარული ცარიელ, ბნელ ქუჩებში. გაზის მბჟუტავი ფანრები შორეული კოსმიური ვარსკვლავებივით ბჟუტავდნენ და არაფრის მაჭნისი არ იყვნენ. ბჟუტავდნენ ისე, თავისთვის, უსინათლო ადამიანის თვალებივით. ჩვენ ჩამოვსხედიო გრძელ სკამზე სამიკიტნოს წინ და ასე მოყუჟულები ვიყავით ალონამდე. სამიკიტნოში მთელი ღამის განმავლობაში არ შეწყვეტილა ხმაური, ლოთების ღრიალი და მათი ყურისწამღები სიმღერები...

სწორედ ასეთი ლინეიკით ჩამოვიდა ქალაქიდან დეიდა მარო უცნობი, შავებში ჩაცმული ქალების თანხლებით. როგორც კი ეტლი ჩვენს ეზოს მოუახლოვდა და ჰიშკარში შემოვიდა, ქალები იმწამსვე გარს შემოევლენ დეიდა მაროს და სტაცეს ხელი, გააკავეს.

მაგრამ დააგვიანეს! დეიდამ მოასწრო ისე შეუბრალებლად დაეკაწრა ლოყები, რომ სისხლმა ბლომად იწყო დენა, დეიდა კი გაჰკიოდა და თან გულმოსაკლავად მოსთქვამდა:

— შე უსირცხვილო, ო, შე ქვეყნის გლახა, საცოდაო, რა ჰქენი ეს! არა გრცხვენია, ვის დაუტოვე ბავშვები?! ვის?! როგორ გაბედე, შე უღმერთო, შენა!..

მერე შეავარდა ფაცხაში, მუხლებზე დაეცა და მუშტები დაუშინა ხის ტახტს, რომელზედაც დედა ესვენა.

— ადექი ახლავე! — უყვიროდა დეიდაჩემი, — ახლავე, გესმის, ნუ გვაჩვენებ თავს მძინარედ! ა, შე ზარმაცო, შენა! უსირცხვილო! ქვა ხომ არ გიდევს მაგ მკერდში გულის მაგივრად?

შემდეგ მან მუდარითა და სინაზით სავსე ხმით დაუწყო ალერსი დედიკოს, ეხვეოდა, ემუდარებოდა გაეღო თვალები, გაეღიმა, წამომდგარიყო, მაგრამ ყოველი მისი ცდა იყო უშედეგო... და ატირებულმა დეიდამ ჩვენ მოგვხვია ხელები.

— ჩემო უბედურო, უბედურო ობლებო! დედიკო მეტი აღარ გეყოლებათ, ჩემო მტრედებო, დედინაცვალი მოგივათ, დედინაცვალი — თვალში ნაცარი.

ცრემლებად იღვრებოდა დეიდაჩემი. მამაჩემი ისედაც ძლივსღა იდგა ფეხზე ჯავრისაგან და დეიდას სიტყვების გაგონების შემდეგ სულ მთლად მოიღუშა, უმალ დატოვა ფაცხა და შეერია მამაკაცებს.

ოთხი დღე-ღამის განმავლობაში იწვა ჩემი დედა ყვავილებით მორთულ კუბოში. მეხუთე დღეს კი ყველაფერი ერთმანეთში აირია, ატყდა ერთი აურ-ზაური და ფაციფუცი. დავიდარობა. წინა დღით ჩვენს ეზოში მეზობლებმა გაშალეს მსუბუქი სეფა. ამ სეფაში უმასპინძლდებოდნენ დედის დასაფლავებაზე მოსულ სტუმრებს. უშველებელი ქვაბები მოიტანეს, ცხელი ღომი, ამოლესილი ლობიო და „იზაბელას“ ღვინო ჩამოასხეს დოქებში. ეს იყო და ეს მთელი პურ-მარილი.

ბავშვებს ჩაგვაცვეს შავი ტანისამოსი. პირველ ხანებში ჩვენ კიდეც გაგვიხარდა ახალი ბლუზა-შარვალი. მხოლოდ შემდეგ დაგვაფიქრა ერთმა გარემოებამ. დედა სადღესასწაულოდ მუდამ წითელი სატინის ბლუზა-შარვალში გვაწყობდა, დღეს კი რატომღაც შავები ჩაგვაცვეს, მამასაც შავები ეცვა და ჩვეულებისამებრ არ მხიარუ-

ლობდა, როგორც სხვა დროს და ბავშვებსაც გაგვირბოდა, ჩვენ კი ვერ ვბედავდით მასთან გამოლაპარაკებას.

დადგა შუადღე. ჩვენი ეზო ახალმოსულთა ურმებით აივსო და ყოველი ახალი ურმის გამოჩენისას მივიწყებული წვიმ-კიეილი და ტირილი მეორდებოდა. ამჟამად მამაჩემის სოფლიდან ჩამოვიდნენ ნათესავები. ზოგიერთებმა ფერად-ფერადი, შეღებილი რკინის გვირგვინები მოიტანეს. ყველანი ცნობისმოყვარეობით ივრძელებდნენ კისერს, ათვალიერებდნენ გვირგვინებს. მოსწონდათ რკინის გვირგვინები, მათი მოტანა შეეძლოთ მხოლოდ პატივცემულ და შეძლებულ ნათესავებს. ჩამოსულებს თავიანთი მოზარე ახლდათ თან. გვირგვინებს ჩამოიღებდნენ ხოლმე ურმიდან და ტირილით, მოთქმით მოისწრაფოდნენ ფაცხისაკენ მიცვალებულის დასანახ-ებლად. შემდეგ სამძიმარს ეტყოდენ მამას, გამოაცხადებდნენ რაიმე სანუგეშებელ სიტყვებს, ზოგჯერ დეიდასაც მიესამძიმრებდნენ, ჩვენც გადაგვისვამდნენ თავზე ხელს. ქალები თმაგაშლილები სხდებოდნენ კუბოსთან ახლოს, მამაკაცები კი ხმალმოხსნილები (ვისაც ჩოხა-ახალუხი ეცვა, ისინი შემოსასვლელში აბარებდნენ საგანგებოდ ამისთვის გამოყოფილ მოსამსახურეებს თავიანთ ცივ იარაღს), უკან მოჰყვებოდნენ ქალებს, კართან მისულები იწყებდნენ ბოავილს და „ვაი, ვაის" ძახილით მსუბუქად ირტყამდნენ შუბლზე ხელს, იწმენდნენ ცრემლებს, კუბოსთან მისულები სტოვებდნენ ქალებს და დინჯად, მოწიწებით ბრუნდებოდნენ უკან. აქ მათ ხვდებოდნენ სუფრის მოსამსახურენი (მადლობა ღმერთს, ასეთები ბლომად იყვნენ ყოველ სოფელში: ეს იყო ერთგვარი საზოგადოებრივი დავალება მათთვის). ამათ მიჰყავდათ სტუმარი სეფაში, სვამდნენ სუფრასთან რანგის მიხედვით და უმასპინძლდებოდნენ: ასმევდნენ ღვინოს მიცვალებულის სულის საცხონებლად. სულ ბოლოს სუფრასთან მოჰყავდათ ქალები — თმაგაშლილები, დაკაწრული ლოყებით და ესენიც მამაკაცებზე არანაკლებ მადიანად და ხალისით მიირთმევდნენ საჭმელს. ასეთი იყო ეს უძველესი, ადამის დროინდელი, დაუწერელი კანონი და არავის შეეძლო მისი დარღვევა.

უცბად ყველანი წამოიშალნენ სუფრიდან, ხალხს მოუსვენრობა და ცნობისმოყვარეობა დაეუფლა. გაისმა ხმამაღალი მისალმებები და ეს არც იყო გასაკვირი: ჩამოვიდა მამაო ივანე, ყველასათვის პატივსაცემი და სათაყვანო ადამიანი.

ცხოვრობდა ჩვენს მიყრუებულ ზღვისპირა პატარა ქალაქში მღვდელი — ივანე ლატარია. სწირავდა ერთ უთვალადო, ხის მოკრუნჩხულ ეკლესიაში, რომელიც უშნოდ იყო წამოჭიმული ქალაქის მოედნის სწორედ შუა ადგილას და თავისი მახინჯი გარეგნობით ხასიათს უფუჭებდა გამვლელ-გამომვლელებს. მაგრამ საბოლოოდ ქალაქის მცხოვრებლებმა (რას არ შეეჩვევა ადამიანი!) გამოიმუშავეს ერთგვარი იმუნიტეტი მის მიმართ და არც კი ამჩნევდნენ მის არსებობას, არავის აინტერესებდა, იყო თუ არა ის ამ ქალაქში, მით უმეტეს, როცა ორასიოდე ნაბიჯის დაშორებით არსებობდა ქალაქის თვალი, მისი ერთ-ერთი ღირსშესანიშნაობა — ზღვისპირა პარკი და „კურზალი“ ანუ ჩვენებურად — საკურორტო დარბაზი, კლუბის მსგავსი რაღაც. ზოგჯერ ამ პატარა დარბაზის სცენაზე წარმოდგენებიც კი იმართებოდა და ბედისაგან დაჩაგრული თითო-ოროლა მსახიობი ჩამოდიოდა „ცენტრიდან“ საგასტროლოდ.

ეკლესია არც თუ ისე დიდი ხნის, ასე ოცი-ოცდახუთი წლის წინათ იყო აგებული, თუმცა გამოიყურებოდა საცოდავად, დაბერებულ-დაჩაჩანაკებულად. არა, მე მამა ღმერთის ძე — ღვთისა და სული წმინდის ადგილას ცხვირსაც არ შევყოფდი ამ საცოდავ, საჯინიბოს მსგავს ეკლესიაში და ყურებსაც დავიცობდი, რომ ჩემდაუნებურად არ მომესმინა რომელიმე აქაური მრევლთაგანის ლოცვა და არ გამეღო მათთვის მადლი და ბარაქა.

სიმართლე რომ ვთქვათ, ჩვენი ქალაქის მცხოვრებლები მაინცადამაინც. არ გამოირჩეოდნენ ღვთისმორწმუნეობით და არ იკლავდნენ თავს რწმენისათვის. ღმერთი მათ უფრო ჩვეულებით, ტრადიციულად სწამდათ და არა სულითა და გულით. ავიღოთ თუნდაც ჩემი დეიდა მარო — თითქოს ძალზე ღვთისმოსავი იყო, მაგრამ ეკლესიაში არ დადიოდა... თუმცა მაგონდება ერთი შემთხვევა: მე მძიმე ავად გავხდი ტროპიკული მალარიით. მაშინ დეიდა სასწრაფოდ გაიქცა ღვთის სახლში, მაგრამ რატომღაც არა ჩვენს ეკლესიაში, არამედ ბერძნების, — და აღთქმა მისცა ღვთისმშობლის ხატს, დაენთო მისთვის ჩემი სიგრძე სანთელი, თუკი მომარჩენდა ამ რთული ავადმყოფობისაგან. დაპირდა, რომ სანთელს სახლიდან ამ ეკლესიამდე მოიტანდა ფეხშიშველა, თმაგაშლილი: სანთელი უნდა წამეღო მე.

საბედნიეროდ, გამოვკეთდი, მაგრამ სირცხვილი, რომელიც მე მელოდებოდა, სიკვდილზე უარესი შეიქნა ჩემთვის: ჩემი საყვარე-

ლი დეიდა მართლა გამოვიდა სახლიდან ფეხშიშველი, თმაგაშლილი და გამდევნა წინ ჩემი სიგრძე სანთლით ხელში. ასე გავიარეთ ჩვენ მთელი ქალაქი. ვერ აგიწერთ იმ სიხარულსა და აღტაცებას, რომელიც ჩვენმა გამოჩენამ გამოიწვია მეზობელ გოგო-ბიჭებში. უკან მოგვდევდნენ, გვისტვენდნენ, ყვიროდნენ, გვიკიჟინებდნენ. მხოლოდ ეკლესიის ეზოში, როგორც იქნა, მოვითქვი სული. ღვთის სახლი სავსე იყო სხვადასხვა წლოვანების ბერძნის ქალებით და მათ შორის არ იყო არც ერთი ძამაკაცი, გარდა თვითონ მღვდლისა, რომელიც საოცრად მაგონებდა იუდას. ქალები დაფუსფუსებდნენ კანდელებთან, ანთებდნენ სანთლებს, ეცემოდნენ მუხლებზე და გაჩწარებით ირტყამდნენ მუშტებს მკერდზე. ერთი სიტყვით, მადლობა ღმერთს, რომ ჩემთვის აქ არავის არ ეცალა, ჩვენი ბედი არავის აინტერესებდა.

დიდი, უშნოდ დახატული ღვთისმშობლის ხატის წინაშე დეიდამ აანთო სასთელი და მაიძულა მუხლებზე დავჩოქილიყავი. ვიდექი ასე მუხლებზე, სანამ ეს წყეული სანთელი არ დაიწვა... მთელი თვე ამის შემდეგ ქუჩაში არ გამოვსულვარ, მეშინოდა თვალში არ მოვხვედროდი ბიჭებს, ჩემს ამხანაგებს (რაც შეეხება ჩემს გამოჯანმრთელებას, ეს სასწაული მოახდინა ქინაქინამ, რომელიც დიდი ამბით იშოვა მამაო ივანემ და გადასცა დეიდას ჩემთვის)... დღესაც კი, როცა მაგონდება ის შემთხვევა, ვცახცახებ და სირცხვილისაგან ვიწვი!...

ჰო, მართლა, ამ ამბავმა მთლად გადამავიწყა მამაო ივანე. ღვთისმსახურება და წირვა-ლოცვა იყო მისი ძირითადი პროფესია, შემოსავალი წყარო. რელიგიასთან სხვა არაფერი აკავშირებდა ამ ღირსეულ ეპიკურელს და ბახუსის თაყვანისმცემელს. ლატარია იყო ერთი უშველებელი ვაჟკაცი, მაღალი, მხარბეჭიანი, შავი გრძელი ხუჭუჭა თმებით, ლურჯი მოელვარე თვალებით, ვაჟკაცური იერით, სპორტსმენივით ჩამოსხმული. მას კიდევ უფრო ამშვენებდა ღიმილი, რომლის დროსაც თოვლივით თეთრ კბილებს აჩენდა. რაც მთავარია, ხმა ჰქონდა ხავერდოვანი, გრგვინვის სადარი და ვინ იცის, მას რომ სერიოზულად მოეკიდა ხელი სიმღერისათვის და საზოგადოდ მუსიკისათვის, შეიძლება მეორე შალიაპინი გამხდარიყო. რამდენი კარგი ადამიანი ცხოვრობს ქვეყნად და იმ კარგებში ერთ-ერთი უსათუოდ მამაო ივანე უნდა ყოფილიყო! მას უყვარდა სიცოცხლე, იყო შესანიშნავი მონადირე, დაუღალავი მშრომელი,

ყველას ეხმარებოდა. სამაგიეროდ, ბევრი მისი მრევლიდან თავის ადამიანურ ვალდებულებად სთვლიდა მხარში ამოდგომოდა მამაო ივანეს, როცა ის თავის ეზოში ან ბაღში მუშაობდა. ხუმრობით ამბობდა ხოლმე: მე, როგორც სრულუფლებიანი წარმომადგენელი მამა ღმერთისა ამ ჩვენს მიყრუებულ ქალაქში, ვიყენებ თქვენს დახმარებას და სამაგიეროდ მეც გამომიყენეთ, ჩემი თავი თქვენ გენაცვალოთ. ნადს მამაო ივანე ჩინებულად უმასპინძლდებოდა, მათთან ერთად სვამდა და თამადობდა კიღეც. მისი „იზაბელა“ და ცრემლივით წმინდა ჭაჭის არაყი ხომ საქვეყნოდ იყო ცნობილი.

ქვით და აგურით ნაგები მისი ოდა ზღვის პირას იდგა. რა თქმა უნდა, ლატარია არ ეკუთვნოდა ღარიბთა წრეს, მაგრამ იყო გულღია, გულუხვი, გულგახსნილი გაჭირვებულისათვის.

მარო დეიდას ხშირად უხმობდნენ მღვდლის სახლში, იმიტომ რომ დეიდაჩემივით ვერავინ ვერ აცხობდა ხაჭაპურს, ვერ კმაზავდა საციეს, ამოლესილ ლობიოს, მეგრულ ხარჩოს, ხაშლამას, ფხალს და ჩიხირთმას.

— პარიზში უნდა გაგაგზავნო, პარიზში, ჩემო მარო, კულინარების მსოფლიო კონკურსზე, — ხშირად იტყოდა ხოლმე ივანე.

— სადაა მერე ის შენი პარიეი, დასაკარგავში ხომ?.. რა მინდა იქ! — იუარებდა დეიდაჩემი.

— როგორ დასაკარგავში, აგერაა ყურისძირში! ოჩამჩირე ხომ იცი? — იქვეა ახლოს, ოჩემჩირესთან!.. — და დაიწყებოდა ხორხოცი და ხარხარი მღვდლის ცოლისა და მისი შვილების.

ივანე ეკლესიაში წირავდა, როცა მოეპრიანებოდა. სხვა დროს კი იქ წმინდა, „ზეციურ“ შრომას ეწეოდა დიაკონი მიხაილო პროტოპოპოვი, რომელიც, როგორც მაგონდება, არავის და არასოდეს არ უნახავს ფხიზელი. მაგრამ მიხაილო იმით იმართლებდა თავს, რომ ნასვამი უფრო კარგად ვგრძნობო ღმერთთან სიახლოვეს და თურმე უფალსაც უფრო კარგად ესმოდა მისი.

აქაური მრევლი იყო პატარა, სამწყსო მცირერიცხოვანი. ჩვეულებისამებრ, ეკლესიაში მარტო მოხუცები და ხანშიშესული ქალები დადიოდნენ, აგრეთვე ბავშვებიც იმის იმედით, რომ იგემებდნენ სეფისკვერს და ტკბილ, გლინტვეინის მაგვარ ნაკურთხ ღვინოს.

მაგრამ ამ დღეებში, როცა წირვას თვითონ ივანე ლატარია ატარებდა, ეკლესიაში ტევა არ იყო. ყველას უნდოდა მოესმინა მისი

ხავერდოვანი, ლამაზი ხმა და შესანიშნავი კითხვა „ვეფხისტყაოსნისა“ (დიახ, დიახ, ღვდელმოქმედების მაგივრად მამაო ივანე კითხულობდა შოთა რუსთაველის უკვდავ პოემას!). რასაკვირველია, მხოლოდ საკმაოდ განათლებულმა და ნაკითხმა ხალხმა იცოდა, რას კითხულობდა ეს გაბედული მღვდელი, სწორედ ამიტომ მოეშურებოდნენ აქეთ თითქმის ყოველ შაბათ საღამოს ან კვირა დილით (ასე რომ, ჩვენმა სასიქადულო ივანემ თითქმის ნახევარი საუკუნით გაუსწრო ამერიკის წმინდა ეკლესიას, სადაც ჯაზ-ორკესტრით იტყუებენ წირვაზე მლოცველებს. მამაო ივანეს პრიორიტეტი ამ შემთხვევაში უტყუარია. გარდა ამისა, „ვეფხისტყაოსანი“ პოეზიის ნამდვილი შედევრია და არა მოდური შლიაგერი. ერთი სიტყვით, თუ ღრმად ჩავწვდებით ამ საკითხს, ლატარიას ანაბარი ჩვენი ქალაქის კულტურული პროგრესისათვის საკმაოდ დიდი იქნება).

მაგრამ, სამწუხაროდ, იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა წირვის მსვლელობის დროს საფსალმუნოდან მოისმოდა სროლა და საშინელი ვინება. ამ დროს ჩვენი მღვდელი ნაგანის ტყვიით ხოცავდა ვირთხებს, რომლებიც მომრავლებული იყვნენ ეკლესიის არც თუ ისე ძველი შენობის სარდაფში. ამ დროს ქალები წივილ-კივილით გარბოდნენ და ერთმანეთს არ აცლიდნენ კარებში გასვლას. ლატარიას მეგობრები და მისი თაყვანისმცემლები არ ტოვებდნენ თავიანთ ადგილებს და სიცილით იხოცებოდნენ: მათ ხომ მშვენივრად იცოდნენ, რაშიც იყო საქმე. ზოგი მათგანი კი მამაოს მისაშველებლად მირბოდა, რომ ერთი თვის გოჭის ოდენა ვირთხებისაგან ეხსნათ საკურთხეველი, რადგან ასეთ ვირთხებთან გამკლავება არც თუ ისე ადვილი საქმე იყო. ისეთი შემთხვევაც იყო, როცა ქორწინების დროს ამტყდარი სროლით შეშინებულმა ნეფე-დედოფალმა მოჰკურცხლეს ეკლესიიდან...

ერთხელ კიდევ მიცვალებულის დაკურთხებისას გაისმა სროლა. მკვდრის ნაცნობ-ნათესავებმა სროლა რომ გაიგონეს, შეშინებულებმა კუბოს უნებურად გაუშვეს ხელი და გულწასულებმა მოჰკურცხლეს, კუბოდან გადმოვარდნილი მკვდარი კი ფეხებზე დამდგარი დარჩა, თითქოს გაცოცხლდაო და ამით შიშის ზარი დასცა ჭირისუფალს, უფრო კი მიხაილო პროტოპოპოვს.

წარმოიდგინეთ ჩემი გაოცება, როცა ოციოდე წლის შემდეგ წავიკითხე ბაბელის „აღსასრული“, სადაც კანტორი ცვიშეკიც სინ-

გოგაში ასევე რევოლვერით ხოცავდა ვირთხებს!.. ბაბელი ხშირად ჩამოდიოდა აფხაზეთში დასასვენებლად, შეიძლება ვინმემ უამბო მას მამაო ლატარიაზე და ბაბელმა გამოიყენა ვირთხების დახვრეტის ეპიზოდი თავის პიესაში. ან კიდევ ორი სხვადასხვა რელიგიის მსახური შავი ზღვის სხვადასხვა სანაპიროზე ერთნაირი ხასიათისანი აღმოჩნდნენ და ერთგვარ სიტუაციაში მოხვედრილები იძულებულნი შეიქნენ ერთიდაიმავე მეთოდით ემოქმედათ.

დეიდა მაროს, რომლის მიმართ, როგორც ეტყობა, ჩვენი უჭრისტიანესი ეპიკურიელი არც თუ ისე გულცივად იყო განწყობილი, ხშირად დავყავდი მღვდლის ოჯახში. მამაო ივანეს ვუყვარდი იმისათვის, რომ მიყვარდა, როცა ის ყვებოდა და შემეძლო მოსმენა. „მოსმენის უნარი დიდი ნიჭიაო." — იტყოდა ხოლმე მამაო. მაშინ არ მესმოდა ამ სიტყვების ფასი, მიკვირდა კიდეც: „აბა, როგორ შეიძლება, — ვფიქრობდი, — ნუთუ მოიპოვება დედამიწის ზურგზე ადამიანი, რომელსაც არ მოუნდება მამაო ივანეს მოსმენა?". პირველსავე წუთებში იპყრობდა იგი მსმენელის ყურადღებას, ვერ მოსცილდებოდა, სანამ არ დაამთავრებდა თხრობას. საიდან იცოდა ამდენი რამ!.. ან როგორ იმახსოვრებდა! თითქოს არ მომხდარიყოს ქვეყნად ისეთი რამე, რაზედაც მას არ სცოდნოდეს ყოველივე. მე განსაკუთრებით მიყვარდა მისი ლეგენდები „სიყვარულზე და მეგობრობაზე", აბრაგ ნაფხა კიაგუაზე, ნართებზე, ამირანზე... ჰყვებოდა მადიანად, იუმორით. და კიდევ მიყვარდა მისი ნადირობის ამბების მოსმენა. შეიძლება ბევრი რამ მოგონილიც კი იყო ამ ისტორიებში, მაგრამ ამას არ ჰქონდა მნიშვნელობა, ისიხი გიტაცებდნენ და გხიბლავდნენ. ყველა აღტაცებით უსმენდა მას. ივანე უკეთილშობილესი, დიდი სულის ადამიანი იყო, ეხმარებოდა ღარიბებს საქმით, რჩევა-დარიგებით... როგორც მოგვიანებით გავიგე, ის თურმე დიდ დახმარებას უწევდა არალეგალურად მომუშავე ბოლშევიკებს და, მგონი, თვითონაც იყო არალეგალური ბოლშევიკური ორგანიზაციის წევრი.

ცხადია, რომ მამაოს ჩამოსვლა დედაჩემის გასვენებაზე დიდი ამბავი იყო ყველასათვის. როგორც სხვა მამაკაცებმა, იმანაც პირველად მიცვალებული დაიტირა, შემდეგ მიუსამძიმრა მამაჩემს, დეიდას და შეერია მამაკაცთა ჯგუფს.

უკვე შუადღეს გადაცილებული იყო, როცა ისევ განახლდა წვიმა-კვილი. ფაცხიდან ხალხმა დაიწყო გამოსვლა, მამაკაცებმა გა-

მოიტანეს თავღია კუბო, რომელშიც გაუნძრევლად იწვა დედაჩემი. კუბოს გამოჰყვნენ შაოსანი ქალები, ისინი ძლივს აკავებდნენ დეიდაჩემს, რომელიც ხმამაღლა მოთქვამდა და ქალების ძლიერი მკლავებისაგან განთავისუფლებას ლამობდა. კივილი და მოოქმა, ბავშვების ტირილი, ძაღლების ყეფა — ყველაფერი ეს კრთ გამაყრუებელ ხმაურად იქცა. მომაგონდა ჯოჯოხეთი, რომელიც ეკლესიის კედელზე ეხატა. ქალები შემოესივნენ კუბოს და არ ანებებდნენ მას ქუჩაში გასატანად. მამაკაცები ძალით იშორებდნენ მათ. ქალები ყვიროდნენ: „ო, თქვე უგულოებო, ურჯულონო! სად მიგყავთ, სად, ეგ საცოდავი? ვის უტოვებთ მის ბავშვებს და სახლ-კარს?".

ამ დროს გაისმა გამაყრუებელი შეძახილები: „შეჩერდით, გააჩერეთ მსვლელობა! პელაგო მოვიდა, გადელიას ქვრივი!.. შეჩერდით!"

სამგლოვიარო პროცესია შეჩერდა, კუბო ტაბურეტზე დადგეს. წივილ-კივილით და მოთქმით მივარდა კუბოსთან ძაძებში ჩაცმული პელაგო და უბიდან ამოიღო საკმაოდ დაჭმუჭნილი ცისფერი კონვერტი (ასე დადიოდა ეს გაჭირვებული თავიან-ფეხებიანად ჩაფლული ძველ გახუნებულ ძაძებში ყოველ მიცვალებულთან, მოქონდა წერილი და დებდა კუბოში, რომ იქ, „საიქიოს" გადაეცა იგი ახალ მიცვალებულს დიდი ხნის მიცვალებული მისი ქმრისათვის).

— ჩემო საყვარელო აბესალომ, — დაიწყო მან მოთქმა და თან წერილი მკერდზე დაუდო დედაჩემს, — გიგზავნი წერილს შენგან გაუბედურებული პელაგო... მიიღებდი, ალბათ, ჩემს ამას წინათ გამოგზავნილ ბარათს, რომელიც საცოდავი ლუკას ხელით გამოგიგზავნე... ცოტა კი შემეშინდა, შევფიქრიანდი, ეგებ დაავიწყდეს ასხუთმეტი წლის მახსოვრობაგაყრუებულ ბებერ კაცს წერილის გადაცემა-მეთქი, მარა ღვთის წყალობით, აგერ ქე მომეცა ახალი შემთხვევა. დარწმუნებული ვარ, რომ მიიღებ ამ წერილს. ჩვენ, ჩემო საყვარელო, არა გვიშავს, ქე ვართ გვარიანათ. ბავშვები იზრდებიან... მარა უშენოთ, ჩემო ოქრო, აბა რა ფასი უნდა ქონდეს ჩემს სიცოცხლეს... ხშირად მესიზმრები და ეს არის ჩემი ერთადერთი ბედნიერება... მაგრამ რატომ მოდიხარ სიზმარში ასე გულმოსული, უკმაყოფილო, მე ისიც მეყოფა, სიცოცხლეში რომ მუდამ გაჯავრებული იყავი, გეხვეწები დამესიზმრე მხიარული, ისეთი, როგორიც ჩვენი ჯვარისწერის პირველ დღეს იყავი... მე, ალბათ, მალე, სულ მალე მოგინახულებ, ჩემო ოქრო. ბავშვები წამო-

იზრდებიან, დაცოლშვილდებიან, დავზრდი შვილისშვილებს, დავაყენებ მათაც ფეხზე და სულ ფრენით წამოვგვარგვალდები შენკენ, ჩემო ბრძენო ხელმწიფევ... როგორა ხარ, როგორ? ხომ არ გშია, ხომ არ გწყურია?... ო, შე უბედურო!

და ეტყობოდა კიდევ დიდხანს აპირებდა „საუბარს“ თავის ქმართან პელაგო, მაგრამ ამ დროს მასთან მივიდა ხუმრობით და ენამახვილობით განთქმული სპირიდონი და ჩაუჩურჩულა:

— გეყოფა, პელაგო, თვარა ქე დააგვიანდება შენს წერილს და დღეს შეიძლება ვერც მიიღოს აბესალომმა იგი, ხომ იცი, როგორ ელის?... მან ალბათ უკვე იცის, რომ წერილს უგზავნი... — და ორი ჯეელის დახმარებით სპირიდონმა მოაშორა პელაგო კუბოს.

წივილ-კივილი მხოლოდ ჭუჩაში შეწყდა და ორმწკრივად მიმავალმა თმაგაშლილმა მოზარე ქალებმა დაიწყეს მოთქმა: „აუ, აუ!“ (შესანიშნავია ეს მოთქმა, უფრო სწორად „სამგლოვიარო“. მე გამოვიყენე იგი ჩემს „მთის სიმფონიაში“).

დაცარიელდა ჩვენი ეზო.

შევიხედე ფაცხაში. დედა აღარ იწვა ტახტზე და შემეშინდა ამ ჯურღმულისებრი სიცარიელისა, რომელიც გამეფებულიყო ჩვენს სახლში. თანდათან აღწევდა ჩემს გონებამდე, რომ მოხდა რაღაც საშინელი, გამოუსწორებელი.

მამა, დეიდა და მეზობლები გვიან, საღამოხანს დაბრუნდნენ სასაფლაოდან. ყველანი მიუსხდნენ გრძელ ტაბაკს და დაიწყო რაღაც ქელეხის მაგვარი. მამა თითქოს დამუნჯდა, ხმას არ იღებდა. დეიდა კიდევ ოხრავდა, იცრემლებოდა, გვეალერსებოდა ჩვენ და თან ჩუმ-ჩუმად იმშრალებდა ცრემლიან თვალებს. სტუმრები კი არხეინად მიირთმევდნენ, მოქანცულები მთელი დღის შრომით, ჭამდნენ და სვამდნენ, ზოგჯერ სადღეგრძელოებსაც ჩაურევდნენ ხოლმე. ასე ყოფილა ოდითგან... მე სხვა დასაფლავებების დამსწრეც ვყოფილვარ. დასაფლავება ზღაპრულ ცერემონიად იყო ქცეული მდიდარ ოჯახებში, ნამდვილ თეატრალურ ან საოპერო წარმოდგენად.

თვე თვეს მისდევდა. ზამთარიც მიიწურა, გაზაფხულიც გავიდა და დრომ მოაშუშა დედის სიკვდილით გამოწვეული ტკივილი.

დილაობით მამა მიეშურებოდა ყანაში, გვიტოვებდა წინადღით ჩაზელილ ცივ ღომს, მაწონს. ჩვენ ძველებურად ვმწყემსავდით საქონელს, ვეძებდით ჩიტების ბუდეებს, ვიცავდით მათ შემთხვევითი მტრებისაგან, ვაშენებდით ღარებზე წყლის წისქვილებს და ძვე-

ლებურად ვიპარავდით ხილს ძუნწი და მდიდარი მეზობლების ბაღებში.

ასე გადიოდა ჩემი ბავშვობა. მუსიკით გატაცება კი დღითიდღე უფრო ძლიერდებოდა, როგორც კი სადმე გავიგონებდი ჩონგურის ხმას, გამალებით მივრბოდი იქითკენ და მზად ვიყავი მესმინა თავდავიწყებით.

ძალზე მაფიქრებდა მამაჩემის გამუდმებული წყევლა-კრულვა და ჩვენი დუხჭირი ცხოვრებით უკმაყოფილება. უკვე მესამე წელი სრულდებოდა მსოფლიო ომის დაწყებიდან, და თუმცა ეს ომი ჩვენგან ძალიან შორს იყო, მაგრამ მისი ანარეკლი წისქვილის მძიმე ქვასავით გვაწვა კისერზე. მამა წყევლიდა თავისი გაჩენის დღეს, თავის სიღატაკეს. ჩვენ არ გვესმოდა მისი უკმაყოფილების მიზეზი, მაგრამ სადღაც სულის სიღრმეში მძიმე ტკივილებს და მწუხარებას იწვევდა ჩვენში.

ჰო, კინაღამ არ დამავიწყდა! სკივრის ზემოთ ჩვენი ფაცხის კედელს ამშვენებდა კვამლისაგან გაჭვარტლული დიდი ფერადი სურათი მეფისა და მისი ოჯახის. ჩვენ, ბავშვებს, ძალიან გვიყვარდა ეს ფერადი ოლეოგრაფია. ყველაფერი მოგვწონდა ამ პლაკატის მსგავს სურათზე: მისი ფერები, მეფისა და დედოფლის სილამაზე და კეთილშობილი კდემამოსილება, ყველაზე უფრო კი ძვირფას, ახალთახალ ტანისამოსში მორთული პატარა მეფისწული და მისი დები, თეთრი პეპლების მსგავსი გოგონები. ჩვენ ხშირად ჩავცუცქდებოდით თიხის იატაკზე და ვტკბებოდით ამ სურათის ცქერით...

ერთხელ საღამოს მამა ძალზე გაჯავრებული დაბრუნდა ყანიდან, ჩამოგლიჯა კედლიდან ეს ძვირფასი ნახატი და ნაკუწ-ნაკუწად აქცია იგი. ძალიან შეგვაწუხა ამ ამბავმა: აბა როგორ შეიძლებოდა ასეთი განძის განადგურება?... და მერე მეფისა და მისი ოჯახის?.. ჩვენ მოვაგროვეთ ნამცეცები და შევეცადეთ მისი გამთელება, მაგრამ ამაოდ...

არ გასულა ერთი კვირა და მამაჩემი ომში გაიწვიეს... მას დიდხანს არავინ არ აწუხებდა, როგორც ამდენი შვილების ერთადერთ მარჩენალს... მაგრამ ახლა, როცა იმპერია დაღუპვის პირას იდგა, მშობელმა მეფემ მამაჩვენიც არ დაივიწყა. ისიც გაიწვიეს ჯარში... ომიდან კი ის საცოდავი აღარ დაბრუნებულა ცოცხალი. ჩვენ დეიდა მაროს ანაბარა დავრჩით. ერთ მშვენიერ დღეს დეიდამ მოგვხვია ხელი და გუდაუთაში თავის პატარა ხის ოდაში ჩაგვიყვანა.

სწორედ ამ დროს დიდი დახმარება გაგვიწია ჩვენმა კეთილმა მამაო ივანემ. მე შინამოსამსახურედ მომაწყო გადამდგარ გენერალ ლუბარსკის ოჯახში, რომლის ქალიშვილთან, ოლღასთანაც ის მეგობრობდა. ყველაზე უმცროსი ძმა მან თავის სახლში წაიყვანა, ორი შუათანა კი მეწაღე ახმახ წითურ ლაზთან — ალისთან მოაწყო შეგირდად.

ასე დაიწყო ჩემი ახალი ცხოვრება. ერთ საღამოს დეიდა მაროს მითხრა, რომ ხვალ წამიყვანდა აი, იქ — გენერლის სასახლეში (გენერალ ლუბარსკის სამსართულიანი ვილა მართლაც თეთრი მარმარილოს სასახლეს მოაგონებდა ადამიანს), რომელიც გორაკზე იყო წამოშენებული, ხუთასიოდე მეტრით ჩვენგან დაშორებით. მე ისე ვღელავდი, რომ მთელი ღამე არ მომიხუჭავს თვალები.

დილით უთენია თავზე წამომადგა დეიდა და შემეკითხა: — მიხა, შენ ხომ გიყვარს მუსიკა?

ცოტა არ იყოს, დეიდაჩემისგან მეწყინა ასეთი შეკითხვა, მან ხომ ძალიან კარგად იცოდა, რომ მუსიკა ღმერთი იყო ჩემი!

— ჰოდა, შენ ხარ ჩემი ბატონი, ლუბარსკისას დილიდან საღამომდე გამოგაყრუებენ მუსიკით. ეგებ ღმერთი შეგვეწიოს და შენმა პატრონებმა შენიშნონ შენი ნიჭი, მუსიკით გატაცება, — შემდეგ ამოიოხრა და დასძინა:

— ოლღა ნამდვილი კეთილი სულია, მისი ძმის კი რა მოგახსენო... სვიატოზართან ფრთხილად იყავი, თავაზიანად. ისედაც დაჩაგრულია ღვთისა და ბედისაგან, ასეთი ადამიანები უმეტეს შემთხვევაში გაბოროტებულნი არიან...

არა, სრულიადაც არ ვემდური დეიდა მაროს, რომ მოსამსახურედ მიმიყვანა გადამდგარ გენერალ ლუბარსკის ოჯახში. თვითონ დეიდა გაჭირვებულად ცხოვრობდა და იმედოვნებდა, რომ კეთილი ხალხი დამეხმარებოდა, რომ ადამიანად გამოვეყვანეთ. აბა, მეტი რა უნდა ექნა ჩემთვის იმ შფოთიან და მშიერ ათასცხრაას თხუთმეტ წელს? გარდა ამისა, მას ხშირად ეძახდნენ გენერლის ოჯახში ქართული კერძების მოსახარშავად, რომლებიც ასე შეუყვარდა თვითონ ლუბარსკის, მის ოჯახს და სტუმრებს. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მე მუდამ თვალწინ ვეყოლებოდი დეიდაჩემს.

მოხუც ლუბარსკის მობეზრდა ცივი და ხმაურით სავსე დიდი ქალაქი და ქალიშვილითა და კოჭლი ვაჟიშვილით ჩვენს ქალაქს მოაშურა, ერთი სიტყვით, გადმოსახლდა მზის ქვეყანაში. მისი ლა-

მაზი, თოვლივით თეთრი ვილა ტროპიკული ხეებით გარშემორტყმული, როგორც უკვე ზემოთ მოგახსენეთ, გორაკზე იდგა. ჭიშკრიდან სახლამდე ლარივით იყო გაჭიმული კვიპაროსების ხეივანი (თვალუწვდენელი კვიპაროსები თითქმის სახლის სახურავს სწვდებოდნენ). აქედან შესანიშნავი ხედი იშლებოდა ზღვაზე: ზღვა, პატარა ნავსადგური და ვრცელი, მუდამ მწვანე პარკი.

აგვისტოს ერთ მშვენიერ დღეს ამ დიდ, თეთრ სახლში გამომიყვეს პაწაწკინტელა ოთახი... თუმცა სინამდვილეში ეს იყო სარდაფი, მაგრამ ჩემთვის მაინც შესანიშნავი. იმ ხანად ლუბარსკის სახლი სავსე იყო სტუმრებით პეტერბურგიდან, მოსკოვიდან, კიევიდან, — ნათესავებითა და ნაცნობ-მეგობრებით. ყველაფერს აღტაცებაში მოჰყავდა სტუმრები ჩვენს მხარეში. კვიპაროსები, პალმები, ბანანის ხეები, თითქოს გალაქულ ფოთლებიანი მაგნოლია, ოლეანდრები და კამელიები, სურნელოვანი ვარდები, კაკტუსები, ლიმონის, ფორთოხლისა და მანდარინის ბუჩქები, ატამი და სამოთხის ვაშლები — რომელი ერთი ჩამოვთვალო! — დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა მათზე. და ეს ცნობისმოყვარეობა ჩემზედაც ვრცელდებოდა, ამ ქვეყნის პატარა მკვიდრზე.

მე კიდევ მაოცებდა მათი უქნარობა: დილას ზღვაზე ატარებდნენ — დედის ამარა იწვნენ ცხელ ქვიშაზე: დღისით ჰამაკებში ნებივრობდნენ, საღამო ხანს კი სეირნობდნენ ბაღში ან კიდევ ერთობოდნენ ცხენებზე ჯირითით (ახლა კი კარგად მესმის, რომ ისინი უბრალოდ ისვენებდნენ, მაგრამ მაშინ ვერც კი წარმომედგინა, რომ ადამიანებმა ზოგჯერ, ერთხელ მაინც მთელი წლის განმავლობაში, უნდა დაისვენონ), ხან კიდევ საღამოობით გროვდებოდნენ დიდ დარბაზში, სვამდნენ ჩაის და უსმენდნენ მუსიკას. თითქმის ყოველი მათგანი უკრავდა ფორტეპიანოზე. უკრავდა კარგად, პროფესიონალურად. მაგრამ მაინც ყველაზე უკეთესად უკრავდა სვიატოზარი.

მოუთმენლად მოველოდი ასეთ საღამოებს, როცა მაღლიდან ჩემამდე აღწევდა უცნაური ხმები, მელოდიები. მაშინ მემატებოდა გამბედაობა, ჩუმად ცერებზე შევდგებოდი, ავირბენდი მაღლა, ავეტუზებოდი კარებთან და სულგანაბული ვუსმენდი. ზოგჯერ შუაღამემდე ვიდექი ასე ქანდაკად ქცეული.

თანდათანობით შეგეჩვიე ამ მუსიკას. ბევრი რამ, რასაც ისინი უკრავდნენ, სამუდამოდ ჩამრჩა ჩემს გონებაში, ბევრი რამ

ზეპირად დავიმახსოვრე და როდესაც რომელიმე მათგანი შეცდებოდა, კარებს უკან მდგარს ნერვები მეშლებოდა. მინდოდა კარები გამეღო, შევეჩრილიყავი და ხმამაღლა მეთქვა: გეშლებათ-მეთქი, მაგრამ დროზე ვიკავებდი თავს.

ერთმა სტუმართაგანმა ვაიგო, რომ მე სალამურზე ვუკრავდი და დაიჩემა: გინდა თუ არა, დიდ დარბაზში უნდა გამოხვიდე „შენი მუსიკით“ და მოვვასმენინოო.

ჩემს სიცოცხლეში პირველად გამოვედი ჩემი პრიმიტიული, მწყემსური მელოდიებით მუსიკის ნამდვილი მცოდნეებისა და დამფასებლების წინაშე. საოცარია, მაგრამ არ შევშინებულვარ, არც ავღელვებულვარ. სულგანაბულნი მისმენდნენ. ტაშიც კი დამიკრეს, მომიწონეს. ბოლოს ოლღა მომიახლოვდა, გადამკოცნა. იმავე წუთს შევნიშნე ჯრასასურველი ირონიული გაელვება სვიატოზარის თვალებში.

იმ დღიდან მოყოლებული ოლღამ დაიწყო ჩემთან მეცადინეობა. მასწავლიდა წერა-კითხვას, არითმეტიკას, გეოგრაფიას, ისტორიას. ცოტა ხნის შემდეგ კი ნოტებიც გამაცნო...

გავიდა ერთი წელი, მას მოჰყვა მეორეც... ისევ ბლომად ჩამოგვივიდნენ სტუმრები. ამჟამად ეს სტუმრები გამოქცეულებს უფრო ჰგავდნენ, როგორც შემდეგ გამოირკვა, მართლაც გამოქცეულები აღმოჩნდნენ, ერთი სიტყვით, ხიზნები. მათ ჩამოიტანეს ახალი სიტყვა — „ბოლშევიკი“. მაგრამ იტყოდნენ თუ არა ამ სიტყვას, მაშინვე წყევლა-კრულვას მიაყოლებდნენ. ერთ მშვენიერ დღეს გამსკდარი ბომბივით გავარდა ხმა: „ნიკოია მეფე ტახტიდან ჩამოაგდესო!“ ყველანი იმეორებდნენ მაშინ ჩემთვის უცნობ და გაუგებარ სიტყვებს: „რევოლუცია“, „კერენსკი“, „წითელი საბჭოები“... ახლა კი მოუხშირეს სიტყვებს „ბოლშევიკი“ და „ლენინი“... მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ ჩემმა უმცროსმა ძმამ, რომელიც ცხოვრობდა და სწავლობდა ლატარიასთან, გვიამბო, რომ თურმე რუსეთში მუშებს ტახტიდან „ჩამოუპროწიალებიათ“ მეფე და ხელში ჩაუგდიათ ხელისუფლება, რომ „მეფედ ახლა ქარხნის მუშები იქნებიანო“ — ჩურჩულით გაგვანდო ჩემმა პატარა ძმამ, თითქოს ეს საიდუმლო ყოფილიყო. მას ჩუმად მოუსმენია ეს ამბავი მღვდლისა და მისი ცოლისაგან. და კიდევ თურმე მამაომ დასძინა: „მადლობა უფალს, ახლა კარგად წავა ქვეყნის საქმეო“... რა საქმეზე იყო საუბარი, არც ჩემს ძმას და არც მე არ გაგვეგებოდა. საზოგადოდ,

მე ბუნდოვნად, მეტად ბუნდოვნად ვიყავი მიხვედრილი, თუ რა ხდებოდა ირგვლივ, მაგრამ ინტუიციით ვგრძნობდი, რომ მოხდა რაღაც ძალიან დიდი და საჭირო საქმე...

და სწორედ ამ დროს თავს დაგვატყდა საშინელი უბედურება, რომელმაც თავზარი დაგვცა მე და დეიდაჩემს. დაიღუპა მამაო ივანე ლატარია, — მოკვდა ჯანღონით სავსე, მარად ახალგაზრდა ვაჟკაცი... ყველაზე საშინელი ის იყო, რომ მამაო არ მომკვდარა თავისი სიკვდილით, სულელურად, უაზროდ დაიღუპა ნადირობის ჟამს. ივანეს თურმე დაუჭრია უშველებელი დათვი და იმის მაგივრად, რომ ტყვიით მოეღო ნადირისთვის ბოლო, დანით შებრძოლება მოუწადინებია დაჭრილთან. გააფთრებული მხეცი გამაყრუებელი ღრიალით წამოსულა მისკენ და დაწყებულა შემაძრწუნებელი ორთაბრძოლა ადამიანსა და მხეცს შორის, რომელიც, როგორც გადმოგვცეს, ოციოდე წუთს გრძელდებოდა თურმე, სანამ არ მოეშველნენ სხვა მონადირეები. მაგრამ ნადირი უკვე მკვდარი ეგდო, ხოლო ადამიანსაც არ უჩანდა სასიცოცხლო პირი.

მძიმედ დაჭრილი მამაო ივანე საავადმყოფოში გააქანეს თურმე იმწამსვე ...ორჯერ გაუკეთებიათ ოპერაცია, მაგრამ ვერაფერმა ვერ უშველა საცოდავს. ასე ეწვალა რვა დღის განმავლობაში და მეცხრე დღეს გონს მოუსვლელად გამოესალმა წუთისოფელს.

— არა გვყავს ჩვენი მფარველი და მოამაგე, — ჩუმად, თითქმის უხმოდ ოხრავდა დეიდა მარო, — ვაი ჩვენს თავს უბედურს, ჩვენ ვიკითხოთ, თორემ იმ უბედურმა ქე მოისვენა!...

ძალიან კარგად მესმოდა დეიდაჩემის მწუხარება, ჩვენ მოგვაკლდა გულწრფელი მეგობარი და გულშემატკივარი.

დადგა მამაოს დასაფლავების დღე. მე კარგად მახსოვდა საცოდავი დედაჩემის ღარიბული დაკრძალვა... შედარებაც კი არ შეიძლებოდა ივანე ლატარიას დამარხვასთან. მამაო ლატარიას დასაფლავება გადაიქცა მდიდარ და მრავალფეროვან სანახაობად. ერთი სიტყვით, ეს დასაფლავება ჰგავდა ნიჭიერი რეჟისორის მიერ გამოვნებით დადგმულ თეატრალურ სპექტაკლს (თუმცა ახლა, როცა მას შემდეგ რამდენიმე ათეული წელი გავიდა, ვფიქრობ, რომ მართლა ხელმძღვანელობდა ვიღაცა ამ სანახაობა-დასაფლავებას).

საიდან არ ჩამოვიდნენ დამტირებლები: ახლობელი და შორეული სოფლებიდან, სოხუმიდან, ოჩამჩირედან, ახალი ათონიდან, თბილისიდან და, თქვენ წარმოიდგინეთ, ოდესიდანაც კი...

ქვევით, სპარსული ნოხებით მოფენილ ეზოში, კვარცხლბეკზე იდგა ძვირფასი ოქროსვარაყიანი კუბო და შიგ მამაოს ცხედარი ძლივს ჩანდა ყვავილებში. სულ ცოცხალს ჰგავდა, ისე მეგონა, სადაცაა წამოდგებოდა ტახტიდან. სეფის შემოსასვლელის ორივე მხარეს მიბმული იყო ოქრომკედით ნაქარგი შავთარჩიაგადაფარებული ორი ბედაური, შავი და თეთრი. ესენი იყვნენ მიცვალებულის საყვარელი კეთილშობილი პირუტყვები, რომლებიც თითქოსდა გრძნობდნენ თავიანთი პატრონის სიკვდილს — იდგნენ უძრავად, თავებჩამოშვებულები. მიცვალებულის პატივსაცემად და სამახსოვროდ ახალგაზრდებმა ჯირითიც კი გამართეს. თარჩია ეწოდება ამ ჯირითს, როცა ორი მხედარი ერთმანეთს ექიშპება, რომ როგორმე დაესაკუთრონ თარჩიას!

კუბოს თმაგაშლილები, შავად ჩაცმულები უსხდნენ ცოლი, დები, შვილები, ნათესავები და დროგამოშვებით თოვლივით თეთრი, ქათქათა ცხვირსახოცებით იმშრალებდნენ ცრემლებს. კუბოს ბოლოში, მიცვალებულის ფეხებთან მოთავსებულიყვნენ მოზარე ქალები, რომლებიც ჭირისუფალის ნაცვლად იწყებდნენ მოთქმას, როგორც კი შემოსასვლელთან გამოჩნდებოდნენ ახალი დამტირებლები.

ცოტა მოშორებით, ეზოს ბოლოში ძლივს ეტეოდა უზარმაზარი სეფა. უგრძელესი სუფრით სამასი კაცისათვის. რა გინდა სულო და გულო, რომ არ იყო ამ სუფრაზე: საუკეთესო ქართული ღვინო და კონიაკი, საგანგებოდ მოხდილი ცრემლივით წმინდა ჭაჭა, შავი და წითელი ხიზილალა, კალმახი, ორაგული, თართი და სხვა თევზეულობა, მარგალიტებივით მოჩანდა თორნის პურსა, ცხელ-ცხელ ჭადებსა, ღომის-ღომსა, ნიგვზიან ლობიოსა, ფხალსა, სულგუნსა და ათასნაირ მწნილებს შორის.

სუფრა დიდი გემოვნებით იყო გაშლილი და, საზოგადოდ, ყველაფერი ისე იყო მომზადებული, თითქოს ერთი ოცჯერ მაინც ჩაატარესო წინასწარ რეპეტიცია. დაიწყო პანაშვიდი. უკრავდა სიმებიანი კვარტეტი სოხუმიდან ცნობილი ექიმის, მუსიკის დიდი მოყვარულის, მშვენიერი მეჭიანურის და ივანეს დიდი მეგობრის — იზეკიილ ფიშკოვის ხელმძღვანელობით. დაუკრეს ბახის, შოპენისა და ფალიაშვილის მუსიკა.

როგორც კი შეწყდებოდა მუსიკის ხმა, მოზარე ქალები იმწამსვე იწყებდნენ თავიანთ ლამაზ მოთქმას. დადგა მიცვალებულის გამოტანის ჟამიც და პროცესია ჭიშკრისკენ დაიძრა. პირველ რიგში გა-

ვიდა. წინ ცოცხალი ყვავილების გვირგვინთა მდინარე (გაკვირვებული ვიყავი: არც ერთი რკინის გვირგვინი არ შემიმჩნეევია! აბა, საიდან უნდა მცოდნოდა მაშინ, რომ ასეთ დასაფლავებაზე რკინის გვირგვინის მოტანა მკრეხელობას რომ უდრიდა?).

გვირგვინებს თეთრი და შავი ბედაურები მიჰყენენ. ცხენების შემდეგ მიჰქონდათ რვა ანთებული სანთელი — თითო მათგანი მოზრდილი ხისოდენა იყო. არც კი წარმომედგინა ასეთი სანთლების არსებობა! სანთლებს კი სამგლოვიარო პროცესია მოჰყეებოდა. ჭიშკარში ისე გაიტანეს მიცვალებული, რომ არც ერთხელ წივილ-კივილი არ აუტეხიათ და, წარმოიდგინეთ, არც პელაგო მოსულა თავისი წერილით, თუმცა უფრო საიმედო წერილის წამღებზე ვერც კი იოცნებებდა საცოდავი ქვრივი. ზღვა ხალხი ძლივს ეტეოდა ეზოში.

აი, ეს კი ნამდვილი დასაფლავება იყო!.. თუმცა უფრო სწორი იქნებოდა, სამგლოვიარო ზეიმი ეწოდებინათ მისთვის ან დაუვიწყარი გაცილება შორეთში...

IV.

შფოთიანი, მღელვარე, მოუსვენარი დრო იყო. როგორც გამიგონია, ასეთი დრო ჟამიანობის წინ იცის თურმე, ქარიშხლის წინამორბედად. ვსწავლობდი, ვმუშაობდი, თუმცა ჩემი სამუშაო არც თუ ისე იოლი იყო. მაგზავნიდნენ ხან სად და ხან სად. თავქუდმოგლეჯილი დავრბოდი და მონდომებით ვასრულებდი ჩემს მოვალეობას. მოწყენა და დაღონება არ მეკარებოდა, არც დრო მრჩებოდა ამისათვის. ოლღა განაგრძობდა ჩემთან მეცადინეობას, მკაცრი იყო და მომთხოვნი, მაგრამ მე ვიცოდი მისი კეთილი გულის ამბავი: მკაცრი მოთხოვნა მხოლოდ მისი ჩემდამი კეთილი დამოკიდებულების შედეგი იყო და სხვა არაფერი. არც წინააღმდეგობას ვუწევდი მის ჭარბ მოთხოვნებს, რადგან ძალიან კარგად მესმოდა, რომ იგი ყოველივე ამას ჩემივე სასარგებლოდ სჩადიოდა. თვითონ ოლღა ციბრუტივით ტრიალებდა დღე-ღამის განმავლობაში: ხელმძღვანელობდა სადილის დამზადებას, მუშაობდა ბაღში, წერა-კითხვას ასწავლიდა ღარიბი მეზობლების ბავშვებს.

— ვიცი, რომ გიჭირს ამდენი ტვირთის ატანა, — მანუგეშებდა

ხოლმე ზოგჯერ, — არაფერია, შრომას ადამიანი არ მოუკლავს... სამაგიეროდ, კარგ ნაყოფს გამოისხამს შენი შრომა.

მაგრამ ახლოვდებოდა საღამო ხანი და ყველაფერი მავიწყდებოდა: დაღლილობა, სიდუხჭირე, მომქანცველი შრომა, რადგან ამ დროს გაზაფხულის მაუწყებლებივით შემოდიოდნენ ჩემს სარდაფში მუსიკის ხმები — ფეხაკრეფით ავდიოდი კიბეებზე, დავდგებოდი დაკეტილ კარს უკან და ვუსმენდი. ერთხელ ჰანგები უცაბედად შეწყდნენ რომელიღაც აკორდზე და მე აშკარად გავიგონე სვიატოზარის ხმა:

— შენ სერიოზულად ფიქრობ, რომ იმ ველური ბიჭისგან გამოვა რამე?

— კი არ ვფიქრობ, მე მჯერა... და, თუ ღმერთი გწამს, ნუ ჰყოფ ცხვირს ჩემს საქმეებში, — მკვახედ მიუგო მას ოლგამ.

— ჰო, მართლა, შენ ხომ მუდამ ხალხოსანი იყავი! — ირონიულად უპასუხა სვიატოზარმა — Pardon!.. მაგრამ შემიძლია დაგენაძლეო, რომ შენი ცდებისაგან არაფერი გამოვა... ველურები არ არიან ამის ღირსნი... გინდა დავნაძლევდეთ, ა?..

— ხმა ჩაიკმიდე!.. შეიგნე ერთხელ და სამუდამოდ, რომ ისეთები, როგორიც შენა ხარ, არ აძლევდნენ მათ ადამიანური ცხოვრების უფლებას, უხშობდნენ გზას მათ ნიჭს...

— ოო, დაიწყო, დაიწყო ბოლშევიკური პროპაგანდა... — ლაპარაკი შეწყდა და ისევ ფორტეპიანოს ხმები მოისმა. ახლა უფრო ნერვულად და სასოწარკვეთით უკრავდა სვიატოზარი.

ერთ მოწმენდილ შემოდგომის საღამოს, როცა ხეებიდან ცვიოდნენ ყვითელი ფოთლები, ლუბარსკის ჭიშკარს სამი ეტლი მოადგა. სტუმრები აწრიალდნენ, ახმაურდნენ, გამოცვივდნენ სახლიდან, ეტლებში ჩასხდნენ და ნავსადგურისკენ მოჰკურცხლეს. უკან ორი „ლინეიკით“ მიჰქონდათ მათი ავლა-დიდება: ჩემოდნები, წნული დახურული კალათები, ქუდების მრგვალი კოლოფები და ვიოლინის, კიდევ რა. უკან აღარ დაბრუნებულან რუსეთიდან გამოხიზნებულები, თურმე ნავსადგურში უცხოეთის რომელიღაც პატარა გემს თუ იახტას სტამბოლში წაუყვანია ისინი.

სტუმრების წასვლამ ცუდად იმოქმედა მოხუც ლუბარსკიზე და მის ვაჟიშვილზე. არც თუ ისე ძნელი მისახვედრი იყო მათი წუხილი: ეშინოდათ, რომ წითელი არმიის ნაწილები ჩვენს ქალაქამდეც მოაღწევდნენ. ბოლშევიკებისადმი სიძულვილს ჩვენც, მოსამსახუ-

რეებსაც ენერგიულად გვინერგავდნენ ისინი. ხშირად მესმოდა ჩვენი მზარეულის ლუსიას ოხვრა: Эех, погибла Рассея!

ერთადერთი ოლღა არაფერს არ აქცევდა ყურადღებას, ჩაფლული იყო საქმეებში, შიშისა და ჭორისათვის აღარ ეცალა. მხოლოდ ერთი სურვილი არ აძლევდა მას მოსვენებას: უნდოდა როგორმე ათწლიანი სკოლა გაეხსნა ადგილობრივი ღარიბი ბავშვებისათვის.

ზამთარმაც მოაღწია. გვეწვია პირველი თოვლი, გვეწვია და დადნა ზღვის ტალღებში. თოვლით დამძიმებული ხის მწვანე ტოტები მიწამდის დაიხარნენ. ლუბარსკის თეთრი სასახლე თოვლის თეთრ ფონზე უფრო ლამაზი და მომხიბვლელი იყო. დროდადრო ზღვიდან დაუბერავდა ნიავქარი, ანუ, როგორც ჩვენ ვუწოდებდით, ზღვაური და მაგნოლიის გაპრიალებული ფოთლები შრიალით ყრიდნენ მიწაზე თოვლის ფიფქებს. ქუჩაში ჩვენი სახლის წინ ბავშვებმა თოვლის გზა გაიყვანეს და ფიცრის ნაჭრებზე ციგაობდნენ დაქანებულ ფერდობზე. როცა პურის საყიდლად ან კიდევ ბაზარში მაგზავნიდნენ, ხელთ ვიგდებდი თუ არა დროს, შევჩერდებოდი და გულდაწყვეტილი შევცქეროდი ჩემს ტოლ ბიჭებს, სანამ ლუსიას გამყივანი ძახილი არ გამომიყვანდა ამ მდგომარეობიდან.

მხოლოდ ღამით ვგრძნობდი სრულ ბედნიერებას. მთვარის სხივები ზღაპრულად აშუქებდა ზღვას და ირგვლივ ყველაფერი იდუმალებით ივსებოდა. ამ მშვენიერების ერთ-ერთ ნაწილაკად წარმომედგინა ჩემი თავი. თვალს არ ვაშორებდი ზღვას, მთვარეს, ეზარმაზარ მთებს, ვარსკვლავებს და ვცდილობდი ამეხსნა, რა იმალებოდა მათ მიღმა, სად იყო ბოლო სამყაროსი, რა იყო იქ, შორეული გალაქტიკების მიღმა, სად მთავრდებოდა ეს უსაზღვროება?!. ასე, თანდათან, ნელ-ნელა ვეჩვეოდი აზროვნებას..

ერთ საღამოს, როცა ფანჯრის გაორთქლილ მინაზე გამომყავდა რაღაც უცნაური ნახატები, ვიღაცამ შემოაღო ჩემი ოთახის კარი. ჩემს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა სვიატოზარი დავინახე: პირველად სიზმარში მეგონა თავი, რადგან იგი არასოდეს არ შემოსულა ჩემთან.

— მიხა, ერთი ამოდი ზემოთ, ჩემთან.

ჩვენ აუჩქარებლად (ფეხის ტკივილისა და კოჭლობის გამო მას არც შეეძლო უფრო სწრაფად ასვლა) ავედით მესამე სართულზე და შევაღეთ საშუალო სიდიდის, წიგნებითა და ნოტებით სავსე ოთა-

ხის კარი. მე უკვე კარგა ხანი იყო, რაც სწრაფად, სხაპა-სხუპით ვკითხულობდი, უკვე მიყვარდა წიგნები და ვერც კი წარმომედგინა არსებობა წიგნების გარეშე. გაოცებული დავრჩი, როცა ამდენი წიგნი ერთად დავინახე. ნება რომ მოეცათ, დილიდან-საღამომდე არ მოვშორდებოდი აქაურობას, გადავფურცლავდი ყოველ წიგნს, ასე ვათვალიერებდი, ალბათ, ცისკრის ამოსვლამდე. ადვილი ამბავია — ამდენი წიგნი!

თეთრი მარმარილოს ბუხრის თავზე, როგორც მომეჩვენა, ბოროტად და ეშმაკურად იღიმებოდა ბრინჯაოს მეფისტოფელი. თუ არ ვცდები, ეს უნდა ყოფილიყო ანტოკოლსკის ცნობილი სკულპტურის ასლი. კუთხეში კი იდგა პატარა, კაკლის ხის პიანინო. თვითონ სვიატოზარი უკრავდა ხოლმე მეორე. სართულზე მისაღებ დარბაზში ბეშტეინის შავ როიალზე. აქ, ამ ოთახში იყო მისი სამყარო — კარჩაკეტილი სამყარო, სრულიად მიუწვდომელი და აკრძალული სხვებისთვის. ჩემი გაკვირვება თანდათან ღრმავდებოდა: ჩვეულებრივად, ის არავის უშვებდა თავის ოთახში, გარდა დამლაგებელი ქალისა.

— მიხა, ღღეიდან ჩემთან ივლი. მე გამეცადინებ მუსიკაში, ვნახოთ, რით დამთავრდება ჩვენი ექსპერიმენტი, — ბოლო სიტყვები მან ჩაილაპარაკა ჩუმად, თითქოს თავისთვის: — დაჯექი!..

მაგრამ მე ისევ იმ ადგილას ვიდექი, ვერ შევძელი ადგილიდან დაძვრა. სვიატოზარმა ახადა სახურავი პიანინოს და თეთრ კლავიშებს ფაქიზად გადაუსვა თავისი ყვითელი, გამხდარი თითები. შემდეგ დაუკრა. აშკარად ვიგრძენი, რომ ჩემთვის უკრავდა, ყოველ შემთხვევაში, ასე მეგონა, რომ უკრავდა ჩემთვის.

ვირტუოზულად უკრავდა სვიატოზარი!.. ახლაც კი, როცა მუსიკის საიდუმლოებას ჩავწვდი, გავხდი დირიჟორი, კომპოზიტორი და პიანისტი, — ახლაც კი, ხანდახან, თითქოს მესმის სვიატოზარის დაკვრა, უბადლო და შესანიშნავი... სვიატოზარი განაგრძობდა დაკვრას. პირველი აკორდი მაგონებდა ტყის შრიალს ზაფხულში, რომელიც თანდათან ძლიერდებოდა, იზრდებოდა, გადადიოდა გუგუნში და ხმაურში... და მერე თანდათან ნელდებოდა. თითქოს ორი მოქიშპე საწყისი ებრძოდა ერთმანეთს და ამ ბრძოლაში ღუპებოდნენ ნათელი ადამიანები. რექვიემივით ჟღერდა მუსიკა.

ისე ვიყავი მოხიბლული, რომ ვერ შევამჩნიე, როგორ მომიახლოვდა სვიატოზარი.

— მოგწონს?

მე ხმა არ ამომიღია.

— რაო, სტირი?

მან მხრები აიჩეჩა, დაფიქრდა, ბოლთის ცემა დაიწყო. შემდეგ პატარა ანტიკვარულ საწერ მაგიდას მიუჯდა და რაღაცა დაწერა ღიად დარჩენილ რვეულში. მხოლოდ ათი წლის შემდეგ მომეცა საშუალება მენახა და წამეკითხა სვიატოზარის დღიურები. მე მოვძებნე იმ დღის ჩანაწერები (წელი, თვე და რიცხვი კარგად დავიხსომე და, ალბათ, არ დამავიწყდება სიკვდილამდე):

„საოცრებაა ცხოვრება, უცნაური რამ ხდება ამქვეყნად! მე უკვე არაფერი არ მესმის. დღეს დილით ისევ ბედნიერებაზე და ბედზე ვფიქრობდი. განა არსებობს ბედნიერება მოაზროვნე ადამიანისათვის? ბედნიერების მაძიებელი ადამიანი ახალგაზრდა ბუდას მაგონებს, რომელიც ცხრაკლიტულში ჰყავდათ გამოკეტილი, რომ მას არ გაეგო სიკვდილის არსებობა... აი, ნამდვილად ბედნიერია ჩვენი მოჯამაგირე, ეს ველური ბიჭი... და მაინც მე არ მესმის მისი ასეთი მისწრაფება მუსიკისადმი. მართლაც რომ საოცარია!... მაგრამ მე უნდა ვიმეცადინო მასთან, არა მარტო ქველმოქმედებისათვის... მთავარია, მე თავდავიწყება მჭირდება, გართობა რაიმეთი, თორემ მეშინია არ გავგიჟდე... გარდა ამისა, თვით ექსპერიმენტიც საყურადღებოა — რა გამოვა?!. ჩემს მორევოლუციონერო დას რომ ჰკითხო, თურმე მათ ეკუთვნით მომავალი! ჩვენ თურმე ვჩაგრავდით მათ... დალახვროს ეშმაკმა, კიდევ რაებს არ როშავს ჩემი ერთადერთი საყვარელი დაიკო!.. ვაი თუ ჩემი დაიკო მართალი გამოდგა... და მე სასტიკად ვცდები? მაშინ?.. მაშინ... აი ვნახოთ, რას მიაღწევს მიხა. მე კი მეგონა, რომ ეს უბედურები — ბედნიერნი არიან თავიანთ ჩლუნგ უვიცობაში... მაგრამ ვაი თუ ეგ გამოვდგე ჩლუნგი ახალი დროის გამოცნობაში! მაშინ?

არაფერი მესმის, არაფერი გამეგება!.. ღმერთო, როგორ მეზიზღება ყველა და ყველაფერი! ჩემი „კარგი“ დედ-მამის მიზეზით მე გავჩნდი ამქვეყნად ავადმყოფი, განწირული, მხოლოდ მუსიკითა და მიზანტროპიით შეიარაღებული. ვაი ჩემს ბედს, ესენი მე როდი გამომადგება ბრძოლის იარაღად... დღეს მერამდენეჯერ გადავიკითხე იბსენის „მოჩვენებები“. მზე, სწორედ მზე არ მყოფნის მე ამ მზეში ჩამხრჩვალ მხარეში. ღმერთო, ღმერთო, რა უნიათო, რა უნუგეშო ტანჯვა მკლავს! სწორედ ამიტომ გამოვიგონე ჩემთვის ეს

ioლი გასართობი, ან მეცადინეობა, როგორც ჩემი ძვირფასი დაიკო იტყვის ხოლმე. გამოვიგონე, რომ თავი შევაფარო მას და გავექცე ამ მომაკვდინებელ მარტოობას.

საღამო ხანია... ვუკრავდი ბეთჰოვენის მეთოთხმეტე სონატას. ეე თვითონ არ მიყვარს ეს ნაწარმოები, მაგრამ იგი მისაწვდომია პრიმიტიული სმენისათვის. სწორედ ამიტომ შევაჩერე ჩემი არჩევანი ამ პიესაზე. მიხა კი ისმენდა და იცრემლებოდა. საკვირველია! ეს ველურიც მოხიბლა ბეთჰოვენის გენიამ. არაფერი გამეგება, არაფერი მესმის! აქ რაღაც ხდება, ჩვენთვის გაუგებარი და მიუწვდომელი. შეიძლება ჩვენს ოჯახში შეეჩვია ასე ძლიერ ნამდვილ მუსიკას?.. ცხოველებიც ხომ ეჩვევიან მუსიკას! მაგალითად, ძაღლი უსმენს მუსიკას და ყმუის! ალბათ, ეს ბუნების საიდუმლოებაა. მოდი, ნუ ავხდით ფარდას ამ საოცრებას..“

სვიატოზარმა დაამთავრა წერა და დიდხანს იჯდა უძრავად, ხმაამოუღებლად, რაღაცაზე ფიქრობდა. შემდეგ ოდნავ შესამჩნევი წყალობით შემომხედა.

— მიხა, გამხადე ფეხსაცმელები და წადი დასაძინებლად. ხვალ დაგიძახებ!..

დრო დნებოდა, როგორც თებერვლის სითბოსგან გამთბარი თოვლი. გაზაფხულის დამფრთხალი სუნთქვა ჩუმად დასრიალებდა გვიმრის ბუჩქებში. ზღვა გალურჯდა და ვერცხლისფერი გადაიფარა მზის სხივებქვეშ. ძალიან ძნელი გასარკვევია დროის ცვალებადობის შეგრძნება დასავლეთ საქართველოში — მარადიულად გაზაფხულისა და ზაფხულის ქვეყანაში.

შიში სულ უფრო და უფრო მჭიდროდ ედებოდა ლუბარსკების ოჯახის ყოველ კუნჭულს. მამა და ვაჟიშვილი რამდენიმე შემორჩენილი ნათესავითურთ ზაფრადაცემულივით ელოდნენ ბოლშევიკების შემოსვლას. იჭვიანობდნენ და ფორიაქობდნენ. მხოლოდ ოლღას ეშირა თავი დინჯად, შეურყეველად. ეს საკითხი მისთვის დიდი ხანია გადაწყვეტილი იყო. ბოლშევიკებთან თუ უბოლშევიკებოდ, მისთვის მთავარ პრობლემას წარმოადგენდა საშუალო სკოლის გახსნა. სხვაზე ის არაფერზე ფიქრობდა და არც არაფრისა ეშინოდა.

— თუ რუსები ცოცხლად შემჭამენ რუს ქალს — რაც, რასაკვირველია, არ მჯერა, — დაე, შემჭამონ! სხვათა შორის, სწორიც იქნებიან, იმდენი ბოროტება ჩაგვიდენია მათ მიმართ! — იმეორებდა იგი.

ცხოვრება კი დღითი დღე იცვლებოდა. ვარდისფერ ბუშლატებში (ასე ეძახდნენ მათ — „ვარდისფერბუშლატიანები“) გახვეულმა მენშევიკების გვარდიელებმა აავსეს არემარე. არბევდნენ სოფლებს, ჯავრს იყრიდნენ მათზე, ვისშიც კი ეჭვი შეჰქონდათ, რომ ისინი არალეგალური ბოლშევიკური ორგანიზაციის წევრები იყვნენ. მოხუცები და ქალები კანკალებდნენ, ხალხი ღელავდა.

ღელავდნენ ლუბარსკის ოჯახშიც. მხოლოდ სვიატოზარი უყურებდა ყველაფერს გულცივად, რაც მის გვერდით ხდებოდა. ჩემი აზრით კი, მისი გულგრილობა მხოლოდ მოჩვენებითი იყო. ერთ დილას შიშმა და ღელვამ იმატა და კულმინაციურ წერტილს მიაღწია. კუთხე-კუთხე ჩურჩულებდნენ და ფრთხილად, უკანმოხედვით იმეორებდნენ: „ბოლშევიკები, მენშევიკები, ვარდისფერბუშლატიანები“. ისეთი დომხალი ტრიალებდა, თითქოს მეორედმოსვლა ყოფილიყო. ქალაქელები მოულოდნელად აფაცურდნენ. ბავშვის სათამაშოების მაგვარი გემები „ჭოროხი“ და „ტავრიდა“ მგზავრებით გატენილები გაშორდნენ ნავსადგურს და ბათუმისაკენ აიღეს გეზი. იცლებოდა ქალაქი. ერთმანეთზე უარესი ახალ-ახალი ამბები მოსისინებდნენ გაგრიდან, სოხუმიდან: „სამოქალაქო ომი!“. ჭორი დაწრიალებდა ქალაქში და ილექებოდა ყველგან, როგორც მოშხამული ღრუბლების წვეთები. ბოლშევიკების „მხეცობის“ ამბები სულ უფრო ვრცელდებოდა, სანამ არ გაიზარდნენ და არ შეარყიეს მივარდნილი, ყრუ მაზრა. ყველაზე უფრო მარჯვობდნენ „სახალხო გვარდიის“ აგენტები.

საღამოს მღელვარებამ ყოველგვარი საზღვარი გადალახა. წიოლები სულ ახლოს იყვნენ. მენშევიკები გარბოდნენ. ამ საერთო არეულობის ჟამს ლუბარსკის ოჯახსაც დაატდა თავს უბედურება. კვდებოდა მძიმე ავადმყოფი მოხუცი ლუბარსკი — მას ორმხრივი ფილტვების ანთება და გულის მანკი აღმოაჩნდა. ოღლა არ შორდებოდა მამის საწოლს. მოხუცს დროგამოშვებით აკითხავდნენ ნათესავები — რუსეთის ხიზნები, ისინი ყოველ წუთს ელოდნენ ნიშანს და გემებს საზღვარგარეთ გასაქცევად.

ქალაქი სულმთლად დაცარიელდა. ფეხით, ცხენებით, ეტლებით, ნავებით, კატერებით გარბოდნენ ქალაქის მკვიდრნი. მოხუცები ოხვრით იგონებდნენ „ბიბლიას“, ლაპარაკობდნენ მეორედ მოსვლაზე, განკითხვის დღეზე.

უმთავარო ღამე იყო. უკუნეთს ზოგჯერ პროექტორის სხივები

არღვევდნენ. უპატრონოდ დარჩენილ დუქნებში და საწვრილმანოებში, დაცლილ ბინებში „შრომობდნენ“ ქურდები, ჩარჩები და გადამყიდველები; ყოველი ჯურის სპეკულანტები საიდუმლო ადგილებში მალავდნენ ოქროს. პანიკით გარბოდა ნაყაჩაღარით გადატვირთული „სახალხო გვარდია“. აწრიალდნენ ლუბარსკის ოჯახიც. ხიზანი ნაცნობ-ნათესავები ემზადებოდნენ გასაქცევად და უნდოდათ თან წაეყვანათ ლუბარსკიც, მაგრამ მოხუცი ძალზე ცუდად გახდა. უგრძნობლად იწვა, შვილები კი არსად არ აპირებდნენ წასვლას.

ქალაქში ეს-ეს არის უნდა შემოჭრილიყვნენ ბოლშევიკები, — ამაზე სათლად ღაღადებდა არტილერიის მოახლოებული ბათქები.

„რა ვიღონოთ!“ — ეს კითხვა არავის არ ასვენებდა. სიკვდილი არ ჩქარობდა, შეწყვეტილი ცხოვრება კი სიცოცხლისაკენ მიისწრაფოდა. სწორედ ამ დროს მოსამსახურე გოგომ დაიძახა, ეტლები მოვიდნენო. ოლღამ დაარღვია მძიმე პაუზა.

— იჩქარეთ, ბატონებო, თქვენთვის აქ დარჩენა სახიფათოა, ჩვენ როგორმე გავიტანთ თავს...

უცებ თვალში მომხვდა მეფისტოფელის პატარა ქანდაკება; თურმე მოხუცის თხოვნით ჩამოუტანიათ სვიატოზარის ოთახიდან, რატომღაც სიკვდილის წინ მონდომებია მოხუცს მისი ნახვა. ალბათ, რაღაც დიდი საიდუმლო მოგონებებით თუ იყო მოხუცის გონება მასთან დაკავშირებული.

ხიზანი ნაცნობ-ნათესავები გამოემშვიდობნენ ოლღას, შეხედეს ავადმყოფ გენერალს და აჩქარებით გავიდნენ ოთახიდან. ათი წუთის შემდეგ სოხუმისაკენ მიიჩქაროდნენ მათი ეტლები.

ღამე არ აპირებდა წასვლას. სიბნელეში დროგამოშვებით ზარბაზნების ყრუ ქუხილი, ტყვიამფრქვევის კაკანი აყრუებდა მიდამოს და პროექტორთა სხივები გამოანათებდნენ ზღვის ზედაპირზე.

მე გაქვავებულივით ვიდექი კუთხეში.

სვიატოზარი მოუსვენრად დაწრიალებდა განაპირა ოთახში. დროგამოშვებით შემოხედავდა მამის საწოლს, ნერვულად აიღებდა აკორდს შოპენის მაზურკიდან, შემდეგ ფეხაკრეფით მოუახლოვდებოდა ავადმყოფს და იმეორებდა ერთსა და იმავე შეკითხვას: „როგორ არის, ცოცხალია?“.

უცბად შეჩერდა, თითქოს ადგილზე გაიყინაო. შემდეგ მივიდა პატარა მაგიდასთან, აიღო შპრიცი და ნემსი აავსო მორფით.

— რას აპირებ, სვიატოზარ? — შიშნარევი ხმით ჰკითხა ოლღამ.

— მინდა ოდნავ მაინც დავაწყნარო...

— დოზა ძალიან დიდია, შეიძლება ვერც კი გადაიტანოს!

— აბა, რა მნიშვნელობა აქვს ერთი საათი ადრე თუ გვიან?.. მეტი აღარ შემიძლია ვუცქირო მის ტანჯვას.

— ეს ხომ მკვლელობაა!..

— სცდები, ჩემო კარგო, მხოლოდ ხსნაა და სხვა არაფერი... ხსნა აუტანელი ტკივილებისაგან...

სვიატოზარს ყურადღებაც არ მიუქცევია გაფითრებული დისათვის, არც მიუხედავს მისკენ, რომ ხელი არ შეშლოდა განზრახვის შესრულებაში. მივიდა ავადმყოფთან და გარეგნული სიმშვიდით გაუკეთა ნემსი მოხუცს. შემდეგ ასევე აუჩქარებლად გავიღა ოთახიდან, აჰყვა კიბეს თავისი კაბინეტისაკენ. ოლღამ ხელები აიფარა სახეზე და სავარძელში დაეშვა.

არ გასულა ხუთი წუთი და მაღლიდან შოპენის მომაბეზელელმა ხმამ დაფარა იქაურობა. ხმები ტყვიამფრქვევის კაკანს და ტყვიების ზუზუნს შეერია (ეს უცნაური, ურთიერთსაწინააღმდეგო შერწყმა ხმებისა და რიტმისა შეგიძლიათ იპოვოთ ჩემს მესამე სიმფონიაში).

ისევ ზარბაზნების გრიალი, ტყვიამფრქვევის ჭახანი და... მუსიკა, ჯადოსნური მუსიკა.

კვდებოდა გენერალი ლუბარსკი.

— სადა ხარ, სვიატოზარ! რად ბნელა ასე? სინათლე... გემუდარებით აანთეთ სანთელი... ეტლები მოვიდნენ? ჩვენი წას... — ვერ დაამთავრა ფრაზა მომაკვდავმა.

შემდეგ უცბად წამოიჭრა ლოგინიდან, გადადგა ორი თუ სამი ნაბიჯი და ზღართანი მოადინა იატაკზე.

მუსიკა შეწყდა. ჩამოვიდა მესამე სართულიდან სვიატოზარი. ვიღაც ატირდა. გულწასული ოლღა თავის ოთახში გაიყვანეს. მოისმა ვიღაცის აჩქარებული ნაბიჯები!.. შემდეგ ყველაფერი მიყუჩდა და სამარისებური სიჩუმე გამეფდა ირგვლივ. სწორედ ამ დროს გაისმა თოფის ერთადერთი გასროლა.

ტყვიამ გახვრიტა ფანჯრის მინა და მეფისტოფელის ბრინჯაოს ქანდაკებას მოხვდა, ნამსხვრევები იატაკზე გაიბნა. ჩვენთვის მარადიულ საიდუმლოდ დარჩა ამ გასროლის ავტორის ვინაობა და მიზეზი. შეიძლება, ეს მოხდა შემთხვევით, ვინ იცის!

— მოკვდა! — ოდნავ გასაგონად თქვა დუსიამ.

სვიატოზარმა მიცვალებულთან მიირბინა.

— მამა... მამა!.. — ის ბავშვივით ბღაოდა და დროგამოშვებით გაიძახოდა: „მამა, მამა“-ს, მოხუცი კი დუმდა. ამჯერად სამუდამოდ. ეს იყო გრძელი და რთული გზის დასასრული. ამ ბედნიერად წოდებულ სახლში გამოითიშა ერთი სიცოცხლე — მთავარი ძარღვი.

— რა საშინელი სიკვდილია... — ძლივს გასაგონად, თითქოს თავისთვის წარმოთქვა სვიატოზარმა. შემდეგ ჩემკენ გამოაპარა ხედვა:

— არა, ჩვენ ვერ შევძლებთ, მიხა, მის ადგილიდან დაძვრას და, მით უმეტეს, დამარხვას... — და ცოტა ხნის პაუზის შემდეგ დაუმატა, — ბოლშევიკებს მოუხდებათ მისი ბრწყინვალების დამარხვა. საცოდაო მოხუცო!..

სვიატოზარმა ჩააქრო სინათლე, ოთახში ჩაკეტა მიცვალებული და გასაღები ჯიბეში ჩაიდო.

დილით ადრე კი ჩვენს ქალაქს ეწვია წითელი არმიის ნაწილები.

ჩემს გაკვირვებას და სიხარულს არ ჰქონდა საზღვარი, როცა დავრწმუნდი, რომ ისინი არავის არ ხოცავდნენ, არავის ხელს არ აკარებდნენ, არაფერს არ წვავდნენ, არ ძარცვავდნენ. მიდიოდნენ მშვიდად, მწყობრი ნაბიჯებით და მხიარული ვაჟკაცური მხედრული სიმღერით ახალგაზრდა, უულვაშო წითელარმიელი ქერა ბიჭები. ერთმა კიდეც გაგვიღიმა და ხელიც დაგვიქნია.

დეიდა მარო სიხარულისგან, მგონი, მეშვიდე ცაზე იმყოფებოდა. მან თავისი ოროთახიანი ფიცრული სახლის ერთი ოთახი წითელარმიელებს დაუთმო — ოთხ ახალგაზრდა მეგობარს და ისე ეპყრობოდა მათ, როგორც საკუთარ შვილებს. ისინიც ნამდვილი შვილებივით შეეთვისნენ და სიყვარულით უხდიდნენ მას სამაგიეროს.

სვიატოზარი თავისი ოთახიდან დიდხანს უყურებდა მწყობრად მიმავალ წითელ მეომრებს. შემდეგ დახურა ფანჯრები, ჩაიკეტა ოთახში, საღამომდე ცხვირიც არ გამოუყვია იქიდან და არც არავის უშვებდა თავისთან.

საღამოთი კი ახალგაზრდა მეთაური გვეწვია რამდენიმე წითელარმიელის თანხლებით. მეთაური მაღალი, სპორტული, მიმზიდველი გარეგნობის ახალგაზრდა იყო. დღესაც კი სითბოს გრძნობს გული,

როდესაც მაგონდება პირველი შეხვედრა იმ შესანიშნავ ადამიანთან. ეს არც არის გასაკვირი — სწორედ ამ ადამიანმა ითამაშა გადამწყვეტი როლი ჩემს ცხოვრებაში: ბევრ რამეში დამეხმარა და, რაც მთავარია, ადამიანად გამომიყვანა.

ალექსეი ერმილოვი — ასე ერქვა მას. ფიზიკურად ვაჟკაცური სილამაზე და ძლიერი სული საოცრად იყო შერწყმული ამ ერთ ადამიანში. სწორედ მისგან გავიგე პირველად, რომ არსებობს სიმართლე და რას წარმოადგენს ნამდვილი ჭეშმარიტება. ჩვენმა პირველმა შეხვედრამ ხომ სამუდამოდ და წარუშლელად დაიმკვიდრა საფუძველი ჩემს მახსოვრობაში.

— ბიჭიკო, არის ვინმე სახლში? — შემეკითხა ახალგაზრდა მეთაური, რომელსაც გახუნებული, მაგრამ სუფთა, ახლად გაუთოებული გიმნასტერა და მუხლებზე ტყავებდაკერებული გალიფე ეცვა.

იმ წამშივე მივხვდი, რომ ჩემ წინ იდგა არა რიგითი წითელარმიელი, არამედ მეთაური, შეიძლება საველე ჩანთამ, ცალ მხარეზე რომ ჰქონდა ჩამოკიდებული ტყავის გრძელ ზონარზე და მუხლებამდე რომ სწვდებოდა, ან მისმა გარეგნობამ მიმიყვანა ამ დასკვნამდე. თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე, რის შემდეგაც მან თავის წითელარმიელებს მიმართა:

— აქ დამიცადეთ, ამხანაგებო, ახლავე დავბრუნდები. აბა, გამიძეხი, ბიჭიკო, — და ჩემი თანხლებით მესამე სართულზე ავედით, როცა გაიგო ჩემგან, რომ სახლის პატრონი სწორედ იქ იმყოფებოდა, სვიატოზარმა გაგვიღო კარები, მაგრამ მის გაშეშებულ სახეს არავითარი რეაქცია არ ემჩნეოდა.

— თქვენ ბრძანდებით სახლის პატრონი? — შეეკითხა მეთაური სვიატოზარს.

— მგონი, მე უნდა ვიყო, ყოველ შემთხვევაში ასე იყო დღემდე! — უპასუხა სვიატოზარმა და თან თვალებს არ აშორებდა გადაფურცლულ წიგნს.

— თქვენი სახლის პირველ სართულზე ჩემი წითელარმიელები უნდა მოვათავსო, — უთხრა მეთაურმა.

— ჰმ, საკვირველია, მე რად მითანხმებთ ამ საკითხს?

მეთაურზე არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენია ახალგაზრდა ლუბარსკის სიტყვებს, არც მის ირონიულ, დამცინავ გამოხედვას.

მაგრამ სწორედ ამ დროს ოთახში შემოვიდა ოლღა. ახალგაზრ-

და, ლამაზი, აღელვებული ქალის ჭკვიანი თვალები და ვაჟის თვალები შეხვდნენ ერთმანეთს, ჩაიყინენ ერთმანეთში და მოხდა რაღაც აუხსნელი, გაუგებარი, მხოლოდ მათთვის, ორთათვის გასაგები და გადამწყვეტი. ეს იყო წამი, მყისი, რომლის ღრმა აზრი მხოლოდ ერთი წლის შემდეგ გახდა ჩემთვის გასაგები.

— ბოდიში, თქვენ... — დაბნეულად ჩაიბურტყუნა მეთაურმა.

— მე მისი და გახლავართ, — მან თვალებით ანიშნა სვიატოზარზე, — გენერალ ლუბარსკის ქალიშვილი. ჩემი სახელია ოლღა.

— ოლღა...

— უბრალოდ ოლღა... ჩემი ძმისაგან კი ნურაფერი გეწყინებათ, ავადმყოფია... წავიდეთ, ამხანაგო... მგონი ასეა, ხომ? — ღიმილით მიმართა მეთაურს ოლღამ.

— დიახ, ასეა, ამხანაგო ოლღა...

— წავიდეთ, ნახეთ ოთახები.

სვიატოზარი სკამიდან წამოვარდა, როცა გაიგონა ოლღასგან ნათქვამი „ამხანაგო".

ათმა წითელარმიელმა მხიარული ხმაურით და ხუმრობით „აითვისეს" (როგორც თვითონ ამბობდნენ) სახლის პირველი სართული. მე კი ვეხმარებოდი მათ, რითაც შემეძლო.

V.

ღამდებოდა. ქალაქი თითქოს დუმილისა და სიბნელისაგან იყო შეკრული. მე კვლავინდებურად ვმეცადინეობდი სვიატოზართან იმ საღამოს, როდესაც მოისმა კაკუნი კარებზე და სვიატოზარის ხმა:

— კარი ღიაა, შემოდით!

შემოვიდა მეთაური, დადგა კარებში:

— ბოდიში, მოსაწევი ხომ არაფერი გექნებათ? — იკითხა მან.

მაგრამ დაინახა თუ არა, რომ ჩვენ ვმეცადინეობდით, ეუხერხულა თავისი თხოვნა და კარებისაკენ მიბრუნდა.

— არა, არ წახვიდეთ, გთხოვთ დაბრუნდით!.. — თავაზიანად მიმართა სვიატოზარმა წასასვლელად გამზადებულ მეთაურს, — დაბრძანდით... მიხა, მიაწოდე ძვირფას სტუმარს პაპიროსის კოლოფი! — სიტყვა „ძვირფასი" განსაკუთრებული ხაზგასმით იყო ნათქვამი.

მე მაგიდის ყუთიდან ამოვიღე პაპიროსის კოლოფი და გავუწო-

დე მეთაურს. მინდოდა გაექცეულიყავი ასანთის მოსატანად, მაგრამ მეთაურმა შემაჩერა:

— გმადლობთ, ასანთი მაქვს.

იმის შემდეგ, რაც სვიატოზარმა ერთგვარი ზეიმით წარმოთქვა სიტყვები: „აქ ეწევიან, მეთაუროო!“ ერმილოვმა შარვლის ჯიბიდან ამოიღო ასანთი და სვიატოზარს მიაწოდა პაპიროსის მოსაკიდებლად, მაგრამ ამ უკანასკნელმა თამბაქოზე უარი განაცხადა. სვიატოზარი განსაკუთრებული ყურადღებით ადევნებდა თვალყურს სტუმრის ყოველ სიტყვასა და მოქმედებას.

უხერხული დუმილი ჩამოვარდა. სავარძელში მოკალათებული მეთაური თამბაქოს ეწეოდა და თან ფურცლავდა იქვე დაბალ, მოგრძო მაგიდაზე დაგდებულ წიგნს. ეს იყო ფლობერის „იროდიადა“.

— თქვენი საყვარელი მწერალია? — ირონიულად იკითხა სვიატოზარმა.

— წარმოიდგინეთ, ამ შემთხვევაში თქვენ სწორი აღმოჩნდით, დიახ, ფლობერი ჩემი საყვარელი მწერალია.

სვიატოზარი უკმაყოფილოდ გაიფხუკა.

— მაგრამ, — განაგრძო მეთაურმა, — ფლობერი, რასაკვირველია, უნდა წაიკითხო დედანში, რაც უნდა ბრწყინვალე თარგმანი იყოს, ის მაინც ვერ გადმოსცემს ამ შესანიშნავი მწერლის არაჩვეულებრივი სტილის სიდიადეს.

— ფრანგული ენაც იცით?!

— ისე, საშუალოდ.

— თუ ფლობერს კითხულობთ დედანში და სტკბებით მისი სტილით, კარგად გცოდნიათ ენა.

ჩამოვარდა პაუზა.

— საოცარია!

— რა არის საოცარი?

— ის, რომ თქვენ ბოლშევიკი ბრძანდებით და წითელი მეთაური.

ერმილოვმა თავი ასწია და გაიღიმა, მაგრამ არაფერი უთქვამს. სვიატოზარი კი განაგრძობდა.

— ბოლშევიზმი და კულტურა, ჩემი აზრით, ეს ორი შეუთავსებელი მცნებაა...

— არ დავიწყებ თქვენთან კამათს და არც აგიტაციას გაგიწევთ, ვამჩნევ, ეს არც არის საჭირო. — და ცოტახნის შემდეგ დასძინა:—

ოქტობრიობის საუკეთესო ადამიანებმა უკვე შეიგნეს ჩვენი რევოლუციის სიდიადე.

— რევოლუცია ჯერ კიდევ როდი ნიშნავს გამარჯვებას!

— მომავალი ყველაფერს დაგვიმტკიცებს... დარწმუნებული ვარ — დაამტკიცებს არა თქვენს სასარგებლოდ... თქვენი კი მე ზედმიწევნით კარგად მესმის...

სვიატოზარი, ცოტა არ იყოს, შეცბა და თითქოს სხვათა შორის დაუმატა:

— ჰო, შეიძლება სწორიც იყოს თქვენი ბელადი... მაგრამ განა კი ღირს სიცოცხლის, სიამოვნების განწირვა ხვალინდელი დღისათვის?

— რატომ გგონიათ, რომ ჩვენ ვიბრძვით მხოლოდ ხვალინდელი დღისათვის? ვის ეკუთვნის, თქვენი აზრით, დღევანდელი დღე?

— Camogriade Au... — ფილოსოფიური სიდინჯით წარმოთქვა სვიატოზარმა.

ამ რეპლიკაზე არ უპასუხა მას მეთაურმა, თვალებგაბრწყინებულმა მოიხედა სვიატოზარისკენ და მოულოდნელად ჰკითხა მას:

— ერთი რამ მაინტერესებს: ვისთან იქნებოდით ახლა თქვენ, ავადმყოფობა რომ არ გიშლიდეთ ხელს?

— ვისთან ვიქნებოდი? ჰმ! უკანასკნელ სისხლის წვეთამდე გიბრძოლებდი რუსეთისათვის... ერთი სიტყვით, თქვენს წინააღმდეგ! — უპასუხა სვიატოზარმა და გამარჯვებული ჯარისკაცივით გაიცინა.

— მიუხედავად თქვენი სახუმარო კილოსი, დარწმუნებული ვარ, რომ სწორედ ასე მოიქცეოდით. მხოლოდ ტყუილად ფიქრობთ, რომ ჩვენ არ ვიბრძვით რუსეთისათვის... ახალი რუსეთისათვის...

სვიატოზარი დუმდა, ნერვულად ფურცლავდა რომელიღაც წიგნს. მეთაური პიანინოს მიუახლოვდა, იკითხა „შეიძლებაო" და როცა მიიღო დასტური, დაჯდა ინსტრუმენტის წინ მრგვალ სკამზე და აიღო რამდენიმე აკორდი.

— კარგია... — წარმოთქვა სვიატოზარმა, — თქვენ კი უკრავთ და ვამჩნევ, არც თუ ისე ურიგოდ... მაგრამ, საინტერესოა, თქვენი წითელარმიელები თუ დაუკრავენ ოდესმე ასეთ ინსტრუმენტზე.

— არაფერია, ჩვენ შევეცდებით შევასწავლოთ მათ მუსიკა და, ზოგადოდ, შევაყვაროთ ხელოვნება.

— რომელი ხელოვნება?

— ისინი ახლა თვითონ არიან თავიანთი ბედის ბატონ-პატრონი, თქვენთვის ეს გასაგებია? დარწმუნებული ვარ, შექმნიან ახალ, შესანიშნავ ხელოვნებას.

— ბოდიში, მეთაურო, მაგრამ თქვენს „რწმენას“ დასაბუთება აკლია! თუმცა თქვენ ახსენეთ ახალი ხელოვნება. ამასთან დაკავშირებით მინდა გიჩვენოთ ერთი საინტერესო არაკი: ერთ ქვეყანაში კვდებოდა გენიალური მუსიკოსი, ვთქვათ, ისეთი, როგორიც იყო პაგანინი. ამავე დროს იმ ქვეყანაში გამოჩნდა ახალგაზრდა, უალრესად ნიჭიერი მეჭიანურე, რომელსაც თავისი იმპროვიზაციებით აღტაცებაში მოჰყავდა მსმენელები და მსოფლიოს საუკეთესო აუდიტორიები. ალაპარაკდა პრესა, ალაპარაკდა ხალხი, განსაკუთრებით კი ხელოვნების მესვეურნი. ახალგაზრდას მუსიკის მესია უწოდეს, ახალი მუსიკის წინასწარმეტყველი. მომაკვდამდისაც მიაღწია ახალგაზრდის ქებამ და მანაც მოისურვა ამ წინასწარმეტყველის მოსმენა. მოიყვანეს ახალგაზრდა მუსიკოსი და მან ავადმყოფისათვის დაუკრა თავისი ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოები. როცა დაამთავრა დაკვრა, ავადმყოფმა წამოიწია, მწარედ გაიღიმა და თქვა: „ღმერთო ჩემო! ეს ხომ მხოლოდ და მხოლოდ გამა დო-მაჟორიაო!“ და მოკვდა.

ერმილოვის გრძელმა ჭროღა თითებმა მსუბუქად გადაირბინეს თეთრ კლავიშებზე.

— თქვენი აზრით, ხელოვნებაში ახალის შექმნა არ შეიძლება... ასე გამოდის!

— სწორად გამიგეთ. ხელოვნების ყველა ფორმა დიდი ხანია მიგნებულია და აღმოჩენილი. ვთქვათ, ლიტერატურაში არსებობს რაღაც სამასი სიუჟეტი — ყველა ისინი უკვე გამოყენებულია. როგორც ნათქვამია, ახალი — კარგად დავიწყებული ძველიაო.

— მესმის თქვენი, გაგიგეთ. რასაკვირველია, ხელოვნების საფუძვლები დიდი ხანია ჩაყრილია და ზოგ რამეში ურყევიც. ამაშია მისი თანამიმდევრულობა, მისი მარადიულობის საიდუმლოება. მაგრამ ამ საფუძველზე ყოველი ახალი ეპოქა, ყოველი ახალი გენიალური მხატვარი აშენებს, ქმნის თავის ყველასაგან განსხვავებულ შენობას სრულიად ახლებურად. აი, რას წარმოადგენს ხელოვნების ნამდვილი არსი.

— თქვენ ასე ფიქრობთ?

— ვფიქრობ და მწამს... — მეთაურმა საათს დახედა. — ო, გვიანაა უკვე, ჩემი წასვლის დროა. იმედი მაქვს, კვლავ განვაგრძობთ ჩვენს დისკუსიას!.. ჰო, მართლა, ლეიბები არ მყოფნის ჩემი არმიელებისათვის, ხომ არ დაგვეხმარებოდით ამ საქმეში?

სვიატოზარმა დახურა წიგნი და ისე შეხედა ალექსეის, თითქოს რაღაც დიდმნიშვნელოვანი რამ მოაგონდაო. ამ გამოხედვაში იყო ყველაფერი: სიძულვილი, ჯავრი, ზიზღი, გაკვირვება... და რაღაც პატივისცემის მაგვარიც კი.... დუმდა სვიატოზარი, ვერ მოენახა სათქმელი თუ ვერ გადაეწყვიტა თქმა..

ერმილოვმა ახლა უფრო მტკიცედ გაუმეორა:

— ლოგინები არ მყოფნის ჩემი ბიჭებისათვის.

მასპინძელმა ჯიბიდან ამოიღო გასაღები:

— წაიღეთ, გააღეთ ოთახი, — მიხა გიჩვენებთ, — იქიდან შეგიძლიათ გაიტანოთ ლოგინები.

მე ყურებს არ დავუჯერე. იმ ოთახში ხომ გენერალ ლუბარსკის ნეშტი ესვენა.

მეთაური ჩემთან ერთად ჩამოვიდა მეორე სართულზე. გააღო კარი და შეკრთა. უკან დაიხია და თითქოს ოდნავ დაიბნა. შემდეგ შევიდა ოთახში და დაუძახა ერთ თავის ჯარისკაცს.

— ვოლკოვ! წადი, დაუძახე ადგილობრივ ექიმს, უთხარი საჩქარო საქმეა-თქო. ჩვენს ფერშალსაც დამიძახე!

— რა მოხდა, ამხანაგო მეთაურო?

— ისეთი არაფერი. მტრის პირველი შურისგება!..

ვოლკოვი ვერაფერს მიხვდა, გაკვირვებით შეაჩერდა მეთაურს. შემდეგ თითქოს რაღაც მოაგონდაო, მოკურცხლა ბრძანების შესასრულებლად.

ექიმის დამოწმების შემდეგ, რომ მოხუცი გარდაიცვალა თავისი სიკვდილით, რაც მოხდა ოლღასა და მეთაურის თანდასწრებით,— ლუბარსკი დაასაფლავეს. მისი ნეშტი საფლავამდე მიაცილეს ოლღამ, ერმილოვმა, მე და რამდენიმე ჯარისკაცმა, დარწმუნებული ვარ, რომ სვიატოზარი იდგა, ალბათ, თავის ოთახში და მძიმე ფარდას ამოფარებული უცქეროდა პროცესიის მსვლელობას.

VI.

პატარა ქალაქის ცხოვრება თანდათან დგებოდა თავის ჩვეულებრივ კალაპოტში. დროც ანელებდა თავის სვლას. ქალაქის გა-

ხიზნული მცხოვრებლები თავიანთი ბარგი-ბარხანით უბრუნდებოდნენ ქალაქს და მათ გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ბინები დაუხვდათ მთელი და ხელუხლებელი. მე დავუძმაკაცდი წითელ მეომრებს, მიხაროდა მათთან ყოფნა, რაღაც ექვსი-შვიდი წლით თუ იქნებოდნენ ჩემზე უფროსები. ისინიც ცდილობდნენ როგორც კი შეეძლოთ, დახმარება გაეწიათ ჩემთვის. პირველად ამათგან გავიგონე ლენინზე, კომკავშირზე. თავისუფალ დროს მასწავლიდნენ ბალალაიკაზე და გარმონზე დაკვრასაც. ერთი სიტყვით, კარგად ვატარებდით დროს.

სვიატოზარი კი სულმთლად გამოიცვალა. ნერვიულობდა, იშვიათად მეძახოდა ხოლმე თავის ოთახში და დიდი ხანია არ მეცადინეობდა მუსიკაში ჩემთან. მისი ოთახის კარები ახლა დაკეტილი იყო დღე-ღამის განმავლობაში.

განსაკუთრებით იმის შემდეგ გამოიცვალა, რაც ოლღა გათხოვდა ალექსეი ერმილოვზე. მათი შეუღლება მოულოდნელი ამბავი იყო ჩვენთვისაც. რასაკვირველია, ეს იყო სასიამოვნო მოულოდნელობა. ყველაზე უფრო მე გამახარა ამ ამბავმა. ამასობაში სკოლაც გაიხსნა — ოლღას დიდ ხნის ოცნება! ახლა ის მასწავლებლად მუშაობდა ამ სკოლაში. ამასობაში ოლღას და მის მეუღლეს ახალი გეგმები დაესახათ: ორივენი დიდძალ ენერგიას ხარჯავდნენ იმისათვის, რომ გაეხსნათ საქალაქო მუსიკალური საშუალო სკოლა ლუბარსკის სასახლეში. მე ხომ სერიოზულად მამეცადინებღნენ — მამზადებდნენ პეტროგრადის კონსერვატორიაში შესასვლელად. სჯეროდათ, რომ ჩემგან კარგი, ნამდვილი მუსიკოსი გამოვიდოდა და მათი რწმენა მეც მაქეზებდა, ჩემშიც აძლიერებდა სწავლის წყურვილს, მახარებდა და მმატებდა ენერგიას.

მაგრამ უნდა გამოგიტყდეთ, ზოგჯერ მენატრებოდა, მინდოდა მომესმინა სვიატოზარის დაკვრა, რატომღაც მეეჭვებოდა, რომ მის მუსიკას უკვე ვერასოდეს ვერ მოვისმენდი.

ჩვენი დუსიაც წითელარმიელ ვოლკოვს მისთხოვდა. მაგონდება, როგორ მოიგლიჯა დუსიამ წინსაფარი, დაბერტყა იატაკზე და დაუწყო მას ქელვა. მისი თქმით, ის თელავდა თავის უბადრუკ, მონურ წარსულს, შემდეგ მიაფურთხა სამზარეულოს და გაჰყვა თავის ერთგულს.

ოლღას დაქორწინებიდან ერთი წლის შემდეგ ერთ დილით სვიატოზარი ტყვიით განგმირული იპოვეს თავის ოთახში. თავი მოეკ-

ლა საცოდავს. სიკვდილის წინ დატოვებულ ქაღალდზე ეწერა: „ძნელია სიცოცხლე, როცა არ გაგაჩნია რწმენა". ასე დამთავრდა ამ კაცის ცხოვრება, რომელსაც, გარდა სიძულვილისა, სხვა არაფერი გააჩნდა.

რა დიდმა დრომ განვლო მას შემდეგ! მაგრამ დავხუჭავ თუ არა თვალებს, ისევ ვხედავ ყველას: ოლღას, ალექსეის, დეიდა მაროს, მამაო ივანეს... პირველად ამათ ჩამინერგეს სიკეთისადმი სიყვარული, შეამჩნიეს ჩემი ნიჭი, დამეხმარნენ მიმეღო განათლება.

ჰო, მართლა, ახლა მომაგონდა: ერთხელ ერმილოვმა, მკერდზე მისაბნევი ნიშანი — ლირა მაჩუქა და ღიმილით მითხრა:

— მიხა, აი ეს ლირა იყოს შენი თილისმა. ატარე. მხოლოდ იცოდე, არ დაკარგო — მას არაჩვეულებრივი თვისება აქვს — ფერს იცვლის ხოლმე და როცა შენი ხელოვნება, შენი დაკვრა მიაღწევს ვირტუოზობის უმაღლეს წერტილს — ლირა გაწითლდება.

ამ ლირას დღესაც ვატარებ, როგორც ჰალსტუხის ქინძისთავს და, თუმცა შეიძლება სასაცილოდაც მოგეჩვენოთ ეს ამბავი, მაგრამ ხშირად დავხედავ ხოლმე: ხომ არ გაწითლდა-მეთქი ლირა? მაგრამ არა... ჩემთვის გასაგებია ამ საჩუქრის მნიშვნელობა...

ვერასოდეს დავივიწყებ ალექსეი ერმილოვს. ეს შეუძლებელიცაა. მომხიბვლელი და ნებისყოფით სავსე ვაჟკაცი ისე გადამდებად და მხიარულად იცინოდა, როგორც არავინ. ოლღამ და ალექსეიმ ბევრი რამ გააკეთეს ჩვენი პატარა ქალაქისათვის. მათი შრომითა და შემწეობით დღეს გენერალ ლუბარსკის ყოფილ ვილაში გახსნილია საშუალო მუსიკალური სკოლა და მისი უცვლელი დირექტორია ოლღა ნიკოლოზის ასული ლუბარსკაია-ერმილოვა. დღეს ის თავისი უმცროსი ვაჟიშვილით (სრული ორეულია მამის) საპატიო სტუმრებში იქნებიან ჩემს ზეიმზე. ეს ხომ მისი ზეიმიცაა...

ალექსეი უფროსი კი თავისი ორი ვაჟით აღარ დაბრუნებულა დიდი სამამულო ომიდან, სამივე დასაფლავებულია პოლონეთში. ოლღასთან ერთად ვინახულე მათი საფლავი. დიდი ხანია მოკვდა ჩემი საყვარელი დეიდა მაროც. ის ბედნიერი იყო, მოესწრო ჩემი და ჩემი ძმების დავაჟკაცებას და კარგია, რომ ომის დაწყებამდე გარდაიცვალა, არ მოესწრო იმ დღეს, როცა ფრონტიდან ჩემი ძმების დაღუპვის ცნობები მივიღეთ.

ახლა კი დავრწმუნდი: სწორია, რომ დღევანდელ დღეს მე აქ შევხვდი, ჩემს მშობლიურ ქვეყანაში. ალბათ, ამიტომაცაა, რომ ჩემ თვალწინ, ისე როგორც ძველ ილუზიონში, დამტვრეული პიანინოს მუსიკის აკომპანიმენტის თანხლებით, — გაიარა ჩემმა ბავშვობისა და ყმაწვილობის დღეებმა... მაგრამ დამტვრეული კლავიშების გაბზარულ ხმებს თანდათან ცვლის სიმფონიური ორკესტრის მძლავრი ჰანგები და ამ მუსიკის გაძლიერებულ ხმაში მესმის დროის ხმები — ძნელი, მაგრამ სიხარულითა და იმედით სავსე ხმები. ამ ხმებში თითქოს ცოცხლდებიან, ხორცს ისხამენ ადამიანები — ვაჟკაცური და ნაზი მეოცნებენი.

ვცნობ ამ მუსიკას, ბნელი დღეებისა და უძილო ღამეების ნაყოფს, ჩემი უდიდესი შრომითა და ჩემთვის გამოყოფილი აღმაფრენით შექმნილს. თუ გამომივიდა ის, რაზედაც ვოცნებობდი?.. არ ვიცი, დრო შეაფასებს, მკაცრი და სამართლიანი შემფასებელი...

არჩილ არენდაულის დღიური

მე და ჩემი მეგობარი, სამხედრო ექიმი ვასილი ვოლკოვი გუშინ გამოვეწერეთ. პოლონეთის პატარა ქალაქ ბიგდოშში, სანახევროდ დანგრეული ჰოსპიტლის ციცქნა პალატაში მთელი სამი თვე გვერდებს ვიზელდით. ორი თვის შვებულება შუბლზე რომ მიგვაწეპეს, ბერლინში გამგზავრება გადავწყვიტეთ.

მადლობა ღმერთს, ომი დამთავრდა... აღარ ისმოდა ქვემეხების გრუხუნი — ერთბაშად საოცარი სიჩუმე ჩამოწვა. ყველაფერი თვალსა და ხელს შუა შეიცვალა, და შევიცვალეთ ჩვენც — ადამიანები...

— არა, ახლა მომავალზე ვიფიქროთ! — წამოიძახა ვოლკოვმა და რატომღაც ჩემი კეპი ცაში აისროლა (მე სამხედრო ფორმა გავიხადე და სამოქალაქო ჩავიცვი, მაგრამ ვასილი ვერა და ვერ დავიყოლიე ჩემთვის მოებაძა).

— მომავალი მის ხელშია, ვინც მას ქმნის და აშენებს! — ღიმილით ვუთხარი მე.

— მართალი ხარ, არჩილ, მაგრამ მინდა... როგორ გითხრა... ნამდვილი ცხოვრებით ვიცხოვრო...

— ერთი ისიცა თქვი, ძვირფასო, რა არის ნამდვილი ცხოვრება?

— ამაზე ჯერჯერობით ვერ გიპასუხებ.

თვითმფრინავი დაბლა მიფრინავს. ისე დაბლა, თითქოსდა მფრინავს სურდეს ამოდენა ლაინერი ფრთებით შეახოს ტანაწვართულ ხეთა კენწეროებს. ქვემოთ მჭიდროდ დასახლებული გერმანიაა. მიწის ყოველი ნამცეცი დამუშავებულია, პატრონის გამრეკ ხელი ატყვია. ტყე და ტბები ჭადრაკის დაფის უჯრედებს წააგავს. თითქოს მკაცრ გერმანულ კანონს ცხოველებიც დამორჩილებიანო, ჩვენს ქვემოთ, საძოვრებზე შავ-თეთრად დაწინწკლული ძროხების

დიდი ჯოგი ძოვს. ისე ჰგვანან ერთმანეთს ეს ჯიშიანი ცხოველები, ტყუპის ცალები გეგონებათ.

ქვებისა და ღორღის ამ ნანგრევებს წინათ გერმანიის დედაქალაქი ერქვა. ახლა ძნელიც კია, ქალაქი უწოდო პირქუშ, სევდიან სასაფლაოს. საცოდავ, გულისგამაწვრილებელ ნანგრევებში აქა-იქ სახლების ნაცრისფერი ჩონჩხიც გამოჩნდება ხოლმე. დგას გამურული, უშველებელი კედლები და ასე გგონია, საცაა იბუვლებს, და ისიც ჩაიქცევა, მიწასთან გასწორდება. ბერლინი... აქ იქმნებოდა მსოფლიოს დაპყრობისა და დამონების ბოროტი გეგმები. რამდენი წელი გლოვობდა პარიზი, შიმშილი და ბლოკადა ახრჩობდა ლენინგრადს, ბოლოს, მოსკოვმა მაგრად ჩაუკეტა ფოლადის ჭიშკარი მეოცე საუკუნის ბარბაროსებს. ხოლო მტრების დაღუპვის მაცნე სტალინგრადი გახდა. ბერლინს უნდოდა დიდი და დიადი ქალაქების ბედ-იღბლის განმგებელი ყოფილიყო.

უძველეს ქალაქთა ნანგრევები მუდამ იწვევენ დიდ სულიერ აღელვებას, წუხილს წარსულზე, რადგანაც ჩვენ მხოლოდ ნანგრევებს ვხედავთ. აღტაცებულნი დავყურებთ რომის, ათენის სიძველეებს, რომელთა თითოეული ქვა მეტს ეუბნება ჩვენს გულს, ვიდრე ათასობით მათზე დაწერილი წიგნი. მაგრამ ბერლინის ნანგრევები სულ სხვა გრძნობებს აღგვიძრავს!

გერმანელებმა ოდესღაც ააშენეს ბიბლიოთეკა, ქალაქის ერთ-ერთი საუკეთესო არქიტექტურული ნაგებობა, ფაშისტებმა კი, იქ, სადაც ოდესღაც კაცობრიობის სულიერი საგანძური ინახებოდა, გესტაპო მოათავსეს...

თვითმფრინავი ქალაქიდან ოც კილომეტრზე, დალგოფის აეროდრომზე დაეშვა.

დაიწყო საბუთების შემოწმება. აღტაცებული შეხვედრები, ხმამაღალი შეძახილები, გამოკითხვები სამშობლოს, ახლობლების შესახებ, მოგონებები...

გრილა. ქარი წეწავს თეთრ თავსაფარს, თუჯის ჭაბუკის თეძოებზე რომ შემოუხვევიათ. ეს ათლეტის ქანდაკებაა, რომელიც ძალიან წააგავს ბუღას.

პირტიტველა წითელარმიელი გაოცებას გვატყობს და დარცხვენილი განმარტავს:

— ჩვენ შემოვახვიეთ ეს თავსაფარი. სანიტარიული ბატალიონის გოგოები დადიან აქ და უხერხულია.

პოლკოვნიკმა კარპენკომ თავისთან დაგვპატიჟა ოლიმპიშეს-დორფში. გზატკეცილს ხეები შემოსჯარვია, როგორც ძელურა მოკირწყლულ ხეივანს. აქაურობა სულ მწვანეშია ჩაფლული. საოკრად სუფთა გზებია. გზის პირას, აქა-იქ, დამსხვრეული მანქანა ან ტანკი გდია. გერმანელი ქალები და მოხუცები სტენდთან დამდგარან და გულდაგულ კითხულობენ სტალინის სიტყვებს: „ისტორიის გამოცდილება ცხადყოფს, რომ ჰიტლერელები მოდიან და მიდიან, გერმანელი ხალხი, გერმანიის სახელმწიფო კი რჩება“.

ნაღვლიანი, ფიქრიანი სახე აქვთ. მხრებზე ფერადი ზურგჩანთები მოუგდიათ. სადღაც ეშურებიან.

უმრავლესობას საბავშვო ეტლებიც მიჰყავს, ოღონდ ბავშვების ნაცვლად მათში ათასგვარი გადასაცვლელი ხარახურა ყრია. ახლა გერმანელის წარმოდგენაც კი ჭირს ასეთი ეტლის გარეშე. ახალგაზრდა მამაკაცები არ ჩანან. ხოლო თუ რომელიმე მაინც გამოჩნდა, ან თვალი აკლია, ან ხელი, ანდა ფეხი.

დაწალიკებით მიმავალი ადამიანები. მშვიდად და საქმიანად განაგრძობენ ისინი თავიანთ გზას ფაშისტური რეჟიმის დროს გამომუშავებული ჩვეულებისამებრ.

ჩვენმა მძღოლმა პაპიროსის ნამწვი გადააგდო. კარგად ჩაცმულმა გერმანელმა მაშინვე აიღო იგი.

ოლიმპიშეს-დორფი. ის 1936 წელს აშენდა მსოფლიო ოლიმპიური ასპარეზობებისათვის. ჰიტლერი მისი აშენებისას რომის იმპერატორებს ბაძავდა.

უდაბური, ჩრდილოვანი პარკი რამდენიმე კილომეტრზე გადაჭიმულა. ტანაწვართული ხეების ფოთლებზე დილის ნამი ბრწყინავს, ჰაერში ნორჩი, ხასხასა ბალახის სუნი ტრიალებს.

ცაცხვებქვეშ, მდელოებზე, ახალი საფლავები და თოკებით სახელდახელოდ შეკრული საცოდავი ჯვრები მოჩანს. მოპირდაპირე მხარეს კი ნგრევას გადარჩენილი ჰოსპიტალია. როგორც გვითხრეს, აქ გერმანელი ჯარისკაცები წვანან, ბერლინის უკანასკნელი დამცველები.

საავადმყოფოსთან ყავარჯნებზე შემდგარი ერთი გერმანელი ჯარისკაცი ჩვენსკენ ჯიქურ მოდის. ჩვენს წინ ჩერდება და მორცხვად პაპიროსს გვთხოვს.

-- გვებრძოდი? — ეკითხება კარპენკო და პაპიროსს უწვდის.

ჯარისკაცი გულმოდგინედ იფიცება, მთელი ომის განმავლობა-

ში უნგრეთში ვიმყოფებოდი, თოფი აღმოსავლეთისაკენ საერთოდ არც გამისვრიაო. ასე გამოდის, არც ერთ მათგანს არ უომია აღმოსავლეთის ფრონტზე. რას წარმოიდგენდა ჰიტლერი, რომ სულ რაღაც ცხრა წლის შემდეგ ამ ოლიმპიურ სოფელში საბჭოთა ოფიცრები იცხოვრებდნენ?

საღამოვდებოდა, როცა ქალაქში შევედით. ფართო გზის გასწვრივ ბებერი წაბლისა და ცაცხვის ხეები აღმართულან. ბომბებისაგან დანგრეული მონადირის სახლიც გამოჩნდა. იქვეა კაფეც. კაფეში მაგიდებსა და სკამებს შორის დამტვრეული კონტრაბასი გდია. წინ ექვსსართულიანი სახლის კედელი აჩაჩხულა, რომელსაც მთელ სიგანეზე გასდევს რეკლამა „ოსვალდი და კ°", — საუკეთესო ავეჯი შინ მიტანით". იწყება დიდი ბერლინი, უფრო სწორად ის, რასაც ოდესღაც ქალაქის გული ერქვა.

პირდაპირ, ქვის გალავანზე, გაუკრავთ უზარმაზარი ლოზუნგი: „კაპიტულაცია? — არასოდეს!" და იქვეა საბჭოთა სარდლობის გრძანება გერმანიის კაპიტულაციასთან დაკავშირებით.

ნანგრევები. მათი გროვის შუაში ნელა მიიზლაზნება შავი, ვიწრო, ბინძური მდინარე, რომელსაც ყველა ცნობარში შპრეეს სახელწოდებით იხსენიებენ.

ქალაქში ბინდი ჩამოწვა. ქარიც მოეშვა ბებერ ხეებს. ყოველივე ეს ქვებისა და აგურის ნამსხვრევებს შორისაა მოქცეული, მაინც სუფთა ქუჩები, სიჩუმე, გავერანება გვთრგუნავს ცივი სიპირქუშითა და ავბედითი დუმილით...

•

18. VI—1945 წ.

შარლოტენბურგის გზატკეცილის შუაში, ვარსკვლავის მოედანზე აღმართულა სამოცმეტრიანი გამარჯვების სვეტი. მდიდრული, მაგრამ საკმაოდ უგემოვნო ნაწარმოები.

მარცხენა მხარეს, რკინის კანცლერის ძეგლი დგას: „ბისმარკს მადლიერი გერმანელი ხალხისგან".

მოედანზე კი, სადაც ჯერ კიდევ გუშინ საზეიმო მარშით დააბიჯებდნენ მოელვარე კასკეტიანი „მსოფლიოს დამპყრობნი", გასავათებული ბერლინელი ძლივს მიათრევს ნაფოტებით დატვირთულ ურიკას. ერთ მოხუც ქალს ვეკითხებით: „გვითხარით, გეთაყვა, ბის-

მარკის ძეგლი, ეს სვეტი და გამარჯვების ხეივანი ადრე ხომ რეიჰ-სტაგის წინ იდგა?" ქალმა დანაოჭებული სახე მოიწმინდა და ძლივს დაიჩიფჩიფა: „ჰიტლერის განკარგულებით ოცდათექვსმეტ წელს ყოველივე ეს აქ გადმოიტანეს. მან ასე ინება". მძიმედ ამოიოხრა, კვლავ დაავლო ხელი ურიკას და სიბნელეს შეერია.

იქ, სადაც დიდებული ლიმუზინები დაქროდნენ და ადამიანს თვალს უბრმავებდა კაშკაშა სინათლე, სახლების უბადრუკი კედლებიღა აღმართულა. ნაცრისფერ მტვერში გდია რკინის ძალაყინი.

უნტერდენ-ლინდენის—განთქმული წაბლის ხეებისაგან უბადრუკი, დანახშირებული კუნძებიღა დარჩენილა. დამახინჯებული ბრანდებურგის ჭიშკარი შავი გუშაგივით დგას სასახლეებისა და მუზეუმების უზარმაზარი სასაფლაოს შესასვლელთან. ცოტა რამ გადარჩენილა ლანგჰასის ამ ნაგებობისაგან, ძლივს გასარჩევია გვიანი კლასიციზმის დეტალები. იგი ასორმოცდაათ წელზე ოდნავ მეტ ხანს იდგა...

ორი კარგად ჩაცმული გერმანელი ქალი (არა-არა, მათ არ დავიწყებიათ, რომ დღეს შაბათია!) ნაგავში იქექება ხელმწიფის სასახლის წინ, რომლის კარიბჭეს პეწს აძლევენ და ამშვენებენ კლოდტის ცხენები, ნიკოლოზ პირველმა ვილჰელმ IV რომ მიუძღვნა... ვიგონებთ გმირ ლენინგრადს, მის განუმეორებელ სასახლეებს, დიდებულ ნევას. აქ ყველაფერი სულ სხვანაირადაა. ქალაქში ქვა ქვაზე არ დარჩენილა; მარტო კლოდტის ცხენები დგანან ხელუხლებელნი გერმანიის დედაქალაქის ნანგრევებს შორის...

დილაა. ღამით ყინულღლავდა. ცა ლაჟვარდოვანია, კვირადღეა. გამვლელები სადღესასწაულოდ არიან მორთული. შავსათვალეებიან და ქოლგებიან გერმანელ ქალებს ვილჰელმის დროინდელი ვარცხნილობა ამშვენებთ. გერმანელ კაცებს თავზე მოძველებული, მაგრამ საოცრად სუფთა შლაპები ახურავთ. უნტერ-დენ ლინდერნზე დასეირნობენ ქალიშვილები იისფერი ტუჩებით (სიახლეა!), მოდური ვარცხნილობა ამშვენებთ და მამაკაცის შარვლები აცვიათ (აბა ხომ არ უნდა გადააგდონ ქმრების ტანსაცმელი!).

ბერლინის მკვიდრ ხანშიშესულ ინტელიგენტ ქალს გამოველაპარაკეთ. „უარესი გვეკუთვნის! — ამბობს იგი. — ყველანი თით-

ქოს გაგიჟდნენო, ბრმად ემორჩილებოდნენ იმ გადარეულს. ან ებრაელები რისთვის ამოელიტეს? აი მე, მაგალითად, როგორც ბევრ სხვას, შემომთავაზეს ჩეხოსლოვაკიაში დავსახლებულიყავი, მომცეს იქ მიწის ნაკვეთი, სახლი, ყველაფერი, რაც მეურნეობის გაძღოლისთვისაა საჭირო. მაგრამ მოვიდნენ ჩეხები და დავრჩი მიუსაფარი, უსახლკარო. არც ოჯახი მაქვს, არც ქმარი მყავს, არც შვილები, რაც მაცვია, იმის მეტი არაფერი მაბადია".

სხვანაირად მსჯელობდა ზარაფხანის მოხუცი ოსტატი. მას კოხტად ეცვა, ტრადიციული პენსნე, შავი ჰალსტუხი და გახამებული საყელო ჰქონდა, ხელჯოხის კაკუნით მშვიდად დააბიჯებდა გამარჯვების მოედანზე. მის გულგრილ გამოხედვაში დროდადრო, ალბათ, მისთვისაც მოულოდნელად გამოკრთოდა იდუმალი წუხილი და გულგატეხილობა, როცა გამოველაპარაკეთ, გრძნობებს ვერ მოეურია.

— ნეტა რას ფიქრობდა ჰიტლერი! კიუსტრინის დაცემისთანავე უნდა მოეხდინა კაპიტულაცია. გერმანელებს ყველაზე დიდი უბედურება მან დაატეხა თავს.

გაოცებული ვართ! რატომ აღუმართავთ ამდენი ძეგლი სამხედროებისათვის! სადღაა შილერის, ჰაინეს, გოეთეს ძეგლები... ჩვეხს თანამოსაუბრეს სახე მწარე ღიმილმა მოუღრიცა:

— ჰაინეს ქანდაკება ნამსხვრევებად აქციეს, მისი წიგნები კი, უნივერსიტეტის წინ დაწვეს. დიდი ჭირი გვჭირდა, გაცოფებული ბრბო მძვინვარებდა ქუჩებში. კოცონების გარშემო სტუდენტები ხმისჩახლეჩამდე გაიძახოდნენ: „ჰაილ, ჰიტლერ!"... წიგნები კი იწვოდა. ვინ იფიქრებდა, რომ ბერლინს სულ მალე სხვა ბედი ელოდა — ხანძრები, ნგრევა... ჩვენ ძალიან გვიჭირს. მაგრამ როგორი ასატანი უნდა ყოფილიყო ის მძიმე წლები, რასაც რუსეთმა გაუძლო. თუმცა ეს გასაგებიცაა. რუსები უფრო ფართოდ, ღრმად უყურებენ ცხოვრებას, ცდილობენ ჩასწვდნენ მის პერსპექტივას, ჩვენ კი უფრო შეზღუდული პერსპექტივა გვაქვს, მხოლოდ იმაზე ვფიქრობთ, თვითონ ვიცხოვროთ კარგად, კომფორტულად; ხელისუფლების სათავეში ფაშისტების ჩადგომის შემდეგ, ფიქრიც არ გვინდოდა, რომ არსებობენ სხვა ერები, სახელმწიფოები...

20. VI. 1945 წ.

თეატრალური მოედანი. საიმპერიო თეატრის ბრწყინვალე შენობა და სიმეტრიულად განლაგებული ეკლესიები შესანიშნავი არქიტექტურულ ანსამბლს ქმნიან. თუმცა ახლა ამ შენობებისაგან მხოლოდ კოლოფებიღა დარჩენილა, მაგრამ ქვის ენამ, რომელიც ხუროთმოძღვრის ნებასა და ხელოვნებას მორჩილდება, ამ ნანგრევებითაც მოგვაჯადოვა.

ვიღაც ორი კაცი ამასობაში ჩვენს „ლაიკას“ გულმოდგინედ ათვალიერებდნენ და მოწონების ნიშნად თავს იქნევდნენ. ფრიდრიხშტრასელი ფოტოგრაფები აღმოჩნდნენ. ტომრებით მიჰქონდათ შინ ნანგრევებში მოგროვილი ნაფოტები. მათ კიდევ ორი შეუერთდა — საბაყლო მაღაზიის ყოფილი მეპატრონეები, — ცოლ-ქმარი, ისინი ერთმანეთს არ აცლიან, რათა აგვიწერონ როგორ ანგრევდნენ ქალაქს ამერიკული ცეცხლგამჩენი ბომბები.

„ — მათ თავს ვერსად დააღწევდი. იანკები დღეში ორჯერ მოფრინავდნენ, მუდამ ერთსა და იმავე დროს. ინგლისელები მეტწილად ფუგასურ ბომბებს ყრიდნენ. მაგრამ წარმოიდგინეთ, პატარა „ცეცხლგამჩენებმა“ ბევრად უფრო დაგვაზარალეს“.

ეღალთმიანი გერმანელი ქალი წუწუნებს და პენსნედან გამომცდელად გვიყურებს.

— წარმოგიდგენიათ, ჩვენ გვაიძულებენ გავასუფთავოთ ქალაქი ამ ნანგრევებისაგან. სიამოვნებით გადავიდოდი რომელიმე პატარა ქალაქში, ვიცხოვრებდი იქ, ბუნების წიაღში. გვაკლია ცხიმი, კარაქი. გაჭირდა ცხოვრება! წარმოგიდგენიათ, ჩემს ქალიშვილს — ის კონსერვატორიაში სწავლობს, — საკრავი არ შერჩა, პიანინო დაბომბვის დროს დაიმსხვრა.

ჩვენ კი ბოლმით ვიგონებთ, რამდენ ხანს იძროდა მიწა კიევის მახლობლად, ფაშისტებმა ცოცხლად რომ დამარხეს უდანაშაულო ადამიანები; ვიგონებთ სულსახუთავებსა და სახრჩობელებს, დანგრეულ სასახლეებს, გაძარცულ ქალაქებს. ვიგონებთ დამშეულ ლენინგრადელებს, მილიონობით ჩვენს ადამიანებს, რომლებიც მონობისათვის გამორეკეს გერმანიაში.

21. VI. 1945 წ.

ერთბაშად ყურადღება იტალიისა და იაპონიის საელჩოებს ძივაქციეთ. საოცარია, — შენობები თითქმის გადარჩენილან. ამ ორი სასახლის ორიგინალური, ნატიფი არქიტექტურის ცქერით ვტკბებოდით, როცა ახლოს ორი იტალიელი გაჩერდა. ისინი მუსიკოსები აღმოჩნდნენ. აი უკვე მერამდენე წელიწადია აქაური ვარიეტეს ორკესტრში უკრავდნენ.

— რაიჰსკანცელარია თუ ნახეთ?.. ან ავიაციის სამინისტრო? — გვეკითხებიან ისინი, — აი ის ოქროცურვილი არწივებით დამშვენებული ნაცრისფერი შენობები. სწორედ ეს არის „ახალი გერმანიის“ არქიტექტურა. მათ არქიტექტურაშიც შეიტანეს უხეში და პირქუში სტილი. მადლობა ღმერთს, ყოველივე ამას ბოლო მოეღო. რუსებმა მოიგეთ ომი. თქვენ რომ არა, მსოფლიოს დიდხანს უნდა ეთმინა საზიზღარი ფაშიზმი.

ფრიდრიხშტრასე — ადრე ქალაქის საქმიანი და სავაჭრო ნაწილი. სამკილომეტრიან ქუჩაზე არც ერთი შენობა არ გადარჩენილა. მხოლოდ ერთ ადგილას ნანგრევებს შორის სასწაულად გადარჩენილა ერთადერთი ბინა მეორე სართულზე და შიგ ადამიანები ცხოვრობენ.

ბერლინი გრანდიოზულობის პრეტენზიით აშენდა. მაგრამ მდიდრული იერი დროდადრო პომპეზურობაში გადადის, რასაც კიდევ უფრო აღრმავებს ათასგვარი ფრიდრიხებისა და ვილჰელმების ძეგლები. ომის თემა არა მარტო ქანდაკებებშია ხორცშესხმული, არამედ არქიტექტურაშიც ბარაქიანად შეეწრილა. ქალაქის მძიმე, მედიდურ, პრეტენზიულ იერსახეში საუკეთესოდაა გადმოცემული ძველი პრუსიელების მტაცებლური, აგრესიული არსი.

გამარჯვების ძეგლის კენწეროზე ავდივართ. უზარმაზარი, დანგრეული ქალაქის საშინელი ხედი იშლება. ლაქვარდოვან ცაზე თეთრი ღრუბლები მიცურავენ. ცაში აჭრილა ვიქტორიას რვამეტრიანი ბრინჯაოს ფიგურა, რომელიც თითქოსდა თაეის სვეტს სულაც მოსწყვეტია: გამარჯვების მქროლავი ქალღმერთი ოქროსფრად იწვის ცისა და თეთრი ღრუბლების მომხიბვლელ ფონზე. ეს სვეტი გერმანელებმა მეცხრამეტე საუკუნის დამლევს აღმართეს საფრანგეთზე გამარჯვების აღსანიშნავად. ახლა კი იგი ორაზროვნად გამო-

იყურება. მასზე საფრანგეთის დროშა ფრიალებს და მწარე სარკაზმად ყღერს კვარცხლბეკზე გამოყვანილი წარწერა:

„ძლევამოსილ მხედრობას მადლიერი სამშობლოსაგან“.

ტირგარტენი ორას ორმოცდაათ ჰექტარზე გადაჭიმულა გამარჯვების ძეგლის ორივე მხარეს. ალბათ, ომის წინ ის ჯერ კიდევ ინარჩუნებდა ტყის იერსახეს. ახლა ხეები დანახშირებულია, დამსხვრეულა, წაქცეულა, ბევრი ფესვიანად ამოუგდიათ. ყოველ ნაბიჯზე ყრია ნახევრად დამწვარი ტანკები, ავტომანქანები, რომლებსაც ყანგის მუქი ლაქები ატყვია. წარსულში ტირგარტენი ბერლინელთა საყვარელი ადგილი ყოფილა. პარკში მხედართმთავართა უამრავი ძეგლი აღუმართავთ, მხოლოდ ერთ კუთხეში გადაუხვევიათ წესისაგან — აქ ბეთჰოვენის, მოცარტის, ჰაიდნის ძეგლები დგანან. სამი გენიოსი ერთ კვარცხლბეკზე მოთავსებულა. თითქოს მოქანდაკეს შეშინებია მუსიკის ღმერთებმა ზედმეტი ადგილი არ დაიკავონ ამ პარკ-ყაზარმაში.

გამარჯვების პარკი, რომელიც პრუსიელი და ბრანდერბურგელი დამპყრობლების ქანდაკებებს გაუვსია, — უგემოვნოდ, უნიჭოდ არის შექმნილი. ის ყველაზე მდარე ობივატელურ გემოვნებას თუ დააკმაყოფილებს. ხეივანში სეირნობისას განსაკუთრებული სიმძაფრით გესმის სახელწოდება „ტირგარტენის“ აზრი.

დღეს კვირადღეა და ყველგან განსაკუთრებით ბევრი „ექსკურსანტია“. ისმის გარმონის ხმა. წითელარმიელი რეიჰსტაგთან ხალისიანად მღერის „კატიუშას“ მარტივ მელოდიას. მებრძოლები აქ მთელი დღით მოსულან, თავიანთ საველე სამზარეულოთი, — უნდათ სამუდამოდ აღიბეჭდონ მეხსიერებაში რაიჰსტაგის დანახშირებული, გაშავებული კედლები, რომლებზეც აღმართულმა გამარჯვების დროშამ მსოფლიოს აუწყა ფაშიზმის დამარცხება. ისინი ამ კედლებთან სურათებს იღებენ შვილებისა და შვილიშვილებისათვის. რაიჰსტაგის კედლები ჩვენი მებრძოლებისა და მეთაურების გვარებითაა დაფარული. აქ ხომ სულ ახლახან ჰიტლერი და მისი ხროვა მსოფლიოს ბედ-იღბალს წყვეტდნენ. ახლა კი თავი მოუყრიათ ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხის წარმომადგენლებს. სწორეკ მათ უჩვენეს მთელ მსოფლიოს საბჭოთა იარაღის ძალა და მეომრული სიმამაცე...

შედარებისათვის ომამდელი ბერლინის ფოტოსურათებს ვათვალიერებთ. აქ იყო ქალაქის ყველაზე ბრწყინვალე ნაწილი. სტე-

რილური სისუფთავე რაღაც უსიამო განწყობილებას აღგვიძრავს. უამრავი შადრევანია და სარკესავით კამკამა ტბორი, ვაგზალი, სურნელოვანი ვარდების ბუჩქები. რაიხსტაგის მონუმენტური შენობა, თეატრები, ვაგზალი ხშირ ტყეშია ჩაფლული. ტირგარტენის განაპირას ბერლინელი მდიდრების დიდებული სახლები დგას. მათ კი გარს უვლის ვერცხლისფრად დაკლაკნილი მდინარე შპრეე. ახლა, როცა ვუყურებთ ქვისა და აგურის ნამსხვრევებს, დაბრეცილ რკინას, ნაგავს, ყანგისგან წაბლისფრადქცეულ დამსხვრეულ ტექნიკას და საცოდავ წაქცეულ ხეებს, რაიხსტაგის დანახშირებულ კედლებს, შპრეეში ჩაქცეულ ხიდებს, დანგრეულ ვაგზალსა და გადამწვარ სახლებს, ძნელი დასაჯერებელია, ნანგრევების ეს ხროვა ადრე ქალაქის იერსა და პეწს რომ ჰქმნიდა.

სასახლის ხიდით, რომელზეც მარმარილოს რვა ფიგურა აღმართულა, ხელმწიფის მოედანზე გავდივართ. აქ, გერმანელი პრინცებისა და მმართველების სამსახურად მთელი ბერძნული მითოლოგიისთვის მოუხმიათ.

ძველი და ახალი მუზეუმის მშვენიერი არქიტექტურული ანსამბლი და ეროვნული გალერეა; აქ ყველაფერი გადარჩენილია. დღესაც ახარებს თვალს კაულბახის შესანიშნავი მოხატულობა. ეროვნული გალერეის ფასადთან „მიჯაჭვული პრომეთესა“ და „ამურისა და ფსიქეას“ მარმარილოს ჩინებული ასლები. აქვეა გოეთეს წაქცეული ძეგლი, ტირგარტენიდან ფრთხილად რომ გადმოიტანეს მებრძოლებმა. მთელ ამ ფასეულობას იცავს გუშაგი, რომელიც შორეული ყაზახეთის მკვიდრია.

კარები აჭედილია. ეროვნულ გალერეაში ფანჯრიდან ძლივს შევედით. პირველ დარბაზში ინახებოდა მარმარილოს ორიგინალები და ასლები. მაგრამ ცენტრალური დარბაზის სახურავი ბომბს დაუნგრევია, ნანგრევებს ქვეშ ჩამარხულა შესანიშნავი ქანდაკებები და არქიტექტურის ქმნილებანი. ძლივს გადავძვერით ნანგრევებზე, რათა მომდევნო დარბაზში მოვხვედრილიყავით, მაგრამ იქ გალერეის დარაჯმა, მოხუცმა გერმანელმა და მისმა მეუღლემ, პუდელი მოგვისია.

ვეცადეთ განგვემარტა მათთვის, გალერეის დათვალიერება რომ გვინდოდა და მეტი არაფერი, ისედაც ხომ ცხადი იყო, როგორაც არ უნდა მოვვენდომებინა, ვერაფრით ვერ მოვახერხებდით უზარმაზარი მარმარილოს ფიგურების აქედან გატაცებას. მაინც კომენ-

დატურაში გვიკრეს თავი. საბჭოთა ოფიცერმა საქმის ვითარება რომ გაიგო, შენობის დათვალიერების ნება დაგვრთო. დარაჯი და მისი ცოლიც მაშინვე დაშოშმინდნენ, გაიღიმეს, ასე განსაჯეთ, ძალიც კი ხალისიანად მოჰყვა კუდის ქიცინს.

ხელმწიფის სასახლის მაღალი ჭიშკარი მორიგემ — იაროსლაველმა ჭორფლიანმა ჭაბუკმა გაგვიღო. ეზოში ბლომად ეყარა დამსხვრეული მანქანები, ტანკები, ქვემეხები, ტყვიამფრქვევები. შიგადაშიგ დაფხრეწილი მუნდირები, დამტვრეული კასკები, ფეხსაცმელები, გასისხლიანებული პერანგები, ბუმბულგამოყრილი ბალიშები... აქ გერმანელთა ჰოსპიტალი იყო. დაიწვა განთქმული მარმარილოს (სატახტო) დარბაზი, მუზეუმის ექსპონატები მიყრილ-მოყრილია. მაგიდაზე გდია ტყავის ძველი ჩანთა, მისგან მშვილდისრებს ამოუჩრიათ თავი. ასეთი მშვილდებით ძველი გერმანელები ისრებს უშენდნენ რომაელ მხატვართა ჩინებულ ქმნილებებს.

დანგრეულ ბერლინში ტრანსპორტი მაინც ახერხებს და ნორმალურად მუშაობს. მეტრო დიდ სიღრმეზე არ არის, მიწისქვეშა ტრანსპორტში თვალთან თითს ვერ მიიტან, ყველგან სინესტე და ტალახია. ბევრგან გვირაბები ბომბს დაუნგრევია და ახლა ბერლინელები მუშაობენ, რათა პირდაღებული ორმოები ამოავსონ.

ბევრ უბანზე მეტროს მატარებლები ესტაკადით მიემართებიან ღია ცის ქვეშ. გასვლისას უკანვე გამოგვართვეს ბილეთები: რამდენჯერმე ყიდიან, ქაღალდს ზოგავენ. ტრამვაის პატარა ყვითელი ვაგონები, უზარმაზარი-ორსართულიანი ავტობუსები ცოტაა და მეტროს მთელ სიგრძეზე როდი მუშაობენ — ასეა თუ ისეა, თავის საქმეს მაინც აკეთებენ.

შეყვარებულთა წყვილმა — რომლებიც ველოსიპედით მიდიოდნენ, — აგვიხსნეს, როგორ უნდა გვევლო თეატრ „რენესანსამდე". როგორ ჩანს, ცხოვრება მაინც თავისი გზით მიდის, სიყვარულს ნანგრევები სულაც არ უშლის ხელს. ქალაქის საზღვრებს მიღმა, ნახევრად დანგრეულ შენობაში რაღაც სასწაულით თეატრ „რენესანსის" მაყურებელთა დარბაზი და სცენა გადარჩენილა. უბილეთოდ შეგვიშვეს, თან ძალზე თავაზიანად და პარტერში დაგვსვეს, მიდიოდა სპექტაკლი „საბინიელ ქალთა მოტაცება". საზოგადოება ხარხარებდა, თუმცა სცენაზე მაინცდამაინც არაფერი ხდებოდა სასაცილო. სპექტაკლს სულაც არ ეტყობოდა რეჟისორის ხელი.

ყველაფერი ძველმოდურად გაბრიყურებოდა, მაგრამ „სახიობებ“ კარგად თამაშობდნენ.

•

22. VI. 1945 წ.

გამვლელს უნებურად აჩერებს ჭრელა-ჭრელა, ექვრალა რეკ-ლამა:

„ყურადღება! გაიხსნა ვარიეტე „ფემინა“. უკრავს საუკეთესო იტალიური ჯაზი! დამსწრეებს მოემსახურება სამოცი ლამაზმანი! ცეკვები! შესვლა ნებადართულია მხოლოდ მოკავშირეთა არმიების ოფიცრებისათვის!“

— რას იტყვი, „ფემინაზე“ ხომ არ წავსულიყავით? — ვეკითხები მეგობარს.

— რა თქმა უნდა, თვალი მაინც შევავლოთ სამოცი ლამაზმანს! — ამბობს ვოლკოვი.

ფრიდრიხშტრასეს მახლობლად, ვიწრო ქუჩაზე, მოთავსებულია ამჟამად ბერლინში ერთადერთი, სახელდახელოდ შეკეთებული კაფე. შესასვლელთან სხვადასხვა მარკის უამრავი ავტომანქანა დგას, მაგრამ მაინც ყველაზე მეტი სამხედრო „ვილისია“. ჩვენი „ოპელ-კაპიტანიც“ იქვე დავაყენეთ, მანქანიდან გადმოვედით და ის იყო კარს მივუახლოვდით, რომ თვალი ცინცხალ, სულ ახალთ-ახალ ლიმუზინისაკენ გაგვექცა. მანქანა იქვე გვერდით მკვეთრად დამუხრუჭდა, ლიმუზინის კარი გაიღო და იქიდან ლამაზი ქალიშვილი და ტანადი ვაჟკაცი გადმოვიდა, რომელსაც კარგად შეკერილი ნაცრისფერი კოსტიუმი ეცვა.

ქალიშვილმა თვალი მომტაცა. მომეჩვენა, თითქოს მისი სახე მუდამ თან მდევდა — ბავშვობიდან ახლოს ვიცნობდი და არც ერთ-ხელ გავშორებივართ ერთმანეთს. ის დილის მზესავით მშვენიერი იყო, კაბაც კარგი ეცვა — შოტლანდიური ქსოვილისგან სპორტულად შეკერილი.

ღიმილით სახეგაბადრულები ნელა შევიდნენ კაფეში. ვერაფერს იტყოდი, ღირსეული წყვილი იყო.

ქანდაკებასავით გაშეშებული ვიდექი, სანამ ვოლკოვის მბიარულმა ხმამ არ გამომაფხიზლა:

— რა იყო, ბიჭუნი, სიყვარულის ცეცხლი ხომ არ მოგედო? თანაც ვისი...

— ჩვენები არიან, ვასია!

— საიდან იცი?

— მომკალი, თუ ასე არ იყოს. არა, უნდა გავიცნო, წავიდეთ!

და აი კაფეში ვართ. ლამაზმანი აქ სწორედ სამოცია! ვარიეტე'ს მთავარი მისატყუარი — ყოფილი მოცეკვავეები, კინომსახიობები, მომღერლები, მანეკენები, კაფე-შანტანის ქალიშვილები; გაჭირვებამ გამოიყვანა ისინი სარდაფებიდან და ნანგრევებიდან. ზოგი დახლთან დგას, სხვები წყლის ჩამორიგებით არიან გართული, ზოგი ზის და თავისი ლაპარაკით ართობს სტუმრებს, ზოგიც ცეკვავს...

უკრავს იტალიური ჯაზი. სტუმრებს წინ მჟავე ლუდით სავსე ჭიქები უდგათ. ათ კვადრატულ მეტრ ფართობზე თხუთმეტამდე წყვილი ახერხებს ცეკვას. ხანშიშესული, ხმელ-ხმელი ფრაუ აცხადებს, რომ საბჭოთა ოფიცრებისთვის მოეწყობა დივერტისმენტი. ვი რომ ეს დივერტისმენტი მეტად უბადრუკი სანახაობაა, თუმცა საზოგადოება აღტაცებულია. ათი წლის გოგონა, რომელსაც მსუბუქი კვართი აცვია, უშნოდ ცეკვავს შოპენის ვალსს. ჩასუქებული, თითქმის შიშველი მოცეკვავე ქალი ჭიქით ხელში რაღაცის გამოხატვას აპირებს — ეტყობა, ეს გამარჯვების ცეკვაა. ფინალში კი სიურპრიზი: „რუსული ცეკვები", თუმცა მათთვის ისეთივე წარმატებით შეიძლებოდა ზანზიბარული ეწოდებინათ. აბა როგორ არ დაგწყდება გული!

და უეცრად ვპოულობ მას, ვისაც ვეძებდი. გული კვლავ სიხარულით მევსება. ჩემი მღელვარება ვოლკოვს შეუმჩნეველი არ დარჩენია.

— მომისმინეთ, არჩილ, ჩურჩულით მეუბნება, — საცეკვაოდ დაპატიჟე — საუკეთესო საშუალებაა გაცნობისათვის.

— მერე, შენ არ გეწყინება, მარტო რომ დაგტოვო?

— მე რა, ქალიშვილი ხომ არა ვარ? შევხედავ, როგორი წყვილი ხართ?

მე გაუბედავად ავდექი, მღელვარებას ძლივს ვიკავებდი. მთელი დარბაზი ნერვულად გავიარე. ქალიშვილი და მისი თანამგზავრი გვერდიგვერდ ისხდნენ და ჩალის ღეროთი მაღალი ჭიქებიდან რაღაც კოკტეილის მაგვარს წრუპავდნენ.

— ნება მიბოძეთ, — გაუბედავად მივმართე ქალიშვილს და გავწითლდი. — ნება მიბოძეთ საცეკვაოდ გაგიწვიოთ.

მან ღიმილით შემომხედა. მე იგივე ახლა გერმანულად გავუმეორე.

— ნებართვა კავალერს სთხოვეთ, — სუფთა გერმანულ ენაზე მიპასუხა.

— რა საჭიროა ამდენი თავპატიჟი, — რუსულად წარმოთქვა ყმაწვილმა, — განა ვერ ხედავ? ჩვენიანია.

— რა ვიცი, იქნებ იტალიელია ან უნგრელი, — გერმანულად უპასუხა ქალიშვილმა.

— სანაძლეოს ჩამოვდივარ, კავკასიელია, ქართველს ჰგავს, ხომ ასეა, ამხანაგო? — მომმართა მან.

— მართალი ბრძანდებით... ნება მიბოძეთ, გაგეცნოთ, არჩილ არენდაული საინჟინრო ჯარების მაიორი.

— ავიაციის პოლკოვნიკი ჩერნოვი, — იგი წამოდგა და ხელი გამომიწოდა.

ვცეკვავდით ძალდაუტანებლად და მსუბუქად, ასე მეგონა, ჩემი სამშობლოს საუკეთესო სიმღერას ვისმენ-მეთქი. ვგრძნობდი, რომ გვიყურებდნენ. ზოგჯერ გამოჩნდებოდა ჩერნოვის ცნობისმოყვარე მზერა, ანდა კიდევ ვოლკოვის ღიმილდაფენილი სახე.

— მაშ უცხოელი გეგონეთ?

— სრულებითაც არა. გულმა მაშინვე მიგრძნო, რომ მოსკოვიდან იყავით ჩამოსული, თანაც შესასვლელთან სამედიცინო სამსახურის მაიორთან ერთად იდექით.

აი თურმე რა, მასაც შევუნიშნივარ, მაგრამ არ კი იმჩნევდა...

— დინა... ჩერნოვა ბრძანდებით? — ვკითხე და სანამ მიპასუხებდა, მეგონა სადაცაა გული ბუდიდან ამომივარდება-მეთქი.

— არა, მე სეროვა ვარ! — მიპასუხა მან.

— თქვენი თანამგზავრი ვინღაა?

— რა ცნობისმოყვარე ხართ... ეს კარგს არაფერს მოგიტანთ.

— ძალიან მომწონხართ, დინა... მართალი გითხრათ, არავინ არასდროს ასე ახლოს არ მოსულა ჩემს გულთან.

ქალიშვილი დუმდა.

— ვიყოთ მეგობრები, კარგი?.. ხვალ პოტსდამში მივემგზავრე-

ბით. იქნებ თქვენც წამოსულიყავით? — მან ლამაზი ტუნები გაბსნა და მარმარილოსებური კბილები გამოაჩინა.

— დიდი სიამოვნებით.

პოტსდამი ქალაქიდან ოცდახუთ კილომეტრზეა, მაგრამ მოკავშირეთა ავიაციას იქაც კარგად უმუშავია. ხელმწიფის საზაფხულო რეზიდენცია ნანგრევებადაა ქცეული, პოტსდამის საუკეთესო პარკში აღმართული შენობებიც ბომბებს დაუზიანებია, მარტო სან-სუსის სასახლე დგას ხელუხლებელი, მაგრამ ყველა ეს უზარმაზარი შენობა ვერა და ვერ შეედრება პეტერგოფის სასახლეებს. ვერც პავლეს სასახლეს გატჩინაში, ფაშისტებმა რომ დაანგრიეს. წმინდა ნიკოლოზის ეკლესიას ვეწვიეთ, სადაც ჰინდენბურგმა ხელისუფლება ჰეროსტატეს დიდებით თავბრუდასვეულ ჰიტლერს გადასცა.

ვერ იქნა და ვერ მოვახერხე დინასთან მარტო დავრჩენილიყავი, გამოვლაპარაკებოდი. ჩერნოვი კი შესანიშნავი ახალგაზრდა გამოდგა — ძალიან დავმეგობრდით, ბევრი რამ აღმოგვაჩნდა საერთო.

ოლიმპიშეს-დორფში კარპენკოსთან საღილი, საუკეთესო ფრანგული ღვინოები და ფრენბურთის მოედანი გველოდებოდა. დინა გამოცდილი სპორტსმენივით თამაშობდა. გამოთხოვებისას დინას და ჩერნოვს შევუთანხმდი, რომ დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ ერთმანეთს პრაღაში შევხვდებოდით.

25. VI. 1945 წ.

გაზეთში ვკითხულობთ განცხადებას: ხანშიშესული გერმანელი ქალი ქუჩაში გარდაიცვალა. ეძებენ ნათესავებს. მაგრამ ეს. განცხადება სულ გადაგვავიწყდა, როცა ქალაქიდან გასვლისას საკონცენტრაციო ბანაკი შევნიშნეთ. ნაცრისფერ, პირქუშ ყაზარმებს 7 შწკრივად აქვს შემოვლებული მავთულხლართები, ამ ცოდვილ მიწაზე ათასობით ადამიანი იტანჯებოდა და იხოცებოდა. გაჩაღებული იყო მონებით ვაჭრობა და ათასიდან ერთს იქნებ მოეხერხებინა გაქცევა, გადარჩენა. ახლა კი, რაღაც იღბლად ცოცხლად დარჩენილები, შინ ბრუნდებიან.

მაგრამ ჩვენ ვნახეთ სხვა ადამიანებიც — ისინი დაწალიკებულნი უხმოდ მიაბიჯებდნენ თავჩაღუნულნი. რცხვენოდათ თავიანთი სულ-

მოკლეობისა, ეშინოდათ... ეს ისინი იყვნენ, ვინც სამშობლოს უღალატა.

ავტოსტრადა ბერლინ-დრეზდენი ფართო, ლარიფით სწორად გადაჭიმულა ტყეებსა და მდინარეებს შორის. მეტწილად დასახლებული პუნქტებიდან მოშორებით მიემართება. ამიტომაც მასზე მგზავრობა ცოტა არ იყოს მოსაწყენია, მაგრამ თვით გზატკეცილი საინჟინრო ხელოვნების შედეგია. შუა ავტოსტრადაზე ხეები აღმართულან, ხოლო ორივე მხარეს — ფართო უზადოდ მოასფალტებული გზა.

ბუნება ამ აღგილებში მეტად ერთფეროვანია. გერმანული ლანდშაფტი არ არის მოკლებული თავისებურებას, მშვიდ სილამაზეს: წიწვიანი ტყეები, გუბეები, ტბები, არხები, თუმცა მიწის ყოველი ვარგისი ნაკვეთი დამუშავებულია, მაგრამ, ყველაფერზე ეტყობა, რომ აქაური მიწები მწირია. გზაზე კვლავ გვხვდებიან ოთხთვალაში შებმული გერმანელები. ზურგჩანთებიანი მოხუცები, დაღლილი ქალები, მშვიდად რომ მიაგორებენ საბავშვო ეტლებს, ქალიშვილები ველოსიპედებით მიდიან. კოსტად აცვიათ, მაგრამ ნაღვლიანი და სასოწარკვეთილი სახე აქვთ. ბერლინისკენ მიიჩქარიან, ადამიანთა კოლონას ბოლო არ უჩანს! თითქოს მთელი გერმანია აყრილა და ძნელ გზას დასდგომია. ზოგი ფეხით მიჩლახუნებს, ზოგიც ბორბლებზე შემდგარა. ყოველივე ეს ხალხთა დიდ გადასახლებას წააგავს.

გზატკეცილის განაპირას დიდძალი დამსხვრეული სამხედრო ტექნიკა ყრია. დაბრეცილი ქვემეხები, ტანკები, თვითმფრინავები. რკინის სასაფლაო კილომეტრობით გზაზეა გადაჭიმული. ჩანს, აქ გაცხარებული ბრძოლები ყოფილა.

სამხედრო ტექნიკის სასაფლაო დამთავრდა თუ არა, გზაზე ქვეითთა უსასრულო მწკრივი გამოჩნდა. ესენი ტყვედ წაყვანილი საბჭოთა ადამიანები არიან, რომლებიც ახლა გადასაგზავნ პუნქტებისაკენ მიემართებიან. სამშობლოში უნდა დაბრუნდნენ. ახალგაზრდები არიან. კიეველები, ხარკოვისა და ოდესის ოლქელი, ბელორუსი და ბალტიისპირელი, ჩრდილოეთ კავკასიელი, ლენინგრადის ოლქელი და ყირიმელი ქალიშვილები და ჭაბუკები... რა არ ნახეს მათ, რა არ გამოსცადეს! ან, ვინ იცის, შინ რა დახვდებათ: იქნებ გადაბუგული სახლი ელოდებათ. გერმანელების მიერ წამებით მოკ-

ლული დედ-მამის საფლავი. მაინც მხიარული, ბედნიერი თვალებით მოგვაცილებენ, თავსაფრებს, ცხვირსახოცებს გვიქნევენ.

დაბა ლუკაუსთან გზატკეცილიდან გადავუხვიეთ, ჩემს თბილისელ მეგობართან — პოლკოვნიკ სერგო კაირაზიანთან წავედით სტუმრად.

ჩვენს წინაშე გადაიშალა ტიპიური გერმანული სოფელი, ერთფეროვანი პატარა მაღალსახურაციანი კოტეჯები. რომანულ სტილში ნაგები ეკლესია, გავერანებული ტბორი, ბაღი, სიმწვანეში ჩაფლული სახლები,—ნამდვილი საშობაო სურათის ხედია.

მე და პოლკოვნიკმა ძალიან გავიხარეთ ერთმანეთის ნახვით. მან ომის მთელი ჯოჯოხეთი გამოიარა. მკერდს საბჭოთა ორდენების გარდა საზღვარგარეთული ჯილდოებიც უმშვენებს. საუბარი თბილისიდან ჩვენამდე მოღწეულმა რადიოგადაცემამ გაგვაწყვეტინა. მღეროდა მარო თარხნიშვილის გუნდი. გრძნობა მოგვერია, სტუმარიცა და მასპინძელიც, ორივენი ავტირდით.

პოლკოვნიკმა დაწვრილებით გვიამბო თუ რა დიდი მსხვერპლი გაიღეს მისი ნაწილის მებრძოლებმა და ოფიცრებმა დღეს ესოდენ მშვიდ დაბა ლუკაუმდე რომ მოეღწიათ. მეომრები ხანგრძლივად იწვნენ წყლით სავსე სანგრებში ფაშისტების გრიგალისებური ცეცხლის ქვეშ. ჰქონდათ ერთადერთი მიზანი, რაც შეიძლება მალე დაედგათ ფეხი მტრის მიწაზე, მის ბუნაგშივე გაენადგურებინათ ფაშიზმი.

დილით ლუკაუ დავტოვეთ.

27. VI. 1945.

დრეზდენი ერთ ღამეში დაანგრიეს ამერიკის ბომბდამშენებმა, იმ დროს როცა საბჭოთა არმია ქალაქის კარიბჭესთან იდგა. ამბობენ, ორასორმოცდაათი ათასი მშვიდობიანი მცხოვრები ემსხვერპლაო იმ ღამეს.

ელბის პირას მდებარე საქსონიის დედაქალაქს სამართლიანად უწოდებდნენ გერმანიის ფლორენციას. ის დამანგრეველი დაბომბვის შემდეგაც გვატყვევებს თავისი დიდებული გუმბათებითა და კოშკებით. აქ ბუნება და ადამიანი გაჯიბრებიან ერთმანეთს. არქიტექტორებს მოუხერხებიათ შენობათა ჰარმონიული შერწყმა ბუნებასთან. წყალს, მწვანე მცენარეულობასა და მთებს შორის აღ-

მართულან ადამიანის გენიის შესანიშნავი ქმნილებანი. უყურებ მათ და გრძნობ, რომ სიტყვები აქ უძლურია. ხელოვნების ამ ტაძარში, ხელმწიფის სასახლის ნანგრევებზე ჯერაც მოუხსნელ წყეკლასავით კიდია ვეებერთელა ტილო წარწერით: „ამისათვის მადლობას ვუხდით ჰიტლერს!“.

არა, ტყუილად როდი იზიდავდა დრეზდენი უამრავ მოგზაურს. მსოფლიოს ყველა კუთხიდან: მუსიკის, ფერწერის, არქიტექტურის მოყვარულთ, თავაწყვეტილი მხიარულობისა და წყნარი განმარტოების თაყვანისმცემლებს. მისი ტყეები და სასახლეები, ბაღები და მუზეუმები, საგარეუბნო ველები, ფუნიკულიორები, მისი სასწავლებლები და ბანკები, უნივერსიტეტები და ფაბრიკები, სამხატვრო აკადემიები და პირველხარისხოვანი ვაგზლები, ქუჩები, პარკები და ტბები — ყოველივე ოდითგან იზიდავდა ადამიანს.

ციცაბო ნაპირზე მწვანე მცენარეულობაში და ბაღებში ჩაფლული ვილებისა და სასტუმროების გრძელი რიგია. მოვედით პილაუს გარეუბანში და მაშინვე თვალში გვეცა მდიდრული საცურაო აუზი, რამდენიმე ფუნიკულორი, მოკირწყლული ქუჩები, ბაღნარები. კომფორტის სურვილისა და შრომისმოყვარეობის დიდი ენის გვერდით აშკარად იგრძნობა სიძულვილისა და ნგრევის ბარბაროსული სულისკვეთება! ზოგჯერ გერმანელის უსულგულო შრომისმოყვარეობა თხუნელას შრომას გვაგონებს.

ცოტაა მიწა, მაგრამ ქალაქის ტყეში არც ერთი ხე არ მოუჭრიათ, სამაგიეროდ თითქმის ყველა სახლის სახურავზე ბოსტანია გამართული.

სასწაულით გადარჩენილ მაღაზიას წავაწყდით. აქ დიდებულ რეკლამას უკეთებენ წებოს: „აწებებს ყველაფერს, მათ შორის დამსხვრეულ გულებსაც“. კაცმა რომ თქვას, დამსხვრეული გულების დაწებება უფრო ადვილია, ვიდრე სიცოცხლის აღდგენა დრეზდენის ისტორიულ ცენტრში — ალტშტადში. აქ ყველაფერი დაუნგრევიათ და მხოლოდ ქვის გამძლეობისა და სიმკვიდრის, აგრეთვე მშენებელთა ოსტატობის შედეგად შემორჩენილა ტაძრების, მუზეუმებისა და სასახლეების ნამუსრევი, რომლებიც მაინც მშვენიერნი არიან.

მკვიდრი თეატრალური მოედანი ძილის სამეფოს მოგაგონებთ.

თითქოსდა სიცოცხლე აქ ყოველთვის ჩამკვდარი ყოფილიყოს. მაგრამ საკმარისია ოდნავ დაძაბოთ წარმოსახვის გრძნობა და თვალწინ წარმოგიდგებათ ნათელი სურათი: აი ოპერის თეატრი, ერთ-ერთი საუკეთესო თეატრალური შენობა მსოფლიოში, აქ ყოველთვის უკრავდნენ საუკეთესო ორკესტრები, დირიჟორობდნენ მსოფლიო სახელის მქონე ოსტატები. იქვე სასტუმროა — აქ ჩერდებოდნენ მსოფლიოს ყველა კუთხიდან ჩამოსული უსაქმურები და რანტიები, მეცნიერები და ხელოვნების წარმომადგენლები, სტუდენტები, რომლებიც უკანასკნელ ფულს არ იშურებდნენ, და მსუბუქ გართობათა მოყვარულნი. ჩამოდიოდნენ, რათა დაესვენათ, მოესმინათ სახელგანთქმული მუსიკოსებისა და მომღერლებისათვის, ეხილაო ფერწერის, ქანდაკების უკვდავი ქმნილებანი. შეეძინათ ცოდნა და გამოცდილება მეცნიერებისა და მხატვრული ხელობის ნებისმიერ დარგში. ჩაწვდომოდნენ ქვის ცოცხალ ენასა და არქიტექტურის ჭეშმარიტ ვირტუოზულობას.

იქვე მდინარის ზემოო იტალიური ტავერნაა. ოპერის პირდაპირ არქიტექტორ კიავერის მდიდრული ნაგებობა — კარის კათოლიკური ორჩხომლიანი ეკლესია დგას, თვალისმომჭრელად ელვარე, ცოცხალი. ოდნავ მოშორებით ხელმწიფის ციხე-სასახლე, რომლის არქიტექტურული სტილის კრედოა ყოველგვარი სტილის უარყოფა.

მოშორებით ელბას გადმოსცქერის ცაცხვებისა და წაბლის ხეების სიმწვანეში ჩაფლული ბრიულევის განთქმული ტერასა. მასზე აღმართულია სამხატვრო აკადემია, კარის თეატრი და მუზეუმი. ბოლოს — ხუროთმოძღვრული ხელოვნების შედევრი — ცვინგერი, გვიანი ბაროკოს სტილში ნაგები მხატვრული ანსამბლი, რომელიც 1711—1722 წელს აუშენებია არქიტექტორ პოპელმანს. სხვათა შორის, ბევრმა დრეზდენელმა ვერ შეძლო ცვინგერის გზა სწორად ეჩვენებინა ჩვენთვის.

28. VI. 1945.

ცვინგერის უყურებ ხელოვნების ამ უკვდავ ქმნილებას და გესმის, რას ნიშნავს სტილის სრულყოფილება. რაოდენ მკაფიოა მისი დაგეგმარება, პროპორციისა და სკულპტურული სინატიფე! არქიტექტურა აქ განასახიერებს კრისტალურად სუფთა სიხარულს,

თვითა ცხოვრების ჰარმონიას, ხელოვნებრივ გენიას ერთ მთლიანობად უქცევია შენობა და ლანდშაფტი.

ჩუქურთმიანი მოხატულობა გვაოცებს თავისი სიმსუბუქით, სიკისკასითა და დინამიკით. სრულიად გავიწყდება, რომ შენს წინაშეა ნაცრისფერი ქვა, ასე გგონია, თითქოს სასახლე ცოცხლობს, სულდგმულობს. ცვინგერის პატარა ტბორებს ფორი გადაკვრია, ციცხლსა და შვარტლს გაუშავებია კარიატიდები, ფავნები, ღმერთქალები, მაგრამ მათეუს პიოპელმანის უკვდავქმნილებას მაინც ეტყობა სილამაზე და ჰარმონია. გულსა გვტკენს სასიკვდილოდ დაჭრილი ქვის საოცრება, ის ხომ მთელი ადამიანთა მოდგმის საკუთრებაა! თუ არა კულტურამ, ხელოვნებამ, მაშ რამ გამოიყვანა ადამიანი პირველყოფილი წყვდიადიდან?

ცვინგერში მოთავსებული იყო მსოფლიო მნიშვნელობის მუზეუმები. ერთ-ერთი მათგანი ლრეზდენის სახელგანთქმული გალერეაა, რომელიც სამართლიანად ითვლებოდა ერთ-ერთ უმდიდრესად ევროპაში. აქ გამოფენილი გახლდათ სახელგანთქმული იტალიელი, ფლამანდიელი, გერმანელი ოსტატების სურათები. საკმარისია გავიხსენოთ თუნდაც ტიციანი, ჰოლბეინი, რემბრანდტი, დიურერი.. აქ შორეული ქვეყნებიდანაც კი ჩამოდიოდნენ ადამიანები, რათა დამტკბარიყვნენ რაფაელის გენიალური ქმნილების „სიქსტის მადონას“ ცქერით.

ბრიულევის ტერასიდან ელბის შესანიშნავი ხედი იშლება. მდინარე მდოვრედ მოედინება, ოღონდ წყალი გაშავებია. შუა მდინარეში აჩოჩხილან მეჩეჩებზე გაჩხირული გემები და ბარჟები. მაინც ვიბანავეთ. შემღეგ ბაიდარით გავისეირნეთ, რომელიც ლუგელმა წიოელარმიელმა გვათხოვა. ოთხი წელი არ ყოფილა შინ და ბავშვივით გაახარა ჩვენთან შეხვედრამ. ვიგონებთ ლენინგრადს, ძველ ლუგას.

ტერასაზე ჩვენს გვერდით იდგა, ასე, ოცდათხუთმეტი წლის გერმანელი ქალი. ისიც ელბას გადასცქეროდა. გამოველაპარაკეთ, როცა გაიგო საბჭოელები ვიყავით, გამხდარი სახე მოეღრიცა, სიძულვილმა ბოროტად აუელვარა თვალები.

მე გულზე ცეცხლი მომედო. თავი ვეღარ შევიკავე.

— აი, დატკბით თქვენი ნამოქმედარით,—ვთქვი მე.—თქვენ მსოფლიოს მარტო ნგრევა და უბედურება მოუტანეთ. არც საკუთარი შეიცოდეთ და არც სხვისი.

გააფთრდა და გაცოფდა, თავი ასწია:

— გაჩუმდით, ცრუობთ! ჩვენ, გერმანელები, მხოლოდ თავს ვიცავდით, არავისაც არ დავსხმივართ. ეს თქვენი პროპაგანდის მონაჩმახია. გერმანელები სხვა ერებზე მაღლა ვდგევართ და ყველა შურით გვიყურებდა...

— სხვა ერებზე მაღლა დგეხართ! ხედავთ, როგორ მსჯელობთ!.. ჰოდა, მიიღეთ კიდეც, რაც დაიმსახურეთ. მაინც საიდან გაქვთ ეს რწმენა. თუნდაც, ვთქვათ, ფრანგები რითი არიან თქვენზე ნაკლები?..

— ფრანგები?! ჰო, რა თქმა უნდა, თქვენ ის გაძვალტყავებული ქარიხვეტიები — ფრანგი ქალები მოგწონთ. ჭირივით მძულს ფრანგები და ინგლისელები.

— საკმაოდ გაბედულად გამოთქვამთ აზრებს.

— შეგიძლიათ დამაპატიმროთ! სულ ერთია, როგორც კი გაზს გაუშვებენ, მაშინვე თავს მოვიწამლავ. არ შემიძლია, არ მსურს ვიცოცხლო.

— მაშინ გაზს რაღას ელოდებით?

— ასე უფრო მოხერხებულია.

საოცარია, მას სიკვდილისთვისაც მოხერხებულობა და მყუდროება ესაჭიროება! ამასობაში სულ აიწყვიტა:

— ამ ნანგრევებს არასოდეს არ ვაპატიებთ არც ინგლისელებს, არც ამერიკელებს.

— რას ამბობთ! განა თქვენ არ დაიწყეთ სხვისი ქალაქების ნგრევა, სხვისი ქვეყნების დაპყრობა?!

— ჩვენ ერთი შეცდომა დავუშვით მხოლოდ: აღმოსავლეთისკენ კი არ უნდა აგვეღო გეზი, ინგლისი დაგვეპყრო. ჰიტლერი შეცდა.

— ინგლისი დაგეპყროთ, რათა შემდეგ უფრო ადვილი ყოფილიყო ჩვენი განადგურება?

— სულ ასე არ არის, მაგრამ თვითონ ხედავთ, რა ვიწროდ ვართ, მიწა არ გვყოფნის, თქვენ კი მეტიც გაქვთ. მიწის გამოყენება კი თქვენზე უკეთ შეგვიძლია. ცხოვრებისაც მეტი გაგვეგება...

ხელჩანთიდან ფოტოსურათებს იღებს და გვიჩვენებს:

— ეს ჩემი ქმარია. ახლა თქვენთანაა ტყვედ. აი ასე ვცხოვრობდით.

ფოტოსურათზე გამოსახულია ტიპიური ესესელი: მკაცრი, მშრალი სახე, პენსნეს მინის მიღმა წვრილი ბოროტი თვალები. აი,

ორივენი ისვენებენ ბავიანთ ვილაში, ქალს ბიბინო დაუსვამს ხელზე. თითქოს ჩაგვესმის, როგორ ლაპარაკობენ „ახალ გერმანიაზე“ და მომავალ მამულებზე, რომლებიც რეიხის „ახალ ტერიტორიებზე“ უნდა მიიღონ.

ტერასა გულდამძიმებულებმა დავტოვეთ. ხელოვნების ტაძარი — დრეზდენიც წამით თითქოს გაუფერულდა ჩვენთვის.

30. VI. 1945.

დღეს დრეზდენიც დავტოვეთ. ქუჩებში გამოჩნდა ვეებერთელა ლოზუნგები — გერმანიის კომუნისტური პარტიის მოწოდება: „რა ვქნათ? სულით დავეცეთ? არა! ვიმუშაოთ!“

დანგრეული სახლის ფანჯრის მიღმა ქარი აქანავებდა ქალიშვილის პორტრეტს...

2. VII. 45.

ვოლკოვს ჩაეძინა. მონოტონური ლანდშაფტი მაგონებდა პოტსდამის ვეებერთელა, მყუდროებას მოკლებულ სასახლეებს; ძველი ბერძნები მასზე იტყოდნენ: მხატვარმა ვერ შეძლო ლამაზად აეშენებინა, ამიტომაც მდიდრულად ააშენაო. კაცმა რომ თქვას, სან-სუსისაც არ მოუხდენია ჩემზე ის შთაბეჭდილება, რომელსაც მოველოდი.

ვასილის მაგალითს რომ არ მივბაძო, ეშლი ფრანგულ გაზეთს, რომელიც დააარსეს ჟაკ დეკურმა (გერმანელებმა დახვრიტეს) და ჟანსი პოლანმა, გაზეთი პროგრესული მიმართულებისაა, კიდევ იმიტომ მომწონს, რომ მასში არა მარტო ლიტერატურის საკითხები შუქდება, არამედ ხელოვნებაზეც და პოლიტიკაზეც ნორმალური წერილები იბეჭდება. საინტერესო სტატია ვიპოვე: ამერიკის შეერთებულ შტატებში დევნიან ცნობილ გერმანელ ანტიფაშისტ კომპოზიტორს ჰანს კრეისლერს. კრეისლერის დაცვის კომიტეტს სათავეში ჩარლი ჩაპლინი ჩაუდგა. მან წერილით მიმართა პიკასოს... და აი გაზეთში დაბეჭდილ ფრანგული ხელოვნებისა და ლიტერატურის მოღვაწეთა მოწოდებას ხელს აწერენ: პაბლო პიკასო, ანრი ბატისტი, ჟან კოკტო, ფრანსის კარკო, ელზა ტრიოლე, ლუი არგონი, პოლ ელოარი, ანდრე შამსონი...

ფრანსის კარკო! ჩემი ახალგაზრდობის მეგობარია. მხიარული კაცი გახლავთ.

თუ არ წაგიკითხავთ ეს წიგნი „ბონაპარტიდან ლათინურ კვარტალამდე“, — გირჩევთ წაიკითხოთ. გამახსენდა ფრანსის კარკო და გულიანად გამეცინა. სამედიცინო სამსახურის მაორიც ეი გავაღვიძე. ვასილ ვოლკოვმა თვალები დააჭყიტა, გაკვირვებით შემომხედა.

— მოხდა რამე?

— არაფერიც არ მომხდარა, ფრანსის კარკოს წიგნი გამახსენდა. ყური დამიგდე.

მხატვრებმა, მხიარულ გუნებაზე რომ იყვნენ, თუმცა ჯიბეში ერთი სუნ არ უჭყაოდათ, ვიღაცას ვირი მოაყვანინეს. კუდზე ფუნჯი გამოაბეს, წინ კიდევ თივა დაუყარეს.

ფუნჯი საღებავში იყო ამოვლებული. ძია დედე ლოლოს (ასე ერქვა ვირს) მიუახლოვდა, ხელში ჩარჩოზე გაღაკრული დიდი ტილო ეკავა. ამ დროს საკვებით კმაყოფილი დიდებული ცხოველი თავის აღტაცებას კუდის ქნევით გამოხატავდა, რასაკვირველია, კუდთან ერთად ფუნჯიც გვარიანად ირხეოდა. ძია დედემ ტილო ფუნჯს მიუშვირა, სულ მალე ტილო დიდებული ნათხუპნით დაიფარა. შედევრი, რომელსაც სნობების აღტაცება უნდა გამოეწვია, უკვე მზად იყო. თუმცა ამ ნაწარმოების შემოქმედს მოფიქრების დრო სულაც არ ჰქონია, საღებავის ტუბები მალე დაცარიელდა... მხატვრებმა ნათხუპნს „მზის ჩასვლა ადრიატიკის ზღვის მიღმა“ უწოდეს. შემდეგ კი ტილოს დიდი ასოებით მოაწერეს: „იოახიმ რაფაელ ბორონალი“.

ამ სურათის წარმატებამ „დამოუკიდებელთა“ გამოფენაზე მოლოდინს გადააჭარბა. ყველა, დარბაზში უსაქმოდ მოყიალეებიც და მცოდნეებიც მხოლოდ ვირის სურათზე ლაპარაკობდნენ და საათობით უყურებდნენ, რათა უკეთ ჩასწვდომოდნენ. და ხალხი იცინოდა, გაოცებასა და აღტაცებას ვერ მალავდა: რაღა თქმა უნდა, იმ წელს დიდებული ლოლოს შედევრმა უშესანიშნავესი ნამუშევრები დაჩრდილა.

ვოლკოვი გულიანად ხარხარებდა.

— იცი, არჩილ, რაღაც მემკვიდრეობითობა არსებობს ზოგიერთი ულტრამოდური მხატვრის ნათხუპნსა და ვირის შემოქმედებას შორის.

მე თავი დავუქნიე და ისევ გაზეთის კითხვა გავაგრძელე.

მალე ასი წელი შესრულდება ამერიკული ჟურნალისტიკის ფუ-

ძალიან ჯოზეფ პულიტცერის ლაბადებიდან. ამ თარიღ
გამოცემულ მარკაზე პულიტცერის სიტყვებია წაწერილი: „ჩეხი
რესპუბლიკა და მისი პრესა ერთად იარსებებენ, ან ერთად მაცა-
ვდებიან“. პულიტცერს მხედველობაში ჰქონდა თავისი ცხოვრების პრე-
სა, სადაც თანამშრომლობდა ისეთი დიდი მწერალი, როგორიც
მარკ ტვენი გახლდათ. კორესპონდენციებს კი ჯარლ მარქსი აგზავნი-
და. ღღეს კი საკმარისია გავიხსენოთ დაპოუკადენული ჟურნალისტი
დონ მეტჩინი, რომელსაც ტრუმენმა წერა აუკრძალა მხოლოდ
იმიტომ, რომ მეტჩინი განსვენებული რუზველტის პოლიტიკის
ერთგული დარჩა.

ვპოულობ კლოდ მორგენის შეხსნებიან წერილს: „ეროვნული შეთ-
ქმულება საფრანგეთის წინააღმდეგ“. წერილში მხილებულია პო-
ლიტიკანები, რომლებიც ცდილობენ საფრანგეთმა ურთიერთობა
გაწყვიტოს დიდ აღმოსავლეთ მეზობართან, რომელმაც მილიონები
(მილიონი დოლარები კი არა, მილიონობით ადამიანის სიცოცხლე)
გაწირა, რათა მსოფლიო ჰიტლერული ჭირისგან გადაერჩინა... შემ-
დეგ ვკითხულობ ჟაკ დიუკლოს წერილს „ემილ ზოლას სტატიიდან
„მე ვადანაშაულებ“ ფრანგი ხალხის „ჩვენ ვადანაშაულებთ“-ამდე“.

უფრო ქვემოთ გონებამახვილურად დაწერილი მასალაა. ლუ-
დოვიკო მეთოთხმეტეს დედა დეღოფალი — რეგენტი ანა ავსტრი-
ელი ვერ იქნა და ვერ შეეგუა ჩანგალს და ნუვბარ-ნეგბარ საკმელს
ხელით მიირთმევდა.

აგერ ქრონიკაც. სახელგანთქმული არქიტექტორის, ვერსალის
ერთ-ერთი მშენებლის ფრანსუა მანსარის საიუბილეო თარიღის წე-
რილში იგონებენ, რომ ვერსალის სასახლის მშენებლობა თავის
დროზე მილიარდნახევარი ფრანკი დაჯღა (უბედური ხალხი) ეუშმა-
რიტად ვერსალი საფრანგეთის უბრალო ადამიანების საკუთრება
უნდა იყოს.

გაზეთი გადავდე და მინდოდა ჩამეოვლიმა, რომ უეცრად მანქა-
ნის ფანჯრის მიღმა დავინახე ფარი წარწერით — სუდეტები. ძალი
ნაშინვე გამიკრთა.

ჩეხოსლოვაკიის საზღვარი ვავიარეთ. აი დიდი ისტორიული
ტრადიციების მქონე პატარა ქვეყანა.

ჩეხები!.. სლოვაკები!.. რაღაც საიმედო, პატიოსანი, ნათელია ამ
სიტყვებში. განთქმული ოლიმპია საბერძნეთში რომ არ იყოს, ის
ალბათ სადმე აქ ჩეხოსლოვაკიაში შეიქმნებოდა.

ასე მგონია, თითქოს უსასრულო ლამაზ ხეივანში მივდივართ. გზა შემორაგვულია ხეხილით. მწიფს მსხვილ-მსხვილი ბალის ბალი. ჭრელჭრელი ყაყაჩოები, თეთრი, ცეცხლისფერი, მეწამული — თითქოს ამოქარგული, ხალიჩაა. გზის ორივე მხარეს მაღალი მთებია, აქ საოცრად ლამაზი ლანდშაფტია, რომელიც ძალიან ჰგავს კავკასიის ბუნებას, ოღონდ უფრო მშვიდს, ზომიერსა და შემცირებულ მასშტაბისას, რომელიც ადამიანის ხელს დაუმორჩილებია, მარცხნივ და მარჯვნივ გაშლილა დამუშავებული ყანები. სისუფთავე, სისუფთავე, ზოგჯერ ისიც კი გეჩვენება, რომ მეტისმეტი სისუფთავეა. ერთმანეთზე მიჯრილი სოფლები. კოხტა, მშვენიერი სახლებით.

ლამაზი ეკლესიები, ხეხილის ბაღები. სუნთქვა გვიადვილდება იმის შეგრძნებისაგან, რომ ძმათა მიწაზე ვიმყოფებით.

მადნის მთები. აი, ტეპლიცეც გამოჩნდა. კურორტი, რომელიც ზამთარ-ზაფხულ მოქმედებს. ის მოთხილამურეების, მოციგურავეების და საერთოდ ყველა სპორტსმენის საყვარელი ადგილია. ამ მთების ფერდობებიდან ბალახმორეულ ბილიკებზე მიქრიან მოთხილამურეები.

(გამახსენდა 1940 წლის საუცხოო ზამთარი ბაკურიანში, მაშინ თხილამურებით შეჯიბრებაში რესპუბლიკის პირველობა მოვიპოვე სლალომში და ტრამპლინიდან ხტომაშიც).

ამიერიდან ტეპლიცი საყოველთაო-სახალხო ჯანმრთელობის კერა გახდება, საინტერესოა, დინას თუ მოეწონა ეს ადგილები?

ღამე აქ გავითენეთ. გვიანობამდე ვიჯექი სასტუმროს ბაღში, ნელ-ნელა ვივსებოდი ვარდების თავბრუდამხვევი სურნელებით.

საღამოვდებოდა, როცა პრაღას მივუახლოვდით. ნაცრისფერ ნისლში გამოჩნდა მრავალრიცხოვანი კოშკები. დასავლეთიდან მზე მოდგომოდა ქალაქს და ყველაფერი ისე ჩანდა, თითქოსდა სახლების უკან უზარმაზარი კოცონები აეგიზგიზებინოთ.

ზლატა პრაღა! სიჭაბუკის დიდებული ზმანება როგორც იყო ვიხილე... რამდენი წამიკითხავს შესანიშნავ ქალაქებზე, სახელგანთქმულ, ძველ, ბრწყინვალე ქალაქებზე. ყველაზე უფრო პრაღა ატყვევებდა და იზიდავდა ჩემს გონებას. იქნებ „ოქროს“ ქალაქის ძველი ქვები მიზიდავდნენ, რომლებსაც საუკუნეების მანძილზე სიყვარულითა და დიდი ცოდნით თლიდნენ და აწყობდნენ უსახელო ოსტატები? იქნებ ჩეხების მდიდარი კულტურა მიტაცებდა, რომელიც ხიდად იქცა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის? ან იქნებ

ეს შესანიშნავი კოშკები, განუმეორებელი არქიტექტურა? თუ ჩეხების მახვილი, მომაკვდინებელი და ოპტიმალური იუმორი. კარელ ჩაპეკი, იაროსლავ ჰაშეკი... ფუჩიკი კი სიკვდილის გზაზე სიცილით მოდიოდა.

(ვის უნახავს მოცინარი ფუჩიკის პორტრეტი? ასე სიცილი ხომ ძალიან პატიოსან ადამიანს ან გმირს შეუძლია?).

პრაღის გარეუბნები. ქალაქში უკვე ჩამოწვა ბინდი. მაღლა აიჭრნენ ეკლესიების, სასახლეებისა და კოშკების უსასრულო შპილები. აი გრადჩანი — პრაღის განთქმული კრემლი, ბორცვიდან გადმოსცქერის ქალაქს. მდინარე ელტავა. სიმაგრეთა გალავნების ურყევი სარტყელი შემოდგომია პრაღას. ქვის მშვენიერი ქუჩები.

კარლოსის ხიდი. მერამდენე საუკუნეა დგას ეს ძეგლი, ხელოვნების შესანიშნავი ქმნილება, ჩეხი ხალხის გმირული ისტორიის მოწმე. ფართო მანტიებში გახვეული მისი მხიარული წმინდანები თითქოს ლოცავენ ჩვენს გზას.

გავიარეთ განსაცვიფრებელ, შუასაუკუნოვან თაღქვეშ, ის ხიდს ამთავრებს და ქალაქის გულისკენ ხსნის გზას. წრე დავარტყით და იმავე გზით დავბრუნდით. გადავწყვიტეთ გაგვევლო კარლოსის ხიდი, სადაც სამი საათის შემდეგ დინასთან მაქვს დანიშნული პაემანი. ის, მე და ვოლკოვი მდინარის გამოღმა ვიცხოვრებთ.

შეგვიფარა ჩემმა თბილისელმა ნაცნობმა, გენერალმა ზარელოვმა, რომელიც პრაღის გათავისუფლებაში მონაწილეობდა. მას ეკავა სახლი, სადაც ადრე ცხოვრობდა ვიღაც გერმანელი ესესელი პოლკოვნიკი. პოლკოვნიკი, რასაკვირველია, გაიქცა. პირველი, რასაც ამ პოლკოვნიკის მაგიდის უჯრაში წავაწყდით, საკმაოდ უჩვეულო ფოტოსურათი იყო: ესესელი აღმოსავლეთის ფრონტზე იბრძოდა და ოჯახს სისტემატურად უგზავნიდა „გმირობათა“ დამადასტურებელ საბუთებს, სურათებს, სადაც გამოსახული იყო სახრჩობელები ჩამომხრჩვალი საბჭოთა ადამიანებითურთ. პოლკოვნიკი საზეიმო იერით სახრჩობელასთან იდგა და საცოდავი ადამიანების გვამების ცქერით ტკბებოდა.

სურათებმა გუნება გამიფუჭა. დახევაც მინდოდა, მაგრამ ვოლკოვმა შემაჩერა, უმჯობესია წაიღო და შთამომავლობას შეუნახოო. დაე ნახონ ისინი ჩვენმა ახალგაზრდებმა, ჩვენმა შვილებმა და შვილიშვილებმა.

სურათები შევინახე, მერე სასწრაფოდ ვიბანავე, ჩავიცვი და

შეხვედრის ადგილისკენ გაეემართე. ჩემს განკარგულებაში იყო ნახევარი საათი. მე და დინამ თითქმის ერთდროულად შევდგით ფეხი კარლოსის ხიდზე და ზედ ცენტრში შევხვედით ერთმანეთს. მხიარული სიცილი აგვიტყდა. და მართლაც განა უცნაური არ იყო ასეთი შეხვედრა უცხო ქალაქში? ახლა შევნიშნე, რომ ზემოდან მოღიმარი ქვის ანგელოსი დაგვცქეროდა და თითქოს აკურთხებდა ჩვენს შეხვედრას.

— ხელავ, დინა, ნორჩი ანგელოსი როგორ გვიცქერის? ველოცავს.

— დააგვიანდა შენს ანგელოზს.

არ მიკითხავს, რატომ-მეთქი. პასუხის მეშინოდა... შაშინვე მოვიწყინე, დავნაღვლიანდი. ნაღველი ოდნავ გამიფანტა მხოლოდ გრაღჩანის ზღაპრულმა ქმნილებამ და პრაღის — სასახლეების, კოშკებისა და ეკლესიების პანორამამ. ეს ხელოვნების ნაშდვილი სასწაული იყო. ხელოვნება კი მუდამ ეუფლება ჩვენს გულს, ანუგეშებს ან სევდას ჰვრის მას.

— მარტო ხარ?

— კი ჩერნოვს ლექცია აქვს ნაწილში.

არა, სიტყვები აღარ მჭირდებოდა, თვითონ ვხვდებოდი ყველაფერს, მაგრამ ჯერ კიდევ არ მჯეროდა და ვიმედოვნებდი. დინა კი რაღაც ცქმუტავდა. ვლტავას დავაცქერდი და ხმადაბლა წავიკითხე.

— მდინარე ნაღველს წააგავს ჩემსას, მოედინება და არ თავდება...

— რა გაწუხებს, არჩილ?

— ბედნიერება, მდინარეს რომ მიაქვს.

— თავი დაანებე სევდას. ჯობია ვიმხიარულოთ. შეხე!..

ვლტავა კი თავისი პატარა მწვანე კუნძულებითა და უამრავი ხიდით მართლა სიხარულის აღმძვრელი იყო.

— მოდი, ქალაქში გავისეირნოთ და ბავშვობა გავიხსენოთ, გინდა? — მკითხა დინამ და მეც უსიტყვოდ გავყევი.

ჩვენსკენ ვიღაც ბიჭუნა მოდიოდა. სახეზე საოცარი სინათლე და სისპეტაკე აკვროდა.

— ნაზდარ, — თქვა დინამ და ბიჭი შეაჩერა.

ბიჭუნამ სალამზე უმალ უპასუხა.

— კრემლის გზას ხომ არ გვასწავლი? — ჰკითხა დინამ გერმანულად.

— რუსები ხართ? — არც თუ მაინცდამაინც სუფთა რუსულით იკითხა ბიჭმა და თვალები სიხარულმა გაუცისკროვნა.

— მე რუსი ვარ, ეს ძია კი — ქართველი.

ბიჭმა გაიღიმა და წამოწითლდა.

— ქართველი... ესე იგი სტალინის სამშობლოდან! — უცბად შემომიბრუნდა, — ნინო დუმბაძეს თუ იცნობთ?

— თვითონაც ჩემპიონია თხილამურებით სრიალში, — დასძინა დინამ.

ბიჭუნასათვის ეს უკვე მეტისმეტი იყო, მის თვალებში მაშინვე გმირი გაჯდი. უბის წიგნაკი ამოიღო და ავტოგრაფებისთვის გამოგვიწოდა.

ძველი ქუჩის კუთხეში მოულოდნელად გადავაწყდით თავისებურ, პატარა ძეგლს: მინაში ჩასმულ ჭაბუკის ფოტოსურათს, რომელსაც ყვავილები ამშვენებდა.

— ასეთ ძეგლებს პრაღის ყოველ კუთხეში იპოვით, — განმარტა ბიჭუნამ, — ესენი ფაშისტებთან მაისის ბრძოლების გმირები არიან.

გრადჩანაზე ძველი ქუჩების ქვის კიბეებით ავედით. მაშინვე ვიცანი ჩერნინის სასახლე მისი განუმეორებელი, ნარნარი ხაზებით, უბრალო და დიდებული. დიდხანს გათანგული ვიდექი, თუმცა ჩემი თანამგზავრებისათვის ალბათ გაუგებარი იყო არქიტექტორის პროფესიული აღტაცება.

სასახლის გუმბათქვეშ დროშა დაშვებულია, მაშასადამე, პრეზიდენტი თავის რეზიდენციაში არ არის. ირგვლივ კაცის ჭაჭანება არ არის, გრად ჩანშიც არავინ ჩანს. ეზოში თავისუფლად შევედით, მაგრამ ყველა შიდა შენობა დაკეტილია, მაშასადამე, აქ დღისით უნდა მოვიდეთ. მოპირდაპირე ჭიშკრიდან გავედით — ჩვენდა გასაოცრად ამ ვიწრო ჭიშკარს ორი გუშაგი იცავდა, ყველა დანარჩენი შესასვლელ-გამოსასვლელი თავისუფალი იყო. რომ გაიგეს საბჭოთა კავშირიდან ვიყავით, გუშაგებმა გულწრფელად გაიხარეს. ერთი მათგანი, მაღალი, ქერა ახალგაზრდა, ლადია რუჟიჩკა პრაღის უნივერსიტეტის არქიტექტურული ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი აღმოჩნდა. როგორც გაიგო, არქიტექტორი რომ გახლდით, შაშხანა ამხანაგს გადასცა და ჩვენი მეგზურობა იკისრა. რამდენი საინტერესო რამ გვიამბო და

მის ყოველ სიტყვაში გამოსჭვიოდა თავისი ქალაქის სიყვარული. ბოდიში მოიხადა პრაღის ქუჩებზე უწინდელი წესრიგი არ არისო, თუმცა პირველი, რაც თვალში მოგვხვდა, პრაღის ქუჩების სანიმუშო სისუფთავე იყო.

ის გვეკითხებოდა თუ როგორ ვცხოვრობთ, აინტერესებდა ჩვენი ხელოვნება, თეატრი, ლიტერატურა. ოცნებობდა მოსკოვში რომ გაეგრძელებინა სწავლა.

მერე ჩემი რიგიც დადგა. საქართველო ძლიერ აინტერესებდა მასპინძელს. მეც მოვუყევი ჩემი ქვეყნის ცხოვრებაზე. ვუამბე ბამბუკებზე, რომლებიც ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელ ყვავილობენ, შემდეგ კი იღუპებიან („გედის სიმღერას ჰგავს", — შენიშნა რუჟიჩკამ). ნეტა რამ გამახსენა ბამბუკები? ხუთი წლის წინათ ამავე დღეს ბათუმის ბოტანიკურ ბაღში ბამბუკების ყვავილობა ვნახე...

დინამ ილაპარაკა მოსკოვზე: წითელ მოედანზე, მავზოლეუმზე, მეტროპოლიტენზე, ტრეტიაკოვის გალერეაზე, თეატრზე, ბალეტზე.

შემდეგ იულიუს ფუჩიკზე შეეკითხეთ, ლადიამ ბევრი საინტერესო გვიამბო მასზე და დაგვპირდა, რომ აუცილებლად გაგვაცნობდა გუსტა ფუჩიკოვას.

— ნეტა კიდევ დიდხანს გაგრძელდება ასეთი ადამიანების ხოცვა? — ამ კითხვით მე უნებურად ხმამაღლა მივმართე ჩემს თავს.

რუჟიჩკამ კი მიპასუხა:

— „სანამ ყველა არ გახდება ადამიანი", — ასე თქვა ფუჩიკმა.

დღეს დილაბინდზე ადგომა დამეზარა. თუმცა ყოველთვის სისხამზე ვდგები და პირველ რიგში ვვარჯიშობ. დღეს ვერა და ვერ იქნა, წელი ვერ ავითრიე, თვალწინ დინა მედგა, მაღალი, მშვენიერი, ფიქრიანი. მარტო დავრჩით თუ არა, ხელები მხრებზე დავაწყვე, დავიხარე და... მანაც მაკოცა. ახლა ამის გაფიქრება სასიამოვნო ჟრუანტელს მგვრიდა და ადგომა არ მსურდა. დინამ ნამდვილად გამიტაცა. ვგრძნობ სიყვარულის მაგიურ ძალას. ღმერთო მიშველე, მომეცი ძალა და მოთმინება.

ვოლკოვი დიდი ხანია ფეხზეა, უკვე პირს იპარსავს, წუწუნებს. უკანასკნელ დღეებში ის ხომ სულ გადამავიწყდა. ამ წუწუნში მაინც გამოსჭვივის ჩემდამი ძმური, მეგობრული გრძნობა და მე ჩუმად ვიცინი.

„ვიზიტად" გენერალმა შემოგვიარა, თან კაპიტანი პოტაპოვი ახლდა. გენერალმა რატომღაც ჯერ მე მკითხა: რას იტყვი, მოგწონს

თუ არა პრაღელი ქალებიო? ვასილმა ჩემს მავივრად უპასუხა: მას უფრო რუსი ქალიშვილები მოსწონსო, განსაკუთრებით მოსკოველებიო. ზარელოვმა პატრიოტიზმი შემიქო, მაგრამ მირჩია ჩეხ ქალებსაც რაინდულად მოვქცეოდი.

ჩვენ კრემლისა და ქალაქის დასათვალიერებლად მიგვიწვიეს (დღეს დინა მეგობარ ქალთანაა, რომელთან ერთადაც პრაღაში ჩამოვიდა). ფეხით გამოვდიეართ. ასეთ ამინდში მანქანაზე ფიქრიც ცოდვაა.

— ნაზდარ! — ყოველ ნაბიჯზე გვესმის ჩეხების მოსალმება, ვგრძნობთ ჩვენდამი მიმართულ განსაკუთრებულ სითბოს. ვიღაც ჩია მოხუცი თვალცრემლიანი გვესალმება. ჩვენ კი ვთხოვთ მუზეუმის გზა გვასწავლოს. ის იღიმება:

— პრაღის ყოველი ქუჩა, მთელი ჩვენი ქალაქი მუზეუმია. ჩვენ არა გვაქვს მუზეუმები, ყველაფერი, რაც ჩვენს მუზეუმებში იყო, ჰამსბურგებმა გაზიდეს ვენაში, ფაშისტებმა დაიტაცეს.

ვლტავის გამოღმა ქალაქი მწვანეშია ჩაფლული, გრადჩანებთან ცენტრალურ ხეივანში დღისით — მზისით თავისუფლად დარბიან ციყვები.

სულ უფრო და უფრო ვრწმუნდები, რომ ჩეხები პატიოსანი და ზუსტი ხალხია, სუფთა, როგორც შინაგანად, ისე გარეგნულად: დახვეწილი გემოვნების მქონე, ორგანიზებული ერია, მათ ძველ და საინტერესო კულტურაზე რომ არაფერი ვთქვათ. ჩეხები დიდი პატრიოტებიც არიან და სწორედ ამ გრძნობამ გადაარჩინა აღგვისაგან. ოდნავი მედიდურობაც არ ახასიათებთ. ამაყობენ იან ჰუსითა და იან ჟიშკათი, ჩაპეკითა და ჰაშეკით, თავისი ამეტყველებული ქვებით. შეინარჩუნეს სლავური სულიც. როგორ შეიძლება პატივი არ სცე ასეთ ხალხს!

მახსენდება ლენინის სიტყვები: „როცა ოცნება და სიცოცხლე ოდნავ მაინც ემთხვევა ერთმანეთს, ყველაფერი რიგზეა“. ეს თითქოს ჩეხებზეა ნათქვამი.

ძველი მიასტა. პრაღის ქვები. ქვის მოხატულობა! აქ ყოველი ქუჩა, ყოველი კიბე, სამლოცველო, ყოველი პატარა სახლი რუხი, ძველი ხავსით დაფარული კრამიტქვეშ ძეგლია! მართალი თქვა მოხუცმა: პრაღა იშვიათი ექსპონატების მქონე უზარმაზარი მუზეუმია.

რენესანსი, ბაროკო. მაღალი ვნებებით გამსჭვალულმა ამ სტილ-

მა, რომელიც დიდ სივრცეს ანიჭებს ხუროთმოძღვრის ინდივიდუალობას, პრაღაში სრულყოფილებას, თავის მწვერვალს მიაღწია. სტილს, რომელმაც წარმოშვა მონუმენტური და ესოდენ დინამიკური ხელოვნების გენიოსები. ბერლინისა და რასტრელის, რუბენსსა და ვან დეიკს, კალდერონსა და ლომონოსოვს, შესაძლოა არსად ისეთი ხორცშესხმა არ ღირსებია, როგორც პრაღაში. დიახ, ტყუილად როდი ვლაპარაკობთ სლავურ ბაროკოზე. მე ყველაფერი გადამავიწყდა ამქვეყნად, ხელოვნებამ მთლიანად დამიპყრო.

წმინდა ვიტას ტაძარი. ეოტიკის შედეგრი. მისი მშენებლობა ჯერ კიდევ XIV საუკუნეში დაიწყო და ჩვენს დღეებშიც გრძელდება. განსაკუთრებით კარგია პატრონიკე და სამსახური: კოშკი, რომლებიც XIV საუკუნეში ააგეს არასელმა მათემ და პეტრე პარლერმა. პარლერსვე ეკუთვნის პრეფორიის პორტრეტული ბიუსტებიც. რა კაშკაშა ნიჭია! პარლერი დიდხანს ხელმძღვანელობდა ტაძრის მშენებლობას, აშენებდა კარლოსის ხიდსაც, რომელიც უკვე ასე შემიყვარდა. ტაძარი კი სულ თვალწინ მიდგას უნატიფესი ჩუქურთმით, გაცოცხლებული ქვების დაუოკებელი რიტმით, ოსტატთა დახვეწილი ნამუშევრით. შიგნით იგი გვანცვიფრებს სიმაღლითა და პერსპექტივის პროპორციულობით. ვიტრაჟები თანამედროვეა და ვერ გამიგია, რატომ, მაგრამ უფრო დაბალ მხატვრულ დონეზეა.

ვოლკოვმა მუჯლუგუნი წამკრა და ახალგაზრდა ლამაზი მონაზონი დამანახა. ის მაღალ გოთურ საკურძელში იჯდა, გულმოდგინედ კითხულობდა სახარებას და თავი ერთხელაც არ აუწევია, თუმცა საკმაოდ ხმამაღლა გამოვთქვამდით აღტაცებას ტაძრის შედეგრთა გამო. ეს უყურადღებობა ცოტა არ იყოს მეწყინა და შეიძლება ითქვას, შეურაცხყოფილადაც ვიგრძენი თავი. იშვიათად თუ იქნებოდა ქალი, ყურადღება არ მიექცია ჩვენი მხიარული „ანსამბლისათვის“ და შეიძლება... ცოდვილი აზრებით არ გამსჭვალულიყო. არა, მართლა, თოჯინა უნდა იყო, ყოველგვარ გრძნობას მოკლებული.

მოვიხედე და ლადია როჟიჩკა დავინახე. ახლა სამოქალაქო ტანსაცმელი ეცვა და მაინც გაჯგიმული იდგა. მაღალი იყო (ოდნავ ჩემზე დაბალი) და საკმაოდ ლამაზი. ძალიან გამიხარდა მისი ნახვა. მასაც გაუხარდა და ძველი მოედნისა და არქიეპისკოპოსის სასახლის დასათვალიერებლად წაგვიძღვა. გული ამიჩუყა მისმა სიყვარულმა მშობლიური ისტორიისა და სიძველეთა ძეგლებისადმი. კაცმა რომ თქვას, ეს თვისება ყველა ჩეხის განუყრელი ნიშანია.

გერმანულად აქ დემონსტრატიულად არ ლაპარაკობენ. ბევრია სანდომიანი, გემოვნებით ჩაცმული ქალი, მაგრამ ხისლანჩიანი ფეხსაცმელი აცვიათ. უნდა ნახოთ, რა ღირსეულად და ნატიფად ატარებენ ამ ფეხსაცმელებს, — ალბათ, თვით სემირამიდა თუ დააბიჯებდა ასე თავისი კიდული ბაღების ბილიკებზე.

ყველაფერზე იგრძნობა, რომ უჭირთ, თუმცა ამის მიჩქმალვას მონდომებით ცდილობენ. ჩეხეთში ახლა საბარათო სისტემაა. დღეში ერთ სულზე ორას გრამ პურს არიგებენ. და მიუხედავად ამისა, სრული შეგნება და დისციპლინა სუფევს.

ვათვალიერებთ ოთხასი წლის წინათ რენესანსის სტილით ნაგები ბელვედერის სასახლეს. მიმდინარეობს ფერადი, ორიგინალური ფრესკების რესტავრაცია. ეზოში დგას მიწისქვეშა სამალავიდან ამოთხრილი „გიორგი ძლევამოსილი", ძველი მოქანდაკის ფასდაუდებელი ქმნილება, — ის გერმანელებისაგან დაუმალავთ (რუეიჩკა მახსენებს მაღალ ცარიელ კვარცხლბეკს წმინდა ვიტას ტაძრის მახლობლად, იმ კვარცხლბეკზე ახლა კვლავ წამოიმართება ეს ქანდაკი. შემდეგ იგონებს, როგორ დაძრწოდნენ გაოფთრებული ოკუპანტები დაკარგული ძეგლის მისაკვლევად).

ჩვენი ახალი ამხანაგის რჩევით „ოქროს ქუჩაში" გადავუხვიეთ, რომელიც გრადჩანის შიგნით გადის. ეს ცოცხალი ისტორიაა. აქაა წმინდა ერემეის რომანული ბაზილიკა, რომლის მშენებლობა ჯერ კიდევ XII საუკუნეში დაიწყეს. „ოქროს ქუჩის" მომხიბლაობას სიტყვებით ვერ აღწერ. პატარა სახლები ადამიანზე მაღალი არ არის, ოთახებში მცხოვრებნი ღია ბარათებს ყიდიან, რომლებზეც გამოსახულია პრაღისა და სიძველის სხვადასხვა ძეგლების ხედები.

ვათვალიერებთ ხელმწიფის სასახლეს. კორონაციის დარბაზი. ეს განთქმული სარკმელი, საიდანაც ოდესღაც პაპის წარმოგზავნილი გადააგდეს, რაც, როგორც ამბობენ, ოცდაათწლიანი ომის საბაბი გახდა.

ესპანური დარბაზი. დარბაზის გახსნას ესწრებოდა ესპანეთის მეფე ფილიპე II. ალბათ სახელწოდებაც აქედან წარმოდგება. „ვლადისლავის" დარბაზი საოცარი ფურცლისებური თაღებით, შედევრი, რომელიც ჩეხმა ხუროთმოძღვარმა ბენედიქტ რაიტმა ორი საუკუნის მიჯნაზე — 1500 წელს დაამთავრა.

ვაცლავის მოედანს ჩავუარეთ. მოედანი ხალხითაა გაჭედილი. აქ ერთმანეთს შეხვედრია ისტორია და თანამედროვეობა. გოტიკა, ბა-

როკო და... კორბიუზიე. თითქოს სრული ეკლეკტიკაა. მაგრამ აქ მაინც გამეფებულია საუკუნოვანი ერთიანობა და განუმეორებელი თავისებურება. იქნებ მისი საიდუმლო იმავე სულდგმულ ქვებში უნდა ვეძიოთ.

დღეს, გვამცნობს ლადია, ერთ-ერთ ეკლესიაში ჯვრისწერა გაიმართება. ვოლკოვი კატეგორიულად მოითხოვს: წავიდეთ! მივდივართ კიდეც.

ულტრამოდერნისტული ეკლესია, უკრავს ორღანი. საკურთხეველთან დგანან თეთრად ჩაცმული პატარძალი და ფრაკში გამოწყობილი ნეფე (ეტყობა, ის მაღაზიის მფლობელია, ყოველ შემთხვევაში, მე ასე მომეჩვენა. რუჟიჩკა ამბობს კომივოიაჟერიაო, თითქმის სწორად მივმხვდარვარ). ჩვენ ცერემონიის დასასრულს მივუსწარით. ახლადდაქორწინებულები გასასვლელისკენ მიდიან, ვეებერთელა ბაფთებიან გოგონებს პატარძლის შლეიფი უჭირავთ. ფოტოგრაფი აპარატს ატკაცუნებს და მათ აღბეჭდავს ტაძრის საფეხურებზე.

— არ გეჩვენებათ, რომ ეს რაღაც ლამაზი ტრადიციაა და მთელი სიცოცხლე დასამახსოვრებელი? — მკითხა გენერალმა.

— თუ აქაურობას ყველა წმინდანს მოაშორებენ და მარტო ორღანს დატოვებენ, მეც არ ვიტყოდი უარს ჯვრის წერაზე, — ენის ბორძიკით წარმოთქვა ვოლკოვმა.

სასადილოდ მივემგზავრებით. დღეს გენერლის სტუმრები ვართ. რუჟიჩკაც დავიყოლიეთ.

...საღამოვდება. აივანზე ვდგევარ. პირდაპირ ჩანს ვიღაც ცნობილი მოქანდაკის „ატელიე (კარგი იქნება მისი გვარი გავიგო რუჟიჩკასგან). იქვე ბაღში დგას ორფეოსის ორიგინალური, ძალზე დინამიკური ადამიანის სიმაღლე ქანდაკი, რომელსაც ხელში ჩანგი უპყრია.

ვუყურებ პრაღას. მე მას ზღაპრების ქალაქს შევარქმევდი...

5. VII. 1945.

დღეს დიდი ეროვნული დღესასწაულია — ჩეხი ხალხი დიადი გმირის იან ჰუსის გარდაცვალების 430 წლისთავს აღნიშნავს. 1939 წლის შემდეგ, როცა ქვეყნის ფაშისტური ოკუპაცია დაიწყო, ჩეხები პირველად აღნიშნავენ ლეგალურად ამ დღესასწაულს. ზედიზედ

სამი დღე მთელ ჩეხოსლოვაკიაში იგიზგიზებს კოცონი და გაიმართება ჩირაღდნებით სვლა.

ჩვენც ვემზადებით დღესასწაულისათვის. პირი მინდოდა გამეპარსა, მაგრამ ჩემმა ერთგულმა ბორეიკომ, ვოლკოვმა (ის კი, მართლა, ძალიან ჰგავს სტეპანოვის „პორტ-არტურის“ გმირს: ასეც ხდება, ზოგჯერ სრულიად შემთხვევით ამოტიეტივდება ძალზე ზუსტი შედარებები!) წაიღო საპარსი მოწყობილობა და ახლა იჯექი ტრუსისა და მაისურის ამარა, სანამ ჩვენი ესკულაპი თავის ტუალეტს დაამთავრებდეს. მე კი მინდა მალე გავიდე ქუჩაში. მშვენიერი ქალაქისა და დიდი დღესასწაულის გარდა, სხვა სიხარულიც მელოდება, მარტო ჩემთვის გასაგები სიხარული.

ზუსტად ათ საათზე მანქანით მოგვადგნენ დინა, ჩერნოვი და დინას მეგობარი, სამხედრო ექიმი თამარი... (ჯერ არ ვიცი, რა გვარია) ვგონებ, კავკასიელია. ამ ლამაზ ქალს სამგლოვიარო ტანსაცმელი აცვია, ამბობენ ფრონტზე მეუღლე დაკარგაო. შევამჩნიე, როგორ გაწითლდა და დაიმორცხვა მასთან გაცნობისას ჩემმა მეგობარმა ვასილმა. კარგი წყვილი კი იქნებოდა!

თურმე ზარელოვი იცნობდა თამარს. თბილისელია, საერთო ნაცნობ-მეგობრებიც ბევრი აღმოაჩინდათ. გენერალი დიდხანს გამოთქვამდა სინანულს მისი მეუღლის, სამხედრო ექიმის დაღუპვის გამო, დიდი [illegible]ინდ[illegible]ბითა და სიყვარულით გვიამბობდა მის იშვიათ სულიერ თვისებებზე.

ბოლოს გავემგზავრეთ. უნდა გითხრათ, რომ ვასილი იმ დღეს აღარ მინახავს, როგორც დინას არ უნახავს თავისი მეგობარი. ისინი თავიდანვე განმარტოვდნენ და რაღაცაზე გულმოდგინედ საუბრობდნენ. საუბრობდნენ ისეთი დაბეჯითებით, როგორც ექსპერტებმა იციან ხოლმე რთულ საკითხებს რომ იხილავენ მშვიდობიანი კონფერენციის წინ. ძალიანაც კარგი, მიხარია კიდეც მათი გაერთიანება.

ყველგან, ყოველ კუთხეში გიზგიზებს საზეიმო ჩირაღდნები ქუჩაში. დღევანდელი დღესასწაულის მოსაგონებლად გამოშვებული სამკერდე ნიშნები გვაჩუქეს. ნიშანზე გამოსახულია წიგნი, რომელსაც ღვინით სავსე ბოკალი ახატია. ასეთივე გამოსახულებებია ყველგან პლაკატებზე, ვიტრინებში. ქუჩაში მანქანით გავლა შეუძლებელია. დღეს პრაღაში ნამდვილი მეორედ მოსვლაა. ჯერ მთის გზას დავადექით და ლამაზ კოშკზე ავედით; ამბობენ, ეს ეიფელის კოშ-

კის შემცირებული ასლიაო. აქედან იშლება ქალაქისა და მისი შემოგარენის დიდებული ხედი.

ბოლოს, როგორც იქნა იან ჰუსის მოედნამდე მივაღწიეთ. როგორც შევთანხმდით, ძეგლთან რუჟიჩკა დაგვხვდა. დიდებული ძეგლი დაუდგამთ ეროვნული გმირისა და განმანათლებლის, პრაღის უნივერსიტეტის რექტორის, გერმანელთა ძალმომრეობისა და კათოლიკე ბნელეთის მოციქულთა წინააღმდეგ სახალხო მოძრაობის შთამაგონებლისათვის. მოქანდაკე სუხარდას უშიშარი ფილოსოფოსი კოცონზე დაწვის წინ გამოუსახავს. ძალზე შთამბეჭდავია გიგანტური ძეგლი. მადლიერ ხალხს კვარცხლბეკის გარშემო უამრავი კოცონი გაუჩაღებია.

მოედანზე აღმართულია ტრიბუნა. ბომბებით დაზიანებულ რატუშის მშვენიერ გოთურ შენობაზე იგივე უზარმაზარი წითელი ბოკალი და წიგნია გამოსახული.

ეღერს ჰუსიტების ჰიმნი.

ზუსტად შუაღამისას მოდიან პრეზიდენტი და მთავრობის წევრები, მეცნიერები, მწერლები, ქვეყნის გათავისუფლების გმირები. საბჭოთა ჯარების სარდლების წარმომადგენლებიც მოვიდნენ. ახლოვდება ანთებული ჩირაღდნების სადღესასწაულო ესთაფეტა. ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიან ორატორები.

ყველა მათგანი მადლიერების სიტყვებს წარმოთქვამს საბჭოთა ქვეყნისა და სახელოვანი წითელი არმიისადმი. არმიისადმი, რომელმაც გაანთავისუფლა ჩეხი ხალხი და მრავალტანჯულ მიწაზე კვლავ აგიზგიზდა სიმართლისა და გონების წმიდათაწმიდა კოცონი.

ჩვენს გარშემო შეგროვდნენ უბრალო ადამიანები, გვიღიმოდნენ, გვესაუბრებოდნენ, ყოველ მათგანს თავის მოვალეობად მიაჩნდა, მადლობა ეთქვა ჩვენთვის. ავტოგრაფებს გვართმევდნენ, სამკერდე ნიშნებს გვირიგებდნენ.

მოსაღამოვდა. კოცონების ალზე იკვეთება კედლები და შპილები, ძველი ქალაქი, ვათვალიერებთ ტყვია-წამლის კოშკს, ეს არქიტექტურული ხელოვნების სასწაულია.

ქალაქში ყველგან სეირნობაა გამართული. ცაში ელავენ ფერადფერადი ჰაერბურთები, რომლებიც მოსეირნეებმა ატყორცნეს. მხიარულებაა, სინათლე, მუსიკა, ჩეხებთან ერთად ზეიმობენ საბჭოთა ადამიანები, ყველანი, ყველანი.

რუჟიჩკას საუკეთესო კაფეში მივყევართ, ეს კაფე ვაცლავის

მოედანზე მდებარეობს. დარბაზი გადატვირთულია, ერთხანს უნდა ველოდოთ, სანამ მაგიდები გათავისუფლდება. უკრავს შესანიშნავი ორკესტრი, თეთრ კაბიან მომღერალს კი სამწუხაროდ ხმა არ უვარგა. ისე კი ლამაზი ქალიშვილია. წინ გვიდგამენ შეფერადებული წყლით სავსე ჭიქებს. გუგუნებს რუსული სიმღერები — რასაკვირველია. ჩვენი მოსვლის აღსანიშნავად. ჰიტლერმა მთელი ევროპ შეფერადებულ წყალზე დასვა. სანდომიანი ჩეხები როგორღაც გულმოდგინედ სვამენ ამ საძაგელ სასმელს. ისეთი სიამოვნებით — თითქოს და ძვირფასი ფრანგული ღვინო ყოფილიყოს.

მოზეიმე ხალხი ემატება და ემატება კაფეს. ჩეხეთში კაფე იგივე კლუბია. ადამიანები აქ ხვდებიან ერთმანეთს, საუბრობენ სხვადასხვა პრობლემებზე. ხელოვნებაზე, ლიტერატურაზე — ეს ის ადგილია, სადაც ყოველგვარ საკითხში საერთოს პოულობენ და ერთობიან. აი, რატომ უყვართ კაფეები ევროპის ქალაქში, თუმცა ახლა აქ შეფერადებული წყლისა და ცუდი მომღერლების გარდა არაფერია. უკრავს ჯაზ-ორკესტრი და ცეკვავენ წყვილები. ლადია დინასთან, ხოლო ვოლკოვი თამართან ცეკვავს. ლამაზი ჩეხი ქალი საცეკვაოდ მე მეპატიჟება — განა ეს ყოველგვარი ეთიკეტის დაგმობას არ ნიშნავს?!

ჩვენს გვერდით ბრნოელი ახალგაზრდები სხედან. უბრალო გლეხის ჩაფსკვნილი ბიჭები არიან. გარეგნობით არაფრით არ განსხვავდებიან დანარჩენებისგან, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მზით გარუჯულ სახეებს და ონავრულ ქცევას. ისინი ცნობისმოყვარეობით გვეკითხებიან საბჭოთა ქვეყანაზე, ჩვენს ახალგაზრდობაზე, კოლმეურნეობებზე, ოჯახური ტრადიციების შესახებ. სეტყვასავით გვაყრიან კითხვებს.

რომელიღაც ჩვენგანმა თქვა, კაფე მომწონსო. გენერალმა (მან დღეს სამოქალაქო ტანსაცმელი აცვია და მიმართვა „ამხანაგო გენერალო“ როგორღაც უცნაურად ეღერს) აღშფოთებულმა შეხედა მას და ხმადაბლა თქვა:

— ამხანაგებო, ვხედავ ყველანი გაგაფუჭათ ევროპამ. რა შეიძლება იყოს იმაზე უკეთესი, როცა, მაგალითად, თბილისის რესტორანში შედიხარ და მწვადს გაწვდიან „შამფურზე“ — ხორცი ჯერაც შიშინებს, სურნელებით გავსებს, ან „ტაბაკად“ მორთმეულ წიწილას, წითლად შებრაწული კანი რომ აქვს წიწაკიან ტყემალთან ერთად... სუფრაზე კი დევს ცხვრის ყველი „მოთალი“

სურნელოვანი ტარხუნა და „ცოცხალი“ — შამფურზე წამოცმული თართი და ჩინებული „კახური“, რომლის ძალაც სისხლს გიჩქროლებს. ყველა კერძი შეკაზმულია ბროწეულის წვენით. მეწამული ბროწეულის ყოველი მარცვალი ლალი გეგონება, ან სადმე ირკუტსკში ან კიდევ ნოვოსიბირსკში მოგართმევენ განთქმულ მოსკოვურ „მწარეს“, ასტრახანულ მსუქან ქაშაყს (თან ქაშაყი აუცილებლად რძეშია გამომცხვარი) დაფნის ფოთლითა და ზეთისხილიანად და დიდებულ ხიზილალას უახლესს, ოდნავ მწვანე ფერი რომ დაჰკრავს და თანაც მწვანე ხახვითაა გაწყობილი. რა სჯობიან წითელი წიწაკით შეზავებულ პელმენებს — ქვაბიდან ახლად ამოღებულს, ოხშივარანადენს. ან ფლოტურ წვნიანსა და კატლეტებს — რომელთაგან თითოეული ორასგრამიანია... აი ეს მესმის! თქვენ კი აქ ცეკვებსა და სხვა უაზრობებზე მელაპარაკებით! — გენერალმა ზიზღით ისე გასწია წყლით სავსე ჭიქა, რომ კინაღამ დააქცია.

ის მართალი იყო, მართალი გახლდათ ჩვენი სახელოვანი გენერალი. ყოველ ჩვენებს მაშინვე ნერწყვი მოადგა, თვალები აუციმციმდა.

კაფედან რომ გამოვედით, მე და გენერალი ოდნავ ჩამოვრჩით დანარჩენებს.

— აბა, მითხარი, როგორაა შენი და ჩეხი ქალების საქმე? — მკითხა მან.

— არც როგორ, ხელს მიშლის რუსი ქალიშვილი.

— ახ, ეს მშვენიერი რუსი ქალები, ისინი მუდამ გვიფუჭებენ ცხოვრებას, — იხუმრა გენერალმა.

6. VII. 1945.

ივლისის მშვენიერი დილაა. ნიავს მოაქვს ყვავილების საუცხოო სურნელი. ბაღში მდგარი ორფეოსი კვლავ უკრავს თავის ბარბითზე. კოცონები ჯერაც ანთია, მაგრამ უკვე თითქოს დაუძლურებულან დღის სინათლესთან ბრძოლაში. ოთხასოცდაათი წლის წინათ ეს დიდებული ვაჟკაცი კოცონზე ავიდა თავისი ხალხის ბედნიერებისათვის, სამი წლის წინათ კი მისი ღირსეული შთამომავალი, რომელსაც მგზნებარე სიყვარულით უყვარდა ცხოვრებაც და კაცობრიობაც, ღიმილით წავიდა ეშაფოტისაკენ.

(ჰო, რუჟიჩკას უნდა შევახსენო დანაპირები, წაგვიყვანოს იულიუს ფუჩიკის მეუღლესთან, ამბობენ, ფუჩიკმა სულის შემძვრელი სატუსაღოს ჩანაწერები დატოვაო).

ჯერ მხოლოდ ცხრა საათია. ჩემი ბორიკოს გაღვიძებამდე და მეგობრების მოსვლამდე მოვასწრებ ცოტა გავისეირნო, საპარიკმახეროშიც შევიდე გასაპარსად, შემდეგ კი „კავარნაში“ ყავა დავლიო და გაზეთები გადავიკითხო (ჩეხური ენა რუსულს წააგავს და ცოტათი მაინც გავიგებ, რაზე წერენ გაზეთები).

ვიტრინების წინ ვჩერდები. როგორც ძველი ფილოსოფოსი ამტკიცებდა, აქამდე მეგონა არაფრისგან ვერც ვერაფერს შექმნიმეთქი; მაგრამ ამ მიწაზე უკვე სხვანაირად ვფიქრობ: ჩეხები სწორედ არაფრისგან ქმნიან მშვენიერ ნივთებს. ვიტრინებში ზოგჯერ იელვებს განთქმული ბოჰემური მინა...

— თერთმეტის ნახევარზე მე, ვასილი, პოტაპოვი, ჩერნოვი და მისი თანამგზავრი ქალები მივემგზავრებით ბარანდოვში — კინოქალაქში. ვოლკოვი თითქოს სიყვარულმა დაიპყრო გუშინ, მაგრამ ამ ნაზი გრძნობის ყველა კანონის საწინააღმდეგოდ, გვიანობამდე მშვიდად ეძინა. ის კი არა და ძლივს გავაღვიძე.

ბარანდოვი ქალაქის საზღვრებში მდებარეობს, მთაზე, თვალწარმტაცი მდინარე ვლტავას პირას. აქ ბევრია მცენარეულობა და დიდებული სახლები. შევნატრე კიდევ კინომუშაკთა ბედს: ეს რა დარბაზებში ცხოვრობენ-მეთქი, მაგრამ პოტაპოვმა იმედი გამიცრუა: თურმე ეს სახლები მდიდარ საქმოსნებსა და სპეკულანტებს ეკუთვნოდათ. კინომუშაკები კი ძველი პრაღის ქვით მოკირწყლულ ქუჩებში ცხოვრობენ. თუმცა ბარანდოვს კინოქალაქი ჰქვია, მაგრამ იქ კინომუშაკებს სტუდიის გარდა არაფერი არ ეკუთვნით.

ჩვენ კინოფაბრიკის ულტრათანამედროვე შენობის ჭიშკართან ვდგავართ. ზემოდან ცათამბჯენის მაგვარი მაღალი კოშკი დაგვყურებს. სანამ ჭიშკრის გაღებას ველოდით, მეზობელი სახლიდან ბლით სავსე კალათა გამოგვიტანეს.

ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის შესაბამისად მოწყობილი პატარა ფაბრიკა ახლა არ მუშაობს. სწორედ ამ მიზეზით ფაბრიკაში ორი-სამი ქრონიკერი — ოპერატორის გარდა არავინ გვხვდება. მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი გვანახეს, მისი გადამღები ოპერატორი დიდი გულადი ვინმე ჩანს. ფილმში მოთხრობილია, როგორ აჯანყდნენ პრაღელები ფაშისტი ჯალათების წინააღმდეგ,

როცა ქალაქის ჭიშკარს წითელი არმია მიუახლოვდა. როგორი უნდა იყოს ხალხი, რომელმაც იცის, რომ ერთ დღეში, ან სულ რამდენიმე საათში გათავისუფლდება, მაგრამ მაინც იწყებს მტერთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას? აი ეცემა ტყვიით გულგანგმირული პრაღელი. ძნელი დასაჯერებელია, რომ ყოველივე ეს დოკუმენტურია და საქმე სრულებითაც არა გაქვს მსახიობთა თამაშთან. სადღაც სახლის კარნიზზე თუ სახურავზე ოპერატორი გადასაღები კამერის სახელურს ატრიალებს. ამ დროს კი აივანს ფაშისტები ნამდვილ ტყვიებს უშენენ.

ვათვალიერებთ იშვიათი გემოვნებით ნაგებ პატარა სახლებს. არასოდეს მინახავს ქვების (უმეტეს შემთხვევაში დაუმუშავებელი ქვებისა). ხის (ნაჟღენთი მუხა, კაკალი ან სხვა ძვირფასი ჯიშები) ასეთი კარგი ნატიფი შეხამება უბრალო ბათქაშთან. სურათების გადაღების შემდეგ ბაღის გასასვლელისკენ წავედით. კონსტრუქტივისტული სტილის ლამაზ შენობაზე უზარმაზარი ნეონის რეკლამაა წარწერით „კავარნა“.

კაფეში შევდივართ. ჩახჩახა მზიანმა დღემ აქ ბევრი სტუმარი მიიზიდა. დიდებული, ფეშენებლური კაფე-რესტორანი. ტერასის საფეხურებთან, რომლებიც ამფითეატრივით ეშვება საბანაო აუზისა და ვლტავასკენ, დადგმულია მრგვალი პატარა მაგიდები და ალუმინის სკამები. მდინარეზე გემი „სტალინგრადი“ მიცურავს. გემბანზე დგანან მგზავრები, მოჩანს ყვავილები. ქუჩაში მშვენიერი ასული მიაბიჯებს. თავზე მოდური შლიაპა ხურავს. ბლით, ვაშლითა და მსხლით სავსე კალათა. ოი ღმერთო, სიცილს ძლივს ვიკავებთ. ნუთუ ესეც შლიაპაა! საცოდავი ქალები, რა ტანჯვას არ იტანენ, მოდას რომ არ ჩამორჩნენ! მის უკან ორი ჩალმიანი ქალი მოდის. ესეც მოდის უკანასკნელი ყვირილია — ამჯერად ფრანგული მოდისა. პარიზი გულს არ იტეხს! მთელი ეს სხვადასხვა ჯურის მხიარული ხალხი, კვლავ და კვლავ სვამს ერზაცს — უკოფეინო ყავას.

ოამარი თურმე ძლივს დაიყოლიეს სამგლოვიარო ტანსაცმელი რომ გაეხადა. მაგრამ უნდა ვაღიარო, შავი ტანსაცმელი უფრო უხდებოდა.

უკრავს ჯაზი. ორკესტრის წევრებს შავი ვიზიტურები აცვიათ, თუმცა უკვე დღის პირველი საათია. ხელისგულზე ოდნავ მოზრდილ მოედანზე უამრავი წყვილი ცეკვავს. ცეკვებს შორის შესვენებისას გრძლად გაჭიმული ტერასის მეორე ბოლოში გრგვი-

ნავს ორკესტრი, რომელიც ასრულებს რუსულ და ჩეხურ ხალხურ საცეკვაოებსა და სიმღერებს. პრაღის ქარხნების ახალგაზრდა მუშები დაუოკებლად მხიარულობენ.

ჩვენი გამოჩენა ამ საზოგადოებაში აჟიოტაჟს კიდევ უფრო აძლიერებს. მაშინვე შევუკვეთეთ ერზაცი, სხვა მაინც მეტი არაფერიღა იყო (კიდევ კარგი, გენერალი არ წამოვიდა). ყავის სმა არ დაგვემთავრებინა, რომ ორი ახალგაზრდა მოგვიახლოვდა. წამოვდექი, დანარჩენებმაც მომბაძეს. სტუმრებს ვთხოვე პურ-მარილზე დაგვწვეოდნენ (ჰმ! რა ხმამაღლაა ნათქვამი) და ეს ისე სადღესასწაულოდ გაისმა, თითქოს მწვადზე და „ქინძმარეულის" საუკეთესო ჩამოსხმაზე მომეწვიოს. ათიოდე წუთი ისხდნენ ახალგაზრდები, შემდეგ ერთ-ერთმა მათგანმა ჩერნოვს თავაზიანად მიმართა. ალბათ კიდეც მიხვდა, რომ ის ჩვენს შორის უფროსი იყო.

— ჩვენს ქალებს სურთ იცეკვონ თქვენთან. ელჩად გეახელით.

— მზად ვართ, — დაიძახა ჩერნოვმა.

მე ხელი ავწიე.

— მხოლოდ ერთი პირობით: თუ თქვენ ჩვენს ქალებთან იცეკვებთ. — ბიჭები მაშინვე გამხიარულდნენ.

— რა ჩინებულად ხვდებით სხვის სურვილებს, — თქვა ერთმა ჭაბუკმა და წინ გაგვიძღვა. საცეკვაო მოედნისაკენ ყველანი ერთად წავედით.

საღამოს გრიუნვალდის ველზე გამოვცხადდით. იქ ქოფაკრაინდებთან მებრძოლი ტაბორიტების აჯანყების სახელოვანი ბელადის — იან ჟიჟკას ძეგლის დასათვალიერებლად მივედით. შემდეგ კი ვეწვიეთ შუა ვლტავაში აღმართულ პატარა კუნძულს, ვისეირნეთ ნავებით, დინასთან განმარტოება კი მაინც ვერა და ვერ მოვახერხე...

7. VII. 1945.

დილით ვოლკოვი და თამარი ქალაქგარეთ წავიდნენ. ჩერნოვს ნაწილში გამოუჩნდა საქმე. მადლობა ღმერთს, დღეს მე და დინა მთელი დღე მარტო ვიქნებით! ზუსტად თორმეტ საათზე პოტაპოვმა ბუხტარდიოვის ქუჩაზე წაგვიყვანა ინჟინერ ოდვარკას ოჯახში. ისინი მეორე სართულზე ცხოვრობენ (ჩვენებურად მეოთხეზე). მუხუც ოდვარკას პეტერბურგის უნივერსიტეტი დაუმთავრებია და რუკი

ქალი შეურთავს. ქალმა მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხანია პეტერბურგი დატოვა, მაინც მგზნებარედ უყვარს სამშობლო. ყველაფერზე ეტყობა, რომ ინტელიგენტური ოჯახიდანაა გამოსული. მშვენიერი სათნო სახე აქვს და ჭაღარაც უხდება. ისა და მისი მეუღლე ოცნებობენ კიდევ ერთხელ მაინც მოხვდნენ ლენინგრადში ახლა მგლოვიარედ არიან, უფროსი ვაჟი იაროსლავი გერმანელებმა წამებით მოკლეს. სამახსოვროდ მხოლოდ ფერფლი დარჩა, რომელიც ვერცხლის ურნაში მოუთავსებიათ და მაგიდაზე ყვავილებს შორის დგას, იქვე სურათიცაა. იულიუს ფუჩიკივით მოღიმარი ჭაბუკის ნათელი სახე შემოგვცქერის ფოტოსურათიდან.

— ისლა მანუგეშებს, ჩემი შვილი ღირსეულად დაიღუპა, როგორც შეჰფერის კომუნისტსა და ჩეხს — ცრემლებს იწმენდს ლამაზი ჭაღარით დამშვენებული ქალი, რომელიც ისე ჰგავს ჩაპეკის დედას.

მოხუცი ჩეხის ფიქრები უფრო არეულია და ბუნდოვანი, თუმცა მისმა შვილმა სიცოცხლე გასწირა ახალი ჩეხოსლოვაკიისათვის, პარტიისა და ნათელი მომავლისათვის. ჯერ კიდევ ყველაფერი ვერ გაურკვევია ამ ბუზღუნა ჯიუტ მოხუცს, იგი მერყეობს ერთი მხრივ ბენეშის ფარულ, ბუნდოვან პოლიტიკასა და მეორე მხრივ თავისი შვილებისა და მშრომელი ჩეხი ხალხის გზას შორის. მან პირქუშად ჩაიბუზღუნა, საბჭოთა ჯარისკაცებისაგან ჰუმანიზმს მოელოდა და არა მრისხანებას, სულ არ ესმის მათი სისასტიკის, მისი აზრით, ეს ზედმეტია, თუმც — ჩვენ ჩეხები, რა თქმა უნდა, ვერაფრით გადავუხდით რუს ხალხს იმ ვალს, რაც მათ დაგვდეს. განა ცოტაა? სამშობლო და ერი გადაგვირჩინეს. ეს სიკვდილამდე გვემახსოვრება.

მე წამოვდექი და მაგიდასთან მივედი. ვერცხლის ურნის წინ დავდექი, ბუზღუნა მოხუცს თვალი გავუსწორე.

— თქვენ მართალი ხართ, ჩვენი ჯარისკაცები სასტიკები არიან, მაგრამ განა ეს სისასტიკე ჰუმანიზმს გამორიცხავს? — მოხუცმა ყურადღებით გამომხედა, — განა შეგიძლიათ უმაღლეს სულიერ ღირებულებებზე იფიქროთ, როცა თქვენს სახლს ცეცხლი უკიდია, გიუპატიურებენ ცოლს, გიხოცავენ შვილებს?.. ჩვენი ჯარისკაცები თანიანური ბუნებით მშვიდობიანი ადამიანები არიან: მათ ომი არ უნდოდათ. ომი უცხოა მათთვის! მაგრამ ჩვენ თავს დაგვესხნენ, წაგვართვეს ცხოვრების ჩვეულებრივი სიხარული, მოგვწყვიტეს მშვიდობიან შრომას. უკან დარჩა მშობლიური ქალაქებისა და სოფ-

ლების ნახანძრალი, მიწაში ცოცხლად დამარხული ბავშვები და შერცხვენილი, მონებად გარეკილი დედები და დები, სახრჩობელები, სისხლი და ცრემლები... მთელი ეს ბოროტება ფაშისტებმა ჩაიდინეს. ჯარისკაცებს არა აქვთ უფლება მტრის მიმართ გულჩვილობა და ჰუმანიზმი გამოიჩინონ, ამ სიტყვის ძველებური აბსტრაქტული მნიშვნელობით — იმ მნიშვნელობით, რომელზეც თქვენ ლაპარაკობდით! წამებით მოკლული ახალგაზრდა ჩეხის, თქვენი შვილის ფერფლი არ ასვენებს მათ, როგორც ყოველ პატიოსან ჩეხს. განა ჩვენ უფლება გვაქვს ვდუმდეთ, როცა სუნთქვა გვეკვრის მრისხანებისგან, არ გამოვიტანოთ მკაცრი, მაგრამ სამართლიანი განაჩენი?! მაგრამ იცოდეთ: გაივლის თვეები, წელიწადი და, შესაძლოა, ყველაფერი დავიწყებას მიეცეს, რაც მძიმეა, წარსულს ჩაბარდეს სიმკაცრე, რომელიც, ზოგჯერ ასე ძალიან ჰგავს უხეშობას. ადამიანისთვის ხომ დამახასიათებელია დაივიწყოს ყოველგვარი გაჭირვება, მწუხარება, ტანჯვა, ასევე მოწყობილი ცხოვრება... კარგი იქნება, მაშინ შეხვდებოდეთ ჩვენს ჯარისკაცს, სულში ჩახედავდეი მას...

მოხუცი დუმდა. მისი ცოლი, რომელიც ცრემლებად იღვრებოდა, მომიახლოვდა, გადამეხვია და შუბლზე მაკოცა, მუხლზე ვეფეთხვეი. ხოლო მათმა უმცროსმა შვილმა, სტუდენტმა ხელი მაგრად ჩამომართვა და გადამკოცნა.

დაგვიყოლიეს და ყავაზეც დავეპატიჟეთ. ყავას ალუბლის მურაბაც მოაყოლეს და ვაშლის ღვეზელიც, კიდევ ჰოლანდიური ყველიც. მოიბოდიშეს, პური არა გვაქვსო (ჩეხები ჯერჯერობით ცდილობენ უპურობა გადაიარონ), ალბათ ღვეზელისთვისაც ძლივს გამოფხიკეს ფქვილი.

მოხუცი უსიტყვოდ იჯდა, შემდეგ ზანტად წამოდგა და მშრალად გამოგვეთხოვა. თავის ოთახში გავიდა. დედამ და შვილმა მრავალმნიშვნელოვნად გადახედეს ერთმანეთს. მე თავი უმალ ჩავღუნე. ჩემთვის ყველაფერი ნათელი იყო: ყველას როდი ჰყოფნიდა გამბედაობა, მტკიცედ დადგომოდა ახალი ცხოვრების გაუკვალავ გზას, ზოგი ჯერ კიდევ ამჯობინებდა ძველსა და ბნელ გზას, მაგრამ უმრავლესობა მაინც თამამად მოაბიჯებდა ნათელი მომავლისაკენ.

ზუსტად თერამეტ საათზე რუჟიჩკამ გუსტა ფუჩიკოვასთან, ჩეხოსლოვაკიის ეროვნული გმირის მეუღლესთან მიგვიყვანა. ის საპ-

ჭოთა მეომრებთან ერთად შევიდა მშობლიურ ქალაქში. პოლო-
ნეთის ფაშისტურ ბანაკში გატარებულ მწარე ცხოვრებას შეერყია მი-
სი ჯანმრთელობა, მაგრამ მაინც მტკიცე ქალი გამოდგა. თავისუფ-
ლების პირველი დღეებიდანვე დაიწყო ქმრის ძებნა. მალე გაიგო
მწარე სიმართლე მასზე. შემდეგ კი ეს სიმართლე მთელ ქვეყანას
მოედო. მსოფლიო შეაკანკალა. და ის, ვინც სიკვდილით დასაჯეს,
უცბად უკვდავი გახდა.

ორი კვირის შემდეგ მეუღლეს იულიუს ფუჩიკის ჩანაწერები მოუ-
ტანეს. მას შემდეგ თვალებზე ცრემლი არ შეშრობია. ბოლოს და ბო-
ლოს გაიგონა მისთვის დაუვიწყარი მეუღლის სიმღერა, — სიმღერა,
რომელშიაც ფუჩიკმა ამდენი თბილი გრძნობა ჩააქსოვა. „ცხოვრებას
მოწყვეტილი, — წერდა იგი, — თითოეული ჩვენგანი აქ დღითიდღე
საკუთარ თვალწინ კვდება, მაგრამ კვლავ იბადება...“ ისიც დაიბადა
ისევ, რათა ლეგენდად ქცეულიყო და მარად ეცოცხლა თავისი ხალ-
ხის გულში. ამიერიდან გუსტას შეეძლო ყოველდღე ესაუბრა მეუღ-
ლესთან.

ამ ძალიან უბრალო და ოდნავ დაუდეერად გაწყობილ ბინაში
იგრძნობოდა ფუჩიკის დიდი სული, ახალგაზრდული და ძლიერი
სული. ის თითქოს რაღაცით ჰგავდა მაიაკოვსკის, რაღაცით ნიკო-
ლოზ ოსტროვსკის, რაღაცით თავისი პარტიის დიდ ბელადებს და
შეიძლება ითქვას, გრძელ მანტიაში გახვეულ კაცსაც, რომელსაც
დოქტორის ქუდი ეხურა, და რომლის პატივსაცემადაც ამ დღეებ-
ში ჩეხოსლოვაკიაში უამრავი კოცონი ააგიზგიზეს.

„რაოდენ ცოტაა ადამიანის სიცოცხლის დღეები, ჩვენ კი გვინდა
რაც შეიძლება სწრაფად გარბოდეს წუთისოფელი“. ეს სიტყვები მან
მაშინ დაწერა, როცა ჩქარობდა მარად ცოცხალი დარჩენილიყო.
ახალგაზრდობისათვის ესწავლებინა, როგორ უნდა ცხოვრება და
სიკვდილი.

წასვლა არ გვინდოდა, მაგრამ დრო, როგორც იტყვიან, ღუზაზე
არ დგება. ბოლოს და ბოლოს გუსტას გამოვეთხოვეთ, გამოვეთხოვეთ
ისე როგორც ძველი, კეთილი მეგობრები. როცა კიბეზე ვეშვებო-
დით, მეჩვენებოდა, თითქოსდა თვით ფუჩიკის მხნე ხმა ჩამესმო-
და, რომლის გაჩუმება ფაშისტებმაც კი ვერ შეძლეს:

„...თქვენ გგონიათ, თითქოს კარგად იცით ცხოვრების ფასი.
მკვდრეთით აღდგომის შემდეგ გეჩვენებათ, თითქოს რეჟისორის

ნიშანზე მაშინვე აენთო ყველა იუპიტერი და სცენას სინათლე აჩახჩახებს. გეგონათ, რომ კარგი ცხედველობა გაქვთ, მაგრამ მკვდრეთით აღმდგარნი ისეთს ხედავთ სამყაროს, თითქოს თვალთან ერთდროულად მიგეტანოთ ტელესკოპიც და მიკროსკოპიც, მკვდრეთით აღდგომა გაზაფხულის ხვედრია. ის მოულოდნელ მშვენიერებას პოულობს ყოველად ჩვეულებრივში...“

უნივერსიტეტის მოედანზე შევჩერდით. ეს ევროპის ერთ-ერთი უძველესი უნივერსიტეტია. აქ კითხულობდა ლექციებს იან ჰუსი, ამ ძველი შენობიდან განათლების სინათლე ეფინებოდა ჩეხიისა და სლოვაკიის ყველა კუთხეს, ყველა სლავურ ქვეყანას. ლადია ამის შესახებ განსაკუთრებული შთაგონებით გვიამბობს. თვითონაც დღეს რაღაცნაირი, განსაკუთრებულია, ახალგაზრდა და ძლიერი, მას ჩეხიის ახალგაზრდათა კავშირის წევრის მწვანე ქურთუკი აცვია.

ჩემი ყურადღება მიიპყრო დაჭრილი მებრძოლის შიშველმა ქანდაკმა; რა ზუსტად და ექსპრესიულადაა გადმოცემული ტკივილის გრძნობა და დაცემის სისწრაფე. თვალს ვერ ვაშორებ ქანდაკს (ეს იმ მოქანდაკის ნამუშევარია, რომლის ატელიესაც ყოველდღე ვხედავ ლოგინიდან ადგომისას, ასევე საღამოს — ძილის წინ; დალახვროს ეშმაკმა, სულ მავიწყდება ვიკითხო მოქანდაკის გვარი!).

— ბოდიში, მეგობრებო, — გვეთხოვება რუჟიჩკა, — უნდა დაგტოვოთ. იულიუს ფუჩიკის სახლში ყოფნის შემდეგ შენც ვინღა მარტო დარჩე ან იმ ადამიანთან, ვისაც კარგად ესმის შენი, ვისაც შეიძლება უსიტყვოდ ესაუბრო. ვფიქრობ, გამიგებთ, ამხანაგებო!

მე და დინა პრაღის ძველ ვიწრო ქუჩებს დავადექით, კოშკების თაღებქვეშ გავიარეთ და უეცრად კარლოსის ხიდზე აღმოვჩნდით. აქეთ მიზიდავდა ძველი ხელოვნება, მოლაპარაკე ქვები. დინას კი არ ვიცი, რა იზიდავდა.

შუაღამე ახლოდებოდა. გამელელები თითქმის არ ჩანდნენ, ირგვლივ უცნაური სიჩუმე გამეფებულიყო მთვარის შუქზე ელვარებდა გრაღჩანების განუმეორებელი სილეტები — კოშკები, სახლების კედლები, კრამიტის სახურავები, ბებერი ხეები, კაცს ეგონებოდა, თითქოსდა ყოველივე ეს გობელენზე გამოესახოს დიდი ხნის წინათ მცხოვრებ დიდებულ ოსტატს. დაფიქრებული დავცქეროდით ვლტავას მშვიდ დინებას. ახლა სწორედ დრო იყო გულახდილი საუბრისა. თუმცა სულაც არ მეთქმის გაუბედავი კაცი, ლაპარაკს მაინც ვერ ვბედავდი. ერთ-ორ წუთს კიდევ დავიცდი. ნეტავ

რაზე ფიქრობს ახლა დინა?.. ასე მეგონა, თითქოსდა ათ მეტრიან სახტომ კოშკზე ვიდექი და საცაა წყალში უნდა მესკუპა. თვალები დავხუჭე, გულში დავითვალე: ერთი... ორი... სამი... და ქალიშვილისაკენ შევბრუნდი.

— დინა, არ მინდოდა შენთვის მეთქვა ეს გაცვეთილი, ტრაფარეტული სიტყვა, მაგრამ რამდენიც უნდა ეძებო, ადამიანურ ენაზე უკეთესი არაფერი მოიპოვება... მიყვარხარ, დინა... შემიყვარდი, დინა... ისე შემიყვარდი, რომ მეჩვენება თითქოსდა თავბრუდამხვევი სიმაღლიდან ვეშვები. ვხედავ, შენც გიყვარვარ. მაშ რატომ ვიქცევით პატარა ბავშვებივით და არ ვეუბნებით ერთმანეთს ამ „კრამოლურ“ სიტყვებს? რა სისულელეა, გრცხვენოდეს ყველაზე ლამაზი, ყველაზე მაღალი გრძნობისა!.. თუმცა, კაცმა რომ თქვას, ამ გაუბედაობაშია გრძნობის სილამაზე და სიდიადე, მარადიული ამაღელვებელი ჭეშმარიტების გამეორება... ხომ ასეა?

დინა ერთხანს დუმდა და ნერვულად იმტვრევდა თითებს. ხელები მხრებზე მოვკიდე და თვალებში ჩავხედე.

— მე... მეც ისევე ვფიქრობ, როგორც შენ... და მაინც ცოტაი სხვანაირად, თვითონაც ხედავ... და ეს ხიდიც მოწმეა, მიყვარხარ თუ არა. ასე მგონია, სულ რამდენიმე დღე კი არა, წლები, ხანგრძლივი წლებია, რაც გიცნობ, მაგრამ, ძვირფასო, — ხელი სახეზე, ნაჭრილობევზე მომისვა, — მოდი ბოლომდე ნამდვილ მეგობრებად დავრჩეთ...

გულში მწარე ტკივილმა გამკრა. ტკივილმა, რომელიც ცხოვრების ღვიძლი დაა...

— არა, დინა, შენ სწორს არ ამბობ... თითქოს ნამდვილი წმინდა ანტონის ცდუნებაა. მიყვარხარ, და გწამდეს, ამაზე ძლიერი გრძნობა არ მქონია ცხოვრებაში. მე შენთან ნამდვილ, ამქვეყნიურ ბედნიერებას ვისწრაფი. აქ, ამ ბებერ მიწაზე და სამუდამოდაც!

არ მახსოვს როგორ მოხდა, ერთმანეთს ჩავეკარით. მე ვკოცნიდი ლოყებზე, ტუჩებში, თვალებზე. ის კიდევ თმებზე მისვამდა ხელებს. გაუბედავად მეხებოდა ტუჩებით კისერზე, გვერდზე. მეჩვენებოდა, გავგიჟდებოდი ბედნიერებისაგან, მღელვარებისგან, მისი ნატიფი ტანის სინაზისაგან, შემდეგ როგორც იყო, გათავისუფლდა ჩემი მკლავებიდან:

— არა, კმარა, არჩილ. გამიგე, ახლა ორმაგ ცეცხლში ვიწვი... არა-არა, ეს არ მოხდება! მე მიყვარს ჩერნოვი, დიდი ხანია პი-

რობა მივეცი. შენ ყველაფერს უნდა მიმხვდარიყავი... შერიგებოდი ამას.

მეტი არაფერი გვითქვამს ერთმანეთისთვის. უხმოდ გავაცილე, სადარბაზოსთან კიდევ ერთხელ ვაკოცე (თვითონ მოინდომა). მახსოვს დილამდე დავეხეტებოდი უცნობ ქუჩებში.

8. VII. 1945.

აღარ ანთია ჩირაღდნები. ჩაქრა უამრავი კოცონი, ცხოვრება თავისი ჩვეულებრივი გზით წარიმართა. მკერავთან ვიჩქარი — პიჯაკი უნდა გამოვაშვებინო. რა გასაკვირია, ამ სამი წლის მანძილზე დავვაკაცდი, როგორც იტყვიან მხრებში გავიშალე. პოტაპოვთან ერთად წავედი ვაცლავის მოედანზე, აქ მთელ ევროპაში ცნობილი მკერავები არიან, ქალაქის საუკეთესო მკერავები. ჩემს მკერავს დოუბეკი ქვია, მხიარული, ჩაფსკვნილი ვაჟკაცია, ცოტათი მოკრივესა ჰგავს. ფეხბურთის დიდი მოყვარულიც გამოდგა. განათლებული, ნაკითხი ყმაწვილია, თავისი საქმე კი ჩინებულად იცის — ნამდვილი მხატვარია! გონებამახვილი და იუმორით სავსე. სახელოსნოში რამდენჯერმე შემოიხედა მისმა მეუღლემ, ჩანს, ის არა მარტო დოუბეკის ბავშვების დედაა, არამედ მეუღლესაც არ აკლებს მზრუნველ თვალს. დოუბეკსაც ეტყობა კარგი მეოჯახე რომაა. თუმცა ალბათ ზოგჯერ უარს არ ამბობს თვალს წყალი დაალევნოს. ყოველ შემთხვევაში მე ასეთი აზრი შემექმნა. როგორღაც მაშინვე მოგვეწონა ერთმანეთი, თუმცა, ეს მაინცდამაინც დიდი იშვიათობა არ არის. მან მიამბო, რა მტანჯველი დღეები გადაიტანა ქალაქმა ფაშისტური ოკუპაციის დროს. ხოლო როცა ჰიტლერელთა ურდოები სტალინგრადს მიუახლოვდნენ, მთელი ჩეხოსლოვაკია გლოვამ მოიცვა, ბევრი სასოწარკვეთილებაში ჩავარდა, ყოველგვარი იმედი დაკარგეს.

— მე კი მუდამ მჯეროდა, რომ რუსეთი გაიმარჯვებდა, იმედი არასოდეს დამიკარგავს... თუმცა ცოტა არ იყოს, სულით დავეცი სტალინგრადის მძიმე დღეებში, მაგრამ მაშინვე მოვედი გონს.

ვილაპარაკეთ ჩეხურ ლიტერატურასა და ხელოვნებაზე, არქიტექტურაზე. გამოირკვა, რომ ოპერაში არ დადიოდა, რადგან ოკუპაციის წლებში ზოგი მისი საყვარელი მომღერალი კოლაბორაციო-

ნისტი გამხდარა. თავისთავად გასაგებია, არ დავიწყებია ეთქვა, რომ პალტო შეუკერა ცნობილ ნორვეგიელ მოციგურავეს ჰოლივუდის კინოვარსკვლავს სონია ჰენის. გამოთხოვებისას კი გამანდო თავისი სანუკვარი ოცნება. უნდა მოინახულოს საბჭოთა კავშირი. შვილს კი აუცილებლად ჩვენთან გამოგზავნის სასწავლებლად, ვინაიდან საბჭოთა კავშირი მომავლის ქვეყანაა.

9. VII. 1945.

მეორე დღეს დილიდან ვემზადებოდით მორავიაში წასასვლელად. გადავწყვიტეთ ბრნოს ქარხნები დაგვეთვალიერებინა. გვენახა მთელ მსოფლიოში განთქმული ქალაქი ელინი, ფეხსაცმელის „მეფის" ტომას ბატის ყოფილი სამემკვიდრეო მამული. ახლა ყოველივე ეს ხალხის საკუთრებაა. მორავიაში დაგვპატიჟეს ბრნოელმა ბიჭებმა, რომლებსაც პრაღის კაფეში დღესასწაულზე შევხვდით. ჩეხიის ახალგაზრდობის კავშირმა რუჟიჩკა გამოგვაყოლა.

მე საჭესთან ვზივარ, უკან კაბინაში სხედან დინა და ბორისი. მათი იქ ყოფნის შეგრძნებისგან თითქოს ზურგზე ცეცხლი მიკიდია, გულზე რაღაც სიმძიმე მაწევს. ხელს ვაჭერ აქსელერატორს — მაქსიმალური სიჩქარეა. კიდევ რომ მოვუჩქარო, აეარია ნაღდია! წინა მინა ჩამოშვებულია, ქარი სახეში, ყურებში მცემს. თმა ამეწეწა, თვალებში მიძვრება, ვერაფერს ვხედავ: წინ მთლიანი ნისლია და ტკივილი, ტკივილი და ნისლი, საკუთარ თავზე კონტროლს ვკარგავ. ვცდილობ თავს მოვერიო, არაფერი გამოდის. ქარი ქრის, ყურებში ჩამზუზუნებს. მთელ სხეულზე ცივი ოფლი მასხამს. ვგრძნობ, როგორ ხტუნაობს და ჯანჯღარებს მანქანა. ძრავა თუხთუხებს, კიდევ წუთიც და... თვალწინ გამირბინა მთელმა ჩემმა ხანმოკლე სიცოცხლემ. ბავშვობამ... ახალგაზრდობამ. სტუდენტობის საუცხოო წლებმა... დედის ალერსიანი სიტყვები და მამის მკაცრი სინაზე. შემდეგ ომი — გამარჯვებები და დამარცხებები, სიხარული და მწუხარება... საშინელი დანგრეული ქალაქი, ერთი წლის ბავშვი, რომლისთვისაც ბომბს თავი წაუგლეჯია. ვიღაცის სისხლი ხელებზე, ჩექმებზე, ვიღაცის უძლური კვნესა და სიძულვილის გრძნობა, უსაზღვრო სიძულვილისა ომისადმი, ადამიანის მიერ ადამიანის მოსპობისადმი... აი ჩვენი შავი ლიმუზინიც და ქალიშვილი, რომელიც პირველ სიყვარულს წააგავს... მანქანის მართვა მიჭირს — წინ,

წინ... უფსკრულისაკენ... უეცრად საიდანღაც ოდნავ გასაგონად ისმის: „გონს მოდი! რას აკეთებ?!“. ვიღაცის მძლავრი ხელები საჭეს ჩააფრინდა. მანქანა უკვე სხვის ნებას ემორჩილება... ყველაფერი ნისლს მოუცავს...

უცნობი ტყის მდელოზე გამოვფხიზლდი. თამარს მოეყავდი გრძნობაზე; მგონი, ნემსიც გამიკეთა, როცა იგრძნო რომ გრძნობაზე მოვდიოდი, ბორისი მომვარდა:

— როგორ ხარ, არჩილ ძვირფასო?.. თუ თავს ცუდად გრძნობდი, საჭესთან არ უნდა დამჯდარიყავი. საერთოდაც შეიძლებოდა ერთი დღით გადაგვედო მგზავრობა, არაფერიც არ მოხდებოდა!..

— ბოდიში, ბორის, — ლაპარაკი მიმძიმდა, — ვერც კი გამოვთქვამ, დამნაშავე ვარ!..

დინა განზე იჯდა ფერმკრთალი, ჩაფიქრებული, სახეზე გადატანილი შიში ეტყობოდა, — მან ხომ მშვენივრად იცოდა, რა ხდებოდა ჩემში. ვგონებ, ბორისიც რაღაცას ხვდებოდა. სწორედ ის მისწვდა უკანასკნელ წუთს საჭეს.

— რა სისულელეა! — თქვა მან, — მომეხვია და შუბლზე მაკოცა. — ძალიან კი შეგვაშინე... კარგია, რომ იოლად გადავრჩით. ძალიან გთხოვ ეს ფათერაკიანი წუთები დავივიწყოთ.

მალე კვლავ დავადექით გზას. ახლა მანქანა ჩერნოვს მიჰყავდა, მე უკან ვიჯექი ვოლკოვთან ერთად (დინა თამართან გადაჯდა მეორე მანქანაში). არეული ვიყავი. თავს უხერხულად ვგრძნობდი. განსაკუთრებით ჩერნოვის წინაშე; სხვები მაინც ბალთას იყვნენ, არაფერი იცოდნენ.

კარიბჭესთან ქალაქ ბრნოს მუშათა დელეგაცია შეგვხვდა. ამაში რუეიჩკას ხელი ურევია, თუმცა ძალიან ვთხოვეთ, ზარზეიმი საჭირო რომ არ იყო. მუქარის ნიშნად თითი დაუქნიე, იგი მიხვდა და გაიღიმა. მუშები საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარის რაიჩკის მეთაურობით. შეძახილებით შეგვხვდნენ. გვაჩვენეს ქარხნები, მუშათა ქალაქი. ჯერ კიდევ მთლიანად არ ჩამცხრალა ომის ხანძარი, აქ კი უკვე აშენებენ პარკებს, სტადიონებს, ჩოგბურთის კორტებს, ფრენბურთის მოედნებს, გეგმავენ მშვენიერ ნათელ სასახლეებს მუშებისათვის, აგრეთვე სკოლებს, საბავშვო ბაღებს, ტექნიკუმებს, კლუბებს.

საღამოს სადილის შემდეგ კულტურის სასახლეში მიგვიწვიეს. ჩერნოვმა პატარა მოხსენება გააკეთა. იშვიათად შემხვედრია ასეთი

ორატორი, მისი სიტყვა წყალივით მოედინებოდა — ლამაზი, შინაარსიანი გახლდათ. მის ყოველ სიტყვაში იგრძნობოდა ჭკუა და სიღრმე.

ჩერნოვის შემდეგ გამოვიდნენ რაიჩეკი და მუშები — ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები. ჩვენ ყვავილები მოგვართვეს და დიდხანს წარმოთქვამდნენ სადღეგრძელოებს. შემდეგ ქალაქგარეთ წაგვიყვანეს. მდინარის პირას ლამაზ მდელობზე გამართეს სუფრა, ირგვლივ ჩირაღდნები ენთო.

— არჩილ, რა მოგივიდა დღეს! — ჩამესმა დინას ხმა.

— თვითონაც არ ვიცი. თქვენს მანქანაში არ უნდა ჩავმჯდარიყავი. ხომ არ მიწყრები?

— სულაც არა... თუმცა შენი ემოციები შეიძლებოდა ყველას სიცოცხლის ფასად დაგვჯდომოდა. არ შემიძლია გაგინაწყენდე, თუმცა საჭირო კია... ჩემო საწყალო!

— ბორისი?

— ის არასოდეს არ აძლევს თავისუფლებას საკუთარ გრძნობას, ვერც კი გაიგებ მის განცდებს. ამ კაცის დიდსულოვნება კი უსაზღვროა... შენც შეუყვარდი და ალბათ ამიტომ შემწყნარებლურად ეკიდება შენს სისუსტეს... გულში რა უტრიალებს, არ ვიცი, ჯერჯერობით არ ძალმიძს ჩავწვდე ამ საიდუმლოს. მხოლოდ ის ვიცი, რომ კეთილშობილების განსახიერებაა და ამიტომაც მიყვარს.

ორმაგად ვიტანჯებოდი — ცალკე სიყვარული მექაჩებოდა, ცალკე სინდისი მქენჯნიდა. დინა ყველაფერს აშკარად ხედავდა და მეონი ვეცოდებოდი კიდეც. ხელი ხელზე ნაზად მომკიდა. ალერსიანად შემომხედა და გამიღიმა. ტანში გამცრა და კინაღამ ჩავიკეცე.

აქედან ისევ გავაგრძელეთ ჩვენი ექსკურსია.

ბრნოს ქარხნებმა და ზლინის ფეხსაცმლის ფაბრიკამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, განსაკუთრებით მოგვეწონა მუშების ხალისიანი განწყობა, ორგანიზებულება.

11 ივლისს დილაადრიან გამოვეთხოვეთ დინას, თამარსა და ჩერნოვს. შევუთანხმდით, რომ სამი დღის შემდეგ ვენაში შევხვდებოდით. ჩვენ კი კარლოვი ვარში გავემგზავრეთ.

11. VII. 1945.

კარლოვი ვარში გავჩერდით სასტუმროში, რომელიც წინათ გრაფ ფანგოლენშტეინს ეკუთვნოდა. კაპიტანი კონოვალოვი ვესტიბიულში დაგვხვდა და მაშინვე სასტუმროს დათვალიერება შემოგვთავაზა. ნათელი და მშვენიერი ოთახები მდიდრულად და გემოვნებით გახლდათ მორთული. დერეფნებში კედლებზე აკვარელით შესრულებული ლამაზი პეიზაჟები იყო გამოფენილი. რაკებში ეწყო ფაიფურისა და ბროლის ჭურჭელი, ორიგინალური ბოჰემიური მინა, რამდენიმე ქაშანურის ფიალაც. ყველაფერი ეს სენ-პერშერის სახელოსნოებიდან გახლდათ მოტანილი. კედლებიდან შემოგვცქერის ჩასუქებული ვაჟბატონი — ჰოლეინშტაინების ოჯახის ყველაზე უმცროსი წევრი, ფაშისტი მფრინავი. ჩვენი ბავშვების, ქალების, ძმებისა და მამების რამდენი სისხლია მის სინდისზე (ლაპისაა გავგიჟდე, როცა ამას ვიხსენებ). ოდნავ მოშორებით ამ ძველი გვარის ბამამთავარის პორტრეტია, რომელსაც დამპყრობლის მტაცებლური სახე აქვს.

მეხუთე სართულზე ავდივართ. აქ თურმე უკანასკნელ წუთამდე ემალებოდა ხალხის შურისძიებას გამყიდველი ვლასოვი. როცა საბჭოთა ჯარები მოახლოვდნენ, ქალის კაბა გადაიცვა და გაქცევა დააპირა. მაგრამ არ გამოუვიდა, მხეცი შეიპყრეს!

კარლოვი ვარს წარმტაცი მთები შემოსჯარვია, აქ ყველაფერი ძალიან ჰგავს ბორჯომის ხეობას. სამკურნალო წყლებით, მრავალსართულიანი სასტუმროებით, მშვენიერი სანატორიუმებით. განთქმული ქალაქი გვაოცებს თავისი სიწყნარითა და მდუმარებით. შუა სეზონია და ხალხი თითქოს ბლომად უნდა იყოს! მაგრამ გათავისუფლებული ჩეხოსლოვაკიის ხალხი ჯერჯერობით სხვა წამლებით მკურნალობს, არც სხვა ქვეყნებიდან ჩამოდიან სტუმრები...

გალავანზე, რომ ლიც ერთ-ერთ წყაროს აკრავს, მემორიალური დაფაა: „ამ ადგილას იდგა პეტრეს სახლი, რომლის მშენებლობაში 1712 წელს პეტრე დიდიც მონაწილეობდა, როგორც კალატოზი“.

იქვე საბჭოთა მეომრების ცოცხალი ყვავილებით მორთული საფლავებია.

კვლავ „კავარნა“. ისეთივე საძაგელი კაფე. ისეთივე ცეკვები ჯაზ-ორკესტრის თანხლებით. ხალხს ჯერაც არ უსწავლია ნამდვილი მხიარულება.

12. VII. 1945.

მონადირის მთაზე ავედით. მთის კენწეროზე დგას პეტრე I საკმაოდ უგემოვნო ბრინჯაოს ბიუსტი. აქვეა რესტორანიც. მისი კედლები ირმის რქებითაა მორთული. გვთავაზობენ ცხელ ყავას და კიდევ შთაბეჭდილებათა წიგნს. არ იცი, რა ჩაწერო ამ წიგნში, უბრალოდ თავაზიანობის ეალს თუ მოიხდი, თორემ ჩასაწერი არაფერია.

ვისადილეთ თუ არა, მაშინვე პრაღაში გავემგზავრეთ. გზად ერთმა ქალიშვილმა გვთხოვა თან წაგვეყვანა. ქალიშვილი გერმანელი ებრაელი აღმოჩნდა, ახლა სოფელში მიემგზავრებოდა ახლობლებთან. გზაში რასაკვირველია ერთმანეთს გამოველაპარაკეთ. ქალიშვილმა მორცხვად გვიამბო, რომ მისი ოცნება იყო ბალერინა გაძხდარიყო. ამისათვის მას, როგორც ებრაელს განცხადებით უნდა მიემართა ჰებელსისათვის. ნებართვა თითქოსდა მისცეს. ბერლინშიაც გაემგზავრა... მაგრამ ფეხი „განიერი" აღმოაჩნდა და დაიწუნეს. ამ „ობიექტური მიზეზის" ნამდვილი სარჩული, რა თქმა უნდა, სულ სხვა რამ იყო. ქალიშვილმა გვიამბო, თუ რა საშინელ ზღაპრებს ავრცელებდა ჩვენზე ჰებელსის პროპაგანდა. მერე რა გაირკვა, ჩვენ თურმე ჩვეულებრივი ადამიანები ვყოფილვართ და სუფთადაც ვლაპარაკობთ გერმანულად! ქალიშვილი განცვიფრებული და ნასიამოვნები იყო. მანქანიდან გადმოსვლისას ბედნიერი გზა გვისურვა.

რომელიღაც სოფელში იძულებული გავხდით შევჩერებულიყავით და მანქანისათვის „გვემკურნალა". ‘ლეხის ბიჭი მორიდებით მოგვიახლოვდა. პატარა ჩეხი ძალიან დაინტერესდა ჩვენით, თუმცა სულ ათიოდე წლისა იყო, გაირკვა, რომ თურმე მას სმენია კრემლის, ლენინის, სტალინის შესახებ, ხოლო არტეკი მისი ოცნების წყარო ყოფილა. სანამ მანქანას ‘ეუკირკიტებდით, მარდმა ბიჭუნამ საკუთარი ინიციატივით ცივი ლუდი მოგვიტანა და უამრავი ცნობისმოყვარე ბავშვიც მოგვაყენა.

13. VII. 1945.

და აი, კვლავ პრაღაში ვართ. რუჟიჩკაც უკვე დაბრუნდა ბრნოდან და სტრახოვის ბიბლიოთეკაში მივყევარ, რომელიც ჩეხური კულტურის სიამაყეა.

სტრახოვის კლაშტერი (ჩვენებურად მონასტერი) დაარსდა 1140 წელს. ბიბლიოთეკის დარბაზი ხუროთმოძღვრების სასწაულია. ის მოპირკეთებულია კაკლის დიდებული მოჩუქურთმებული პანელებით. შემკულია დიდებული სურათებით. დარბაზი 1790 წელს გაიხსნა. აქ ბიბლიოთეკაში 120.000 სხვადასხვა ტომი ინახება. შემოვიარე კლაშტერის ყველა კუთხე, დავიარე აურაცხელი დარბაზი, სატრაპეზოები, სენაკები, დავათვალიერე ძველი რუკები და გლობუსები, უზარმაზარი ფოლიანტები და ძველი პერგამენტები. ამის შემდეგ ვეწვიე კარმელიტებისა და იეზუიტების მონასტერს, რომელიც იქვე ახლოს მდებარეობდა. იგივე ლამაზი, კეთილშობილური ქვები, რომლებისთვისაც ბაროკოს სტილის ოსტატებს შეუსხამთ ხორცი. აქ უამრავი მადონაა. ზოგი შეფერადებულია ძველ ბერძნული ნიმუშის თანახმად, სხვები ბალახონებით, მაქმანით და ფარჩით არიან შემოსილი. ყოველივე ეს საკმაოდ ველურ შთაბეჭდილებას სტოვებს. რუჟიჩკა საესებით მეთანხმება ამაში.

დიდხანს დავეხეტებოდით ქალაქში. ვიღაც გამვლელმა რუსული ლაპარაკი რომ გაიგონა, შეგვაჩერა. უმალ ის მკითხა საიდანა ხარო? რომ ვუთხარი, რუსეთიდან-მეთქი, გადამეხვია, ინჟინერი ნიკოლაევი ვარო — გამეცნო. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ აქ ცხოვრობო. ახლა ამაყად მაჩვენებს საბჭოთა პასპორტს და პორტფელიდან იღებს მოსკოვში გამოცემულ „პარტიის ისტორიას“.

მიჭირს ლადია რუჟიჩკასთან გამოთხოვება. ამ ორ დღეში ძალიან შევეჩვიეთ ერთმანეთს და დავმეგობრდით. რუჟიჩკა ჩეშოვის ჩეხოსლოვაკიის ახალგაზრდობის წარმომადგენელია. გამოთხოვებისას მასაც ნაღველი შევნიშნე, ლაპარაკი უჭირდა, თვალებზე ცრემლიც კი მოადგა.

— მეგობარო არჩილ! (ის მახვილს მუდამ პირველ მარცვალს ახვედრებდა) ჩვენი დოქტორი იადლიჩკა თარგმნის თქვენს რუსთაველს, ეს შესანიშნავი პოემაა მეგობრობასა და სიყვარულზე. ძალიან მინდა ჩვენც ისეთი მეგობრობა გვაკავშირებდეს, როგორსაც ასობით წლის წინათ უმღერია თქვენმა პოეტმა. მე აუცილებლად ჩამოვალ მოსკოვში განათლების დასამთავრებლად და იქ შევხვდებით ერთმანეთს.

მართალი გითხრათ, მეც კინაღამ მომერია ცრემლები. ერთმანეთს გადავეხვიეთ და შევთანხმდით, რომ დილას ის ჩემს გასაცილებლად მოვიდოდა.

კიდევ დიდხანს დავეხეტებოდი იმ ქალაქის ქუჩებში, რომელიც სულ რამდენიმე დღეში ასე მშობლიური და ახლობელი გახდა. მიჭირდა მასთან გამოთხოვება... მაგრამ რას იზამ, წინ ვენა მელოდებოდა.

15. VII. 1945.

„ვენა ვენად რჩება!" — ასე წერია ტრანსპარანტზე, რომლითაც გვხვდება ქალაქი, მეორე პარიზს რომ უწოდებენ. ევროპის მუსიკალური ცხოვრების ცენტრი XVIII და XIX საუკუნეებში, ქუჩის ბარიკადებისა და მუშათა გმირული გაფიცვების ქალაქი... შვიდი წლის წინათ ის ვერაგულად ხელთ იგდო ჰიტლერმა გულგრილი ევროპის თვალწინ.

მაგონდება დიდი ბეთჰოვენი. ისიც ხომ ამ ქალაქში ცხოვრობდა და აქვე გარდაიცვალა. „ხელოვნების მიზანი უნდა იყოს თავისუფლება, პროგრესი", — ეუბნებოდა დიდი კომპოზიტორი თავის მეგობრებს ახალგაზრდობის წლებში. ამ რწმენის ერთგული დარჩა სიცოცხლის ბოლომდე. რა ჭეშმარიტად ზეადამიანური შემოქმედებითი ენერგია ჰქონდა მომადლებული ავადმყოფ, მარტოხელა, გაჭირვებისგან შეწუხებულ კომპოზიტორს, რომელმაც ცხოვრების უმძიმეს დროში შექმნა თავისი ყველაზე ოპტიმისტური ნაწარმოები, სიხარულისა და თავისუფლების მსოფლიო ჰიმნი — მეცხრე სიმფონია.

პრაღასთან შედარებით ვენა ბევრს აგებს. მას რაღაცნაირი ქარაფშტული იერი დაჰკრავს.

„გრანდ-ოტელში" დავბინავდით. თურმე ჩვენი მეგობრებიც აქ დაბინავებულიყვნენ. სასიამოვნო ამბავი შევიტყვეთ: ახლახან მოსკოვიდან საგასტროლოდ ჩამოფრენილან გალინა ულანოვა, ნატალია შპილერი, ლევ ობორინი. მათ თან ახლავს ჩემი მეგობარი, ხელოვნებათმცოდნე ოლგა ნიკოლოზის ასული ლიდოროვა.

საღამოა. მახარებს მეგობრებთან — დინასთან, ბორისთან და თამართან შეხვედრა. ასე მგონია, თითქოს მთელი წელი არ გვენახოს ერთმანეთი. მათ ჯერაც არ დაუთვალიერებიათ ვენის ღირსშესანიშნაობანი, მე მელოდნენ. თამარს უთქვამს, რომ ჩემი ხელმძღვანელობით მეტს ნახავენ და უკეთაც გაერკვევიან ყველაფერ-

ში. მე მათთვის თითქოს მაგიური მინა ვარ. მადლიერების ნიშნად თავი დავხარე და ხელზე ვეამბორე.

ჩვენს გასტროლიორებთან ერთად გავედით რინგზე სასეირნოდ. აქ თერთმეტ საათამდე შეიძლება სეირნობა, შემდეგ კომენდანტის საათი დგება. აფსუს, ქალაქის შესასვლელთან ნანახი მხიარული წარწერის მიუხედავად, ვენა ძალიან შეცვლილია! ყველაფერს ნგრევის, მოწყენილობისა და გაჭირვების დაღი აზის. განსაკუთრებით ცუდად ცხოვრობენ მუშები, დაბალი თანამდებობის ხალხი — მშრომელები. არა. მათ ახლა მხიარული სიმღერებისა და ქარაფშუტული კარნავალების თავი არა აქვთ, ადამიანები ლუკმაპურის ძებნაში აღამებენ.

ვაჩერებთ კოხტად ჩაცმულ ახალგაზრდა ქალს, რომელიც ალბათ ოჯახის დედაცაა. ვეკითხებით, როგორ წავიდეთ დიდ ოპერაში. ქალი მწარედ იღიმება და ძლივს ლუღლუღებს:

— უკაცრავად... მაპატიეთ... სამი დღეა პირში ნამცეცი არ ჩამიდვია. არაფერი მესმის...

ჩვენც კი, ადამიანები, რომლებსაც ვინ იცის, რა არ აგვმა—ომმა, სახტად დავრჩით. გული გვეტკინა კაცობრიობის ასე მწარედ გადასხვაფერების გამო. ოპერის შენობის ნახვის სურვილი უეცრად თავისთავად გაგვიქრა, უხმოდ დავბრუნდით სასტუმროში.

— ცოტათი მოგვწყინდა უშენოდ, არჩილ, — ამბობს დინა. — მზერა გავუსწორე. — თამარს ჰკითხე.

არ ვიცი, რატომ, მაგრამ ახლა მის აღსარებას ჩემზე არ უმოქმედია. ცივად ვკითხე:

— ქორწილი როდისაა?

— რა ქორწილი? — გაიკვირვა დინამ.

— შენი და ბორისის...

— მე ჯერ მხოლოდ მეორე კურსზე ვარ ინსტიტუტში. დავამთავრებ და მერე ვიფიქრებ ქორწილზე...

მისმა სიტყვებმა გამახარა, მაშინვე გამომისწორდა განწყობილება. მაშასადამე, ჩემს განკარგულებაში კიდევ სამი წელია! ამ ხნის მანძილზე ქვის გულის მონადირება შეიძლება.

16. VII. 1945.

და მაინც დედამიწის ზურგზე არ არის მეორე ისეთი ქალაქი, როგორიცაა ვენა. აქ ყოველ არქიტექტურულ სტილს, ყოველ ეპოქას ასე ნათლად დაუჩნევია თავისი კვალი. გოტიკა. ბაროკო. კლასიციზმი. ამპირი, და ჯერ კიდევ სულ ახლახან გაბატონებული „მოდერნი", რომელიც ბევრის თვალსაზრისით აქ, ვენაში იშვა.

პირველი, რაც ჩვენ დავათვალიერეთ, იყო ფილოსოფოსი იმპერატორის მარკუს ავრელიუსის ქანდაკი, რომელმაც დაწერა წიგნი „საკუთარ თავთან განმარტოებით". იმპერატორი ორ ძუ ვეფხვშებმულ ეტლში ზის და ორჭოფულად იღიმება.

აგერ წმინდა სტეფანეს — სტეფანე-კირხეს განთქმული ტაძარიც. აქეთ რომ მოვდიოდი, უფრო მის სანახავად მოვისწრაფოდი, ნუთუ ავსტრიელებს დაავიწყდებათ ოდესმე, რომ ეს შესანიშნავი ძეგლი ჩვენმა, საბჭოთა მეომრებმა გადაარჩინეს დაღუპვას? ჰიტლერელ ბარბაროსებს ხომ მისი აფეთქება უნდოდათ. არა, ასეთი რამ არ უნდა მიეცეს დავიწყებას!

კინაღამ აკტირდი, როცა დავინახე, რა მდგომარეობაში იყო ტაძარი, ასე მეგონა, თითქოს დანახშირებული ქვების სულში ჩამწვდომი კვნესა მესმოდა. მაგრამ მაინც მწამს, რომ ის კვლავ აღსდგება მკვდრეთით, როგორც ფენიქსი. ტყუილად ხომ არ აგებდნენ მას მთელი ორი საუკუნე ხუროთმოძღვრები და ოსტატები და აი უკვე ხუთი საუკუნეა დგას. ცეცხლის ალივით მაღლა აჭრილან შპილები, კოშკები, თაღები. ქანდაკი, რომელიც ცისკენ ისწრაფის. გოტიკა — განუმეორებელი, იდუმალებით მოსილი გოტიკა! დასანანია, რომ ტაძრის ფანჯრებიდან ამოღებულია ვიტრაჟები, რომლებიც მოსპობისგან გადაურჩენიათ. მაგრამ მე კარგად მახსოვს ალბომებში ნანახი მათი რეპროდუქციები.

აქ გავიცანი ერთი უკრაინელი, ლეიტენანტი გაიდაი. ის მოყვარული მხატვარი აღმოჩნდა. კიევის სამხატრო აკადემიისათვის ტაძრის ჩანახატებს აკეთებს ფანქრით და აკვარელით. შემდეგ შევიტყვე, რომ ძალიან შეყვარებია ეს ქვისგან გამოთლილი მატიანე. ბევრი რამ უფრო გასაგები გახდა ჩემთვის, როცა მიამბო თუ როგორ გადაარჩინა მან დაღუპვას ტაძარი. დიდხანს ვსაუბრობდით არქიტექტურაზე, ხელოვნებაზე, ფერწერაზე. გაიდაიმ მირჩია 19 ივ-

ლისს ფრანგული ხელოვნების ვერნისაჟზე ვავყოლოდი. მე და ჩემი მეგობრები სიამოვნებით დავეთანხმეთ.

ვენა არ არის მარტო შტრაუსის ცეცხლოვანი ვალსების, ფრანციოსების დაუსრულებელი მეფობის (რომლის დასაწყისს ხალხი ბარიკადებით შეხვდა), ჰამსბურგების მტაცებლური და მზაკვრული დიპლომატიის ქალაქი, ის მარტო მუსიკოსების, მომღერლების, მსახიობების „ასპარეზი" და მხიარულობისა და ღამის კოცონების ქალაქი როდია. ვენა უწინარეს ყოვლისა ჰაიდნის, მოცარტის, შუბერტის, ბეთჰოვენის — მუსიკის ამ ჯადოქრების ქალაქია.

ვენა მუშათა კლასის განმათავისუფლებელი მოძრაობის აკვანია. აქედან გამოვიდა კაცობრიობის უკეთესი მომავლისათვის ათასობით მებრძოლი. ბევრმა მათგანმა სიცოცხლეც გასწირა მაღალი იდეალებისათვის.

ყურად ვიღეთ გაიდაის რჩევა და გიდი ავიყვანეთ. ეთნოგრაფიული მუზეუმის მახლობლად აღმოვაჩინეთ იგი, აქამდე მეგონა, რომ მარტო მელომანები, გრაფომანები, ბალეტომანები და სხვები არსებობდნენ. თურმე ვენომანებიც ყოფილან, ჩვენი გიდი დოქტორი შტილერი, ალბათ, მათი ბელადია. ეს ხანშიშესული კაცი, ვენის ფერწერის აკადემიის ყოფილი მასწავლებელი, ეტყობა, სიღატაკეში ცხოვრობს, მაგრამ როგორც კი მისი მშობლიური ქალაქის ისტორიულ ძეგლებზე ჩამოვარდება სიტყვა, ნამდვილი ჰაბუკური აღგზნება დაეუფლება ხოლმე. ჩვენდამი ის დიდი პატივისცემით გაჟიმსჭვალა, განსაკუთრებით, როცა გაიგო, რომ მე არქიტექტორი ვიყავი. ხოლო ჩემი ქართველობაც რომ შეიტყო, მაშინვე წამოიძახა:

— ო, აქ გამოდიოდა თქვენი პიანისტი ალოიზ მიზანდარი! ვენის პრესამ მას უწოდა გენიალური მაესტრო! ხოლო ერთხელ შალიაპინთან ერთად ჩამოვიდა პარიზის „გრანდ-ოპერის" სოლისტი მიშელ დარიალი. აი კიდევ კურიოზი: თავისი სტუმრობით გაგვაბედნიერა იტალიელმა ბარიტონმა ჯირალდონიმ, ბაყურებლები თეატრში, როგორც ერთი კაცი, არც მას უყურებდნენ, არც სცენას, არამედ იმ ლოჟას, სადაც იჯდა მისი მეუღლე მზეთუნახავი თამარ ერისთავი, რომელზეც მომღერალი თქვენთან, ქუთაისში დაქორწინდა. — დოქტორი შტილერი სულ უფრო და უფრო მეტი გზნებით ლაპარაკობდა: — მე ზუსტად ვიცი, რამდენჯერ გამოვიდა აქ ღვთაებრივი რუბინშტეინი და რა შემოსავალი ჰქონდა. ყველაფერი, ყველაფერი

წერია ჩემს დოსიეში! რახმანინოვის ყველა კონცერტს დავსწრებივარ! მახსოვს „ევგენი ონეგინისა“ და „გედის ტბის“ პირველი დადგმების თარიღები. ის თუ იცით, რომ ჩაიკოვსკი ვენის ერთ-ერთი უსაყვარლესი კომპოზიტორია? ან შოსტაკოვიჩი, პროკოფიევი!.. არა, რუსი მუსიკოსები საუკეთესონი არიან მსოფლიოში! დიახ, დიახ! საუკეთესონი! — შტილერმა ისე აუმაღლა ხმას, თითქოს ვინმე საწინააღმდეგოს ამტკიცებდა.

იგი დიდი პატივისცემით განიმსჭვალა დინასადმი, რადგან მას ძალიან აინტერესებდა ბეთჰოვენის ცხოვრება. სამაგიეროდ სრულიად გულგრილი გახდა თამარისადმი, რომელიც უფრო იოჰან შტრაუსის შესახებ გამოჰკითხავდა — მე თქვენ მაოცებთ, მადამ,— აღშფოთებას ვერ მალავდა დოქტორი შტილერი, — გაინტერესებდეს შტრაუსი ქალაქში, სადაც ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ შუბერტი, ბეთჰოვენი, მოცარტი, ჰაიდნი! გინდათ იცოდეთ, რა არის შტრაუსის მუსიკა? მსუბუქი შამპანური და სხვა არაფერი...

გადაიტანა უცბად ყურადღება ვენის ოპერაზე. — პირველი დასი, კარის ოპერა აქ ჯერ კიდევ XVII საუკუნეში ჩამოყალიბდა. ჰერ შტილერი ყურებს გვიჭედავს ოპერების სახელწოდებების ჩამოთვლით. დადგმის თარიღებსაც ასახელებს, კომპოზიტორების, მოღერლების, დირიჟორების მითვლით. შტილერი მოგვიწოდებს ყურადღება მივაქციოთ ოპერის ახლანდელი შენობის არქიტექტურულ ღირსებებს. ამ შენობას ნალის ფორმა აქვს და დამშვენებულია სამი ტალანით — ცენტრალურითა და გვერდითა ტალანებით, აივანი — ლოჯიები შენობას განსაკუთრებულ კოლორიტს ანიჭებს. თითოეული თავისებურადაა ნაგები. თანაც დეკორატიული თვალსაზრისით ისინი უფრო ზევითაა განლაგებული. — ყოველი მომდევნო საფეხური უფრო მდიდრულადაა მორთული წინასთან შედარებით. სამწუხაროდ, თეატრის შენობის მარტო კედლებიღა იდგა. შიგნიდან შენობა ძალზე დაზიანებული იყო ბომბებისაგან. მაგრამ მისი აღდგენა სწრაფად მიმდინარეობდა, მუსიკის ამ დიდებულ ტაძარში თავის დროზე გამოდიოდნენ პაგანინი, ლისტი, შალიაპინი, მღეროდა კარლა დონერი და დირიჟორობდა თავად შტრაუსი. ამ სცენაზე ფანი ელსლერი თავისი ცეკვებით ხიბლავდა ნებისყოფადაკარგულ მეტერნიხის ტყვეს, ჰერცოგ რაინშტადსკის. დოქტორი შტილერი ჩამოგვითვლის ყველა მათ სახელს: ჟოზეფ ფრანსუა, შარლ ბონაპარტი... მე კი ვიხსენებ როსტანის დრამას „არწივის

მართვე", რომელმაც ოდესღაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე.

ოპერის შენობის შიგნით ნახავთ კედლის მშვენიერ მოხატულობას, მარმარილოს კიბეებს, მოაჯირების ბრინჯაოს მაქმანებს. მთელ ამ მორთულობას პირველად დასცქერის ასე უშუალოდ ლაჟვარდოვანი ცა.

მოდერნის სტილით გაშენებულ ქალაქის ბაღში შევიარეთ. აქ ძეგლები დაუდგამთ ორივე შტრაუსისათვის — იოჰანისა და რიჰარდისათვის, ირგვლივ კი შიშველი მზეთუნახავების ქანდაკებები აღუმართავთ. ბიუსტები, სკამები, ლარნაკები, არხზე გადებული პატარა ხიდები — ყოველივე პარფიუმერულ ეტიკეტს ჰგავს.

ახლა ვენის ტყეში მივემართებით. იქით-აქეთ აღმართულ მდიდრულ სასახლეებს ლამაზი ვენეციური სარკმლები ამშვენებს. ღვლარჭნილი არქიტექტურის მიუხედავად, ისინი მაინც საკმაოდ მიმზიდველია.

ვენის ტყე მართლაც უზარმაზარია. ყოვლისმცოდნე დოქტორი შტილერი გვიხსნის, აღმოსავლეთ ალპების ქედებამდეა გადაშლილიო. აქედან ცისფერი დუნაისა და უკიდეგანო ველების დიდებული ხედი იშლება. კაფე-რესტორანი კორბუზიეს სტილშია ნაგები მინისა და ლითონისაგან. სანამ ტოტალურ ძარცვას დაიწყებდნენ აქ, ამ კაფეში შეხვდა ერთმანეთს მსოფლიო ისტორიის ორი ყველაზე სისხლისმსმელი ავაზაკი — ჰიტლერი და მუსოლინი.

მთის ძირას ალმა-ტადემას სულისკვეთებით ნაგებ მომცრო სახლთან ვჩერდებით, რომლის ორივე მხარეს უზარმაზარი კერამიკული ლარნაკები დგას. ფრონტონზე წარწერაა: „სიყვარულისა და ხელოვნების გარეშე სიცოცხლე არა არს რა". ეს ვენური „მოდერნის" ერთ-ერთი შემქმნელის არქიტექტორ ოტო ვაგნერის სახლია. შტილერმა უიმედოდ ჩაიქნია ხელი, რითაც ვაგნერის სახლისადმი ჩემი დამოკიდებულებაც გამოხატა. თუმცა, გულახდილად რომ ვთქვა, ვენის ვაგნერის მიერ ნაგებ ფოსტამტში როგორც იტყვიან, რაღაც არის საინტერესო.

ჩვენს დღევანდელ „ეპოპეას" ვამთავრებთ პარლამენტის დათვალიერებით. ის ნაგებია კლასიკური სტილით. ეპიგონურადაა გამეორებული ელინთა არქიტექტურა, ყველაფერი, თვით დეკორის უმცირეს დეტალებამდე.

18. VII. 1945.

მივდივართ და წმინდა კარლოსის ეკლესიის გუმბათი მიგვაცილებს. ნეტა კიდევ სად წაგვიყვანს დაუცხრომელი შტილერი? ყველაფერი ნათელია, ის ჰარონის როლში გვევლინება, ახლა ვენის განთქმულ სასაფლაოზე მივყევართ, რათა უკვდავი კომპოზიტორების საფლავები გვანახოს. გარდა ამისა მე უკვე პროფესიული თვალსაზრისით — მაინტერესებს კრემატორიუმის შენობა.

მთელი ქალაქი უნდა გავიაროთ. ვენა რაღაც ძალის სამყაროს წააგავს. თუმცა ყველგან მოწყენილობა და სიცარიელეა, თვალს მაინც ახარებს დიდებული შენობების მწყობრი რიგები და ანსამბლები.

სასაფლაო. მძიმე შთაბეჭდილებას ახდენს „მოდერნის" სტილით ნაგები ეკლესია, რომელსაც გარს მაღალი კვიპაროსები შემოსჯარვია. ყველგან ვარდებია, შესაძლოა ისინი მეტისმეტიც იყოს! წინა პლანზეა იოჰან შტრაუსის ყვავილებითა და ცოცხალი ვარდების გვირგვინებით შემკული საფლავი. საფლავის ქვაზე უამრავი ავტოგრაფია, ჩვენი ჯარისკაცებისა და ოფიცრების ავტოგრაფები, შტილერი უყურებს ამ თვითნებურ წარწერებს, უკმაყოფილოდ იქნევს თავს. მეც, ცოტა არ იყოს, უხერხულად ვიღიმები... მაგრამ მიპატიებია ჩემი თანამემამულეებისათვის გრძნობათა ამგვარი გამოვლენა. ვაპატიოთ მათ ეს თვითნებობა, ისინი ხომ თავს არ იზოგავდნენ ევროპის გათავისუფლებისათვის.

აი, როგორც იქნა ბეთჰოვენის უბრალო საფლავი, ისეთივე უბრალო, როგორიც მისი ცხოვრება იყო. მოშორებით არიან შუბერტი, მოცარტი. დოქტორი შტილერი განმარტავს: ეს მხოლოდ მოცარტის ძეგლია, თვითონ კი სხვაგან ასაფლავიაო. მაგრამ მე ბეთჰოვენზე ვფიქრობ და მაინცდამაინც ყურადღებით არ ვუსმენ, ნეტა ბედია ეს თუ შემთხვევითობა, რომ სამივე გენიოსი ერთმანეთის გვერდით აღმოჩნდა, სწორედ აქ, სადაც მარადისობა გამეფებულა?..

კრემატორიუმიც იგივე „მოდერნის" სტილითაა ნაგები. მასაც გავერანების დაღი ატყვია.

უკან დაბრუნებისას შენბრუნის ციხე-სიმაგრეში შევიარეთ. უიმედოდ სიმეტრიული სასახლე, გადაკრეჭილი პარკი ირგვლივ სიცივეს ჰფენს. მხოლოდ ტრიანონი თუ აცოცხლებს როგორღაც საერთო ხედს.

ვეწვიეთ ძველ სახლებს, სადაც ბეთჰოვენი და მოცარტი ცხოვრობდნენ... შთაბეჭდილება წარუშლელია, მაგრამ ამას ორი სიტყვით ვეღარ გამოთქვამ.

საღამოს მუსიკალური კომედიის თეატრში შუბერტისადმი მიძღვნილი პიესა ვნახეთ. მსახიობები თამაშობდნენ ჩინებულად, სიმღერითაც გვარიანად მღეროდნენ. საერთოდ მხიარული და ნათელი სპექტაკლია.

19. VII. 1945.

მეორე დღეს ვერნისაჟზე დაგვაგვიანდა. დამთვალიერებლები არც ისე ბევრნი იყვნენ. თანამედროვე ფრანგული ხელოვნება იყო წარმოდგენილი ფერწერით, გრაფიკით, სკულპტურითა და დეკორაციული ხელოვნებით. გამოფენილი გახლდათ ისეთი ოსტატების ნამუშევრები, როგორებიც არიან პიკასო, ბატისი და საფრანგეთის ახალგაზრდა მხატვრები.

განმაცვიფრა თანამედროვე თემის სრულმა უგულებელყოფამ, დღევანდელი პრობლემებისადმი გულგრილობამ. ამაოდ ვაწყდებოდი იქით-აქეთ, დარბაზიდან დარბაზში, სტენდიდან სტენდს ზოგიერთი ნაწარმოები ორიგინალური იყო ფორმით, ფერების შეხამებით, სინათლისა და ჩრდილის კონტრასტებით, მაგრამ ეს ხომ საკმარისი არ არის თანამედროვე ხელოვნებისთვის! მართალია, ერთმა ტილომ მიიპყრო ჩემი ყურადღება, მაგრამ ისიც კლოდ მონეს სურათის „კაპუცინების ბულვარის“ გაუარესებული ვარიანტი აღმოჩნდა.

ვერც ერთ ექსპონატზე ვერ იფიქრებდი თუ XX საუკუნის ორმოციან წლებში იყო შექმნილი. ისინი თითქოსდა ყველა ერთად XIX საუკუნის დამლევის საფრანგეთს ასახავდნენ. ვუყურებდი და განცვიფრებული ვრჩებოდი, თითქოს რომენ როლანის, ანრი ბარბიუსისა და მორის ტორეზის ქვეყანას თავს არ დასტეხოდეს საშინელი ტრაგედია და საერთოდ არ ყოფილიყოს მეორე მსოფლიო ომი; თითქოს მთელი ამ წლების მანძილზე არაფერი მომხდარიყოს ისეთი, რასაც მხატვრის გონებისა და გულის შეძვრა შეეძლო. ყველა დროისა და ხალხის ყველა ნამდვილი, დიდი მხატვარი ხომ მუდამ ძალზე მწვავედ ეხმაურებოდა თანამედროვეობის საკითხებს. სწორედ ამიტომ გახდნენ ისინი დიდნი. აი რამდენიმე ნახატის სა-

უქეტი: კაცი თეატრში, ქალბატონ ვიიენის პორტრეტი (მოხუცი ქალი საკერავს უზის), ყვავილები, ნატურმორტი, ზაფხულის ბაღის კუთხე, ავტოპორტრეტი, ხილი, მოთამაშეები, ნიუ, ქრისტე ჯვარს ეზიდება გოლგოთაზე, შინ ფანჯარასთან და ა. შ.

ზოგიერთ ქმნილებაში იგრძნობა იმპრესიონიზმის შორეული გამოძახილი, სხვებში — ფორმის აბსტრაქტული, ნიადაგგამოცლილი ძიება. ნუთუ აქაც, ბეთჰოვენის ქალაქში ადამიანებმა არ გაიგონეს დიდი მუსიკოსის მოწოდება: „ხელოვნების მიზანი უნდა იყოს თავისუფლება, პროგრესი?"

არა, ეჭვგარეშეა, აქ წარმოდგენილ მხატვრებსა და მოქანდაკეებს შორის არიან პირველხარისხოვანი ოსტატები და დიდად ნიჭიერი შემოქმედნი; ბევრი მათგანი აქტიური ანტიფაშისტია, ზოგიერთები კომუნისტური პარტიის წევრებიც კი არიან, მაგრამ სადღაა ჩამდვილი საფრანგეთის ხმა, შეულამაზებელი და ყვავილებით მოურთველი საფრანგეთისა? საფრანგეთის, რომელმაც გადაიტანა ფაშისტთა ბატონობის დამცირება და ტანჯვა-წამება? საფრანგეთის, რომელიც იბრძოდა და სისხლს ღვრიდა. მე იმ დარბაზებში ვერ ვნახე დედების ცრემლები, არ მესმოდა მოხუცებისა და ბავშვების კვნესა. ვერ ვიგრძენი ხალხის მრისხანება.

ვიყიდე ყოველკვირეული გაზეთის უკანასკნელი ნომერი. ჩემი ყურადღება მიიპყრო ჟაკ პუტმანის საკმაოდ უცნაურმა წერილმა „რატომ არის ასე ბევრი მხატვარი ბელგიაში?" წერილში გამოთქმული იყო მეტად უცნაური აზრი, თითქოსდა ბარის ქვეყნებში, სადაც არ არის ქვის მომპოვებელი კარიერები, უფრო ვითარდება ფერწერა, ხოლო მთიან ქვეყნებში — სკულპტურა! საოცარია!

საღამოს ოპერაში „სევილიელ დალაქს" მოვუსმინეთ, როსინი დღესაც „ევროპის რჩეული ორფეოსია"... კარგი მუსიკა კურნავს გულის ტკივილს.

21. VII. 1945.

მეორე დღეს დილიდანვე გავემგზავრეთ ბადენში. ამ წარმტაც ქალაქში ვენის მახლობლად რომ მდებარეობს, სამკურნალო წყლებსა და საუკუნოვან ხეებს შორის, ქმნიდა თავის ჯადოსნურ მუსიკას დიდი ბეთჰოვენი.

უკან რომ ვბრუნდებოდით, მთავარ ალეწშტეინების შუასაუკუ-

ნოვან ციხე-კოშკს ვეწვიეთ. ციხე-კოშკის გაეერანებულ პარკში ვენის სამხატვრო აკადემიის სტუდენტი იჯდა და ჩანახატებს აკეთებდა. მას ტიროლური კოსტიუმი ეცვა. ტყავის მოკლე შარვალი მუხლებამდე სცემდა, ტყავისავე ჟილეტი ჰქონდა მოსხმული და ფეტრის შლაპაზე ხოხბის ფრთა ეკეთა. ციხე-კოშკის ბასტიონებიდან იშლება გარემოს სრულიად უჩვეულო ხედები. ეს ხედები მართლაც რომ შეძლებდნენ შთაეგონებინათ მაისტერზინგერები.

წმინდა ჯვრის მონასტერში ვენის მახლობლად ახალგაზრდა, ჩასუქებულმა და ლოყებღაჟღაჟა პასტერმა წყალი დაგვალევინა, მანვე დაგვათვალიერებინა საეანე, მოგვიძღვნა ფოტოსურათები და მონასტრის აღწერილობა.

საღამოს ჩვენი მსახიობების კონცერტს დაეესწარით. ეს საბჭოთა ხელოვნების ნამდვილი ტრიუმფი იყო!

•

25. VII. 1945.

ასე მგონია, თითქოს ლისტის მეექვსე სიმფონია ჩამესმის — შემდეგ მისი განუმეორებელი ბგერები ერთდება მძლავრ ხორალში. უეცრად ირგვლივ ცეცხლოვანი უნგრელი ქალები დატრიალდნენ. ისინი ჩარდაშს ცეკვავდნენ. და აი უკვე ჩემს თვალწინ მიქრის უშიშარი არპადი, რომელსაც თავისი ხალხი უკიდეგანო დუნაის ნაპირებისკენ მიჰყავს.

შანდორ პეტეფის მგზნებარე ლექსებს ვისმენ. მისი მოწოდება ბარიკადებიდან და მოედნებიდან ისტორიის ანფილადებს არღვევს და ჩვენამდე აღწევს, აი ლომგული კოშუტიც, რომელიც განდევნილი იტანჯებოდა უცხო ქვეყანაში...

უნგრელები ნიჭიერი, პატიოსანი და მამაცი ხალხია. უნგრეთი იყო პირველი ქვეყანა, რუსეთის შემდეგ, სადაც 1919 წელს რამდენიმე თვე იარსება საბჭოთა ხელისუფლებამ. მაშინ თუ ის არ განმტკიცდა, ამაში ბრალი უნგრელ ხალხს კი არა, მის მტრებს, ფაშისტებს მიუძღვით.

ბუდაპეშტი... მდოვრედ მიედინება ცისფერი დუნაი, რომელიც ყოფს ძველსა და ახალ ქალაქს, ხუთსართულიანი სახლის სახურავქვეშ გაჩხირული აქ ჩამოვარდნილი თვითმფრინავი, ფიუზელაჟის

ნახევარი მაღლა აჭრილა. დუნაიზე არც ერთი ხიდი მთელი არ დარჩენილა, ისინი კი ბუდაპეშტის მშვენება და სიამაყე იყო! ძველი ქალაქი დანგრეულია, სიძველის ყველა ძეგლთან და ხელმწიფის სასახლესთან ერთად. მდინარის მეორე ნაპირზე ამაყად აღმართულა პარლამენტის დიდებული შენობა (სტილიზებული გოტიკა), თითქოს და ნაყვავილარი დასჩენიაო, ტყვიის უამრავი ჭრილობებითაა დაცხრილული.

ახალი ბუდაპეშტი ტიპიური თანამედროვე ევროპული ქალაქია. მრავალსართულიანი შენობები, ფეშენებლური მაღაზიები, უამრავი რეკლამა (ახლა ისინი ჩამქრალან). ისმის მადიართა ხმამაღალი შეძახილი. ეს ენა არც ერთ ევროპულს არა ჰგავს.

სასტუმრო „ბრიტანეთში" შევჩერდით. აქ სისუფთავე და მყუდროებაა. მარტო კაფეში მთრგუნავდა ულაზათო ფრესკები, თანაც შექსპირის ტრაგედიების სიუჟეტებზე შექმნილნი.

26. VII. 1945.

მაღაზიები სხვადასხვა საქონლითაა სავსე. თამარი და დინა დილიდან საყიდლებზე დადიან. მეც სიამოვნებით მივაცილებ მათ.

სულ უფრო და უფრო ვრწმუნდები უნგრელები რომ საინტერესო და ტემპერამენტიანი ერია. ნამდვილი სამხრეთელები! მამაკაცები მაღლები, ტანადები არიან, უმრავლესობა შავგვრემანია, ქალები იდეალური აღნაგობით გამოირჩევიან. ყველას თითქმის დუნაის ფერი თვალები აქვს. ოღონდ დასანანია, რომ ბევრი ატარებს შავ სათვალეს — თვალები კი არა, შავი ლაქებია!

— ყველა უნგრელი ქალი, — ვაცხადებ მე, — სასამართლოში უნდა მისცე!

დინამ და თამარმა განცვიფრებით შემომხედეს.

— რატომაო?

— ეროვნული სიმდიდრის დამალვისათვის.

— არაფერი მესმის! — მხრები აიჩეჩა დინამ.

— რა და, მუქი სათვალეებით იფარავენ მშვენიერ თვალებს.

ყველანი ვიცინით.

ბუდაპეშტი კიდევ დიდხანს არ მოსულიერდება. ის რამდენჯერმე გადავიდა ხელიდან ხელში, მაგრად დაანგრიეს და ასე ერთბაშად ვერ მოიშუშებს მძიმე ჭრილობებს.

საღამოს დუნაიზე გაშენებულ კაფეში წავედით. ძალიან კარგი ორკესტრი უკრავდა. ხალხი ცოტა იყო, სულ რამდენიმე მაგიდა დაეკავებინათ, ისიც მხოლოდ ახალგაზრდობა იყო, მხოლოდ ახალგაზრდობა. ალბათ სტუდენტები არიან, გავიფიქრე. ჩვენმა გამოჩენამ ყველა დააინტერესა. მინდოდა გამესინჯა ნამდვილი გულიაში,— უნგრელების ეროვნული კერძი. „ტოკაიურიც“ შევუკვეთეთ. დინა ჩინებულ გუნებაზე ყოფილდათ. და სულ გონებამახვილურ ახრებს აფრქვევდა. ორკესტრმა „ბნელი ღამე“ დაუკრა. ბოგოსლოვსკის სიმღერა კინოფილმიდან „ორი მებრძოლი“. უეცრად დინამ სიმღერა დაიწყო, მას ხავერდოვანი ტემბრის, სასიამოვნო, გულის სიღრმიდან ამოსული ხმა ჰქონდა. მეზობლებს ვახშამი გადააავიწყდათ, გულმოდგინედ გვისმენდნენ, პირველი მევიოლინე ესტრადიდან მკვირცხლად ჩამოხტა, დინასთან მივიდა და ვირტუოზული დაკვრით კიდევ უფრო გააძლიერა დინას ხმის მომხიბლაობა. გაბრუებული ვიჯექი, დინასაგან ამას ნამდვილად არ ველოდი, ვერც კი წარმოვიდგენდი თუ ასე მშვენივრად შეეძლო ემღერა. იმდენად კარგად და ისეთი გრძნობით მღეროდა, მეგონა გონებას დავკარგავ-მეთქი. არ ვიცი, იქნებ ცოტა ისიც იყო ბრალში, რომ ამ ქალიშვილით გატაცებული ვიყავი... ეს მშვენიერი, მომხიბვლელი ხმა, დღემდე ჩამესმის და მგონია, არასოდეს არ დამავიწყდება.

დინამ სიმღერა დაამთავრა თუ არა, ტაშმაც დაიგრიალა. მეზობელ მაგიდებთან მსხდომი უცნობები მოგვიახლოვდნენ. ხელში მჩქეფარე „კაგორით“ სავსე ჭიქები ეჭირათ. ყველამ გატაცებით დალია მომღერლის სადღეგრძელო. სტუდენტები იყვნენ და ძალიან გაიხარეს ჩვენთან შეხვედრით. სეტყვასავით დაგვაყარეს შეკითხვები. შემდეგ ერთ-ერთმა ჭაბუკმა, სხვებზე ახალგაზრდამ და მ�ალმა, მუსიკოსებს ნიშანი მისცა. ორკესტრმა ჩარდაში დაუკრა. ორკესტრის წინ მშვენიერი ქალიშვილი დადგა. მომხიბვლელად იღიმებოდა. მომეჩვენა თითქოსდა ძალიან ჰგავდა დინას, ქალიშვილმა წკრიალა, დიდებული ხმით დაიწყო. ერთხანს მაგიდების წინ იდგა და ისე მღეროდა. მერე დაიძრა, მევიოლინეს თანხლებით მიდიოდა მაგიდებთან და სიმღერას იქ მსხდომთ უძღვნიდა. რასაკვირველია, ჩვენს მაგიდასთანაც გამოჩნდა და ძალიანაც გვასიამოვნა.

ორკესტრი კი სულ უმატებდა და უმატებდა ტემპს. ჩარდაში უკვე გრიგალივით დატრიალდა, მომღერალი ახლა მაღალ ჭაბუკთან ერთად საცეკვაოდ გავიდა. სიმღერა ახლა სხვებმა გააგრძელეს, თან

ხმამაღალი შეძახილებით აქეზებდნენ მოცეკვავეებს. ეს სიმღერა ჩვენ გვიძღვნეს უნგრელებმა.

ჩარდაშის შემდეგ ყველანი ერთად გავედით კაფედან. ახალმა მეგობრებმა დუნაიზე ნავით გასასეირნებლად მიგვიპატიჟეს (დინამ მაშინვე შენიშნა, რომ ჩვენთან არ იყო ჩერნოვი). შესანიშნავი ღამე გახლდათ. მდინარეზე დიდებულად აღმართულიყო მებადურთა ბასტიონის კოშკი, ნავებიდან ვხედავდით ტაძრების შპილებსა და სახლების სახურავებს. აქედან, ქალაქის ჭრილობები არც ისე შესამჩნევი ჩანდა. შემდეგ ნავები დავტოვეთ და ბუდაპეშტის ქუჩებს გავყევით. მეგობრები გვიჩვენებდნენ ღირსშესანიშნაობებს. ბოლოს კი სასტუმრომდე მიგვაცილეს, სადაც სინანულით გამოგვეთხოვენ. კიდევ დიდხანს ვიდექით „ბრიტანიის“ შესასვლელთან, შემდეგ ჩვენს სართულზე დაღლილები ავედით.

27. VII. 1945.

ხვალ დინა, თამარი და ვოლკოვი მიემგზავრებიან. ნუთუ დინა არ შემოვა ჩემთან გამოსათხოვებლად? ვიღაცამ დარეკა... ვღელავ, ალბათ ისაა! დიახ-დიახ, ის არის და სხვა არავინ... მართლაც და დინას ხმა მაშინვე ვიცანი. მთხოვა, თუ რაიმე საქმე არ მქონდა, ქალაქში გაგვესეირნა. რასაკვირველია, მაშინვე დავთანხმდი. სასტუმროდან გამოვედით და დუნაის სანაპიროს გავყევით. მე შევთავაზე კაფეში შევსულიყავით, მაგრამ არ ისურვა. ქვის მოაჯირთან ნაბიჯები შევანელე.

— მაშასადამე: გადაწყვეტილია, მიემგზავრები?

— კი, არჩილ, აუცილებლად უნდა დავბრუნდე მოსკოვში. ჩემი მოვალეობა მოვიხადე — მოხალისედ წავედი ფრონტზე. ახლა კი უფლება მაქვს შინ დავბრუნდე. ინსტიტუტშიც უნდა აღვსდგე. სწავლა სიბერემდე.

— რომელ ფაკულტეტზე გსურს ისწავლო?

— მე ხომ გეოლოგი ვარ. ძიების, შორეული ექსპედიციების რომანტიკა მუდამ მიზიდავდა. რა ჯობია, ითვისებდე სამშობლოს უცნობ სივრცეებსა და სიმდიდრეებს?!

იმ წუთში გული შემეკუმშა. თვითონაც არ ვიცი, რატომ? იქნებ იმიტომ, რომ რაღაც წამით წარმოვიდგინე დინა მარტოკა, უჩემოდ, გეოლოგიურ პარტიაში — ბედნიერი დინა, რომელსაც მე არც

ვაგონდები. მე კი ვოცნებობდი, რა გზაც არ უნდა აერჩია მას, ყოველთვის მის გვერდით ვმდგარიყავი, გამეზიარებინა მისი სიხარულიცა და მწუხარებაც. დინა თითქოს მიხვდა ჩემს ფიქრებს, გამიღიმა.

— რა თქმა უნდა, უშენოდ მომწყინდება, არჩილ, — თვალებში ჩამაშტერდა, ალბათ უნდოდა გაეგო, რა შთაბეჭდილება მოახდინა მისმა სიტყვებმა, დიდხანს მიყურებდა, მერე თავი გადააქნია და განაგრძო — ამას გულწრფელად ვამბობ, მეგობარო.

— დინა, ეს ძალიან ცოტაა ჩემთვის.

— მეტის იმედი ნუ გექნება, ძვირფასო. არაფერი გამოვა. ვერ დაგიმალავ, მე შენ შემიყვარდი, მაგრამ არსებობს ადამიანი, რომელიც კიდევ უფრო მიყვარს და მჭირდება... შენი მეგობრობაც არ მინდა დავკაგრო... შენ ყოველივე საუკეთესოს ღირსი ხარ ცხოვრებაში... — გაიცინა და ჩურჩულით დაამთავრა, — არ მომწონს შენი დუმილი, არჩილ!

იმ წუთებში ვერც ვერაფერს ვხედავდი და ვერც ვგრძნობდი. რა შემეძლო მეთქვა ამ საოცრად მშვენიერი არსებისათვის ასე რომ შემოიპარა ჩემს გულში და სამუდამოდ ჩასახლდა. რა სიტყვებით შეიძლებოდა იმის გადმოცემა, რაც ჩემს სულში ხდებოდა?

ამის გადმოცემა ძნელია. ხელები მხრებზე დავაწყვე და თვალებში მწყარალად ჩავხედე.

— მიბრაზდები, არა? რატომ არაფერს ამბობ? — უბრალდ გავიარეთ. უკან რომ მოვბრუნდით, დინა თავისი ნომრის კარამდე მივაცილე.

— მშვიდობით, არჩილ, — თქვა მან და გამიღიმა. მერე ჩემსკენ ოდნავ გადმოიხარა. მე წელზე შემოვსალტე ხელი და ცხელსა და ვნებიან ტუჩებს დავაცხრი.

28. VII. 1945.

ღმერთო, სიყვარულის წინაშე არავითარი ბარიერი არ არსებობს!

დილით, იმის შეგნება, რომ ისინი უნდა გაფრენილიყვნენ, მზარავდა. დინას ნაცრისფერი კოსტიუმი ეცვა. მწვანე „ლენინგრადულსა“ და ტიუბეტეიკაში იყო გამოწყობილი. თვალები ხალისია-

ნად უციმციმებდა. ჩემს გამხიარულებასაც ცდილობდა, მაგრამ გულზე დიდი, უშველებელი ცხელი ლოდი მედო. გამოთხოვებისას როგორღაც, ჩემდაუნებურად ბორისს გადავეხვიე და გადავკოცნე, დინას ხელის სითბოღა დამამახსოვრდა... შემდეგ სამივე ერთად ჩავდა თვითმფრინავში, თვითმფრინავი მიწას რომ მოწყდა, მკერდის არეში მწვავე ტკივილი ვიგრძენი.

ჩერნოვიც მოწყენილი იყო. მანქანაში უხმოდ ჩამსვა და ცოტა რომ გავიგრიალეთ ქალაქისაკენ, გადმომხედა.

— არჩილ, დანა პირს არ მიხსნის, სადმე რესტორანში შევიდეთ და ცოტა ჩავცეცხლოთ. იქნებ გულზე მომეშვას. რას იტყვი, არჩილ, ხომ დავლიოთ?

თავი თანხმობის ნიშნად უხმოდ დავუქნიე. ბორისმა არაყი და ცხელი საუზმე შეუკვეთა. მერე გადმომხედა და გაიღიმა.

— ნუ მოიწყინე, საყვარელ ადამიანთან გამოთხოვება, რასაკვირველია, ყოველთვის ძნელია.

ის ნათლად ხედავდა, რა დღეშიც ვიყავი. მაგიდაზე თითებით დააკაკუნა და გააგრძელა:

— განა ვოლკოვი შენი საყვარელი მეგობარი არ არის?

მივუხვდი წყაროს სათავე საითაც მიუგდო, ჭკვიანური სვლა გააკეთა. ცოტათი გამოვცოცხლდი. უკვე დრო იყო მეც თამაშში ჩავბმულიყავი:

— რა თქმა უნდა, ახლო მეგობარიცაა და ფრონტელი ამხანაგიც.

— გაცილება არასასიამოვნო საქმეა, ცხოვრება მხოლოდ შეხვედრებისგან უნდა იყოს შეკინძული. აბა, ეს შენი ყველა სურვილის შესრულებისა იყოს! — თქვა და ჭიქა მომიჭახუნა.

— შენც აგხდომოდეს ყველა სურვილი!

— ასე იყოს, ძმაო! მაგრამ ვაი თუ ჩვენი სურვილები ერთმანეთს შეეჯახოს.

აბი უხმოდ გადავყლაპე, თუმცა არც ისე მწარე იყო.

— შემდგომში რას აპირებ, არჩილ?

— ამხანაგებს დაველოდები — არქიტექტორებსა და მხატვრებს. მთელ ჯგუფად მივემგზავრებით იტალიაში. უნდა მოვინახულოთ რომი, ვენეცია, ნეაპოლი, ფლორენცია, გენუა, მილანი. თუ დრო დაგვრჩა, საფრანგეთსაც ვეწვევით. სამი თვის შემდეგ მოსკოეს დავბრუნდები და შენებას შევუდგები...

— აი ეს მესმის, ჩემო ძმაო! ნამდვილად მშურს... მაგრამ შენებას რომ დაიწყებ, სულ გახსოვდეს ადამიანი, შენ ხომ სწორედ მისთვის უნდა აშენო!

— შენ რას აპირებ, ბორის?

მაშინვე არ უპასუხნია.

— რას ვაპირებ... რა და მომავალი მფრინავების მომზადებას შევუდგები, აღვზრდი ადამიანებს... ხმამაღლაა ნათქვამი, არა? — გაიცინა ბორისმა.

— როცა შენ წარმოთქვამ, სულაც არ ჟღერს ხმამაღალ ფრაზებად.

— რატომ? — დაინტერესდა იგი.

— იმიტომ, რომ მე მჯერა შენი.

— მე, ძმაო, თვითონ მჯერა ჩემი თავისა... აბა ჩვენი, დედამიწის ზურგზე მცხოვრები ყველა პატიოსანი ადამიანის ნათელი მომავლისა იყოს!

რესტორნიდან გამოსულები ერთხანს ვიდექით და ვტკბებოდით დუნაის სილამაზით. შემდეგ ერთმანეთს გამოვეთხოვეთ.

მაინც, ნეტა რა მომელის, როგორ წარიმართება ჩემი ცხოვრება? ვნახოთ...

მივყვებოდი დუნაის ნაპირს და ფიქრების გრძელი უშველებელი ძაფი სულ სხვა სამყაროში მიმათრევდა.

ხარჩევი

როცა წვიმა მღერის

პოეტის უკვდავება

ქამი დიდებისა

ლადო გუდიაშვილის ათას ერთი ღამე

უკვდავი სიმღერა

გარიჟრაჟზე მოფრინდება თეთრი მერცხალი

არჩილ არენდაულის დღიური

რედაქტორი ჭ. კვინტრაძე
მხატვარი ზ. წერეთელი
მხატვრული რედაქტორი თ. შარიფაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ზ. გვიმრაძე
კორექტორები: ზ. მამასახლისი, ი. ხალარაძე
გამომშვები ნ. თათარაშვილი

ს. ბ. № 4148

გადაეცა წარმოებას 25.06.85. ხელმოწერილია დასაბეჭდად 04.06.87. უე 01352. საბეჭდი ქაღალდი № 2. 60×84 1/16. გარნიტური ვენა. ბეჭდვის ხერხი მაღალი. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 14,12. პირ. საღებავგატარება 14,37. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 11,94. ტირაჟი 15.000, შეკვ. № 7706

ფასი 76 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და
წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის
ქუთაისის პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანება,
ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 33.

Кутаисское полиграфическое производственное объединение
Государственного комитета по делам издательств, полиграфии
и книжной торговли Грузинской ССР
г. Кутаиси, пр. И. Чавчавадзе, 33